ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

6 | 2000

სამხატვრო-
სალიტერატურო
ჟურნალი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



გენო ზაქარაია. ვლადიმერ მაიაკოვსკის პორტრეტი. 1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
და ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია

# ცისკარი

6 | 2000

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:

ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბაღათერ არაბული
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
(მთ. რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გური ოტობაია
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო. თბილისი. ხიდის ქუჩა № 1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

### პოეზია და პროზა

3. ნინო სიხარულიძე – ლექსები.
8. ლადო მრელაშვილი – და შექმნა ღმერთმან კაცი... რომანი. გაგრძელება
დასასრული შემდეგ ნომერში
51. რევაზ დანელია. ლექსები
57. ალინა ქადაგიშვილი. ლექსები
61. მარიანა ნანობაშვილი. ორი ნოველა
66. გიორგი გიგაური. ლექსები
69. გივი სიხარულიძე. ორი მოთხრობა
76. თამარ შაიშმელაშვილი. ლექსები
78. ელეონორა გვრიტიშვილი. ბალაანელი გოგოები. მოთხრობა
93. ნოდარ ბაქრაძე. შტრიხები პორტრეტებისთვის. ლექსები

### მეგობრობის მერიდიანები

96. ჰოლანდიური პოეზია. თარგმნა ბაღათერ არაბულმა

### ახალი თარგმანები

100. ა.თ. ლოსევი, ა.ა. ტახო-გოდი. პლატონი, არისტოტელე. რუსულიდან თარგმნა ნოდარ შანიძემ

### ჩვენი თანამედროვე

113. „ ...მაინც მწვერვალებს ედება ქარი“. ინტერვიუ მოქანდაკე გენო ზაქარაიასთან

### ცა ჩემში ვპოვე სამარადისოდ

118. – არარსსაც ჰქონია ბზარები
119. ზაურ კალანდია. გზა „უსაფეხურო კიბიდან“ უსაფეხურო კიბისკენ
120. თეიმურაზ მეტრეველი. სახელი, როგორც ბედისწერა...

### წერილები

121. ელგუჯა თავბერიძე. ბრინჯაოს ქანდაკება სადღაც აქვე, ახლოს...
125. ცისანა ბაბლოვანი. მე-20 საუკუნის საბავშვო მწერლობა...
127. კარლო ბლაგიძე. მშვენიერების პრობლემა პლატონის ესთეტიკაში
129. ლალი კურტანიძე. „მესხი სწავლითა ქებული“

### ეს ჩვენი წარსულია

132. დავით პაიჭაძე. გერმანია-საქართველოს არშემდგარი დოკუმენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო სიხარულიძე

***



შემოდგომაა,
ეზოში ბავშვებს დიდი ყვითელი მზე დაუხატავთ –
ყურებამდე გახსნილი პირით.
ალბათ, მთელი დღე ფერად ცარცებს აგროვებდნენ,
მერე კი... თითომ თითო მწველი სხივი დახატა.
ღმერთო, ნუ მოიყვან წვიმას!
გათოშილი შემოდგომაა
და ნაცნობ ქუჩას შეუმჩნევლად ერევა რული.
აღარც კი ახსოვს,
დღეს ზედ გულზე მერამდენედ გადავუარე,
ხვალ შეიძლება ვეღარც მიცნოს
და ჩემ ნაბიჯებს არ შეაგებოს
ჭადრების თრთოლა.
გულმავიწყი, ცოცხალ-მკვდარი შემოდგომაა...
დღეს რა ენაღვლება,
დღე თვალებს ხუჭავს,
დღე მშვიდია და, რაც არ მოუტანია,
რაღას წაიღებს.
ეს კია, რომ ფანჯარასთან აწრიალდება,
წეროების გადაფრენას დაიმახსოვრებს,
ქარვისფერი ტყის სიჩუმეს დაიმახსოვრებს,
ეს კია, რომ უთავბოლოდ აწრიალდება.
მერე ჩაგაგონებს, რომ შენც გაბედო
მოგონებებით გამთბარი ბუდის დატოვება,
მაგრამ სანაცვლოდ?!
გზააბნეული შემოდგომაა...
ეზოში ბავშვებს დიდი ყვითელი მზე დაუხატავთ,
ეზოში ბავშვებს...
მეც მზეს დავხატავ ჩემ ოთახში,
მეგობრების სახლის კარებზე,
ჩემ სავიზიტო ბარათებზე,
სიზმრად თუ ცხადში,
თორემ უკვე შემოდგომაა...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


***

შენ რომ მოგენატრო და მოხვიდე,
შეიძლება მე აღარ დაგიხვდე სახლში.
მე კი ბევრჯერ მომენატრე,
მაგრამ ჩემ თავს მოთმინება მივუსაჯე.
შენ რომ გაგიჭირდეს და მომძებნო,
შეიძლება ვეღარც მიპოვნო ან ვეღარ მიცნო.

მე კი ბევრჯერ გამიჭირდა,
მაგრამ ჩემ თავს უშენობა მივუსაჯე.
შენ რომ გეფიქრა, მიხვდებოდი:
დიდი ხანია, ერთმანეთისთვის
გარდავიცვალეთ,
მაგრამ არ გაიკვირვო, ჩემზე რომ გითხრან:
კარგადააო,
მე კი საკუთარ თავს სხვის დასანახად
სიცოცხლე მივუსაჯე.

## შენდამი

ასე მგონია, ბნელ დერეფანს გამოვერიდე –
– სინათლედ და სითბოდ მოხვედი.
ჩემ რწმენის კედლად აღმართულხარ და, თუკი
ოდესმე მაინც დაიბზარა ეს კედელი,
მთელი ცხოვრება ისევ ბნელში უნდა ვიარო.

## ბედნიერება

*ჩემ შვილს – სანდრიკოს.*

–ყველაზე მეტად მე შენ მიყვარხარ, ახლოს მოიწი, გაკოცო უნდა,–
ყურში მითხარი – მერე ზღაპარიც მაამბობინე,
როგორ დაადნო მზის სხივებმა ღრუბლის პატარა ქათქათა გუნდა...
მყის მოიწყინე, მაგრამ დამშვიდდი:
– მერე ხომ მაინც წვიმად მოვიდა, – ჩაიბუტბუტე და სიზმრებმაც გაგიყოლიეს,
ჩემი ხმა, ალბათ, მოგესმოდა უკვე შორიდან.
მზერა მოგწყვიტე, საათს გავხედე,
შესრულებულა კიდევაც ათი
და მერე დიდხანს მეჭირა ხელში
შენი პატარა ბუთქუნა თათი.

***

მე შუადღე ვარ,
მინდობილი ქარებს ფოთოლი,
მე შუადღე ვარ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნაკვერჩხლებზე მზე აშიშხინდა,
მზე გაახელა ღრუბლების დევნამ,
მე შუადღე ვარ...
ჩემი გულის კლავიშებზე უკრავს აპრილი,
ვთვრები აპრილით,
მე შუადღე ვარ...

***

მთელი ქალაქი წალეკილია მზით, იებით და აპრილის ეშხით,
რა უნდა მეთქვა – შენც კარგად იცი,
რაც უნდა გეთქვა – ვხედავ და მესმის.
მზერა აივსო ცისარტყელებით
და ნაწვიმარზე სოკოსავით ამოდის ლექსი...

***

ამ მატყუარა გაზაფხულს, აშარს,
ვერ დავესესხე შენეულ სითბოს,
როცა შორსა ხარ... შორსა ხარ, მაგრამ,
როცა ახლოს ხარ... ახლო ხარ ვითომ?

## აბრაკადაბრა

–ჩვენ რაზე ვდუმდით? ჰო, დიდხანს ვდუმდით
და ბოლოს დამცდა სიტყვები მქისე –
– გულები ჩვენი, დაბმული ხუნდით,
რომ უნდა ძგერდნენ, ვერ ძგერენ ისე.
არ მეთანხმები? მე მაინც გეტყვი,
დაუფიქრებლად მოგიგებ მყისვე:
რაც გვენატრება, არსად არ არის,
რომ უნდა იყოს, არ არის ისე.
– ჩვენ სად ვცხოვრობდით? – ამ ჭრელ დღეებში,
ჭრელი დღეები ჭრელ ფიქრებს მისევს:
რაც უნდა მოხდეს, ან სულ არ ხდება,
ან, ჩვენ რომ გვინდა, არ ხდება ისე.

***

მე აქ ვრჩები:
აქ თოვლი იბადება და სიმღერა –
თოვლივით წრფელი.
აქ სიხარული ჩემი თოვლთან ერთად მოდის
და ვარდისფრად კიაფობს გათენებისას,
თეთრი ენივთება ვარდისფერს...
მე აქ ვრჩები.
გამოერიდე ქალაქის ქუჩებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



მანდ წვალობს ჩემი დაღლილი ლანდი
და ზოგიერთებს ისიც ჰგონიათ,
რომ მხედებიან და მცნობენ.
მაგრამ შენ ხომ ვერ მოგატყუებ.
ბავშვობაში საპნის ბუშტი თუ გაგიშვია:
მაღლა-მაღლა მიიწევს და ბოლოს გასკდება,
ჰოდა, საპნის ბუშტად მექცა ყველა სიმართლე,
ამ ერთის გარდა:
მე აქ ვრჩები.
აქ სიხარული ჩემი იბადება თოვლთან ერთად
და იზრდება თითო ფანტელით...
ნუ გაიკვირვებ!
ნურც გაჯავრდები.
რადგან ვერც ერთი მოვირგე როლი,
არ შეიცვლება აღარაფერი.

## შემოდგომის დღეა, უნიათო

შემოდგომას გულში ვიკრავ,
სხვები რას მიშველიან,
ახლა წასვლა იოლია
და დარჩენა ძნელია.
შემოდგომა კარებს მიმტვრევს
და არ იცის არავინ,
რომ არც ერთი კერპი აღარ
დამრჩა დაუბზარავი.
ვდუმვარ. თვალსა და ხელს შუა
დამეფანტა სიტყვები.
ვის რა ვუთხრა, ვის რა ვანდო,
ისევ მარტო ვიქნები.
ქარს მივუგდებ მოწყენილ დღეს,
დღე სისხლისგან იცლება,
ყველაფერი დამთავრდება,
არაფერი იწყება.
ვისაც ვწამდი, შორია და
მოლოდინს ვერ ვეხსნები:
ტყვიასავით დავახალო
ნამეხარი ლექსები.
ვისიც მწამდა, შორია და
ამ გულს ვერ მოვერიე,
შემოდგომაც შეშლილია
და იმედის მტერია.
დღე უმზეოდ იცრიცება,
დღე სისხლისგან იცლება,
დასაწყისი დასრულდა და
დასასრული იწყება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შიში

*პასუხად ა. ვ.-ს შენიშვნაზე:*
*„შენ სიყვარულის გეშინია...“*

რაც მეტად მომეფერები,
მით უფრო შემაკრთობს მერე სულ ერთი ბეწო გულცივობაც –
– დამიჯერე!
რაც უფრო მეტად მენდობი,
მით უფრო შემშლის მერე სულ უწყინარი ტყუილიც კი –
– დამიჯერე!
რაც უფრო მეტად გამათბობ,
მით უფრო ცოდო ვარ მერე,
შენი ერთი სიტყვა მქისე და ცრემლებად დავიღვრები მყისვე –
– დამიჯერე!
რაც უფრო მეტად გიწამებ,
მით უფრო ვეწამები მერე,
როცა ხატი გამიტყდები და სანთელი – ჩამიქრები,
– დამიჯერე!



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლადო მრელაშვილი

## და შექმნა ღმერთმან კაცი...

### რომანი

- ეხლა რას იტყვი?

- რაკი შენი მოკვლის შანსი თვალსა და ხელს შუა გამომაცალე, - დავრჩები. აქ ყოფნის ვადა იქამდე მაქვს, სანამ შენს მოჭრილ თავს არ ჩავუტან ჭურღულიას და იმისი მაგიდის შუშაზე არ შემოვდებ. შევპირდი: სანამ ქაქუცა საქართველოში იტრიალებს, გვერდიდან არ მოვშორდები-მეთქი. მე კი სიტყვის გატეხვა არა მჩვევია.

- რაფიელ!.. ერისთავო!

- აქა ვარ, ბელადო!

- მალაქია მომიყვანე.

- ემსახჩი ბელადო!

მცირე ხნის შემდეგ მუცლიანი, ახოვანი კაცი შემოვიდა.

- გისმენ, ბელადო.

- ყაურმა გაცივდა, ცხელი მოიტა.

- ეს რაფიელი, - ერისთავიც არი? - იკითხა ლევანამ, როცა მალაქია გავიდა.

- იმ დიდი რაფიელის შვილიშვილია, - კარგი ოფიცერი.

- სცხია რამე პაპამისისა?

- მხოლოდ მამულის უზომო სიყვარული, - პოეტი სხვა გვყავს. დილით გაგაცნობ ყველას.

- არა, გაცნობა მემრე. დილას ადრე გუდანაბადს ავიკრავთ და ჭურღულიას აქედან დავეკარგებით. ზოგჯერ დროზე გაქცევაც გამარჯვებაა.

- დილამდე კარგა დროა, არ მინდა, ავი მასპინძელი ვიყო. გადააგდე ნაბადი, დაჯექ ტაბლასთან. იმ დეკეულის ხორცი დავაჭამნიკოთ, რომელმაც შენი თავი მომგვარა. - ხაშლამით სავსე ხის ჯამი სტუმარს ახლო მიუჩოჩა.

მალე ცხელი ყაურმაც მოვიდა და მალაქიამ იკითხა:

- სუკები ცალკე გადავდეთ, ბელადო, ეხლავე შევწვათ?

- შეწვით და ღვინოც თავის დროზე მოგვაშველე. აბა უყურე, ერთ მოყუდებაზე ხელადის დამცლელია.

- არ გვინდა, მეც შენსავით სამ ყანწს დავლევ.

- შენ ფიცს ხვალ მიიღებ. დღეს თავისუფალი ხარ, სვი, როგორც გინდა.

- თქვენც ჩუმათხეველებივით ჯანაანურა გედგებათ ქვევრში.

- ჩუმათხეველებივით თუ არა, ჩოლოყაშვილებივით, ვაჩნაძეებივით, მაყაშვილებივით, ჯანდიერებივით, ერისთავებივით, ჭავჭავაძეებივით, ყარალაშვილებივით, ვახვახიშვილებივით, სულხანიშვილებივით ხომ გვედგება რქაწითელი, მწვანე თუ საფერავი.

- ღმერთმა ქნას, თქვენ თხას მგელი დაეჭირნოს. - ლევანა ხელადას გადასწვდა და ჭაშნიკი ყანწში ჩაუშვა. ჩაუშვა და მერე დაგემოვნებით რამდენჯერმე მოწრუპა.

მასპინძელი მოლოდინით გაისუსა. მერე მაინც ვერ მოითმინა და იკითხა:

- როგორისაა?

ლევანამ ერთხელ კიდევ დაიჭაშნიკა და თავი დაიქნია.

- რას იზამ, დაჭმუჭნული ტანსაცმელი დახეულზე უკეთესია.

ქაქუცას გაეცინა.

- როცა წმინდა არა აქვთ, ცეცხლს მღვრიე წყლითაც კარგად აქრობენ.

- მაშინ მოიტა შენი ყანწი და, კინაღამ წელან დაძრული ხანძრისაგან თუ სადმე მღვივანი ნაკვერჩხალი დარჩა, პირველივე სადღეგრძელ-

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი“ № 3,4,5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთი ჩავაქროთ. ეს ჩემი მოსვლისა და შენი დახვედრისა იყოს, მასპინძელო.

- გისმინას უფალმა.

- ვირი ქორწილში დაპატიჟეს და არ წავიდა. რად არ მისდიხარო? - გაიკვირვეს. მე ხო ვიცი, რადაც მეძახიან? - იქ მისულს ან შეშა უნდა მაზიდინონ, ან წყალიო... მე კი იმ ვირის ოდენი ჭკვაც არ აღმომაჩნდა, აქ არ მოვსულიყავი.

- ლევან... შენი მოსვლის სიხარულს ნუ ჩამაშხამებ. აქ შენს საავგოს ვერავინ გაჰბედავს. მე კი შენს გვერდში ყოფნით შემიმსუბუქებ იმ დღეებს, რომლებიც რუსების წინააღმდეგ საქართველოს საყოველთაო აჯანყებამდის უნდა გავლიო. ჩვენი შეხვედრისა იყოს...

ლევანას ასე გემრიელი ყაურმა არ უჭამია. როგორც კი ნახევარ ბადიას გამოუყვანა წირვა, აღტაცება ვერ დამალა და თქვა:

- თუ კვირაში ერთხელ მაინც ეგეთ ყაურ-მას მაჭმევენ, ღმერთმანი, თორმეტი საფურგუნე ცხენი რო დამიბან, ამ რაზმიდან ვერ გამათრევენ.

ქაქუცამ გაიცინა და ცოტაოდენი საშლამა კიდევ მოწიწკნა.

- ეს ჩვენი მალაქიას ოსტატობაა. რაჭველი კაცია და რაჭველები, ხო იცი, რა მარიფათის ხალხიც არი.

- ერთ რაჭველ მზარეულს ვიცნობდი. ცოტა ენასაც უკიდებდა. არც ქვაბს შეჰხედავდა, არც სამარილეს, აეგრე, უკულმა მდგარი აიღებდა მუჭით მარილს, ეგრევე ხელუკულმა ჩაჰყრიდა ქვაბში და თან იტყოდა: „ნაც გამოა, გამოა". იგეთი გემრიელი კერძები გამოსდიოდა, მთელი ჩვენი ბიჭები სულ იმის დუქანში დავდიოდით სადილად თუ ვახშმად. - და ხაშლამის ჯამიდან ვეებაძვლიანი ნაჭერი გადაიღო.

- არანაკლები მზარეულია მალაქიაც... მაგრამ, ლევან, შენ ჩემი ოჯახის, ჩემი ცოლ-შვილის ამბავი წვრილად მითხარ. მე კი, იმათი ბედით დაითუთქულმა, ვერცა გკითხე შენი ცოლ-შვილის ავ-კარგი.

ლევანამ, რომელიც თავისი მაგარი კბილებით ტაბუხისთავის ძვლიან ნაჭერს ანადგურებდა, ჭამა შეაჩერა და დიდხანს მონდომებით იწმენდდა ხელებს პირსახოცის ოდენა ხელსახოცზე. და თან ჩაციებით ჩასცქეროდა გალოპრილ ძვალს.

მასპინძელი გუმანით მიხვდა, რომ ეს კითხვა ახლა არ ეგებოდა, მაგრამ დაძრულ ზვავს უკვე ვერაფრით შეაჩერებდა.

- ერთი ძველებური, თათრული ბაიათი ვიცი, რომელიც ეგრე იწყება: „დარდ იესინ-დან დარდ სორუშმა, დარდინი ოზუ სანა ბილდირარ..."

- მე მხოლოდ ფრანგული ვიცი. ცოტაც ინგლისური. თათრულისა არა მესმის-რა.

- ქართულად ეგრე იქნება: „კაცს ნუ ჰკითხავ დარდის ამბავს, თავად ათქმევინებს დარდი..." ამ ხუთი წლის წინ დავმარხე ცოლი და ორი ბალღი... ეხლა მარტო ვარ... ჭურღულიამ რო მითხრა შენთან წამოსვლა, არ გამომიდვია თავი, „ნაღდ სიკვდილზე რათა მგზავნი-მეთქი". ეხლა, როცა შენთან ვარ და მაშინაც, როცა შენა გდევდი, ჩემთვის სულ ერთი იყო: ქვას ვახლიდი თავს თუ ქვას ვიხლიდი თავში... როცა მეუბნებოდნენ: ქაქუცას ბანდა, ყაჩაღების ბანდა, კაცისმკვლელთა ბანდა, მშრომელი ხალხის სისხლისმწოველთა ბანდა უნდა გავანადგუროთო, ვეთანხმებოდი: „გავანადგუროთ-მეთქი". და გდევდი გასანადგურებლად... კარგად იცი, თოფს ცუდად არ ვისვრი, მაგრამ ჩემი ტყვიით არც ერთი ქართველის ტანსაცმელიც არ შერუქლულა. იმ დევნაში მე მხოლოდ ჩემს მოუნელებელ მწუხარებას ვკლავდი. უფრო უკეთ, - ეს თამაში იყო, ნამდვილი თამაში: შეუტევდნენ, - უკან მივყვებოდი; გამორბოდნენ, - ყველაზე წინ მე ვიყავი! - აი, მთელი „კომუნისტობა" და „პარტიულობა..."

- მჯერა, ლევან, სხვებისაგანაც ბევრი მსმენია შენს კაცობაზე. კარგად მესმის შენი. ვფიქრობ, ჩვენთან ცხოვრებამ თანდათან შეგიმსუბუქოს ეგ მოუნელებელი მწუხარება. შეიძლება ბევრი თუ არა, ზოგი რამ მაინც შეცვალოს შენში.

ლევანამ თავი ერწმუნოდ გადაიქნია.

- ჩემგან ჯარისკაცი არ გამოვა. ჯოგური ცხოვრება მაშინ მოვათავე, როცა ოსკანოვისაგან წავედი. ეხლა მე მარტოხელა მგელი ვარ, საკუთარი ძუკნისა და ლეკვების დამკარგავი. ყველასაგან განდგომილად მავალი... დროა საჭირო... დრო მინდა, სანამ საკუთარი დარდის გუთანს ქვეყნის დარდის სახნავად გავიტან... მენშევიკებმა, რაც მებადა, წამართვეს, - გულმა ბოლშევიკებისკენ გამიწია;.. ეხლა უკვე ველარც ბოლშევიკებში ვხედავ რამე საფარსაგოს... აი, ჭურღულიამ გამომგზავნა: დაურგველი ხეხილიდან დაუკრეფავი ხილი მოიტაო... როგორ მოვიქცე, როცა ვიცი, რო სავარცხელი მუდამ თმაზე მაღალია?..

- შენ ჭკვიანი კაცი ხარ, ლევან, ამასთან, ძაან ჭკვიანი. მე ვერ გასწავლი, როგორ უნდა მოიქცე... ჩვენ შეფიცულები ვართ: ან დავიხოცნეთ, ან სამშობლოდან გავყაროთ რუსები!.. თუ შენ არ გინდა, ფიცის მიღებას ვერ დაგაძალებ. ერთს კი გეტყვი: სავარცხელი თუ არა, თმა ხომ შენია?
- ჰოდა, ამ თმას, საითაც გინდა, იქით გადაივარცხნი...

კარზე დააკაკუნეს.

- შემოდი, რაფო.

მალაქია შემოვიდა.

- აი, ბელადო, მოზვრის სუკია. ძაფით მუცლის ქონი დავახვიე და ისე შევწვი. ძაფი დაიწვა, ქონი ზედ დაადნა. ღორის სუკი ღმერთმა შეარცხვინოს ამასთან.

- მოზვრისაა თუ დეკეულისა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მოზვრისა, ბელადო.

- კარგი, მალაქიავ, ჩაითალე ჯამში. მაგრამ ჭორად მაქვს გაგონილი: ვითომ მოზვერსაც დეკეულივით ორი სუკი აქვსო.

- ასეთივე წესით ვწვავ მეორესაც, ბელადო. სანამ ცხელია, ეს მიირთვით და მეორესაც მალე მოგართმევთ.

- რაფიელ, იმ მწვადს სხვამ მიხედოს, მალაქია აქა მჭირდება. თუმცა, დაიცა. წადი, მალაქი, ის სუკი რომ შეიწვება, ამ სუკს დაამატე, დაჭერ თანაბარ ნაწილებად, ბიჭებს ჩამოურიგე და ჩვენი წილი აქ მოგვიტანე.

- რას ბრძანებთ, ბელადო, ხო გადაირევიან ყველანი! - განა რაკი ტყედ დავწანწალებთ, დავიწყებული გვაქვს სტუმარი და მიმსვლელ-მომსვლელი.

- კარგი. მაშინ ეს ჩვენ დაგვიტოვე, ის თქვენ გაინაწილეთ. მერე კი ჩემთან მოდი... აბა, ლევან, დაიჭაშნიკე, არა მგონია, ტყუოდეს მზარეული.

ლევანას ძალიან მოეწონა მწვადი და ამიტომაც თავი შეიკავა, იქნებ მიწურის პატრონს ამით მაინც გაეხსნა მადა.

ჩოლოყაშვილი მიხვდა და ულუფა შუა გაყო.

- ეგრე უფრო სამართლიანია, მე არა ვარ ბევრის მჭამელი. - ხელადას გადასწვდა და ყანწი შეავსო. - მოდი, ლევან, ურუსოდ დარჩენილ საქართველოს გაუმარჯოს. - თავისავე მთაკლდეთ თავმიყუდებულ საქართველოს. ფიცი გვაქვს დადებული: გავწყდეთ და მაინც დავიხსნათ ჩვენი ქვეყანა უცხო ტომისაგან...

ლევანამ ყანწი ჩამოართვა და თავი საუაროდ გაიქნია.

- არა, ქაქუცავ, გაწყვეტა არა. ვენახის პატრონმა მთელი ყურძენი საწურავში რო მისცეს, ქვევრში რაღა უნდა ჩაწუროს? ან რაღა ჭირად უნდა საწურავი?.. ვფიქრობ, კარგა ხნით დავიგვიანეთ... შარშანწინ... ეგ რუსები... სამოცმა ქართველმა დარიალშიც არ შემოუშვა... ჩემი თვალით ვნახე. თავათ შევესწარი იმ ბრძოლას იქა... დავიგვიანეთ... ყველგან, ყოველი მთავრობა იმას ცდილობს, სახელმწიფოს სათავეში გონიერი ხალხი ესხდეს... ის მთავრობა რა მთავრობაა, რომელიც ზარალს მოგებაზე ადრე არ ითვლის? - რაო, არ უნდა სცოდნოდა, რო კვლავ საიდანმე შემოუტევდნენ? და, თუ იცოდა, რა ილონა მოსაგერიებლად? რატო ადრე არ იზრუნა და არ მოემზადა მტრის დასახვედრად: ხალხი შეიძლება შესცდეს მთავრობის არჩევაში, მაგრამ თავად ჭინჭრაქა რას ფიქრობს, როცა არწივის საბოინოს ეპოტინება? ან თავად ხალხს რად ეშლება ჭინჭრაქა არწივში?..

მიწურში კარგა ხანს იდგა დუმილი. სანთლის მკრთალ შუქზე სპილენძისფრად ირეკლებოდა მოღუშული, მძიმედ ჩაფიქრებული წვეროსნის სახის ნახევარი. ეს ნახევარი, მეორე მრუმე ნახევართან განსხვავებით, განცვიფრებას გამოსახავდა. მერე თავი მწარედ გაიქნია და ჩაილაპარაკა:

- ჩვენი ყველაზე დიდი მტერი, ჩვენი დაუძინებელი მტერი, რუსებზე უფრო დიდი მტერი ჩვენი შინაგანი უთანხმოებაა. ჩვენი კუთხურობა, პარტია-პარტიებად დაყოფა-დაწიწილაკება... შენ არ იცი, ლევან, ხევსურეთის აჯანყებისას ბრძოლა რუსმა კი არ მოიგო, - ჩვენ წავაგეთ!..

ლევანამ დაცლილი ყანწი დადო და განცვიფრების ნიშნად დამუშტული ხელები წელზე დოინჯად შემოიდგა.

- ეს როგორ გავიგოთ?

- დამკომთან შეთანხმებული ვიყავით, ყველაფერი აწონილ-გაზომილი იყო: როგორც კი ხევსურეთი აღდგებოდა, მთელი საქართველო უნდა გამოსულიყო. ყველა პარტიას თავისი რაზმები ჩემს განკარგულებაში უნდა გადმოეცა. შეთანხმებული იყო მთავარი შტაბის უფროსთან. კარგი ხაფანგი მქონდა დაგებული ორწყალში, - ხევსურეთისა და ფშავის არაგვის შესართავთან. ორწყლის მაღალზე ხევსურებისა და კახთა რაზმები ჩავასაფრე. ხოლო რუსებს, - ქლობას დივიზიის მეწინავე ბატალიონებს, ორმოცდაათ კაცამდე დავახვედრე. ისინი იქ უნდა დამარცხებულიყვნენ და ხევსურეთის არაგვით უკან დაეხივნათ ბრძოლით. არაგვის ვიწროებში შემოსულ რუსებს ორწყლის-მაღალზე მთავარი ძალები დაჰხვდებოდა. ამასობაში ზურგიდან ხანდოს ხევში თავმოყრილი გორისა და დუშეთის რაზმები მიშა ლაშქარაშვილის მეთაურობით დაესხმოდნენ თავს და, ეგრე, ორ სარეჯგველში მოქცეული, იმ ვიწროებში დაგუბებული მტერი ისე გაისრისებოდა, იქიდან სულიერი ვერ გამოაღწევდა. იარაღიც რომ არა, ზევიდან დაგორებული ქვებითაც კი ჩაიხოცებოდა... ნაღდი ხაფანგი იყო, საგულდაგულოდ მომზადებული. მაგრამ ისევ ჩვენებური დაუდევრობა, ისევ ჩვენებური ქიშპი ერთმანეთში, ისევ საუფროსო ჩოხის მორგება საკუთარ ტანზე, ისევ ღალატი, ისევ პარტიული უთაურობა.... მარტო ხანდაკის ხეობაში ხუთას კაცამდის იყო შეგროვილი! - ხუთასი კაცი კი მთელ დივიზიას ჩაჰკეტავდა ორწყლის-მაღალთან!.. მერე, იცი, როგორი ხალხი? - ავსტრიის, გერმანიის, თურქეთის ფრონტებზე გამოწვრთნილ-გამოჯეკილი ჯეილები, რომლებსაც ლაშქარაშვილს გარდა ისეთი საველე მეთაურები ჰყავდათ, როგორებიც იყვნენ სიმონ ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, როტმისტრი ფრიდონ ყარალაშვილი, პორუჩიკი ჯანდიერი და სხვებიც არანაკლებ გამოცდილი ოფიცრები! - რუსის დამარცხება გარდუვალი იყო!.. შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა მუსხელიშვილმა, კოწია არდიშვილი მიუგზავნა სოციალ-დემოკრატებს და კატეგორიულად მოსთხოვა: მსგავსად სხვა პარტიებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთი რაზმები მუსხელიშვილის განკარგულებაში გადაეცათ. მაგრამ, რაკი მათმა წარმომადგენელმა მარტო თვითონ ვერ გასცა საბოლოო პასუხი, ეს უნდა პარტიულ ტუზებს გადაეწყვიტათ... და, იმ დროს, როცა ქართველ მამულიშვილთა დაღვრილი სისხლი არაგვს ერთვოდა, ისინი პარტიის კრებაზე სვამდნენ საკითხს; უნდა მიხმარებოდნენ თუ არა თავგანწირულ თანამოძმეებს. და, თითქოს რიონის პირას ბოლოკტარხუნის მოყვანაზე ყოფილიყო ლაპარაკი, ბევრი ჭიჭყინ-ყაყანის შემდეგ, თითების აწევით დაადგინეს: ამ „გამოსვლაში“ მათ მონაწილეობა არ მიეღოთ!!! ეს ჭიჭყინ-ყაყანი მათ შორის რამდენიმე დღე გრძელდებოდა!.. და, სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრეს!.. უფრო მეტიც! - ამ სოციალ დემოკრატებმა ყველგან დაგზავნეს აგენტები და თავიანთი პარტიის წევრებს აფრთხილებდნენ, არ ჩარეულიყვნენ ამ ბრძოლაში. და, კიდევ უფრო დიდი, აშკარა ღალატი თავისი ერისა, თავისი ხალხისა, თავისი ქვეყნისა! - თვით ხანდაკის ხეობაში შეგზავნეს აგენტები, რომლებიც იქ თავმოყრილ მეამბოხეებს არწმუნებდნენ: დაიშალენით, შინ წადით, არ მიეხმაროთ ქაქუცას, თორემ, თუ ჩოლოყაშვილმა გაიმარჯვა, ის თავადია და თქვენს მამულებს მაშინვე თავადებს დაურიგებსო!.. აი, ამგვარი პროვოკაციითა და სხვა ათასგვარი ხრიკებით ხუთას კაცამდის შეგროვილი, მამულის დასახსნელად გულანთებულ ვაჟკაცთა რაზმი დაიშალა, არ ჩაკეტა ხეობა და ხევსურეთის აჯანყებაც დამარცხდა...

ისევ გაისმა კარზე კაკუნი.

- შემოდი.

მზარეული შემოვიდა და მისი ბრძანების უნაკლოდ შესრულება მოახსენა.

- აბა, მალაქი, ერთი შენს ბელადს ისიც მოახსენე, მაგ მოზვრის წამოყვანისას როგორ იცავდი რაზმის უშიშროებას.

მალაქიას გაკვირვებული, ნაითქვამის ჩაუხვედრელი მზერა ჯერ ბელადს მიებჯინა, მერე სტუმარზე გადავიდა და ბოლოს ისევ ბელადზე შეჩერდა გაოგნებული.

- ერთი ეს გამაგებინე, შალაურიდან აქამდის რამ გაითრევინა ის ფიჩხი? მე ხომ გარკვევით გითხარით, კვალი არსად, არაფერს დაამჩნიოთმეთქი?

მალაქიას უეცრად გულზე მოეშვა. გვერდულად გაეღიმა და დიდი ხელები საფრთხობელასავით გაფარჩხა.

- ის ფიჩხუნა სწორედ კვალის წასაშლელად მოვიხმარე, ჩემო ბატონო. ვინ თქვა, კვალი დატოვაო? სამოვრამდე კვალი გავაქრე და მერე ბალახზე ქვე იარა უფიჩხოთ მოზვრუკამ. ბალახებში ვინ იპოვის საქონლის კვალს, ჩემო ბატონო.

- რაზე მოიკალ თავი, რამ გაითრევინა სოფლიდან აქამდის იმოდენა ფიჩხი?

- ვინ თქვა, ბატონო, მე მომქონდა ის ფიჩხი? - მოზვერს მოვაბი კუდზე. მოდიოდა მშვენივრად მოზვრუკუნა და თვითონვე შლიდა მშვენივრად თავისივე კვალს იმ ფიჩხუკუნათი.

ქაქუცას ერთი წამით აუგრიხა ღიმილმა პირი.

- კარგი, წადი, მალაქი, და ხვალ შენ მოიგერიე იმ „ფიჩხუკუნათი“ იმ „კვალუნაზე“ ამოსული „ჩეკისტუნები“. ისიც ვერ მოიფიქრეთ, რომ იქვე ტყეში დაგეკლათ და ხორცი ზურგით ამოგეტანათ.

ახლა უკვე უმწეოდ გაასავსავა ხელები მალაქიამ.

- აკი ვუთხარი „ძიას“ დავკლათ-თქვა, მარამ არ ქნა: „ცოდვაა ამოდენა ხორცის გაფუჭება, ჩვენ სამნი ნახევარსაც ვერ ავიტანთ ბინაში. აგერ მოვაბათ ფიჩხი, თავის ხორცს თვითონ აიტანს მოზვრუკა ადგილზე და კვალსაც თვითონ წაშლისო. ვიფიქრე, მამის ტოლა კაცია, რავა არ დაეჯერება სიტყვა-თქვა. და მივაბი ფიჩხუკა. კვალი წაშლილია და ქვე რაღას გამოყვებიან შობელძაღლი კომუნისტები?

- კარგი, მალაქი, წადი. თუმცა, მოიცა. ცირკის უფროსს სძინავს?

- ცირკის უფროსი, მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, ყაურმის გიჟია. კარგად გეახლათ ჩვენთან ერთად. მერე საგუშაგოებს შემოუარა, შეამოწმა ყველა, მერე დაბრუნდა და ბრძანა: „ ჰაერზე რო გავიარ-გამოვიარე, ქვე მომშივდა ისევ. ძაან მაგარი ჰაერი სცოდნია ამ ცივს. საოცარია, რომ მაინცდამაინც ყაურმა მომშივდა ისევ“. დაჯდა. კვლავ მოიძლო გული ყაურმით, მერე მოატანინა წკეპლაც და ახლა „ასტინას“ ათამაშებს.

- რა ვუყოთ მერე, უყვარს ყაურმა. მაგაზე ნუ სწუხხარ, სულერთია, მოვა ხვალ დილით მილიცია და, იმათ მოლხენას, სჯობია, ისევ საშამ მოულხინოს. ახლა წადი და უთხარი, იმ თავის მაიმუნს ცოტა ხანს შეეშვას და ჩემთან შემოვიდეს.

როგორც კი მალაქია გავიდა, ლევანამ მასპინძელს კითხვის თვალი მიაპყრო და სიტყვიერადაც დაამატა:

- მჯერა, რო ყველანაირი ხელობის ხალხი გეყოლება, მაგრამ ცირკის უფროსი როგორ მოჰხვდა აქ თავისი მაიმუნით?

მასპინძელს ცალყბად გაეღიმა. წამიერი იყო ეს ღიმილი. უმალვე გაუქრა იგი სახიდან და თვალებში ძნელად შესამჩნევმა წუხილმა დაივანა.

- მართლაც მრავალნაირი ხელობის ხალხი გვყავს, მაგრამ... იმათი ცხოვრება ნამეტანი ერთფეროვანია. საშა რომ არა ჰყავდეთ, დაუობდებოდათ ტვინი. გადაელეოდათ გული, დაჩიავდებოდნენ ჯანითაც და სულითაც საცოდავები. რაზმში ჭიდაობა, ცეკვა-თამაში, სიმღერა-შაირობა, ლექსებისა და ზღაპრების თქმა სულ მაგის მოგონილია. ლელო გვყავს ერთი, ჩიქოვანი. შავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა



შავი, პატარა, ბანჯღვლიანი, შეხედავ და ნამდვილი მაიმუნია: გრძელი ხელები, მოკლე ფეხები, მოქნილი და ცქვიტი. გააკეთებენ წრეს ცეცხლთან საღამოთი, დაჯდება შუაგულში საშა, უქნევს წკეპლას ფეხებში, ლელო ცდილობს, არ მოარტყან, ხტის ასე, გადადის მალაყებს და იხოცებიან რაზმელები სიცილით. „ასტინა" დაარქვა. „აბა, ჩოლახ-ჩოლახ, გელდ მაიმუნ!" - და ლელოც ბუქნავს, გორავს, ხტის და ათასგვარ სულელურ მოძრაობებს აკეთებს. ეხლა შემოდგომის მიწურულია, საქმეზე იშვიათად გადიან. ეს არის მაგათი გასართობი.

- ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მალაქია სადღა იშოვნეთ?

- მალაქია სერგო მაისურაძის ბიძაშვილია, ჩემი ათასეულის ყოფილი ოფიცრისა. ქვრივია. ერთხელ სურსათი ამოგვიტანა. მიიხედ-მოიხედა, ისე მოეწონა ჩვენთან ყოფნა, მთხოვა რაზმში მიღება. ყველანაირი ხელობის კაცია. ყოველ შემთხვევაში, ცდილობს, დაიჩემოს. მზარეული კი მართლაც გადასარევი. როგორც კი პირველი ღამე გაათია და ჩვენებური წყალი შესვა, მაშინვე განაცხადა: „ქვე ამაზე კარგ ადგილს სადღა წავალ. მაინც არ გყოლიათ მზარეული. შენი ჭირიმე" - და მზარეულთუხუცესის სახელო გაირტყა უმოცილეოდ. ჩაბინაანელი რაჭველია. უყვარს კარგი ჭამა და კარგი სმა. „ქვე ღვინო ამოვიტანოთ, შე კაცო. ხანდახან თუ ღვინო არ დავლიეთ, ტკიპა დაგვეხვევა და ველარ გავიყრეენებთ". - ორ ხელადას ისე დააშრობს, ვერ შეატყობ თუ დალეულია.

- „ძია" ვინღა გყავთ?

- ფშაველელი ლონგინოზ ციხისთავია. სამოცისამოცდახუთი წლისა იქნება და ამიტომ ყველა „ძიას" ეძახის. ეგეც სულხანიშვილის ცირკის ძუნებური თანამშრომელია. რაც მაგ საწყალს წვალება აქვს მაგისაგან გადატანილი... ამ ორი კვირის წინ სურდო შეჰყარა.

- ამ გაშლილ ტყე-იალალებზე სად იშოვნა სურდო?

- ეშმაკმა იცის მაგისი თავი, საიდან რას გამოატყვრენს ხოლმე. „ძია" ჯორივით ჯანმრთელია, მაგრამ ძალიან ფრთხილიც. სხვებსაც ყოველთვის აფრთხილებს: „თბილად გქონდეთ მუდამ: ადამიანი ან თავიდან უნდა გაცივდეს, ან ფეხებიდან". ცეცხლთან უყვარს წოლა, თანაც ფეხები აუცილებლად ცეცხლისკენა აქვს. თავზე კი ნაბდის ქუდს ძილშიაც არ იხდის, საშამ სხვა რომ ვერაფერი მოუხერხა, ფეხებთან კაი მაგარი ცეცხლი დაუნთო, რომ ფეხები თბილად ჰქონოდა, თავზე ქუდი მოჰხადა, ელიზბარ ვაჩნაძე გაალღვიძა (ისიც კაი მამაძაღლია). მერე ჩაუსხდნენ ორივენი და ლამის გათენებამდის იმ სიგრილეში მთელი ღამე რიგრიგობით უბერავდნენ იმ მელოტ თავზე... ქუდი მხოლოდ მაშინ დაჰხურეს, როცა საწყალი „ძია" კინაღამ ცემინებით არ გასკდა. სამ დღეს გასდიოდა შეუწყვეტლად ცინგლი, სამ დღეს ველარ მოვაშორეთ ცეცხლს და სამ დღეს უჩიოდა უმადლობას... რა ფანტაზია აქვს, საიდან რას იგონებს, ვერაფერს გაუგებ.

კარზე კვლავ სამჯერ დააკაკუნეს.

- მოდი, ალექსანდრე.

შავჩოხიანი, ფაფახიანი, საშუალოზე მაღალი კაცი შემოვიდა. კაცი მიხურულ კართანვე შეჩერდა. ორივე ხელი ვეება, ვერცხლით დაზარნიშულ ხანჯლის ტარზე დააწყო და გამჭრიახი მზერით სტუმარს მიაჩერდა. მკვრივად შეკრული, კარგა ჩასხმული ჩანდა. წვერი მასაც ბელადივით ჩამოეშვა, მაგრამ ულვაში იმსიგრძე ჰქონდა, ლამის ბოლოები ყურებზე გადაეწყო.

- აი, საშა, ეს ლევანაა, ჯანაშვილი. ეს კი, ლევან. ჩემი თანაშემწე, საშა სულხანიშვილია, „ასტინას" მწვრთნელი და „ცირკის უფროსი".

ლევანა წამოდგა და ხელი ჩამოართვა. როგორც კი მთელი თავით ასცილდა, საშამ მოწონებით აჰხედა ქვევიდან და ქაქუცას მიუბრუნდა.

- როგორც ვატყობ, ეხლა მიწურების შენება ექვსი-შვიდი ვერშოკით მაღალი დაგვჭირდება. შენი ნაამბობი ზღაპარი მეგონა. ეხლა ვფიქრობ: თუ ვინმე იყო მაშინ შენი გადამრჩენი, ეს კაცი უნდა ყოფილიყო.

- დაჯექ, საშა, ლევანამ ცუდი ამბავი ამოგვიტანა. ძალიან ცუდი.

- რაო, რუსები საქართველოდან გადაშენდნენო? თუ ეგრეა, - დავლუპულვართ და ეგ არი.

- ნაღდი უსიამოვნო: ხვალ დილით ჯარის ორ ასეულსა და ამდენივე კომუნისტ-კომკავშირელმილიციელთა კონკიაქლარუნეებს უნდა ველოდოთ. მალაქიამ ზედ კარზე მოგვაყენა მდევარი.

- მე ვთქვი: შეიძლება-მეთქი, რადგან ჭურღულია იგეთი მამაძაღლია, არ გამიკვირდება, თუ მე თავად დამადევნა მზირი.

- მაშ, ძაან ძვირი დაგვჯდომია მოზვრის ყაურმა. აკი ნაკვალევი ფიჩხით წავშალეო?

- იმ ფიჩხის ნაკვალევმა მოიყვანა ჩვენთან ლევანა.

- აფსუს! რამდენი ვიწვალეთ ამ ბინების აშენებაზე, რა ბინები გვრჩება გამოუყენებელი!.., ფქვილის, მარილის, ღვინის მარაგს რა უნდა ვუქნათ? ხორცი? ოოო, რა ხორცია, უმათ შაშჭამს კაცი!..

- დაჯექ, საშა... დახვედრაზე ფიქრიც ზედმეტია, ხალხს ტყუილუბრალოდ დავლუპავთ. შეიძლება ალყაშიც აღმოვჩნდეთ. გარშემო კი ტრიალი მინდორია. გამოსაზამთრებლად, მართალია, კარგი ადგილია, მაგრამ ჩვენნაირ ხალხს თუ ზურგი ტყეზე არა აქვს მიყუდებული, ძლიერ საშიშიც არი.. ერთი სიტყვით, თუ ალყაში მოვხვდით, შეიძლება ყველაფერი დავლუპოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევანა ჭკვიანი კაცია. წელანა თქო: ზოგჯერ გაქცევაც გამარჯვების გოლფასიაო... შენ რას იტყვი?

- აბა, მე რაღას ვიტყვი, თუ ეგრეა საქმე, რაც შეიძლება მალე უნდა მოვუსვათ აქედან.

- აი, რა მოვიფიქრე: რაკი რაზმის დიდი ნაწილი აქ არ არი, ჩვენ ჭკვით უნდა ვაჯობოთ ჭურღულიას. როგორც კი გაცრიატდება, გათენებამდის აქვე ახლო, სადმე ტყეში უნდა გადავინაცვლოთ. იქ თუ ხუთი-ექვსი დღე გავიტრუნებით, კომუნისტები ვერაფრით ვერ იაზრებენ, რომ ჩვენ მათგან ეგრე ახლო ვართ დაბანაკებულნი. უეჭველად ეგონებათ, რამდენიმე დღის წინ სადღაც მოუსავლეთში გადავიკარგეთ. მოზვერი კი, ვინ იცის, ვინ წაიყვანა ან ჩვენი ბინით ვინ ისარგებლა. სხვანაირად ყველგან გზებს შეგვიკრავენ და, შეიძლება, უადგილო ადგილასაც მიგვიმწყვდიონ. ეხლავე დააქრეთ ყველგან ცეცხლები და თანაც იგრე, ნაცეცხლარს სიახლე არ ეტყობოდეს. საგანთიადოდ ყველა იყოს მზად. სანოვაგე კი, ვისაც როგორ და რამდენი შეუძლიან, ეხლავე გაამზადონ თან წასაღებად. აგრეთვე გამოუცხადე: თუ ხვალ მილიცია მოვიდა და არაფერი არ დაანგრია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ან ჩასაფრება მოგვიწყონ, ან სურსათი მოწამლონ. ამიტომ დიდი სიფრთხილე მართებს ყოველ რაზმელს... აბა, ახლავე დატრიალდით. ხვალ დილით კი, თენებისას, სადმე ახლო უნდა დავცეთ კარავი. უფრო თურდოს მხარეს უნდა ვუმარჯვოთ, ფსიტიანის ციხის გადმოსწვრივ... ყველა სამეურნეო იარაღი და ქვაბ-ჭურჭელი სადმე კარგად უნდა მივმალოთ, სანამ ღრუბელი გადაიქუხებს. ეხლა შენ იცი. მე და ლევანა ცოტა ხანს კიდევ დავილაპარაკებთ.

- ეხლავე ყველაფერს მივხედავ...

***

შემოდგომაზე ისედაც ლამაზი ცივ-გომბორი იწყებს ფერისცვალებას. პირველად კლდის ქიმებზე გაკიდული თრიმლი ისე ამოვარდება გზის მოსახვევიდან, როგორც ალაზნისპირა ჭალის ბარდებიდან შეუშხუნებივით ამოტყორცნილი ხოხბის ბუდობა, რომელთა ბოლოების ბრიალიც ერთბაშად წაუკიდებს ცეცხლს იქაურობას. შემდეგ ბალამწარა მიჰყვება, შემდეგ პანტა და მაყალო, შემდეგ დგნალი და ბოლოს იქაურობის მეუფე, ბურჯი და ჯავარი - წიფელიც შეიფერება. და, ელდარის ნახევრად ხრიოკებიდან ალაზან-ივრის სათავეებამდე დგას ფერების ფეერიული ლიცლიცი. ამას ემატება ნიავ-წანწალას მობერილი, კახურად ჩამაჭრებული ჰაერის სუნთქვა, რომლის შეგრძნებასაც სიცოცხლის ხალისი და სითბოსიტკბო მოაქვს კაცისათვის. აქ ღამით დამდგარი კარგი ამინდი არასანდოა. ახედავ ცას, ხევსურის დაშნის პირივით კრიალებს. ზედ ვარსკვლავები ისე სხედან, როგორც ახლად გაღეღილ ნაცარში სახმიადე ნაკვერცხლები. მაგრამ, როგორც კი საგანთიადოდ შეარყისფერდება, მთის გადაღმიდან და თურდოს სათავეებიდან ამოიზლაზნება ნისლის კოტორი და ერთი ხელის მოსმით წაშლის ღვთისგან დახატულ თვალგულმიმტაც სანახაობას.

ამიტომაც ამჯობინა ჩოლოყაშვილმა, გათენებამდე გასდგომოდა რაზმი გზას. რაზმი კი ფრიად უკმაყოფილო იყო გამოსაზამთრებლად მშვენივრად შერჩეული ბინიდან მოულოდნელი აყრით. წუხანდელი მწვადისა და მალაქიასაგან დიდი დაგემოვნებით მომზადებული, ღვინოში ჩათუთქულ-ჩაშუშული ყაურმის გუნებიერად ვერმონელებით. ახალ, უცნობ ადგილზე ხელახალი ფორიაქით და შეუჩვეველი მიეთმოეთით.

როდესაც ფქვილით, ხორცით, მარილითა და სხვა ხაბაკხუბაკით დატვირთული სამხედრო ჩანთებითა და გუდებით შეიკაზმნენ, ბელადმა თავისი „არმია" წიფლის ქვეშ გაამწკრივა.

- რაზმელებო, შეიძლება წუთით დაგვიანება სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს. ბრმა კატამ შეიძლება კუტი თაგვი დაიჭიროს, უაზრო ბრძოლაში დაცემული რაზმელი ვერაფრით წაადგება სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ჩვენი ბინა გაცემულია, უნდა ვიჩქაროთ და ეშმაკობას ეშმაკობა დავუპირისპიროთ. ასეთ დროს რისკიც არ არი გამორიცხული. წინ, ჩვეულებრივ, საშა და სერგო მაისურაძე წავლენ, უკან ორი ელიზბარი - ვაჩნაძე და მაყაშვილი, აგრეთვე, ბაადურ ბადურაშვილი ჩაჰკეტავენ ზურგს. მწყობრში არავითარი კრინტი. იარაღი მზად იქონიეთ. აბა, ხომ არავინ გვაკლია? არა? ძალიან კარგი. დავიძარით!

დაიძრნენ.

იალალი გადაიარეს და ტყეს შეერივნენ. პატარა ხევში მოლიკლიკე წყალს გადაახტნენ და ფერდობზე ავიდნენ. განთიადის ბურუსში ძლივს ილანდებოდა მცირე რამ ყალთაღივით შიშველი ადგილი. ყალთაღის შუაში მოჭრილი მუხის ვეება ძირი იდგა. მოშორებით ცრიატად მოჩანდა რაღაცის მრუმე გროვები.

ქაქუცა შედგა და რაზმიც შეაყენა. მრუმე გროვებისკენ გაემართა. ერთხანს უვლიდა ირგვლივ, ათვალიერებდა, მერე გამობრუნდა უკან და გამოაცხადა:

- მოვედით!

რაზმი სახტად დარჩა:

- ბინიდან აქამდის ორი-სამი ვერსიც კი არ გვექნება გამოვლილი, ბელადო!

- მით უკეთესი. ისინი იმ ფიჩხის ნათრევს გამოჰყვებიან და ჩვენს ადგილსამყოფელს უეჭველად მოაგნებენ. მოაგნებენ და მაშინვე ალყაში მოაქცევენ. იქ რომ ვერ გვიპოვნიან, მაშინვე ყველა გზას შეჰკრავენ, ყველა მხარეს დაჰ გზავნიან ხალხსა და ერთ კვირას მაინც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოიმლიან აქედან თბილისამდე ჩვენს ძებნას. მღევარი დიდი იქნება და ჩვენ იმას ვერ გავუმკლავდებით. აი, აქ, თითქოს ჩვენ გველოდაო, მთელი გორებია ფიცრისა. ჩვენ მისგან ქოხებს გავაკეთებთ. ერთ კვირას მოვიცდით აქ გატრუნულები, შემდეგ კი ავიყრებით და მაგნის თავში ჩვენს დიდ რაზმს შევუერთდებით. იქ უკვე გამზადებული ექნებათ ბინები და ამ ზამთარს იქ გადავიყრით. თელავის ჩეკაში ჭურღულიას ნაცვლად ჩინგიზხანის მსტოვრებიც რომ ისხდნენ, ისინიც ვერ იგუმანებენ, თუ მათ ცხვირწინ გავბედავდით დასახლებას.

აბურძგნილი, დაუბანელ-გამოუძინებელი რაზმელები მაინცდამაინც ვერ მოხიბლა ახალ ადგილზე გადმოსახლებამ და მიწურების ნაცვლად ფიცრის ქოხების შენებამ. გაცეცხლებულნი ერთბაშად წამოიშალნენ და წუხანდელი გემრიელი ყაურმის დიდოსტატს ისე ეცნენ, თუ სულხანიშვილსა და ელიზბარ მაყაშვილს არ წაეგლიჯათ ხელიდან, რაზმი უმზარეულოდ დარჩებოდა. მოშორებით, ფიცრის გროვასთან მიყუნჭული „ძია" გატრუნულიყო და ცდილობდა, რამენაირად შეუმჩნეველი დარჩენილიყო, - უბრალო გაჩუჩუნებითაც არ გაემჟღავნებინა თავისი არსებობა. მხოლოდ მაშინ გაბედა თავის წამოყოფა, როდესაც ლანძღვა-გინებით გულმოოხებული ხალხი ბურდღუნ-ბურდღუნით შეუდგა ქოხების შენებას...

ხუთ-ექვს დღეს გაუძლეს რაზმელებმა მკაცრ დისციპლინას: ერთმანეთშიაც კი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ: ხევშიაც ჩუმად ჩადიოდნენ ხელპირის დასაბანად; არ მღეროდნენ. არ ცეკვავდნენ, არ ჭიდაობდნენ და „ასტინას" არ ათამაშებდნენ... სავზალი შემოელიათ. იქნებ ამისთვისაც გაეძლოთ, მაგრამ უთამბაქოობა გახდა აუტანელი. ახლა აქედან სოფელში ჩასვლა ნალდ სიკვდილზე წასვლას უდრიდა. მაგრამ „ ძიამ" გაიხსენა რაჭველი მენახშირე, რომელიც ამ ტყეში ნახშირს წვავდა და თელავში ვირით ეზიდებოდა. სამნი წავიდნენ საპოვნელად... მეორე დღესვე გაჩნდა რაზმში თამბაქო.

ბელადმა ლევანა საღამოს თავისთან მიიწვია.

საოცარი სიშიშვლე და სიღარიბე გამოსჭვიოდა ახალი ბინისა ძველ „სასახლესთან" შედარებით. დაცვაც მხოლოდ გარედან თუ იქნებოდა გაძლიერებული.

- ლევან, რაკი ჩვენი ფიცი მიიღე. შენც დღეიდან „შეფიცული" ხარ. და, რაკი შეფიცული ხარ, უკვე ბრძანებაც შემიძლიან. ხვალ დილით ჩვენს ბიჭებს უნდა გაჰყვე ძველ ნაბინავარზე და იქიდან ფქვილი და ხორცი წამოიღოთ... როგორ ფიქრობ, მართლა ამოვიდოდნენ? მართლა მიაგნებდნენ ჩვენს ბინას?

ლევანამ ბელადს მიბაძა და წაქცეულ კუნძზე ჩამოჯდა.

- ვფიქრობ, ამოვიდოდნენ და მიაგნებდნენ კიდეც, რადგან ჭურღულიას შევპირდი, რო ჩემ გზაზე კვალს დავტოვებდი: გადამტვრეულ ტოტს, ამობრუნებულ ქვას ან ხეზე ჯვარედინად დანით გავლებულ სამ ხაზს.

- რას იტყვი, ბინაში ჩასაფრება იქნება?

- ჰოს თქმაც შეიძლება და არასიც. ჰო, - იმ შემთხვევაში, თუ ბინაში ფქვილი და ხორცი იპოვნეს; არა, - იმ შემთხვევაში, თუ გავრცელებულ ხმებს დავუჯერებთ, თითქოს თქვენს ბინებს გარშემო ყველგან ნაღმავდეთ. და, თუ აქ მომსვლელ-წამსვლელს წინ მუდამ მალაქიას გაუმძღვარებთ, არა მგონია, ვინმე ჭკვათამყოფელი თქვენს ნაბინავარს ნახევარ ვერსზე ახლო გაეკაროს.

ბელადს კმაყოფილების ღიმილი ოდნავ დაემჩნა შავად ჩაწვერულვაშებულ სახეზე.

-*რაო, შენც გახტუნავა ალთაბალთას?

- ამყოლს აჰყევი და დამყოლს დაჰყევიო. ცოდოა, ამგვარ კაცს მცდელობა დაუკარგო.

- როგორ მიჰხვდი, რომ გატყუებდა?

- რამდენიმე სკუპის შემდეგ ჩუმათ გავაპარე თვალი უკან. ჩემს მომყოლებს არც გზა გაუმრუდებიათ, არც სადმე შეუკუნტრუშნიათ.

- არა მგონია, შენსავით გამოცდილი კაცი მეორე ჰყავდეს ჭურღულიას.

- შეიძლება არიან კიდეც, მაგრამ ბრმას არასდროს ეკითხებიან: ეს გზა საით მიდისო.

- ოჰ, ლევან, ვერ წარმოიდგენ, ამ ორ-სამ წელიწადს როგორ მაკლდი.

- ალბათ, იმიტომ, ომში რკინა ოქროზე ბევრად მეტად რო ფასობს.

- მაგისთვის არა, პარტიზანული ომი დიდ შენაერთებს არ საჭიროებს. ქვეყანა ისედაც გაძვალტყავებულია. ბევრ ხალხს კი ყველაფერი ბევრი უნდა: საჭმელი, სასმელი, ჩასაცმელი, დასახური, ბინა, მომარაგება, იარაღი, ტრანსპორტი... ჩვენს პირობებში ეს შეუძლებელია. ჩემი რაზმის ამოცანაა, არ შევწყვიტოთ ბრძოლა დიდ, საერთო აჯანყებამდე. ეს კი იმისთვის არი საჭირო, რუსთა ყურადღება ჩემზე იქნას გადმოტანილი და დამკომსა და გაერთიანებულ პარტიათა შტაბს მოსამზადებელი სამუშაოები შეუმსუბუქდეს.

- რა თქმა უნდა, რუსმა ამ რამდენიმე წელში ცუდად წარმოაჩინა თავი, მაგრამ ნუთუ მხოლოდ რუსის ბრალია ჩვენი დღევანდელი უბედურება?

- უპირველესად რუსის ბრალია. რუსმა დაარღვია ხელშეკრულება და შარშანწინ, მარტის მიწურულს ხელახლა დაიპყრო საქართველო. ცხადია, აქ მარტო რუსი ვერას გახდებოდა, შიგ რომ თავად ქართველების ხელი არა რეულიყო. ეს ის ქართველები იყვნენ, რომელთათვისაც მთავარი ქართველი ერი და საქართველო კი არ იყო, არამედ ძალაუფლება საქართველოში. ამას ხელს უწყობდა, აგრეთვე, ის ქართველობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მიჩვეული იყო რუსის ბატონობას. იყვნენ სხვებიც, რომლებისთვისაც მთავარი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო, თორემ მათთვის მნიშვნელობა არა ჰქონდა, მთავრობის სათავეში მენშევიკეები იქნებოდნენ თუ ბოლშევიკები. ხოლო უმთავრესზე უმთავრესი მაინც მაშინდელი მთავრობის უნიათობა, გაუბედაობა, არაშორსმჭვრეტელობა, ბედოვლათობა, ერთმანეთისადმი უნდობლობა, ხელიჩაგდებული პოსტების ჩაბღაუჭება, მთავრობის სათავეში საბელადო კაცის არყოფნა, - კაცისა, რომელიც სულითა და სისხლ-ხორცითაც ვალდებულია, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გადადგეს, როგორც კი შეატყობს, რომ არ ძალუძს მმართველობა, რათა არ დაღუპოს საქმე, რომელიც მას ერმა მიანდო და ამით კი არ დაიღუპოს ერი, რომელსაც იგი უძღვება. ეშმაკმა წაიღოს! - როგორ შეიძლება ქვეყნის საჭის ჩაგდება იმ პარტიის ხელში, რომელიც ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ აქცევს?! და, თუ აუცილებელია, ქვეყანას მხოლოდ ერთი პარტია ხელმძღვანელობდეს, მაშინ ეს მხოლოდ ის პარტია უნდა იყოს, რომელიც ეროვნული გრძნობით არის გამსჭვალული. რომელიც თავისი გამჭრიახობით, სიმტკიცითა და გამბედაობით აღემატება ყველა სხვა პარტიას! ის პარტია, რომელსაც ნამდვილად შეუძლიან ხსნა ერისა! და, არა ის, პირველივე შემოტევას საზღვარგარეთ რომ გაექცევა, რათა საკუთარი ტყავი გადაირჩინოს. ის რა მთავრობაა, რომელიც წინასწარ არ გაითვლის, მის გაქცევას, ხალხისა და ქვეყნის უპატრონოდ დაგდებას რა მოჰყვება?! ყოველ ზემოთ მჯდომს უნდა ახსოვდეს: ერი კი არ უნდა იყოს მთავრობისათვის, არამედ მთავრობა უნდა იყოს ერისათვის!.. აი, სწორედ ამას მოჰყვა ის, რო, როგორც კი რუსმა ხელში იგდო ძალაუფლება, ახალმა მთავრობამ რკინიგზა გააერთიანა რუსეთთან. რკინიგზის გაერთიანებას რუსი მუშების გამოწერა მოჰყვა რუსეთიდან. როსტოვიდან რუსების ჩამოსვლას კი მათთვის ქართველი მუშების ადგილების მიცემა. ამას ათას ხუთასამდის ქართული ეკლესიის დაკეტვა; - საწყობებად და კლუბებად გადაქცევა; ამას მოწამეთაში, არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ მებრძოლ გმირთა - დავითისა და კონსტანტინეს საფლავების იავარქმნა, წაბილწვა, რითაც ქართველობას პირუტყვულად შეუგინეს ეროვნული გრძნობები. მერე მისდგნენ თვით ქართულ მიწა-წყალსაც და, რაკი საქართველო კვლავ თავიანთ იმპერიის ნაწილად დაიგულეს, რუსებმა ოსმალებს პირდაპირ ხონჩაზე დადებული მიართვეს უძველესი ქართული კუთხეები: ტაოკლარჯეთი, შავშეთ-ერუშეთი, არსიანი, კოლაარტაანი თავის ართვინ-სარაყამიშიანად; სომხებს მისცეს ბორჩალოს ნაწილი; აზერბაიჯანს — სიღნაღის, ზაქათალის და თბილისის მაზრის ნაწილები - ისტორიული ჰერეთი და ახალი საინგილო; რამაც თვით ქართველ კომუნისტთა შორისაც კი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია... ვინ იცის, იქნებ ქართველობა კიდეც შეეგუებოდა რუსებისგან ხელისუფლების შექმნას, თუ საქართველო დამოუკიდებელი იქნებოდა. მაგრამ, რაკი ამგვარი უგუნური, ბატონკაცური ქცევით და ერის მომავლის გაუთვალისწინებლობით თანდათან ძირი გამოუთხარეს ქვეყნის დამოუკიდებლობას, ხალხმა იარაღს მოჰკიდა ხელი...

ერთხანს იყო ქოხში სიჩუმე. მერე ლევანმა დანანებით ჩაიქნია თავი და თქვა:

უბედური ქვეყანა ვართ: ვეფხვის ყველაზე დიდი მტერი მუდამაც თავისი ლამაზზეწვიანი ტყავი იყო... ყოველი მთავრობა კი ის მთავრობაა, რომ იქ გონიერი, მოუსყიდველი, ერისა და სამშობლოსათვის სიცოცხლის არდამშურებელი ხალხი ისხდეს. განა შეიძლება, რო მარტო ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება საქმედ მიითვალო და მისი დამოუკიდებლობის დაცვას მთელი შენი ძალ-ღონე არ შეალიო? განა შეიძლება, პირველივე პანღურზე ღვთის ანაბარად მიატოვო სამშობლო და სხვათა ქვეყანაში შეძვრე დასამალად? ღმერთის კაცისათვის თავი მარტო ქუდისათვის არ მიუცია. მართალია, სადაც ქარიშხალია, იქ ნგრევაც არი, მაგრამ ნუთუ არ უნდა სცადო, - თუ ქარიშხალს მთლიანად ვერ გადაირჩი, ის მაინცა ჰქნა, ამ ქარიშხალმა რაც შეიძლება ნაკლები ნგრევა გამოიწვიოს? ყოველი ჭკვიანი კაცი, მით უმეტეს, თუ ის მთავრობას წარმოადგენს, ყოველთვის, ყველაფრისათვის მზად უნდა იყოს...

ქოხი კვლავ სიჩუმემ მოიცვა. ამჟამად ბევრად უფრო ხანგრძლივმა სიჩუმემ. მკვდრული სიჩუმე იდგა გარეთაც, თუ არ ჩავთვლით ჭოტის ნაღვლიან ხმას, სადღაც შორიდან, ალბათ, თურდოს პირად აწვდილ ფსიტიანის ციხის ნანგრევებიდან ყრუდ რომ მოდიოდა. სანთლის მკრთალ შუქზე ბელადს ხელებშუა ჩაექინდრა თავი და ღრმად ჩაფიქრებულიყო. ცოტა ხნის შემდეგ გაუნძრევლად ისე ჩაილაპარაკა, ლევანამდის ძლივს მივიდა მისი ნათქვამი:

- დღემდის ყურებს მიბურღავს ამასწინდელი საშას სიტყვები: ღმერთმა ქნას, არ იქნეს მართალი არც ისა და არც ჩემი გუმანი, მაგრამ ფაქტები? ფაქტებს სად გაექცევი? ფაქტები ძალიან დიდ ეჭვებს იწვევს.

- წარმოდგენაც არა მაქვს, რა ფაქტებზეა ლაპარაკი.

- გუშინწინაც ბევრი ილაპარაკა მთავრობაში მავნედ გავრცელებულ კუთხურ პატრიოტიზმზე. თითქოს ჩვენი უკიდობნო ნოეები არ ენდობიან კახელებს.

- ეგ თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, თორემ მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი მთავრობა გულზე არასოდეს მხატებია. ამ ახლისაგან კი ეხლა შორს ყოფნა იგრე მწადიან, როგორც ჩვენ სოფელს სასაფლაოსგან.

- არა, არც მე მინდა, ვიფიქრო ამაზე, მაგრამ რას მივაწეროთ გენერალ ჭავჭავაძისადმი მათი ეჭვიანი დამოკიდებულება?

- თუ თქვენ არ დამაკვალიანებთ, ჩემით ვერაფერს ვხდები, ბელადო. რა უნდოდა თქვენს მთავრობას ჭავჭავაძისაგან ან ჭავჭავაძეს რა ესაქმებოდა იმ მთავრობასთან?

- გენერალი დავით ჭავჭავაძე ერთ-ერთი სახელგანთქმული გენერალი გახლდათ კავალერიისა. იმისი გმირული ბრძოლები ცნობილი იყო მთელი რუსეთის სამხედრო ნაწილებში. ისტორიული ფაქტია: მსოფლიო ომის პირველ წლებშივე თითონ იმპერატორმა ნიკოლოზმა დართო ნება ქართველ ცხენოსანთა ათასეულის ჩამოყალიბებისა. ეს მთელ იმპერიაში პირველი შემთხვევა იყო, რომ თავის არმიაში ქართული ჯარის შექმნა ინება. ამ ათასეულს ქართველ ცხენოსანთა პირველი ათასეული ეწოდა. უფრო მეტიც, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია: მის მეთაურს, დავით ჭავჭავაძეს ნება მისცა, იმპერატორის ყველა არმიიდან, რომლიდანაც კი მოისურვებდა გენერალი, თავის ათასეულში გამოეწვია ქართველი ოფიცრები. ასე მოახერხა ამ დიდი ომის გმირმა თავისი ათასეულის დაკომპლექტება საუკეთესო ოფიცრებით. ამგვარად მოხვდა ამ ათასეულში პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილიც. აი, ასე ჩაეყარა საძირკველი ქართველ ცხენოსანთა ათასეულს, რომელმაც შემდგომ ბრძოლებში შორს გაითქვა სახელი... საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ხანებში ჩვენმა მთავრობამაც მიჰმართა ჭავჭავაძეს თხოვნით, რათა მას ქართული ცხენოსანი ჯარი შეექმნა. დავითი დასთანხმდა და ორი-სამი ბრიგადის შექმნა მოითხოვა და, რაც მთავარია, სრული უფლება უნდა ჰქონოდა, ამ ჯარში ისეთი დისციპლინა დაემყარებინა, როგორიც თითონ, - ამ საქმის უდიდეს სპეციალისტს, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა. ასეთმა მტკიცე მოთხოვნამ დიდად დააფრთხო „სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული" ჩვენი მთავრობა: ამან რომ მართლა ისეთი ჯარი გაიჩინოს, მაშინ ჩვენ აღარაფერს შეგვეკითხებაო! და საქართველოს უსაფრთხოებას თავიანთი უსაფრთხოება არჩიეს!.. ასე დაკარგეს ძვირფასი დრო ქართული ცხენოსანი ჯარის შესაქმნელად!.. ასევე მოექცნენ გენერალ მაზნიაშვილს, რომელსაც ძლიერი ქვეითი არმიის შექმნა შეეძლო... ამასობაში კი, ახალს ვინ ჩივის, ძველიც - რაც კიდევ შემორჩათ, ისიც უპატრონობით, უყურადღებობით იხრწნებოდა, იშლებოდა და ჩიავდებოდა... აი, ეგრე უსაქმოდ ჰყავდათ რუსთა იმპერიის საუკეთესო, დიდ-დიდ ომებში გამოცდილი გენერალი. და განა მარტო გენერალი? ჩვენი მხედრობის უმეტესობაც უსაქმოდ დაეხეტებოდა და თანდათან ჰკარგავდა მეომრულ თვისებებს. ნაწილს კი ბოსტნებისა და კარმიდამოების ჩიჩქნაში გაჰყავდა დრო, რათა როგორმე ცხოვრების სახსარი ეშოვნა. ეს მაშინ, როცა მიტოვებული სამხედრო საწყობები სავსე იყო პროდუქტით, იარაღითა და სამხედრო ქონებით, რომელიც ათეული წლობით შეინახავდა, როგორიც გნებავთ, ისეთ არმიებს... თავიანთი გაუცნობიერებელი გონებით, ქართული გულგრილობითა და მომავლის განუჭვრეტელი ნიჭით დაჯილდოებული მთავრობის ხელმძღვანელები ცხენოსან გვარდიაში და, საერთოდ, ჯარში „თავიანთ ერთგულ", ახლად გამომცხვარ ოფიცრებად ნიშნავდნენ: ექიმებს, ფარმაცევტებს, მეჯღანეებსა და ყოველგვარი ჯურის თავზეხელაღებულ ყაჩაღებსა და ავანტიურისტებს, რამაც მთლად გადააგვარა, გახრწნა და გაანიორწყლა ქვეითიცა და ცხენოსანიც, განსაკუთრებით კი გვარდია!.. ამასობაში ნაღდი გახდა, რომ რუსი უეჭველად დაეცემოდა საქართველოს. აი, მაშინ კიდევ ერთხელ გაიხსენეს გენერალი ჭავჭავაძე და ხალხის „მამებმა" გადასწყვიტეს, პური მეპურისთვის გამოეცხობინებინათ. მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო: გენერალმა ცივი უარი მოახსენა. „სანამ ჯერ კიდევ დრო იყო, ფეხებზე დაიკიდეთ არმიის შექმნა და ეხლა, როცა მტერი კარზეა მომდგარი, რომელ კავალერიის შექმნაზე მელაპარაკებით? - ჯარის შექმნა-ჩამოყალიბებას ხომ წლები უნდა?" მაშინ ნოე ჟორდანია შეეხვეწა: „გვიშველე, თავადო, სამშობლო განსაცდელშია! - თქვენც ისევე უნდა მოგვეხმაროთ, როგორც თქვენს მამა-პაპას უბრძოლნია ქვეყნისათვის..." ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ თუმცა დაითანხმეს, ბოლო სიტყვად მაინც ეს დააგდო: „კეთილი, წავალ, ცდას არ დავაკლებ, მაგრამ არა მგონია, ეგრე მოკლე დროში რამე მოვასწრო". პირველად სამეგრელოში ჩასვლა გადასწყვიტა. წავიდა და რამდენიმე ოფიცერთან ერთად მეც გამიყოლა... მართალი გამოდგა გენერალი. - ასიოდე ცხენოსნის მოგროვება ძლივს მოვასწარით, რომ მოულოდნელად უკან დახეულ სხვა ქართულ ნაწილებში მოვხვდით და ეგრე ერთმანეთში გათქვეფილები საჯავახოს სადგურში აღმოვჩნდით თბილისიდან ბათუმისკენ ჭენებით გამოქცეული მთავრობის კვალდაკვალ... ბათუმში მარტის ჩვიდმეტს ჩვენი მთავრობის ჭკვით გატენილი წევრები ნოე ჟორდანიას წინამძღოლობით მოახტნენ იტალიურ გემს და, აბა, აჩუუ! - გაუტიეს საზღვარგარეთ... მე არ წავედი... არ წავედი, რადგან წინაპრის ძახილი არ მასვენებდა: საქართველოს თავისუფლებისათვის უნიათო მთავრობის ნაცვლად მე და ჩემს მსგავს ქაიხოსროებს უნდა გვეომნა...

და ერთხანს კვლავ დუმდა შეფიცულთა ბელადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევანას წუთითაც არ უეჭვია, რომ ეს სიტყვები ჰაერში დაცლილი დამბაჩა იყო. ან რამ ნასახი კვეხნა-კეკლუცობისა. ეს წუხილი გახლდათ, დიდი წუხილი, მწარე წუხილი იმაზე, თუ უწინამძღოლოდ დარჩენილ ქვეყანას რამოდენა ძალისხმევა სჭირდებოდა, ას ოცდახუთი წლის განმავლობაში დაჩლუნგებული ეროვნული ცნობიერება დავიწყების ბურუსიდან სინათლეზე გამოეტანა.

- მთავრობამ, იმის ნაცვლად, რომ ქუდზე კაცი ეხმო, რა ჯარიც შემორჩა, იმისი საუკეთესო ნაწილები დასასვენებლად გაუშვა, დანარჩენთა კი ნაწილობრივი დემობილიზაცია გამოაცხადა. - ისევ ალაპარაკდა ბელადი. და იმგვარად, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო. - გამოაცხადა და ამით საკუთარი თავიც დაღუპა და ქვეყანაც... როცა გემი ჩასაძირად არი განწირული, თავის პოსტს კაპიტანი უკანასკნელი სტოვებს. აქ კი... აქ კაპიტანმა პირველმა მოუსვა გემბანიდან... მე კი იმიტომ დავრჩი, რომ ჩემი წინაპრების მსგავსად სადღაც ყარა-ყორუმში ან ისპაჰანში თუ არა, აქვე, ჩემს ქვეყანაში მეცადნა კუნძზე თავის დადება...

და მიხვდა ლევანა: ამ კაცში, თუმცა ირგვლივ დიდად ერთგული თანამზრახველნი ერტყნენ, მაინც საოცარი სიმარტოვე შეიცნობოდა. დაუძლეველი მოთხოვნილება გასჩენოდა, ამ სამი წლის განმავლობაში ვინმე გონიერი კაცისთვის გაენდო თავის უძილო ღამეებში წლობით დაგროვილი ბოღმა და ბაღდამი. როგორმე ერთიან ამოებღერტა, რაც კომუნისტების შემოსვლის დღიდან გულს ღარღლად დაელექა.

- ისტორიის გარდუვალობა რომ არა, ჩვენ რუსთან რა გვინდოდა? რუსი ჩვენს მიმართ მუდამ ღალატიანი იყო. რუსს ისიც კი შურდა, ჩვენ იმათზე ბევრად ადრე რომ მივიღეთ ქრისტიანობა. ქრისტიანობას ვინ ჩივის, მამა-პაპათაგან ჩვევაზნედ გამოყოლილი ბევრი რამ „კაი ყმად“ დამახასიათებელი მოგვისპო და იმდენი გვიქნა, საკუთარი მამულის დაცვის გრნობა დაგვიჩლუნგა და მხოლოდ უცხოთა საამებლად იანიჩართა და მამლუქთა ვაჟკაცობა შეგვინარჩუნა. ჩვენ შეგვიძლიან დაუნანებლად გავწიროთ თავი სხვისთვის, საკუთრად ჩვენთვის კი სიზარმაცე, გულგრილობა და „სულერთიაობა“ დაგვრევს ხოლმე ხელს. პირველკაცობა ყველას უნდა, საპირველკაცო ხელის გამოღებაზე რომ მიდგება საქმე, მაშინ მოუნდებათ ეკლის გლეჯა სხვათა ხელით... შე კაი კაცო, მაღალ ქანდარაზე შესაჯდომად რომ მიბობღავ უკუნეთ სიბნელეში, ერთი უკანაც მოიხედე, იქნებ ფარანი სხვას უჭირავს? არა! – მოიკლავს თავს და არ მოიხედავს, რადგან იმდენი მაინც იცის, რომ ფარნიანი მუდამ წინ უნდა მიდიოდეს!.. იმ ერთი რწყილისა და ჭიანჭველისა არ იყოს, თუ არც წყალში გასვლისა და არც წყალზე გადახტომის მარიფათი გაქვს, რას ეტორღიალები რწყილს თანამგზავრად?.. თუ არც ჭკვა გყოფნის და არც უნარი იმ ქვეყნის მართვისა, რომელსაც მთავრობ, რაღას მისძვრები, მაშ, იმ მთავრობაში? როგორც კი ნემსი გიჩხვლიტეს, მაშინვე რომ განძიანად დაფეთდი და უკანმოუხედავად გაენთე უცხო ქვეყნად, ერთხელ მაინც მოგეხედნა, იქნებ შეგემჩნივნა, რომ ყველაზე დიდი განძი უკან, აქ, შინა გრჩება! - ნუთუ სამშობლო იმად არა ღირს, რომ მისთვის, თუნდაც წარუმატებელ ომში, ერთი ჭრილობა მაინც მიიღო? - რა მტრის გამოჩენისთანავე გარბიხარ?! ძაღლი ძაღლია, მაგრამ, სანამ წყალი კუდამდის არ მისწვდება, ცურვაზე არ გადადის... მაგრამ უბედურება ის არი, როცა ჭკვაზე მწყრალად მყოფი გარბის, უკან მას ჭკვადმყოფები მისდევენ... ეგრე წავიდა დავით ჭავჭავაძეც... და განა მარტო ჭავჭავაძე?..

- ეგრე დაბოლმილ გულზე ნურც კაცს განსჯი და ნურც კაცთა ჯოგს, ქაქუცავ. ჩემთვის მენშევიკებიცა და ბოლშევიკებიც ნეხვში გასვრილი ერთი ჯოხის ორი ბოლოა. იმათ შორის განსხვავება მხოლოდ ის არი, ერთი ბოლო უფრო მსხვილია მეორეზე. იმ გაქცეულებმა თავიანთი უჯიშობით წყალი მარტო კუდამდე კი არა, - ყელამდეც მიიწვდინეს. ყელამდე კიდევ რა უშავდა, - თავზედაც გადაივლეს. ხოლო, როცა წყალი თავზე გადაგდის, უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს, ქვემოთ რა სიღრმეა, - უნდა მოუსვა! და მოუსვეს კიდეც... მე მგონია, ეს ეგრეც უნდა მომხდარიყო, რადგან, ვისაც შველა არ უწერია, იმას ვერც უშველი... მაგაზე გულის გატეხა არ ეგების, ქაქუცავ. - საქართველოს ბევრი მოუნელებია და რუსსაც მოინელებს. - როდის იყო, ტირიფი თოვლქვეშ ტყდებოდა?..

***

რაზმში თორმეტი კაცი შედიოდა. მეცამეტე ლევანა იყო. ჯერ კიდევ ვერ შესჩვეოდა ჯოგურ ცხოვრებას. თავი ისევ რაღაცნაირად განდგომილად ეჭირა მათთან. ყველაზე მეტად ალექსანდრე სულხანიშვილი მოსწონდა. როგორღაც წაპწიას აგონებდა, თავისი ახალგაზრდობის განუყრელ მეგობარს. მოქნილი, სწრაფი, ჯანიანი, მიუხედავად შეფიცულთა დუხჭირი ცხოვრებისა, საოცრად მხიარული, ხუმარა, ათასგვარი „მამაძაღლობის“ გამომგონებელი საშა, ეტყობოდა, მთელი რაზმის საყვარელი წევრი იყო. ქაქუცამ არა მარტო ესენი, არამედ ბევრი სხვა ღირსებებიც იცოდა მისი და იმდენად საზრიან კაცად სთვლიდა, რომ თავის პირველ მოადგილედ დანიშნა და ჩრდილო კავკასიაში, - ჩეჩნეთში ელჩობაც კი ანდო. ამიტომ ლევანას არც გაჰკვირვებია, რომ დღევანდელ თორმეტეულს ის ჩაუყენა სათავეში.

რაზმი დიდი სიფრთხილით მიჰყავდა საშას.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც კი შიშველ იალაღს მიადგა, შეჩერდა და რაზმიც შეაჩერა. ჩუმად გასცა განკარგულება, ტყიდან არ გამოსულიყვნენ და თავად ოციოდე ნაბიჯით წინ წაიწია. ტყის პირიდან ხოხვით გასული ბოლო ხეს ამოეფარა და დიდხანს ათვალიერა იქაურობა. უეცრად, თითქოს რაღაც საეჭვოს მოჰკრა თვალიო, ისევ ხე ისაფრა. ცოტა ხანს იყუჩა, მერე კვლავ ფრთხილად გახედა საძოვარსა და, რაზმისთვის არა უნიშნებია-რა, ისე გავიდა იალაღზე.

ლევანამ ფრთხილად გადაინაცვლა ადგილი, ასკილის ბუჩქს უკან გაწვა და ტყის პირას, ასიოდე ნაბიჯზე გოდრებაკიდებულ სახედარს მოჰკრა თვალი. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც კაცი გამოჩნდა, სახედარი წინ გაიგდო და თავქვე დაეშვა. თხუთმეტიოდე წუთში საშაც მოვიდა და რაზმი ტყეტყე წაიყვანა მწვერვალისაკენ. მერე ერთბაშად გამოვიდა ტყიდან და თავიანთ ნაბინავარს ზემოდან დახედა. მთელ იალაღზე და ტყისპირეთში, თვალსაწიერზე, კაცის ჭაჭანება არ იგრძნობოდა.

რაზმი ფერდობზე სირბილით დაეშვა.

როგორც დატოვეს, ისევ ისე ხელუხლებელი დაჰხვდათ ყველაფერი ბინაში: ფქვილი, ხორცი, ჯამ-ჭურჭელი, ქვაბი, შეშა, მარილი, ხახვ-ნიორი და მიწაში საიდუმლოდ დაფლული ღვინიანი კასრი.

მალაქიამ ხანჯალი იძრო.

- აბა, მაყაშვილო, დაანთე ცეცხლი, ეხლავე ყაურმა იქნება! ქიმბარ, შენ ცომი მოზილე და ხმიადი დააცხვე. ხედავთ, ამინდიც რო საქეიფოა?

გახარებული, პირზე ნერწყვმომდგარი, დილიდანვე ნაშიმშილარი რაზმელები ეცნენ და ლამის უმად დაუწყეს ხორცს ჭამა.

- შენ ეგ ხმიადი გაათხელე, კარგა მაგრა გაჭიმე, უფრო მალე გამოცხვება. - ურჩია ქიმბარს მუცელაყურყულებულმა „ძიამ“.

რაზმელთაგან ყველა, იცოდა თუ არ იცოდა, საჭირო იყო თუ არა, გაფაციცებით ცდილობდა, მალაქიას მიჰხმარებოდა რამეში, რადგან ეგონათ, თავიანთი მონაწილეობით ცეცხლიც უფრო ადრე დაინთებოდა, პურიც ადრე გამოცხვებოდა, ყაურმაც ადრე მოიხარშებოდა. ზოგს წყალი მოჰქონდა, ზოგს ფქვილი, ზოგი ხახვს ფცქვნიდა, ზოგი ნიორს და ზოგიც ღვინოს ასხამდა ხელადაში. ისე, რომ კინაღამ ხორციც არ წაჰგლიჯეს მზარეულს ხელიდან და თვითონ არ ჩაკუწეს ქვაბში.

- მე კაცო, პატარა ხანიც შეიცადეთ. ე თქვენი მუცელი თქვენს ქვევითაა, თქვენს ზევით ხომ არა. ამდენი ხანი მოგიცდიათ და ახლა დანა ქვე რავა უნდა გადატეხოთ ხარის კუდზე. - ძლივს იგერიებდა მალაქია ზომაზე მეტად მოძალებულ „დამხმარეებს“.

ერთობლივმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. - მალე შემოდგეს ყაურმა ცეცხლზე. მაგრამ მოხარშვასაც ხომ გარკვეული დრო უნდოდა. აქაც იპოვნეს გამოსავალი ცეცხლს ჯარად შემომდგრებმა: როგორც კი მალაქია კოვზს ხელს შეუშვებდა, მაშინვე ეცემოდა რომელიმე მათგანი. გამწარებულნი ურევდნენ იმ ქვაბს რიგრიგობით.

და, აი, გამოცხვა ხმიადიც!

მოიხარშა ყაურმა!

ყველამ თავ-თავისი ქვა მოაგორა დასაჯდომად!

ჩაიდგეს ქვაბი შუაში, მაგრამ... პირი არავის დაუკარებია!

უცებ გაახსენდა ყველას, რომ კომუნისტებს მიტოვებულ ბინებზე შემორჩენილი სურსათი ყოველთვის არ მიჰქონდათ. პატრონების უკანვე შესაძლო დაბრუნების იმედით წამლავდნენ წყალსა და სურსათს...

სხედან ქვაბს შემომწკრივებულნი ლოპოტის ყვავებივით, გასდით ნერწყვი, ფარის ძაღლებივით უთრთით ცხელი ყაურმისა და ახალი ხმიადის სურნელით გაღიზიანებული ნესტოები.

შიმშილით გამხმარი კუჭი ყურყურით მოუხმობს პატრონს გამბედაობისკენ. მაგრამ ვინ გიჟი გაბედავს ხელის ხლებას?..

რაზმის უფროსს მოთმინების ფიალა ევსება.

- ბოლოს და ბოლოს, როდემდის უნდა ვისხდეთ ეგრე ჯორებივით ყურებჩამოყრილნი? ნუთუ იგრე დაჩიავდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეომრები, რო რომელიმემ თავისი სურვილით ვერ იხსნას შიმშილით სიკვდილისაგან შეფიცულები? ნუთუ ეგრე მშიშრები ჰყავს თავის ირგვლივ შემოხვეული ბელადს? ნუთუ ვერავინ გაჰბედავს, თავის ძმადნაფიცებს თავი შესწიროს? - ეს ხომ იგივე სამშობლოსთვის თავის განწირვაა? - და ალექსანდრე სულხანიშვილმა ირგვლივ მყოფთ მოქურუხებულმა მოავლო მზერა. მოავლო და მაინცადამაინც „ძიას“ დაადგა თვალი.

„ძია“ ჯერ გაოცდა, მერე შეკრთა, გაშტერდა და ერთბაშად შეცბუნდა.

- შენ რაო, მე... მე რას მიყურებ? მე რა შუაში ვარ? მე არაფერი არ მინდა. მე არა მშიან. ანდე, ქვაბი მანდა გაქთ და ჭამეთ! მე არაფერიც არ მინდა!

- შენ ნუ ღმუთუნებ ტოტია მგელივით. სწორედ შენ გიყურებ. როგორ არა ხარ შუაში, აგე, ქვაბიც კი ფეხებშუა მოგიქცევნია. ჰოდა, ეხლა შენ უნდა დაამტკიცო, როგორ გიყვარს სამშობლო საქართველო, თორემ თითფს შენზე კარგად მზექალა ლიქოკელიც* ისროდა.

- შენ რა, ჩემი სიკვდილი გაქ გადაწყვეტილი? გინდა, რო აუცილებლად მამკლა? რა გინდა ჩემგან, რას გადამეკიდე?

- მე შენგან ის მინდა, რო შენ ბებერი ხარ. - ჩვენზე მეტი გივლია, ჩვენზე მეტი გინახავს, ჩვენზე

---

* მზექალა ლიქოკელიც [illegible]

მეტი გისვამს და გიჭამნია. მაშ, შენ გინდა, რო ჩვენ, ახალგაზრდები, - ჯეილი ბიჭები დავიხოცნეთ და შენ ცოცხალი დარჩე? ჯანიც გაგვარდნია თუ მოჰკვდები, - განა ცოდონი არა ვართ, ჩვენ შენზე ადრე დავიხოცნეთ?

გადარეული წამოხტა „ძია“ თავისი ქვიდან.

- აი, აჰა, კომუნისტები მეგონენ ჩემი მტრები და მტერი თურმე აქვე მყოლია, - ყურის ძირში! ჰაი, ჰაი, რო არა ჰყოფილხარ კაი კაცი, სულხანიშვილო! თურმე გულისგულში როგორ გდომნია ჩემი სიკვდილი! ნეტა რამე მაინც დამეშავებინოს ან შენთვინა და ან ამ ბიჭებისთვინ. არა, არ მინდა თქვენი ყაურმა! ოქროთ რო იქცეს, მაინც არ შავჭამ! გინდათ, ძალლივით პირველათ მე გამასინჯოთ ეგ საწამლავი? წადით თქვენი ყაურმა-ხმიადიანათ, თქვე უნამუსოებო, თქვენა!

- აი, შეგარცხვინა ღმერთმა, რო ეგრე გშინებია სიკვდილისა! მაშ, რაკი შენ ქვეშ იფსამ, მე მიყურე, როგორ უნდა ძმებისთვის თავდადება და სიკვდილი! - საშამ ხმიადის დიდი ნატეხი აილო, ბარაქიანად ამოურია ყაურმის ქვაბში და დაქიმითულმა ჩაკბიჩა.

არც ერთი შეფიცული არ განძრეულა, ყველა გაფაციცებით შეჰყურებდა, როგორ გემრიელად ილუკმებოდა „ასტინას“ მწვრთნელი. ხოლო თავად „ასტინა“, - შიმშილისაგან მუცელაწიოკებული ლელო ჩიქოვანი, მუხლის ძირში მისჯდომოდა და ძეხვზე დაგეშილ ციცასავით მისციებოდა პირში.

როგორც კი საშამ ორი ნატეხი ხმიადი მოათავა და მესამეს გადასწვდა, განზე გამდგარ „ძიასთან“ ერთად დანარჩენი რაზმელებიც ეცნენ ხმიადს და ლამის ყველამ ერთად ჩატუნტრა ხელი ქვაბში.

ის იყო, ორი-სამი ლუკმა გადაყლაპეს, რომ სულხანიშვილს ხელში შეაცივდა ხმიადის ნარჩენი. მერე უცებ გულაღმა გადავარდა კუნძიდან, ამოატრიალა თვალები და დაიწყო ფართხალი.

რაზმელები უეცრად გაფითრდნენ, ყბები გაუქვავდათ, სახე დაეღრიჯათ და ზარდაცემულნი, ხმაჩაკმენდილნი მიაჩერდნენ სულთმობრძავს. მერე უმალ გონზე მოვიდნენ, ქორდაცემული ქათმებივით დაწიოკდნენ, გაცვივდნენ განგანზე და ჩაყლაპული საწამლავის უკანვე ამონთხევას შეუდგნენ.

თავქვე დაკიდული და პირქვე დამხობილი მეომრები, რომელთა სახელის ხსენებაზე დუშეთის, თელავის, სიღნაღისა და თბილისის მაზრის კომუნისტებს ფერფური მისდიოდათ, აგეხილმა ხარხარმა ერთბაშად წამოყარა ფეხზე. ყველას კისრები ცეცხლთან გამართული ტრაპეზისკენ შემობრუნდა.

მომაკვდავს კვლავ ლაჯებში ჩაედგა ყაურმის ქვაბი და კვლავ გამგელებული „იწამლებოდა“.

ახლა კი მიხვდნენ სულხანიშვილის „ძალლობას“ და, ვინ წინა და ვინ უკანა! - ყველა მოგლეჯით გამოენთო ქვაბისკენ.

როგორც კი რაზმელები მოახლოვდნენ, საშა წამოხტა, თითქოს მოჯარულთა რისხვას გაექცაო, მივიდა და ქაქუცასეული მიწურის კარს გარედან აეკრა, შიგ ცალი თვალით შეიხედა.

- მობრძანდით, აქ ჯერ არაფერია მოწამლული.

- შიმშილი ყველა სულიერს აგულადებს, მაგრამ მარტო ადამიანს შეუძლიან დაეჭვება.

- კაცში თუ საჭმელზე?

- ორივეზე.

- შვიდჯერ მაინც უნდა შეამოწმო, სანამ კაცში დაეჭვდებოდე. - ლევანამ გულხელი დაიკრიბა და ბელადისეულ „ტახტზე“ დაგებულ თივაზე ჩამოჯდა.

- შვიდი ძალიან ბევრია, ტყეში გასულს სამაგისოდ დრო არ ეყოფა. ერთმა გაუთვალისწინებელმა ნაბიჯმა, შეიძლება, პირველ შემოწმებამდის დაღუპოს. შარშან ჩეკამ ერთი ჩალიანელი კაცი შემოგვაპარა. იმ კაცს შორიდან მეც ვიცნობდი, - ჩვენს ათასეულში მსახურობდა. იმ ხანად ბელადმა ექვსი კაცი მომცა და თელავიდან ახმეტაში გაგზავნილი დამსჯელი ჯგუფის დასახვედრად გამგზავნა. იმ ჩალიანელმაც აიხირა: გინდა თუ არა, მეც უნდა წამოვიდეო. „რაკი ეგრე მოწადინებული ხარ, წადი“ - უთხრა ბელადმაც. წამოვიდა. პირველივე გასროლით მეთაური გადმოვაგდეთ ცხენიდან. მერე დანარჩენ გაქცეულებს მივყევით უკან სროლით. თორმეტი კაცი მოვუკალით, ხუთი ტყვედ ვიგდეთ. დანარჩენებმა მოკურცხლეს სიმინდებსა და ვენახებში. დავლად ოცდაათი ცხენი წამოვიყვანეთ. წამოვიღეთ იარაღი და წამოვედით... აი, აქ ჩემმა დაეჭვებამ და სიფრთხილემ გადამარჩინა: არ მიყვარს, სროლის დროს ჩემს უკან ვინმეს დარჩენა. ის ჩალიანელი კი სულ იმას ცდილობდა, როგორმე ზურგში მომქცეოდა. ბრძოლაში რას გაიგებ, ტყვია საიდან მოგხვდება? - დახტიხარ, ბრუნავ, აწყდები აქეთ-იქით... ბელადისთვის არა გამიმხელია-რა. ძნელია, კაცს ცილი შესწამო. არადა, იმ ჩალიანელისთვის რო არ მეთქვა: უკან რას მომდევ, აგე, წინ არი სასროლი-მეთქი, შეიძლება დღეს ეს საწყალი მშიერი ხალხი ეგრე უბედურად არ დამეფეთებინა.

- ვიცნობ იმ კაცს. ეგ ამბავიც ვიცი. სამნი იყვნენ, კაციც მოგიკლეს და გამოიქცნენ.

შენ საიდან იცი? - განცვიფრდა საშა. - ქაქუცამ გიამბო?

- არა, თვითონ იმან, ვისაც ქაქუცასი და იმისი თანაშემწის მოკვლა ჰქონდა დავალებული.

- ჩემი... როგორ გითხრა... ზურგიდან შეიძლება, წინიდან, ძნელია დამასწროს. ქაქუცას კი მარტო ღმერთი კი არა, მთელი რაზმი იფარავს.

- ეგეც ვიცი, - წამოდგა ლევანა და ლვიძლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამალ „შელიკუდას" გამხმარი კონა გვერდზე გასწია. - აი! – შემდეგ მეორე, სათვალთვალო ნახვრეტში თითი გაუყარა. - ძალიან ლასანანია ეგრე კარგად მოწყობილი საზამთრო ბინის მიტოვება. დიდი შრომაა დახარჯული. თანაც ბუნებრივი სიმაგრეა. ფიჩხის ნათრევი რომ არა, აქ იგრე გამოიზამთრებდით, ინგლისის დაზვერვაც ვერ მოგაგნებდათ.

- ყოველდღე ათასი კაცი მაინც ამოდის ფიჩხზე სოფლიდან.

- მაგრამ ის ფიჩხი აქედან მიაქვთ სოფელში და არა სოფლიდან აქეთ.

- ძაან გაწაფული თვალი გქონია.

- არც იმდენად. ეს უფრო იმისი თვალგაუწაფაობის ბრალია, ვინც სოფლიდან აქეთ ათრია ფიჩხი. იცი, მეგრელები როგორ იპარავენ ცხენებს?

- ვიცი. ყველა ეგრე იპარავს.

- აგაშენა ღმერთმა.

ღიმილი ჩამოვარდა. მერე საშამ თქვა:

- დღეს ყველა მშივრები ვიყავით, შენ რატო არ შემოგვიერთდი, მოწამლული გეგონა?

- არა. აქ თქვენი მლევარი არა ყოფილა.

- საიდან იცი, რომ არა ყოფილა?

- შენ რო ჭამა დაიწყე, იმაზე მივხვდი.

- იქნებ მეც შევმცდარიყავი?

- ახი წლის გახს იხრას ვინმე ასწავლის?

- მაინც როგორ მიჰხვდი?

- ტყის პირას მარტო მლგარი გოდრებიანი სახედარი დავინახე.

- მერე? - აქ ვირითაც, ცხენითაც და ხარკამეჩითაც ბევრი ამოდის.

- მაგრამ იგეთი ვირი მარტო მენახშირესა ჰყავს.

- მეტი არაფერი დაგინახნია?

- არა

- მაშასადამე. რაკი ვირი მინდორზე მარტო გამოვიდა და გაჩერდა. მე ტყისპირას მენახშირეს ველაპარაკებოდი.

- დიახ. იმ მენახშირეს, რომელიც დილასაღამოს ამ მინდორზე დადის და თქვენი ერთგული კაცია. ამას გარდა, არ დაგავიწყდეთ, რო აქაურობა ირგვლივ დანაღმულია და ახლოს არავინ მიჰკარებია.

- მაშ, რატო არ შემოგვიერთდი. არა გშიოდა?

- „მამი, კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიყვნეთ ეგრე მშივრები?" „ორმოცი დღე". „მერე?" „მერე მივეჩვევით". - მეც მივეჩვიე... ეტყობა, ქაქუცაც შიმშილის ამგანი კაცია.

სულხანიშვილმა, თითქოს ბურანიდან გამოგონდაო, თვალი ჭყიტა, წამოხტა კუნძიდან და მიწურიდან გავარდა.- აბა, უსაქმურებო! მოაგროვეთ ბარგი-ბარხანა, მივდივართ!..

ახალ ბინაზე დაბრუნებულთ შეფიცულთა მთავარი გუნდი შეშფოთებული დაჰხვდათ.

- რად დაიგვიანეთ?

და, როცა საშას თინები მოისმინეს, დამხვდურთა ხარხარმა ბელადიც კი გამოახედა თავისი ქოხიდან.

მალაქიამ ხელახლა შემოდგა საყაურმე ქვაბი ცეცხლზე.

ამავე ჟამს თანაშემწე თავად უყვებოდა იმ დღის ამბებს ქაიხოსროს.

- მოკლეთ. მოიკლავ თავს და უპოვნელ ადგილსაც კი რაღაც სამაიმუნოს იპოვნი. ახალმა რაზმელმა როგორ რამ გაგაჩვენა თავი?

- აბა, როგორ გითხრა, ცნობისმოყვარე. ცოტა უცნაური კაცი ჩანს, თითქოს მიუკარები. როგორც კი ტყიდან გამოვედით, მაშინვე ბინებისკენ კი არა, ბინებს ზემოთ, მთის ძირში რო მენახირის ქოხია, იქით წავიდა. უკანიდან მიუახლოვდა. უცქირა, უცქირა, დაკვირვებით ათვალიერა, მერე წინიდანაც მოუარა. კარი შეამოწმა, მერე მიგაც შეიჭვრიტა და ბოლოს ჩვენკენ წამოვიდა. იქაც, ჩვენთან კი არ მოვიდა, - გორაკების თავზე გადმოვლო, ტაფობს შემოუარა და მერე შენი მიწური მოძებნა. შეძვრა იქა და აქეთ წამოსვლამდის აღარც გამომძვრალა იქიდან.

- ჭამის დროს არ შემოგვიერთდათ?

- არა. მიწურთან რო მოვედი და შევიხედე. - იდგა ფეხზე და მოლასავით წიგნსა კითხულობდა.

- წიგნსო? აკი ჯიბის დანის მეტი არა მქონდარაო?

- არცა მქონია. აი. თქვენია. ეტყობა, სინჟარეში დაგრჩათ იქა.

ქაქუცამ თავს წამომდგარ ახალ შეფიცულს აჰხედა და წიგნი გამოართვა.

- მოიცა. სად მიხდიხარ. შევიდეთ, ჩემთან დავსხდეთ.

ლევანა მობრუნდა.

- უფროსის იხოვნა ბრძანებაა, - შებრძანდით და გეახლებით.

- უფროსებმაც იციან სტუმართმასპინძლობის წესი.

ლევანა დაწინაურდა.

ბელადი თავის საწოლზე ჩამოჯდა.

- ეტყობა, წიგნი გყვარებია.

- ჰო, როცა დრო მაქვს. ვკითხულობ კიდეც.

ამ ზამთარს გექნება დრო თავზე საყრელად. ჩემი „ბიბლიოთეკა" კი ძალიან ღარიბია: ვეფხისტყაოსანი. ქართლის ცხოვრება, დავითიანი. სულხან-საბას არაკები, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა... აი, სულ ეს არი. ეს ვაჟა-ფშაველა ყოფილა. შენ რომ არა, ვინ იცის, დამეკარგნა კიდეც. დაჯექი. ყაურმა რომ იქნება, დაგვიძახებენ. რატომ იქ არა სჭამე, აქამდის რას იკლავდი თავს შიმშილით?

- როცა იმამი მარხულობს, მიურიდს ნამუსი უნდა ექოს. არც თავად გაიხსნილოს.

- ეგეთი მიურიდებს დიდი ფასი სძევთ. მართლა მოწამლული გეგონა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

- არა. მილიცია მხოლოდ მენახირის ქოხამდის მისულა. იქ კარგა ხანს უტრიალნიათ.

- ბევრნი ყოფილან?

- ძალიან ბევრნი. მაგრამ ვერავის გაუბედნია ბინებთან მისვლა.

ბელადის თვალებს კმაყოფილი ღიმილი დაემჩნა. მერე ეს ღიმილი გაქრა და თავის ახალ რაზმელს ფიქრიანი მზერა შეავლო.

- ლევან, შენ სიზმრისა გწამს რამე?

- სიზმრისა?.. სიზმრისა იგრე მწამს, როგორც მელას რაც ეზმანებოდა, ის ესიზმრებოდა.

- არასოდეს აგხდენია სიზმარი?

- ღმერთმანი, არ დავკვირვებივარ...

- ერთხელ ქოდალოს ტყეში დამესიზმრა: ვიღაც შავოსანი ქართველი ქალი მოვიდა და მითხრა: „აქ რასა გძინავს, ამ ადგილმა „დაცდა" იცის, ადექი და სხვაგან გადადი". იმ ადგილას ახალი გადმოსულები ვიყავით და ნაომრებს დიდი გზა გვქონდა გასავლელი. ავდექ მაშინვე და იქაურობა მოვათვალიერე. ვერაფერი ვნახე საეჭვო. გარდა ყარაულებისა, დაღლილ-დაქანცულ მთელ რაზმს ღრმა ძილით ეძინა. მაშინვე სულხანიშვილი და ელიზბარ ვაჩნაძე წამოვყარე ფეხზე: დაალვიძეთ ბიჭები სასწრაფოდ-მეთქი. ორივე სახტად დარჩა. რა მოხდაო? „ცუდი სიზმარი ვნახე, ვიღაც ქართველმა ქალმა მირჩია: „აქედან წაიყვა რაზმიო". საშამ თქვა: სამი კაცი რომ გავგზავნეთ სანოვაგეზე, ისინი ხომ ველარ გვიპოვნიანო. ელიზბარმა დაუმატა: რაზმელები ახალჩაძინებულები არიან, ცოტა კიდევ იძინონ და დილით ადრე, გაუთენებლივ დავიძრათ, მანამდის სანოვაგეზე გაგზავნილებიც მოვლენო. კარგი, ეგრე იყოსმეთქი. და ისევ დავიძინეთ. დავიძინეთ და ისევ ის შავოსანი ქალი მომადგა: ეხლა უკვე გამწყრალი და გაჯავრებული: „შენ რო აქ არხეინად მიგიდვია თავი და გძინავს, ამოდენა ხალხი მაინც არ გენანება? - ადექი ეხლავე და ამ ადგილს გაჰ შორდიო!.. წამოვხტი მაშინვე, რაზმელები წამოვყარე და უკან მოუხედავად ვარბენინე, - სასწრაფოდ გადავინაცვლე სხვა ადგილას. ახალგათენებულზე ყარაულმა, - ჩემმა უმცროსმა ძმამ - სიკომ, შორეული თოფის ხმა გაიგონა. უმალ ჩვენი გაგზავნილი სამი რაზმელის ბედმა შეგვაწუხა, - მდევარს ხომ არ წააწყდნენო. საშა და სერგო მაისურაძე გავგზავნე ამბის გასაგებად. გზად მენახირეს გადაეყარნენ. მენახირე ჩვენი თანამგრძნობი უნდა ყოფილიყო, რადგან დამწუხრებულს ეთქვა: დილა-ბნელზე აქაურობას სამოცისამოცდაათი კაცი მაინც დაეცა. გადააქოთეს იქაურობა. რაკი ვერავინ იპოვნეს, ყოველ შემთხვევისთვის ცოტა ხანს ჩასაფრდნენ. მალე თქვენი სამი კაცი გამოჩნდა. მე ვერ მომიხერხდა იმათი გაფრთხილება და ჩასაფრებულებს ზედ წააწყდნენ. ორი მოკლეს, ერთი გაექცათ, ტყეში მოასწრო შევარდნაო. რაკი ბინა ცარიელი დაიგულეს, იმ გაქცეულმა რაზმელმა და იმ მენახირემ გადასწყვიტეს, მოკლულები მაინც გამოეტანათ და ქრისტიანულად დაემარხნათ. მაგრამ იქ არაფერი დაჰხვედრიათ. ჩეკისტებს წასვლისას წამოეკრიფნათ მოკლულები და თელავში წაეღოთ... პირველად მაშინ გავრცელდა ხმა ხალხში: ალექსანდრე სულხანიშვილი მოკლესო...

- ამ ამბავს უმიზეზოდ არ გაიხსენებდი, ქაქუცავ. არც მაინცდამაინც დიდი რამ საშინელება უნდა დაგსიზმრებოდა წუხელ, თორემ ეხლა ეგრე არხეინად არ იქნებოდი.

- მართალია. წელან ცოტა ხნით წავუძინე და ისევ ის შავოსანი დედაკაცი გამომეცხადა: როგორ არხეინადა ხარ, ადე, გაინძერი, სასურველ სტუმარს დახვედრა უნდაო... სიტყვა „სასურველში" ღვარძლი ვერ ვინიშნე, მაგრამ მაინც ყარაული გავაორმაგე და საყარაულოებიც ცოტა წინ წავწიე.

ლევანა დიდხანს იჯდა უტყვად, ჩაფიქრებული. მერე თავი ასწია და თქვა:

- მაინც კარგად მოჰქცეულხარ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. რაც შეეხება სტუმარს... ვინდა, გიმკითხაო?

ქაქუცამ გაკვირვება ვერ დამალა!

- აკი სიზმრისა არაფერი მჯერაო?

- სიზმარი და მკითხაობა ერთმანეთისაგან განსხვავდება.

- რა უნდა მიმკითხაო?

- გეტყვი, მართლა მოგივა სტუმარი დღეს თუ არა ან ვინ იქნება შენი სტუმარი.

ქაქუცა დაეჭვებით მიაცქერდა...

- სერიოზულად ამბობ?

- სერიოზულად. განა მიურიდი გაბედავს იმამის მოტყუებას? - ოღონდ წყლიანი ჯამი, სანთელი და ნახშირი მოატანინე. დანა თითონ მაქვს.

- რაფიელ!

- აქა ვარ, ბელადო! - კარი შემოაღო ერისთავმა.

- მიდი, რაფო, ერთი სანთელი, წყლიანი ჯამი და სამიოდ ნახშირი შემოიტა.

რაფიელ ერისთავი ადგილიდან არ დაძრულა.

- რაო, გარკვევით ვერა ვთქვი, რაც მინდოდა? წარბი შეჰყარა ქაქუცამ.

კარებში გაშტერებით მდგარმა რაფომ თავი რეტიანი ცხვარივით გაიქნია და გამოფხიზლდა.

- ემსაახი, ბელადო! - დაეჭვებული თვალი ერთიც შეავლო ქოხში მყოფთ და ბრძანების შესასრულებლად გავარდა...

ლევანამ პირველ რიგში ქუდი მოიხადა, მიწაზე თათრულად მოირთხა ფეხი, ჯამი წინ დაიდგა და ზედ ანთებული სანთელი მიაკრა. იჯდა, წყალში ნახშირს თლიდა და თან გაურკვეველ ლოცვებს ბუტბუტებდა ჯამს მიციებული. მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანით იმ ჯამს ჯვარი სამჯერ გამოჰსახა, მუხლებზე ხელები დაიბჯინა, გადაიხარა და ნახშირით გაშავებულ წყალს გაქვავებული ჩააშტერდა. დიდხანს იჯდა ასე. მერე აჩურჩულდა: „ალისასამალისასა, ყურისასა-თვალისასა, ენისასა-შენისისა, ნახე, როგორ შვენისისა. წასულისამოსულისა, ბერწისა და ორსულისა. ძმაო, ძმისაძმობისისა, ნახე, როგორ მოდის ისა. მითხარ, ძმაო, რა გიხდება, და სიზმარიც აგიხდება!..“ - მერე უცებ თავი აილო და ბელადს გაკვირვებით მიაჩერდა.

მთელი „მკითხაობის“ განმავლობაში ბელადს გაოგნებული თვალი არ მოუშორებია.

- ორნი მოდიან... შენი უფროსი ძმა შაქრო და... მეორე ვინ არი, გარკვევით არა ჩანს.

ბელადს დაძაბულობა გაუქრა, მოეშვა და შავ წვერ-ულვაშში ჩაიღიმა.

- ეხლა შეფიცულებს ორი საშა ეყოლებათ და ამ ზამთარსაც კარგად გაერთობიან.

- არა, ორი საშა არა. ან საშა და ლევანა, ან ლევანა და საშა.

- ეგრე იყოს. მაგრამ ვერ გავიგე, მართლა გჯერა მკითხაობისა?

- ერთ ამბავს გეტყვი: ამ ოთხი-ხუთი წლის წინ წაპწიამ ცხენები დაკარგა. ძმაკაცი იყო და ძალიან შევწუხდი. მთელი კვირა ვეძებეთ და იმათი ასავალ-დასავალი ვერა გავიგეთ-რა. ნაცნობმა მედუქნემ გვირჩია კოდელ ნინოსთან მიდით, ის გაპოვნინებთო. წავედით. გზად ერთი ინგლისელი დაგვემგზავრა. რუსულს ამტვრევდა ცოტას. გვითხრა: ის რო თქვენ მკითხაობას დაგიწყებთ, მე იმას ლავაძინებო. მივედით. მოგვერგო რიგი და შევედით. ის ოთახი, სადაც ერთი დაჯღანული ბებერი იჯდა, იგრე იყო ხალიჩებით მოფენილი, ზედ ფეხის დადგმა დაგენანებოდა. იგეთი გამოხედვა ჰქონდა იმ ბებერს, კაი ვაჟკაცსაც წაახდენდა. შეგვხედა თუ არა, ის ინგლისელი მაშინვე უკან გააბრუნა. — შენ რა საქმეზედაცა ხარ მოსული, ის საქმე ჩემთან არ გამოგივაო. წაპწიას კი უთხრა: — შენი ცხენები უძოს გადაღმა, ტყეში, ამა და ამ მუხის გვერდით ყალთაღზე ბალახსა სძოვენო... წავედით და ის ცხენები წამოვიყვანეთ... აი, ეს მახსოვს მკითხავისა. და, ეხლა თუ ჩემი ნათქომი გამართლდა, შინ უფასო მკითხავი გეყოლება...

კარზე დააკაკუნეს.

- მოდი! - გასძახა ქაქუცამ.

- მოდი რას ჰქვიან, ადექი, ძმას შეეგებე.

კარებში რაფიელი ჩადგა.

- სტუმრები გეახლნენ, ბელადო.

ბელადმა ლევანას განცვიფრებით გადაჰხედა.

მკითხავმა ღირსეულად შეიფერა ეს გადმოხედვა და თვალები მრავალმნიშვნელოვნად დახარა ძირს, როგორც ეს ნაღდ გულთმისანს შეეფერება.

სულხანიშვილი ორ ტანმაღალ კაცს შემოუძღვა.

— შაქრო! საიდან შაქრო, როგორ მომაგენი?! — ქაქუცა მეწინავეს გადაეხვია. — ან შენ რამ მოგიყვანა, ბიძინ?! — ახლა მეორე, ბევრად ახალგაზრდა ჩაიკრა გულში.

— რა ვიცი, მოვედით. — თქვა ახალგაზრდამ, მიიხედ-მოიხედა და ლევანას თავი თავაზიანად დაუკრა.

ლევანას სახემ ჩვეული გამომეტყველება მიიღო. წამოდგა, სალამი თავაზიანადვე დაუბრუნა და განზე მორიდებით გადგა.

— დასხედით. — ქაქუცამ თავისი საწოლი შესთავაზა სტუმრებს. — უეჭველად ძალიან იწვალებდით, დაიღლებოდით ჩემი ძებნით. დასხედით, დასხედით, მალე ყაურმასაც მოგვართმევენ. ახლავე მწვადსაც შევაწვევინებ. როგორ მოხვედით ჩემამდე, როგორ მომაგენით?

— ალბათ, ვერასოდეს გიპოვნიდით, თქვენი ხალხი რომ არ დაგვხმარებოდა.

— ჩემი ხალხი? ჩემი ხალხი როგორ დაგეხმარათ?

— უბრალოდ, აქ, ახლომახლო რომ დავბორიალობდით, ჩაგვავლეს ქეჩოში ხელი და პირდაპირ შენთან მოგვაბრძანეს. ღმერთმანი, ძალიან გაგვიმართლა.

— სულხანიშვილო!.. საშას დამიძახეთ!.. რა ხდება, საშავ, როგორ მოვიდა ეს ხალხი ჩემამდე?

— როგორ და როგორც ყველა მოვა, ვინც უკითხავად შემოაბიჯებს შეფიცულთა სამფლობელოში. ვიცანი, მთხოვეს შენთან მოყვანა და მოგიყვანე. ფიქრი ნურაფრისა გექნება, ყველა ზომა მიღებულია. ყველა ბილიკი დაჭერილია. ხალხი იარაღში ზის. საგუშაგოები იალაღამდეა წაწეული. „კუდად“ არავინ ჩანს. დაზვერვა ფსიტიანის ციხესა და თურდოსპირა „ზაქიას სახლამდე“ გავგზავნე. მტრის მოძრაობის არავითარი ნიშანი ჯერჯერობით.

— კარგი, შენ იცი შენი საქმისა. აბა, შაქრო, ამოშაქრე, რა ქარმა გადმოგაგდოთ აქეთ, რას მეტყვი ჩვენებისას? როგორ არი ბატონი ბიძაჩემი, ბიძინ? ხომ არ დავიწყებია „ჩაკრულო“ და „მრავალჟამიერი“? ო, რა დრო გავატარეთ შარშან იმ ღამეს, როცა ეს ხანჯალი მაჩუქა! — „აი, ჩემო ძმისწულო, ეს მამაპაპური ხანჯალი შენა გქონდეს ჩვენი სამშობლოს მტრების გასაგმირად!“ — როგორ არიან დედაჩემი, ნინო ან ჩემი პატარა ბლარტები? ვერ წარმოიდგენ, როგორ მაკლია ჩემი ლამაზი ბიძაშვილი ანეტა. ის იყო ჩემი მომმარაგებელი წამლებით და სახვევებით. ანეტამდე არ მოსწრებია საქართველო ქალის დახვრეტას. მხოლოდ ამათ, ამ ველურებს შეეძლოთ ასეთი რამის ჩადენა. ცოტაც დამაცადონ, როგორც კი გავიმარჯვებთ, ასმაგად ვაზღვევინებ იმის ჯალათებს!.. აბა, შაქრო, რას მეტყვი კარგსა და ახალს, რაც ჩემს იქით ხდება?

შაქროს ისევ ის შვინდისფერი ჩოხა ეცვა, იგივე ახალუხი, იგივე ყარამანდული შარვალი და უძიროები. თავზე მასაც კრაველის ფაფახი ეხურა.

— აბა, როგორ გითხრა, დედაჩემი და შენი ბალღები გაუშვეს, ნინო ისევ თელავის ციხეში ჰყავთ... ჩვენც იქვე ვართ შეყრილები... ეხლა შემპირდა ჩეკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსი... შემპირდა... — და უცებ შაქროს ენა დაება, ახლაღა მიაქცია ყურადღება კაცს, რომელიც აქ, ქაქუცასთან შემოსვლისას დახვდა.

— ჰა, გაზი მოვატანინო? რა ყელში გაგეხირა სათქმელი, სად იყურები, აქ სულ ჩემი შეფიცულები არიან. თქვი, რისა გეშინიან?

შაქრომ ერთიც გახედა ლევანას დაეჭვებით და მერე ქაქუცას მიუბრუნდა.

— აქ, მგონი, არავისთან არაფერია დასამალი, შენთან ვარ გამოგზავნილი, ქაქუც.

— გამოგზავნილი? როგორ თუ გამოგზავნილი, ვინ გამოგგზავნა?

— მთავრობამ.

— მთავრობამ? რომელმა მთავრობამ?

— როგორ, რომელმა? ამ მთავრობამ, ახლანდელმა მთავრობამ.

— ჩეკამ?

— ჰო, ჩეკამ.

— რაო, რა მინდაო. ამ მთავრობამ და ჩეკამ?

— მოსალაპარაკებლად გამომგზავნა. შენთან მოლაპარაკება უნდა.

— მოლაპარაკება უნდათ? რაზე უნდა მელაპარაკოს ჩეკა ან მთავრობა?

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი... აინტერესებთ, რა უნდა, რას გვემიზეზება, რას მოითხოვს, რას გვებრძვისო... წინადადებას გაბლევენ, შენი რაზმით საზღვარგარეთ წახვიდე. ფულს, რამდენიც დასჭირდება, იმაზე მეტს მივცემთო...

— მაშ, ფულსაც იძლევიან, ოღონდ აქედან მომიშორონ?..

— რამდენსაც დაუსახელებ, იძლევიან. თუ არ გვენდობა და პირის გატეხისა შეეშინდება, მთავრობისაგან მძევალი მოგვთხოვოს, ვინც უნდა იყოს, მივცემთო. ოღონდ საზღვარზე როგორც კი გადავლენ, ის მძევალი უკან საღ-სალამათი უნდა დააბრუნოს, თორემ ვინც აქ დარჩებათ, ყველა ნათესავ-ახლობელს დავუჭერთ და დავხვრეტთო.

დიდხანს დადიოდა წინ და უკან სამ-ოთხნაბიჯიან ქოხში შეფიცულთა აღელვებული ბელადი. მერე ძლიერი ნებისყოფის წყალობით მოთოკა თავი. კუთხიდან კუნძი გამოაგორა, ზედ ცალი ფეხი შემოდგა და ცალი ხელი მუხლზე დაიბჯინა.

— საქართველოს დამოუკიდებლობისას ქვეყანას სოციალ-დემოკრატების უხერხემლო მთავრობა ედგა სათავეში. ჩვენ ძალიანაც არ მოგვწონდა იმათი საქციელი, მაგრამ, რაკი ქვეყანა დამოუკიდებელი იყო და მთავრობაც ქართული, მაინც ერთგულად ვემსახურებოდით მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეში არ ვეთანხმებოდით. ეგენი კი... რისთვის შემოუძღვნენ რუსის ჯარს, რისთვის შემორეკეს ხელმეორედ, რისთვის ჩააბარეს რუსებს ხელახლა რის ვაივაგლახით მოპოვებული დამოუკიდებლობა? თუ ქართველ ერს მოსწონს ბოლშევიკური ხელისუფლება, ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით და ისევე ვემსახურებით მაგათაც, როგორც აქამდის ვემსახურებოდით მენშევიკებისაგან შემდგარ მთავრობას. მაგრამ რუსის ჯარი გაიყვანონ აქედან, საქართველო დამოუკიდებელი უნდა იყოს! რაც შეეხება მაგათგან ფულის შემოთავაზებას... ჩემი უფროსი ძმა კი ხარ, მაგრამ ეგეთი სიტყვით ჩემთან აღარასოდეს მოხვიდე. ჩვენ მამულიშვილები ვართ. ჩვენ საქართველოს თავისუფლება, მისი ღირსება და დამოუკიდებლობა სიცოცხლეზე მეტად გვიღირს. ამადაც აგვიღია ხელში იარაღი, ამადაც გვინდა მისი დამოუკიდებლობის დაბრუნება. როდესაც ერთი უბირი, უსასოო ხევსური ბერიკაცი თავის უკანასკნელ დასაყრდენს, თავისი გვარ-ჯიშის გამგრძელებელს, ორ უდღეურ ბალღს სწირავს ქისტის საფლავზე დასაკლავად საქართველოს დამოუკიდებლობას, ჩვენ — ჯან-ღონით სავსე ქართველებს, რა უფლება გვაქვს, ჩვენი სიცოცხლე არ მივიტანოთ ტარიგად საქართველოს თავისუფლების საკურთხეველზე?.. შენ წადი და ასე გადაეცი მაგათ: ჩვენ მაგათთანა ავანტიურისტები არა ვართ; ჩვენ მაგათთანა ერის მოღალატენი არა ვართ; ჩვენ მაგათთანა სამშობლოს გამყიდველები არა ვართ; მაგათ მიჰყიდეს რუსებს რის ჭირ-ვარამითა და სისხლ-ცრემლით ნაშოვნი დამოუკიდებლობა და, თუ კიდევ შერჩენიათ ცოტაოდენი რამ ქართული, როგორც შემოუძღვნენ რუსებს, ეგრევე გაუძღვნენ და უკან, თავიანთ სტეპებს დაუბრუნონ. თვითონვე მოაშორონ საქართველოს ეს წითელი კალიის ჯოგი! ჩვენ, სანამ პირში სული გვიდგა, ვიბრძოლებთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და, თუ ისე დავიხარჯებით, რომ ამას ვერ შევძლებთ, მაშინ ბრძოლას ჩვენი შემდგომი თაობა გააგრძელებს. გააგრძელებს და მანამდე არ დაისვენებს და არც მაგათ მოასვენებს, სანამდის თავის მიზანს არ მიაღწევს!.. შენ კი, ჩემო უფროსო ძმაო, არ დაგავიწყდეს, რომ მე უმცროსი ძმაც მყავდა... რომელიც საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცა და ახლა უზუნდარას ქვაღორღიან მიწაში წევს... აი, ამ ხელებით მივაყარე გულზე ის მიწა, რომლის გულისთვისაც დაუნანებლად დასთხია თავისი სისხლი... ეს არ დაივიწყო შენ, უფროსო ძმაო. არ დაივიწყო და შენს გამომგზავნებს სიტყვასიტყვით გადაეცი, რაც გითხარი... და ამის შემდეგ, თუ შენი ძმის ნახვა კიდევ მოგესურვება, მხოლოდ იარაღასხმული უნდა მეჩვენო. უფროსი ძმა კი ხარ, მაგრამ დაიხსომე: უიარაღოდ ჩემთან მოსვლა არაფრით გაბედო! ამ ბიჭს კი, ამას, ეცადეთ, შესაფერისი სახელი მოუძებნოთ. — როცა ჩოლოყაშვილს ბიძინას არქმევენ, ის იმ სახელის დარქმევისთანავე სამშობლოსათვის შეწირულად ითვლება!..

როგორც კი სტუმრები წავიდნენ, ქაქუცამ ძველ ბინაზე ახლა სხვა ხუთი სამეული გაგზავნა იქ დარჩენილი ფქვილ-ხორცისა და ყოველგვარი სამეურნეო იარაღების წამოსაღებად. მათი დაბრუნებისთანავე აჰყარა ბანაკი და სამი დღის შემდეგ, განთიადისას, მატნის თავში, მთაწმინდის ტყეში ჩაიყვანა. აქ მალაქიასაგან ადრიდანვე მომზადებული საზამთრო ბინები დახვდათ. სადაც რაზმს ეს ზამთარი უნდა გადაეყარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

იმ წელს ზამთარი ცივი დაიჭირა, დიდთოვლიანი. მაგრამ მდებარეობის გამო ტაფობში სიცივე არც მაინცადამაინც ძალიან იგრძნობოდა, რადგან ყველა მხრიდან ტყიანი გორაკებით იყო შემოზღუდული. ბინების წინ მდებარე მოედანი გადათოვლილი იყო. მოედნის შუაგულს დიდი ცეცხლი გურგურებდა. გარშემო შეფიცულნი მოუსხდებოდნენ, მიხა ხელაშვილი განუყრელ ჩონგურს ჩამოჰკრავდა, ზედ წუხანდელ „გამომცხვარ" ლექსს დასძახებდა და ბოლოს ფშაური წაღიღინებით ამთავრებდა. რაზმელთა ნაწილი თოვლში გუნდაობდა, ჭიდაობდა და ლელო ჩიქოვანის პამპულობით ერთობოდა. ამ ზამთარს პატარ-პატარა საქმეები თუ გამოჩნდებოდა და „შინ ყოფნის მტვერს" მაშინ თუ „გაიბლერტავდნენ", თორემ დიდ საქმეთაგან, თოვლიანობის გამო, თავს იკავებდნენ. „უძრაობაზე" მეტად უსურსათობამ შეაწუხათ. ფქვილი ერთ-ორ დღეს კიდევ თუ ეყოფოდათ, თორემ საკლავმა და, საერთოდ, ხორცეულობამ ჭირი მოგჭამათ. ახლომახლო რაც პანტა-მაჟალო, ზღმარტლი და თხილი იდგა, აღარაფერი ესხა. თოვლი გადაქექეს და, თუ რამ ძირს ნაყარი იყო, ციყვსა და თაგვს გადარჩენილი, სულ წამოკრიფეს. ახლა მხოლოდ წიწიბოს იშვიათ მარცვლებს თუღა პოულობდნენ თოვლქვეშ. სიფრთხილის გამო მეკავშირეები იშვიათად ამოდიოდნენ. ხოლო, რაც ძველს ახალი თოვლი დაემატა, ვეღარც თოვლზე სასიარულო თხილამურებიანი „მონადირენი" ბედავდნენ ამოსვლას, რადგან ჩეკას მახვილ თვალს არც ამგვარი ნაკვალევი გამოეპარებოდა.

შიმშილობისაგან ისევ თოვლმა იხსნა.

სამხრობისას დაიწყო თოვა. ისე თავგამოდებით თოვდა, ძველ თოვლს ლამის წვივამდე დაამატა. ახლა კი გვეშველაო, თქვა სულხანიშვილმა და ბელადმა ისა და გაბო ოზიაშვილი ფქვილის ამოსატანად სოფელში გაგზავნა. უკან დაბრუნებისას ხის ძირას ჩაიმუხლეს. ჩაეძინათ და საშას მუხლი მოეყინა. მთელი ერთი თვე იწვა სკამლოგინზე და, რადგან ექიმის ამოყვანა საშიში იყო, აქ კი ქინაქინის მეტი არა ჰქონდათ-რა, თვითონ ქაქუცა მკურნალობდა ნავთით. მას ეს უებარი წამალი საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი, როცა სარაყამიშში ბეჭში დაჭრილს, მარჯვენა ხელის ხმარება უჭირდა. ექიმებმა ნავთის მასაჟით სასწაული მოახდინეს და ხეიბრობას გადაარჩინეს. ბელადს არავისთვის არ დაუნებებია „დასტაქრობა" და ერთ თვეში ფეხზე დააყენა. მანამდე კი ეს ყველაზე დიდი მიწური შეფიცულთა თავშეყრის ადგილი — მათი „კლუბი", „ცირკი" და „საფიხვნო" იყო. ახლა საშას მაგიერ „ასტინას" გაბო ოზიაშვილი ათამაშებდა, რაზედაც ლელო ფრიად უკმაყოფილო გახლდათ, რადგან წკეპლას სულხანიშვილივით გამოზომილად ვერ ხმარობდა.

— „შენ ეგლე მაგლა ნუ იცემები, თოლემა..." — ენას უკიდებდა ლელო. გაბო მაინც ყურს იქით ატარებდა მის ნათქვამს და ისევ „რიგიანად" უწკეპლავდა ფეხებს, რათა „ასტინა" კიდევ უფრო მაღლა შემხტარ-შეკუნტრუშებულიყო. ამიტომ ერთი სული ჰქონდა ლელოს, როგორმე მალე გამოკეთებულიყო თავისი ნამდვილი მწვრთნელი. საშა კი იწვა თავის „დოშაკზე" და კახურ შაირობაში დაჯახებულებს აქეზებდა. ამ შაირობის კარგი ოსტატი თავადაც გახლდათ. თუმცა „ყოჩობა" მაინც ელიზბარ ვაჩნაძეს ეჭირა. მაგრამ ძალიან საეჭვო იყო, მას ეს ტიტული დიდხანს ეტარებინა, რადგან ბადურ ბადურაშვილი ძლიერ საშიშრად ემეტოქებოდა. ელიზბარს ეს არამცირედ აღიზიანებდა და საღამოს, როცა მათი თაყვანისმცემლები საშასთან მოიყრიდნენ თავს, ელიზბარი თვალით მოსძებნიდა მეტოქეს და რამე „სამწლიკვინო ასატეხს" გადაუგდებდა:

— ბადურო, აბა, აქეთ მაიხედე.

ბადური მოიხედავდა.

*ელიზბარი: ძალუაშენი — ლამაზი*
*დავვილ კალოზე დამისვი.*
*თუ დაუბუბნავს გავუშვებ.*
*მოდი და ლაფი წამისვი!*
*ბადური: შენ ძალუაჩემს რას იცნობ.*
*ქვრივი არი თუ ქალწული.*
*ჯობს ყური უკან მიადო.*
*როგორ გაუდის ლაწუნი.*
*ელიზბარი: დიდი ხანია ჩხუბობენ*
*გურჯაანი და ვეჯინი.*
*უკან მოგისვი თათარი*
*თავზე ქუდგადაგლეჯილი.*
*ბადური: თელავიდან წამოვედი.*
*თავი მოვიპომპოლიკე.*
*ძალუაშენი დავხარჯე.*
*კარზეც მოვიჩონჩორიკე.*
*ელიზბარი: იორი ადიდებულა.*
*ალაზანმა მაიქაფა.*
*თათარი რო გაიჭივხა.*
*შენ გეგონა ხალიჯაფა.*
*ნელა-ნელა შეექეცი.*
*არ დავადგეს დიდი ჯაფა.*
*ბადური: ვერა სთქვი მაგის ადგილსა.*
*ერეკლემ დაგისადგისა.*
*ელიზბარი: გაღმა-გამოღმა ლილოსა.*
*თათარი იხვევს ტილოსა.*
*მოგიბრუნდება. დაგიცობს.*
*წვეთი არ გაგედინოსა.*
*ბადური: მე შაირი არ მინდოდა.*
*შენ ამტეხე ძალათა.*
*თავვის ცურცლი შეგაჭამე*
*ოცდაათი კალათა.*
*ელიზბარი: ეგ შაირი ახლა მითხარ.*
*მემრე აღარ წამოგცდეს.*
*იგრე გაგაძლობ კურკლითა.*
*ქამარი ვერ შამოგწვდეს.*
*ბადური: ბიჭო. რას გადამეკიდე*
*ძველი ქალამნივითა.*
*მოვიბრუნდები. დაგლეწავ*
*რონსტომ-ყარამანივითა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ელიზბარი:* შენ რო ეგ შაირი მითხარ,
სირცხვილისაგან დავიწვი,
ერთი იგეთი „დაგიცხვე",
როგორც ხევსურის ხავიწი.

და ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ ერთ-ერთი არ დააჭარბებდა მოწინააღმდეგეს. — არ „გაჰბერავდა". მაშინ გამარჯვებული ეტყოდა:

გეტყვი და გეტყვი შაირსა,
გაგბერავ გუდასავითა,
თან ზედაც შემოგახტები
მაისის ბუღასავითა.

და შაირობაც დამთავრებული იყო. ამ შეჯიბრებისას უფრო ხშირად ბევრი ისეთი „საუკაცრაულო" შაირი ითქმოდა, რომელიც ქალალდს არ ენდობა. თანაც ისე ლამაზად, ისე ოსტატურად, რომ მსმენელნი ალტაცებით შემოჰკრავდნენ ხოლმე ტაშს და მთქმელს საქებარი შეძახილებით კიდევ უფრო აქეზებდნენ.

მაგრამ „საფიხვნოს" ლაზათი მაინც მიხა ხელაშვილისა და ხევსურის ბიჭ — მგელა ჭინჭარაულის კაფიობა იყო, უფრო უკეთ — „ლექსაობა". ლექსობას მიხა იწყებდა ხოლმე, მაგრამ მსმენელნი ვერ იტყოდნენ; რომ ჭინჭარაულს ყოველთვის ხელაშვილი სჯაბნიდა.

*მიხა:* რად არ იუბნებ მართალსა.
სახელს რად ირქმევ სხვისასა.
რანაირ ხევსურიცა ხარ.
ჰკითხე ხელაანთ მიხასა.
თუ ჩემსას არ დაიჯერებ.
მიუდი ქალაგ-მკითხავსა.
შენ რო მგლად იყო ნაშობი.
არ ჩაიცომდი თხის ტყავსა.
ვინ გკითხავს ფარის ამბავსა
ანდა გორდაის ხმლისასა?
ხელთ მშვილდი უნდა გეჭიროს,
ხევ-ხევ ჩაჰხვეწდე ისარსა.
სულხანიშვილი არა ხარ,
ჰკლავდე გაფრენილ ციცარსა,
არც ხარ ელიზბარ ვაჩნაძე,
ბელადს ჰპარავდე ხინკალსა.
არც ჩიქოვანი ლელო ხარ.
წალმა-უკუღმ რო ტლინკავსა.
შენ მიხას რაად ედრები,
ციდან რო სწყვეტავს ცისკარსა.
თოფი არ უნდა ხელაშვილს,
საქნელს უთოფოდ იზამსა:
თითო იგეთ ლექსს ამაჰყრის,
მტერს უნგრევს გულისფიცარსა.
შენაც მოგწვდება, დაგამტვრევს,
როგორც მარილის კვნიწასა.
*მგელა:* რად იტყვი ძმობილის აუგს,
ერთი ეს მითხარ, ხთის მადლსა.
შენ ხევსურს რა ხელ გაუდრი,
ყმასა გუდანის ჯვრისასა,
დაქუახს ჯიხვთა დამმუსრავს,
ორწყალში რუსებისასა.
შენ რას შაჰხენებ. მიხაო,
ის სად რას დაჰკრავს ისარსა,
სად აძრახდება იმის თოფ,
საით რას დასდებს ლიშანსა.
ვარცლს უნდა ეჯდე, ფშაველო,
ახვევდე ხაჭოს ხინკალსა,
ან წაწალს ეპარებოდე
საბძელში შუღამისასა.
შენ ვინ რას გკითხავს ნეტარა
ომისასა და ცდისასა?
ზე რო იბურავ ნაბადსა,
ქვე რად არ იცომ ნიფხავსა?
ლელოს რას ბაძავ. ჩიქოვანს,
ნაკუსალს ბარელისასა.
ტანს მოუარე, ბერაო.
თავს რას უშველი ქვისასა?
ვერ გასტეხ ჭინჭარაულსა,
ლეკვს შატილივნის მგლისასა...

ასე გადიოდა სალამო და ნაადრევად ჩამომდგარი პირველი ლამეც. მერე მოატანდა ძილის დრო, მორიგე შეცვლიდა ყარაულებს, თავად კი მიუჯდებოდა ცეცხლს, რადგან მის მოვალეობაში ცეცხლის ჩაუქრობლობაც შედიოდა.

ლევანა საშას ისე მიეჩვია, ადამასა და წაპწიას შემდეგ ასე ახლოს არავინ მიუშვია გულთან. ჰყვებოდნენ ამ მთისას, იმ მთისას და ზოგჯერ ლამის შემოათენდებოდათ საუბარში. ლევანას განსაკუთრებით ქისტეთში საშას ელჩობა აინტერესებდა. ცდილობდა, რაც შეიძლება, ღრმად ჩასწვდომოდა იმ ხალხის ადათჩვევებს, იმათ სულსა და ბუნებას, იმათი ცხოვრების წესებს, ვისაც აწ მამა-პაპათა სახიზნარს შეხიზნული მისი დიდი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი — ვაჟა-ფშაველა ესოდენ დიდ პატივს მიაგებდა...

— გეტყვი, როგორი ხალხიც არი. — მუხლს ფრთხილად იზელდა საშა. — ქისტეთში პირველად კახეთში ჩასასვლელად გავედი. ხევსურეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ ფეხდაფეხ გვდევდნენ ქაქუცას ხალხს. ყველგან სიკვდილი იყო ჩასაფრებული. ბარში ჩასასვლელი ყველა გზა შეკრული, მხოლოდ ეს ვიცოდი, რო ქაქუცამ ალყა გაარღვია და რუსებს დაუსხლტა... ხევსურებმა არხოტსა და შატილში გამოზამთრება შემომთავაზეს, მაგრამ იქ ზამთრისაგან ექვს თვეს ჩაკეტილს უმოქმედოდ და უქაქუცოდ რა გამაძლებინებდა? ავიხირე: გინდა თუ არა. ჩეჩნეთში უნდა გადავიდე, იქ ჩვენებური, პანკისელი ქისტები ჩამოდიან და იმათ გადავყვები კახეთში-მეთქი. შატილში ჩემი მასპინძელი ჩვენი მგელიკას ბიძა, ძაღლიკა ჭინჭარაული იყო. იმ ლამეს მიამბო ძაღლიკამ: თურმე ჩეჩნების რაზმები დათქმულ დღეს ჩამოვიდნენ შატილს. ხევსურეთს დატრიალებული ამბები რომ გაიგეს, დიდად ნაწყენნი დარჩნენ, რო ვერ მოიძლეს გული რუსების ხოცვით. „ქისტებს კარგი მასპინძლობა ვაჩვენეთ და ისინიც დამწუხრებულნი გაბრუნდნენ უკან, რომ თითომ თითო რუსი მაინც ვერ შესწირა თავის მკვდრებს..." ლამით, დასაძინებლად. ერთი უცნაური სავარძელი მაჩვენა. ეტყობოდა, საპატიო სტუმრისათვის ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც ნაშოვნი. მე არხეინად ჩავესვენე შიგ და ნებივრად გავჭიმე ფეხები. ძაღლიკამ რაღაცნაირად გაიღიმა და მითხრა: ,,აი, ემანდ ეძინა ფილიპე მახარაძეს, ქისტეთს გადასაყვანად რო მამგვარეს. დათარსულია ეგა, — ფილიპემ გვიღალატა და იფრთხილე, შენაც არ გვიღალატო''.

როგორც კი ფილიპე ახსენა, მაშინვე წამოვხტი, თითქოს იქ დახვეულ, გატრუნულ გველს დავჯდომოდი.

გაჰკვირდა ძაღლიკა: ,,რა არ მაგეწონ, სტუმარო, ლუსმანმა თუ ამაჰყო წვერ სადამ''.

,,შე კაი კაცო, ლურსმანზე მეტი არ არი, მოღალატის სკამზე რო მსვამ-მეთქი?''

ძაღლიკას ძალიან ესიამოვნა. მეორე დღეს შეკაზმა თავისი ჯორი, აისხა ფარ-ხმალი, გადაიკიდა თოფი და გამიძღვა წინა და ქისტების სოფელ ჯარეგაში ჩამიყვანა.

ლევანა გაოცდა.

— ფილიპეს რა უნდოდა ქისტეთში?

— დასწყევლოს ღმერთმა, აბა, რა ვიცი, — მე მგონია, დარიალს ვერ გასხლტა და ქისტეთზე მოუარა ორჯონიკიძესთან შესაერთებლად.

— ცხონებულ ვაჟა-ფშაველას როგორა სძულდა ფილიპეცა და ჟორდანიაც, — განსაკუთრებით ჟორდანია: — როგორ თუ ილია უბრალო ნაფოტად მოიხსენია გაზეთშიო. მაგათ და მაგათ პარტიას, — სოციალ-დემოკრატების პარტიას სთვლიდა ილია ჭავჭავაძის მკვლელად.

სულხანიშვილს თვალები მოეჭუტა. ერთხანს ასე უცქირა ლევანას და მერე საიდუმლო ხმით თქვა:

— მე კი ხუთი თითივით ვიცი, რო მაგათ მოკლეს ილია ჭავჭავაძე.

ლევანას ყურებში თითქოს მეხი გავარდაო: გაოცებისაგან წინ გადაიწია და გაშეშდა!

— შენ რა იცი, რო მართლა მაგათ მოკლეს?

— ვიციო? ვიცი კი არა, აი, ამ ხელებით ვეცი ყელში იმის მკვლელს! ქაქუცამ ძლივს გამომგლიჯა ხელიდან!.. ქაქუცა რომ არა, მე თუნდაც განზე გავმდგარიყავი, რაზმელები ერთ წამში დაჰგლეჯდნენ ნაწილ-ნაწილად!..

— ქაქუცამ? ქაქუცამ რისთვის გადაარჩინა?

— მაშინ ბევრი მითქმა-მოთქმა იყო ილიას მკვლელობის გარშემო. ბევრი რამ მიჩქმალულ-მინავლული. ბერბიჭაშვილმა კი ყველაფერი კარგად იცოდა. ქაქუცამა თქვა: ახლა ამას რო ხელი ვახლოთ, ჩვენ მოწმე აღარ გვეყოლება. მაშინ ეს ყველაფერი, ხალხს რო შევატყობინებთ, შეიძლება მიკერძოებაში ჩაგვითვალონ და მერე რა პირითღა წარვდგეთ საქართველოსთან? როცა გავიმარჯვებთ, სჯობია, მაშინ გამოვიყვანოთ და საქვეყნოდ ვალაპარაკოთ... აი, ამან გადაარჩინა.

— და გაუშვით?

— როცა ყველაფერი ძირისძირობამდე დავაფქვევინეთ, გავუშვით...

— არ ვიცი, მოსაწონია თუ არა ქაქუცას ეგეთი საქციელი... ვინ იცის, იქნებ მართალიც არი, — თქვა მძიმე ფიქრის შემდეგ ლევანამ. — მეც ბევრი რამ გამიგია მაგ გიგლა ბერბიჭაშვილზე. მაგრამ იქ ხო სამი თუ ოთხი სხვა კაციც იყო, რომლებმაც მაგასთან ერთად ესროლეს ილიას.

— სამი თუ ოთხიო? სამი-ოთხი კი არა, მთელი ჯოგი ყოფილა!

— როგორ თუ ჯოგი?

— ბერბიჭაშვილმა ვიღაც წიწამურელი გიორგი თუ ლომა ხიზანიშვილი დაასახელა, რომელთანაც მკვლელობის წინა დღეებში მივიდნენ: გიგლა ბერბიჭაშვილი, ვანო ინაშვილი, პავლე ფშაველიშვილი (იგივე აფციაური) და ვიღაც უცნობი, გვარად ,,იმერელი''. ინაშვილს უთქვამს: ,,სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა დაადგინა, რომ მოკლას თავადი ილია ჭავჭავაძე იმისთვის, რომ ის მიწის საკითხში ძალიან ავიწროებს გლეხებს.'' ამასთან ბერბიჭაშვილმა ისიც აღიარა, რომ თითონ, ინაშვილი და ის ,,იმერელი'' მივიდნენ ფშაველიშვილთან, რათა იგი მიჰხმარებოდათ ილია ჭავჭავაძის მოკვლაში. ფშაველიშვილს თავიდან უარი უთქვამს, მაგრამ ის ,,იმერელი'' დაჰმუქრებია: — შენ ახლა ჩვენი განზრახვა იცი და, თუ არ მოგვეხმარები, აუცილებლად მოგკლავთ, რომ არ გაგვცეო. მაშინ ფშაველიშვილი შეშინებულა და დასთანხმებია. ამას გარდა, იმ იმერელს საგურამოსა და ბიწმენდის ექვსი თუ შვიდი გლეხი ასეთივე მუქარით წაუყვანია მკვლელობის ადგილას, გზაზე დაუყენებია ყარაულებად: თეთრი ცვირსახოცების ქნევით უნდა ენიშნებინათ ილიას ეტლის მოახლოვება. თვითონ ის ოთხნი კი ჩასაფრებიან იმ ადგილზე, სადაც უნდა მოეკლათ... ძალიან იყო შეშინებული ბერბიჭაშვილი და არაფერი დაუმალნია.

— თქო, ვინ იყო ის ,,იმერელი''?

— კაი ბიჭი იყო და არ იტყოდა! წიფლის ტოტზე რო გადავაგდე თოკი და ქვემოდან ყულფი გამოვუნასკვე, ციებიანივით დაიწყო ძაგძაგი და მთელი შარვალი ჩაასველა... იმ ქვაზე ჩამოვსვი, რომელზედაც უნდა შემდგარიყო ყულფში თავგასაყოფად. შიშისაგან მუხლები იგრე ჰქონდა დაძაბუნებული, ფეხზე ვეღარა დგებოდა. ჩამოვსვი და ყველაფერი დავაფქვევინე.

— რაო, ვინ იყო ის იმერელიო?

— საქართველოს ყველაზე დიდი მტერი, თემურლენგზე და შაჰ-აბაზზე დიდი მტერი! რუსების აგენტი, ვინც რუსს შემოუძღვა საქართველოს ასაოხრებლად და დასაპყრობად! — სერგო ორჯონიკიძე! — და ლევანას გაოცებაც არ აცალა, ისე გააგრძელა, — თურმე ფილიპე მახარაძის დავალებით თავის თავზე აიღო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორობა! ის ხელმძღვანელობდა იმ ნადირთა ხროვას და პირადად მისი ნასროლი ტყვია მოხვდა იმ ღმერთ-კაცს შუბლში!.. ის ნაბიჭვარი ისეთი მსროლელი ყოფილა, ბეჭედში აძვრენდა ტყვიასო. როგორც კი ეტლიდან გადმოვარდნილა, გაქანებულა ის ძაღლის ნაშობი და რამდენჯერმე ჩაუცია წიხლი მკვდრისთვის ცხვირ-პირში!..

ლევანას კრიჭა შეეკრა. ისე ამაზრზენი იყო მისთვის ეს ყველაფერი, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის შემდეგაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაგარი ქალქზე დაუდგა. ახლა რომ რომელიმე მათგანი ჩავარდნოდა ხელთ, ისე გაადენდა წვენს, როგორც საქაჯავი ჭაჭას...

— ეხლა ჩვენ უკვე კარგად ვიცით, სად გადაწყდა და რომელ კრებაზე, ვინ იყო კრების თავმჯდომარე, ვინ ესწრებოდა ამ კრებას და როგორ ერთხმად დაადგინეს ილია ჭავჭავაძის სიკვდილი.

— ჰო, მაგრამ სხვები რო დაიჭირეს, რატო იმათ არ დაასახელეს, ვინ დაგეგმა ეს ყველაფერი და ან ის „იმერელი" ვინ იყო?

— ეს იმიტომ, რომ მაშინ სოციალ-დემოკრატების მხრიდან მოქმედებდა დაუწერელი კანონი: „სიკვდილით შეკვრა". ამის ძალით, ყოველი რევოლუციონერი, წითელრაზმელი ან ტერორისტი თუ თავის ამხანაგს გასცემდა, გარდუვალი იყო იმისი სიკვდილი. წესად ჰქონდათ: დედაბუდიანად უნდა ამოეწყვიტნათ იმისი ოჯახი, ხოლო სახლ-კარი გადაეწვათ, რათა „გამყიდველის" ბარობაზე ბღავანი აღარ დარჩენილიყო...

— მაინც ვინ იყვნენ იმ კრებაზე?

— ჩაწერილი მაქვს დაწვრილებით. აბა, ამ სიბნელეში რას გაიგებ, ხვალ წაგაკითხებ ყველაფერს.

— ხვალამდე არ გინდა გაძლება?

— როგორ გეტყობა, რომ რაზმში ახალბედა ხარ! ჩვენ აქ, კარგა ხანია, შევეჩვიეთ მოთმინებას.

— მოთმინებასაც გააჩნია, მაგრამ ჯანდაბას, დილამდე როგორმე მოვიცდი... ქისტეთში გადასვლაზე ჰყვებოდი.

— ჰო, ძაღლიკამ ჩამიყვანა ჯარეგაში. არ ვიცი, რა გავლენა ჰქონდა ქისტებში ამ ხევსურს, მაგრამ პირდაპირ მოლას კი ჩამაბარა: — ეს ქაქუცას კაცია, თავიდან თმის ბეწვიც არ უნდა ჩამაჰვარდეს, იგრე უნდა შაუწყოთ ხელიო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩემმა იქაურმა მასპინძელმა გამომიძებნა პანკისელი ქისტები და იმათ გადამიყვანეს კახეთში... სამი თვე დავძრწოდი დღედაღამ ტყე-ღრეში, სანამ ქაქუცას ვიპოვნიდი. ღამღამობით, დროდადრო ჩავდიოდი ჯოყოლოში ჩემს ნაძმობ დათიკო ფარეულიძესთან და მერე ისევ ბაწარას ხეობაში ამოვდიოდი. იქ ერთი წაბლი მქონდა ამოჩემებული. ვიჯექი იმ ხის ძირში და ზემოდან ჩამოცვივნილ წაბლს ვკანატუნებდი. კინაღამ ერთ თვეს ამ წაბლით გავდიოდი იოლას. მერე, როგორც იყო, ვიპოვნე ქაქუცა. შეფიცულებმა პირები დაალეს ჩემს დანახვაზე და გადაირივნენ! მარტო იმათში კი არა, კომუნისტებშიც გავარდნილიყო ხმა, რომ ხევსურეთში მომკლეს. თავად თელავის რევკომშიაც გამოუკრავთ განცხადება ჩემი სიკვდილის სინამდვილეზე. ამიტომ იყო, რომ მთელი რაზმი ხან ტიროდა, ხან იცინოდა. ისე დამაჯერებლად მიხატავდნენ ჩემ სიკვდილს, კინაღამ ერთი-ორჯერ მოვისინჯე ტანფეხი, მართლა მკვდარი ხომ არა ვარ-მეთქი...

— მეორედ? მეორედ როდისლა ჩახვედი ქისტეთში?

— ოო, ეს გრძელი ამბავია.

— შენც ადექი და გრძლად მოჰყევი, ცოტა დრო გვაქვს?

— ეეჰ, ძალიან ტკბილად კი მაგონდება, რო იცოდე.

— ჰოდა, შენც ენა დაითაფლე.

— კი მაქვს დასათაფლი: მეორედ უკვე ოფიციალური ელჩი ვიყავი! ოღონდ ეხლა ორნი უნდა ვყოფილიყავით: მე და ყარანგოზაშვილი. აპრილის ბოლოს მთები თავისუფალია. რაც საშიში ზვავებია, ყველა ჩამოწოლილია ამ დროს, გადასასვლელები გახსნილი. უკვე შეიძლება ქისტეთს გადასვლა, მაგრამ მგზავრმა მაინც უნდა იფრთხილოს, ვინ იცის, ზოგან დაგვიანდეს ზვავის ჩამოწოლა. მაგრამ უპირველესი მაინც ის არი, როცა ჩეჩნეთში ან ჩრდილო კავკასიის რომელიმე კუთხეში გადასდიხარ, ვინმე აქაური მთიელი, რომელიც იქაურების ყონაღია, თან უნდა იყოლიო. ამიტომაც ჩვენს თანამგზავრებად ორი ჩეჩენი იყო გადმოსული ჩვენთან. ერთი იმათგანი ჩვენი მომავალი მასპინძლის, ათაბეი უმაევის ძმა გახლდათ... მოხდა ისე, რომ იმ ხანად ყარანგოზაშვილი ავად გახდა. ძველმა ჭრილობამ გაუხსენა. მაშასადამე, უიმისოდ უნდა წავსულიყავ საელჩოდ. ქვემო ალვანიდან ამოვიდა ჩალმა თუში — როსტომ გულდიდაიძე, რადგან კარგად იცოდა ქისტური და, გარდა ამისა, თავისი ვაჟკაცობით მარტო თუშეთში კი არა, თავად ჩეჩნებშიაც იცნობდნენ. ორმოცდახუთ-ორმოცდაათ წლამდის იქნებოდა. საშუალო ტანისა და მხარბეჭგადგმული. მკაცრი, ვაჟკაცური იერი ჰქონდა და თანაც რამდენიმე ჩეჩენი ჰყავდა მოუსავლეთში გაგზავნილი. ეს კაცი იმდენად დიდი ქართველი იყო, იმდენად დიდი ვაჟკაცი, რომ არ მორიდებია ამ მისთვის დიდად სახიფათო მგზავრობას. „როსტომ, შენ დიდი სისხლი გმართებს ჩეჩნებისა. არ მემეტები ამ გზაზე დასადგომად, მაგრამ კაცი მჭირდება ჩეჩნური ენის მცოდნე და თანაც ერთგული. იცი, რომ ეს საქმე ყოველ რიგით პატრიოტს არ ენდობა. ამადაც ათას კაცში შენ გამოგარჩიე." — უთხრა ქაქუცამ. „თუ სამშობლოსთვის საჭიროა ჩემი პატარა შველა, ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ, — თქვა უბრალოდ როსტომმა. — რას მიქვიან ორიოდე ქისტი და იმათი სისხლი?.." მეც დიდხანს მმოძღვრავდა ქაქუცა, რა უნდა მეკეთებინა ჩეჩნეთში და ვისთან რა უნდა მეთქვა. ათაბეის ცოტა რამ წერილი მისწერა, სადაც აცნობებდა, რომ თავის თანაშემწეს უგზავნიდა. სწერდა, დამეხმარებოდა ჩეჩენთა შორის გავლენიან პირებთან შეხვედრაში და, თუ მოხერხდებოდა, სხვა დანარჩენ ჩრდილო კავკასიელ ხალხებსაც მივწვდომოდი.

პირველივე შემთხვევაში გამოჩნდა როსტომის ვაჟკაცობა. ერთგან სროლაც კი მოგვიხდა, მაგრამ მაინც მშვიდობით გადავედით ჩეჩნეთში და ილტოსთან კომუნისტებისათვის წართმეული ოცდაცხრა ცხენიც გადავიყვანეთ. აქედან ერთი ცხენი როსტომს ვაჩუქე, თითო-თითო ჩვენს გამყოლ ქისტებს, ერთზე მე შევჯექ და დანარჩენი ოცდახუთი წინ გავირეკე. შინ, საქართველოში იმათი დატოვება არ შეიძლებოდა. ჩვენი თანამზრახველებისათვის რომ მიგვეცა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი დასახვრეტად გაგვეწირა...

ქისტეთში გადასულები ათაბეის სახლს სამხრობისას მივადექით. მთელი ოჯახი გახარებული გამოგვეგება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეზოში „მარშუალ“, „მარშუალით“. ეს ხევსურულ „მოხველ მშვიდობით“ უდრის. როგორც კი როსტომს მოჰკრა თვალი, ათაბეი გაშრა. მოიქუშა. მაგრამ იმდენად დიდი ვაჟკაცი ჩანდა, რომ არ დაიმჩნია და ორივეს ჩამოგვართვა ხელი. მივხვდი: ოდესღაც უნდა შეჰხვედროდნენ ისინი ერთმანეთს და ეხლა, შეჰხედა თუ არა, მაშინვე იცნო მასპინძელმა... იარაღი ათაბეიმ ჩამოგვართვა. მაგრამ მე მაინც დავიტოვე ჩემი განუყრელი მაუზერი. ქისტებს ეგეთი წესი აქვთ: ოჯახში ფეხის შედგმისთანავე სტუმარმა იარღი უნდა აიყაროს, რადგან იმისი დაცვა უკვე მასპინძლის მოვალეობაა.

მაშინვე მეზობლებში ხმა გავარდა: „ქაქუცას კაცი მოვიდა ცხენის რემითა“ და მთელი სოფელი მოაწყდა ათაბეის ეზოს. მსინჯავდნენ, მათვალიერებდნენ, გუნებაში მზომავ-მწონიდნენ და ვატყობდი, რომ მოვწონდი კიდეც. კარგად მეცვა: მუქ-შვინდისფერ ახალუხზე წყლისფერი ჩოხა, წელზე ოქროთი დაზარნიშული ქამარ-ხანჯალი, წვერი წამოსვლის წინ გავიპარსე, მაგრამ ულვაშები დავიტოვე, — ქისტები ძალიან აფასებენ დიდ ულვაშს. იმათი ჟღავიჟღუვისა არა გამეგებოდა რა, მაგრამ „ქაქუც-ქაქუც“ კი ხშირად მესმოდა.

— ეს ათაბეი თავად ვინ იყო? — იკითხა ლევანამ.

— ათაბეი მთის ჩეჩნებში განთქმული შეიხის შვილი იყო. თავადაც კარგი ვაჟკაცი და დიდად გავლენიანი პიროვნება. როსტომის ხნისა იქნებოდა. ჰყავდა ორი ძმა და ორიც ცოლი. შეგვიწვიეს სახლში, დაგვბანეს ფეხები და მასპინძელმა გვთხოვა: ქამარ-ხანჯალიც მოიხსენით, დიდი გზა გამოგივლიათ, დაიღლებოდით და უფრო კარგად მოისვენებთო. ქაქუცას გამოტანებული წერილი გადავეცი ათაბეის. ცოტა ქართული იცოდა, მაგრამ კითხვისა რა მოგახსენო. როსტომმა უთარგმნა. გაფაციცებით ვადევნებდი თვალს და მივხვდი, რომ მისი მოსმენა სიამოვნებდა... ვახშამი დიდებული იყო: ნივრის საწებლიანი მარილწყალში მოხარშული ბატკანი და ამ ბატკნის წვენშივე მოხარშული სიმინდის ცომის პაწაწინა გუნდები. მერე სამნი შუალამემდის ვისხედით და იმ წერილის ირგვლივ, პოლიტიკურ ამბებზე და ხალხის განწყობილებაზე ვლაპარაკობდით. მერე დასაძინებლად დავწექით. ოჰ, ღმერთო! იმ ორი წლის მოუსვენარი ცხოვრების, გახრეკილ ფიცარსა, ქვა-ღორღსა და მიწაზე გდების შემდეგ ლოგინში ვწვებოდი, ნამდვილ ლოგინში!.. ძლივს ვიგრძენი ნამდვილი, ფუმფულა ლოგინის სითბო და სირბილე!.. ღმერთო, რა ნეტარება იყო ეს ყველაფერი!.. სანამ მე ვწვებოდი, ღია კარიდან ვხედავდი, როგორ ელაპარაკებოდა მასპინძელი სტუმარს რაღაცას. სახის გამომეტყველებაზე ემჩნეოდა, ამ საუბრიდან პოლიტიკა კარგა შორს უნდა ყოფილიყო. როგორც კი როსტომი ოთახში შემოვიდა, მაშინვე ვკითხე, რაზე ელაპარაკებოდა მასპინძელი. როსტომმაც სიტყვასიტყვით გადმომცა ის ნაუბარი, რომელმაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ჩემი თანამგზავრი არა მარტო თუშეთში, ჩეჩნებშიც განთქმული ვაჟკაცი უნდა ყოფილიყო.

— რაო, რა მითხრა ათაბეიმო? — დაინტერესდა ლევანა.

— რა და, შეჰხვეწნია: „როსტომ, ხომ იცი, რომ აქ მტრები ბევრი გყავს, ძალიანა გთხოვ, ვაჟკაცურად გთხოვ, უჩემოდ და უჩემძმოდ ჩემს ეზოს არაფრით გასცდე...“ შენ ეს არ გაგიკვირდება, უეჭველად გეცოდინება მთიელთა სტუმარმასპინძლობის წესი: ერთი მხრით თუ სტუმრის სიცოცხლისათვის ზრუნავს, თავისი თავიც არანაკლებ ენაღვლება, რადგან, მას რომ ვინმემ სტუმარი მოუკლას, იმისი სისხლი აუცილებლად უნდა აიღოს, თორემ მთაში იმას აღარც ვინმე კაცად იწამებს, აღარც სირცხვილით კარში გამოესვლება და ყველასათვის ცოცხლად უნდა დაიმარხოს...

— რა თქმა უნდა, ვიცი. ხევსურ-ფშავლებში ვარ გაზრდილი და ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელიც“ ზეპირად ვიცი.

— აგაშენა ღმერთმა. იმიტომაც გეჭირა მშიერმწყურვალს ქაქუცას მიწურში დარჩენილი წიგნი და, როცა შეფიცულნი ყაურმის ქვაბთან თავებს იხოცავდნენ ჭამისათვის, შენ იმის კითხვაში იყავი ჩაფლული.

— არა, მაშინ მარტო კითხვას არ გავუტაცნივარ. იმ წიგნის დანახვამ ვაჟა გამახსენა და ნაღველი ამეშალა... ღმერთო, როგორ უპატრონოდ მოვკალით ეს რქით მიწის მჩხვერავი, მობუბუნე ხარი, რომელიც ძილშიაც კი იმას დუდუნებდა: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე...“ შენ ბევრი რამ არ იცი ამ ღვთის კაცზე და, ის რო ცოცხალი დარჩენილიყო, შენ, მე და თავად ქაქუცაც, ახლა ჩოლოყაშვილისა კი არა, ვაჟაფშაველას შეფიცულები ვიქნებოდით...

საშამ საწოლიდან წამოიწია და მუხლი თავისდაუნებურად გაიზილა.

— ვაჟა-ფშაველა? იმისი შვილის ამბავი თუ იცი შენ?

— ვიცი და ისედაც უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა!..

— მაგრამ შენ საიდან იცი, რომ ვაჟა-ფშაველაც ისე მოიქცეოდა, როგორც ვაჟას შვილი ლევანი მოიქცა?

—მე უფრო მეტს გეტყვი: რა საქმესაც ახლა თქვენ ხართ შემდგარი, ვაჟა ამას ამ ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის წინ აპირებდა და, რო დასცლოდა, გააკეთებდა კიდეც... ღმერთი დიდი უბედური ვინმეა: როგორც კი კაცი იმას ჩაიფიქრებს, რაც თავად ღმერთს იმისთვის არ გაურიგებია, მაშინვე ბახ! — გამოუსხლეტავს!.. ვაჟას კი ადრევე დიდი „ცოდო“ ედო საძისოდ: ცხრაას ხუთში, როგორც კი ხალხმა მოძრაობა დაიწყო, ვაჟაფშაველამ „ფშავ-ხევსურთა დეკლარაცია“ გამოატყვრინა. იმას, ხო იცი, რევოლუცია ფეხებზე ეკიდა. იმ „დეკლარაციაში“ გუდანისა და ლაშარის ჯვრის ყმებს რუსების სამუსრად და საქართველოს გასათავისუფლებლად მოუწოდებდა. ამისთვის კი თავგანწირვას, სიმტკიცესა და გაუტეხლობას მოითხოვდა... კიდევ უფრო მეტს გეტყვი: იმ დროს ჩარგალში ღვდლად ვინმე გიგო სონღულაშვილი იყო. ერთ დღეს დაუძახა ვაჟამ და უთხრა:

— აბა, ღვდელო, აიღე შენი ოლარი და ჯვარი, სადაც მე წავალ, უნდა გამძყვე.

— საით აპირებ წასვლას? — ჰკითხა ღვდელმა.

— სადა და ჟინვალს, მაღაროს-კარს, შუაფხოს, უკანა-ფშავს, — ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც მივალთ, სოფლის მოსამართლეებსა და მამასახლისებს უნდა მენდლები ავყაროთ და შენ კიდევ ხალხი საქართველოს ერთგულებაზე დააფიცო.

გაუსქდა ღვდელს გული, გადაირია.

— შენ რეებს ლაპარაკობ, კაცო, მე რომელი ჩინ-მენდლების ამყრელი ვარ?

— ამყრელი მე ვარ, შენ საქართველოს ერთგულე-ბაზე დააფიცებ ხალხს.

— არ წამოვალ. არსადაც არ წამოვალ!

— არ წამოხვალ და ამ მათრახსა ჰხედავ?..

ღვდელმა შეჰხედა მათრახს და იმ მათრახზე არანაკლები ის დაინახა, თავად მათრახი ვისაც ეჭირა ხელში.

მაშინ დაუჩოქა და შეევედრა:

— ნუ იზამ მაგას, ლუკავ, ნუ დამღუპავ, მეცა და შენც ციმბირს იქით გადაგვკარგავენ.

— შენ ბევრს ნუ ლაპარაკობ, ღვდელო, თორემ რუსთ ხელმწიფე შორს არი, მე კი ახლო ვარ, იმაზე ადრე მე გაგგზავნი ციმბირს იქითაზე იქით!..

რა უნდა ექნა საწყალ ღვდელს, იცოდა ვაჟას ხასიათი და ისიც წაჰყვა...

მართლაც დაევლო მთელი ფშავი იმ ცხონებულს და სადაც მივიდა, ყველგან აჰყარა მენდლები მემენდლეებს. საწყალი ღვდელი. იმ წანწალში გზად ვინც შემოჰხვდებოდა, ყველას აჩერებდა და საქართვე-ლოს ერთგულებაზე აფიცებდა...

— მაშინ ხომ მაგრად იყო ისევ მთავრობა, როგორ გაუშვეს ეგრე თავის ნებაზე, კაცო? — გაოცდა საშა.

— მთავრობა როგორ არ იყო. თიანეთის მაზრის უფროსამდის მივიდა ეს ამბავი და უმალ დაიბარა ბოქაული ოზიაშვილი:

— ახლავე წაიყვა ასი სტრაჟნიკი და ვაჟა-ფშაველა აქ მომგვარეო.

ოზიაშვილი ახტა-დახტა, საყელო გადაიგლიჯა და გაშიშვლებული მკერდი მაზრის უფროსს მიუშვირა.

— აი, ბატონო, დაუძახე იმ სტრაჟნიკებს და ეს წუთში აქვე დამხვრიტონ, ოღონდ მაგას ცოცხალი თავით ვერ ვიზამ. რას ბრძანებთ. ვაჟა-ფშაველას რო ჩვენი მიზეზით რამე დაემართოს, აღარც სასამართლო დაგვჭირდება და აღარც მოსამართლე, ხალხი იმავ წუთს ცოცხლადვე ჩაგვაქვავებსო...

ამ ლაპარაკს ვაჟას ერთი კარგი ნაცნობი შესწრე-ბია. მაშინვე გამოქცეულა და ჩარგალში მოვარდნილა. ყველაფერი უამბნია ვაჟასთვის და რჩევა მიუცია, სადმე გაქცეულიყო და დამალულიყო... ვაჟამ ამ კაცს კარგი პატივი სცა, მადლობა მოახსენა და უთხრა: „დაე, მოვიდნენ, განა ვინმე მოსწრებია. რომ ვაჟა მტერს გაჰქცეოდეს? მოვიდნენ და ვნახავთ. როგორ დაიჭერენ ვაჟა-ფშაველას.“

მაშინვე გაფერა იარაღი, გაამზადა ბერდენკა, იხმო ახალგაზრდები და დასძახა: „ვინა თქო ჩარგალელებზე, ჩარგალში ცუდი ყმანია? — აფხუშოდ-ჭიჭა-ხევამდის სამას ლეკს მოსჭრეს თავია!..“ აბა, მზად იყავით დასახვედრად!.. და სამი დღე-ღამე ამზადეს ტყვია-წამალი და ვაზნები, მემრე გავიდნენ ტყეში, სოფლის შესასვლელ-გასასვლელში ყველგან საყუჩები გაამზადეს და შიგ ჩასხდნენ. მთელი ორი კვირა იყვნენ იქ ჩასაფრებულნი. დანარჩენი ახალგაზრდობა სხვადასხვა ადგილებში გაანაწილა მტრის დასახვედრად იგრე, რო, ასს კი არა, სამას-ოთხას კაცსაც კი გაისტუმ-რებდნენ კუდამოძუებულს.

— აი, დედა ვაცხონე მაგისი და მამა! რა პოეტიც იყო, კაციც ეგეთი ნაღდი ყოფილა!..

— ეგრეა, ნაღდი კაციც იყო და ქისტებიც უყვარდა ძალიან.

— სხვათა შორის, ქისტებში ჩემს ელჩობას, გარდა იმისა, ოცდაოთხში ისინი რუსების წინააღმდეგ გამოსასვლელად მომემზადებინა, ის ნაყოფიც უნდა გამოეღო, რომ ქართველებსა და ჩეჩნებს შორის მტრობას ბოლო მოჰღებოდა. რადგან ჩვენი საერთო მტერი რუსეთი იყო. და, მართალი გითხრა, ხევსურეთის ამბოხების შემდეგ ამ ორ მეზობელ ხალხს შორის არავითარი თარეში და ერთურთზე დაცემა არა ყოფილა...

მთაში ძალიან მალე ვრცელდება ახალი ამბები. მთელ ქისტეთში დაირხა ხმა, ჩეჩნეთში ქაქუცას კაცები ჩამოსულანო. იქ ძალიან დიდი სახელი ჰქონდა ქაქუცასა და იმის რაზმს. საიდან აღარ დაიწყო ხალხმა მოდენა. იმათი წარჩინებული თავკაცები მოეშურებოდნენ ჩემს გასაცნობად. ათაბეისგან იცოდნენ, რომ მე ვიყავი ქაქუცას კაცი და ყველა მე შემომცქეროდა, მე მათვალიერებდა, გაკვირვებით მწონავ-მზომავდა. როგორც მერე როსტომი მიყვებოდა, თურმე ძალიან მოვწონდი: ნახეთ, რა ვაჟკაცია, რა ულვაშები აქვსო! მაშინ გადავწყვიტე. კიდევ უფრო მომეწონებინა თავი, თუ შემთხვევა მომეცემოდა. ეს შემთხვევა მალე გამოჩნდა, თუმცა ძალიან სარისკო კი იყო: თუ არ გამიმართლებდა, ჩემი ავტორიტეტი უეჭველად დაეცემოდა. მაგრამ ტყე-ღრეში ხეტიალმა და განუწყვეტელმა ლაშქრობა-შეტაკებებმა რისკს შემაჩვია. ერთხელ ათაბეის ნათესავთან ოცდაათ კაცამდის ვისხედით და საქმეზე ვსაუბრობდით. სად იყო, სად არა, ერთი დიდი ძერა გამოჩნდა და ჩვენს თავზე დაიწყო ტრიალი. იმდენ ხანს იტრიალა. შევატყვე, რომ ყველა უკვე მაღლა იყურებოდა. ჩემს დამოძღვრას პეწი თანდათან ეკარგებოდა. მაშინ ვიხუმრე: ეს ნამდვილად რუსებისგან მოგზავნილი მზვერავია და ჯაშუშობას გვიპირებს. ეხლა მე კარგად ვიყო და თქვენ არა გეტკინოთ რა, რომ ამას აქედან „დანოსი“ არ წავაღებინო-მეთქი! ყველამ მაშინვე გაკვირვებით მოატრიალა ჩემკენ თავი, რადგან კარაბინს გადავწვდი და ტუჩი ძერისაკენ ავუშვირე. ჯერ არ ჩამცხრალიყო იმათი გაოცება — ეს კაცი ხომ არ შეიშალა, ვის გაუგია ეგეთ სიმაღლეზე მფრინავი ძერისათვის სროლა, თანაც კარაბინისაო, რომ გავარდა კიდეც ჩემი თოფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავარდა, მაგრამ ძერა მაინც განაგრძობდა ცაში ლივლივს. მე სირცხვილით გაწითლება, იმათ კი სახეზე დამცინავი ღიმილის გამოხატვაც ვერ მოასწრეს, ძერამ დაკეცა ფრთები და ქვასავით წამოვიდა ძირს. ამის მხილველმა ჩეჩნებმა პირები დააღეს! მე, ვითომც ეს ჩემთვის სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იყო, განვაგრძე საუბარი. მაგრამ ვინღა გისმენდა. ყველა შებრუნდა და ბალღებისაგან მოტანილ ძერას აღტაცება-განცვიფრებით დაუწყეს თვალიერება, რადგანაც ტყვიას ძერისათვის კისერი წაეწყვიტნა... ამ შემთხვევამ კიდევ უფრო ასწია ჩემი პრესტიჟი... მერე სოფელ-სოფელ დაატარებდნენ იმ საწყალ ძერას და ყველას უყვებოდნენ მისი მკვლელის საოცარ ვაჟკაცობაზე... იქ დამსწრე ხალხმა თავიანთ სოფლებში წასვლისას წაიღ-წამოიღო ქაქუცას კაცების ვაჟკაცობა და იმათგან იარაღის სასწაულებრივი ხმარება. კიდევ უფრო მეტად დაიწყო ათაბეის სახლში ხალხმა დენა ჩემს სანახავად. ზოგიერთი დელეგაცია მთელი დღის სავალიდან მოდიოდა. ამოდენა ხალხს კი გამასპინძლება უნდოდა. აი, აქ გამომადგა ის ჩემგან ჩამორეკილი ცხენების რემა. ვიფიქრე: ნამუსიც კაი საქონელია-მეთქი და ათაბეის ვუთხარი: მე საკლავსა და სიმინდის ფქვილს ვიყიდი. შენიანები კი საჭმლის მომზადებაში მომეხმარონ-მეთქი. და თითო ცხენს ათ-ათ ცხვარზე დავუწყე გადაცვლა, ცხვრებს კი სიმინდის ფქვილზე. და გაჩნდა ყველაფერი, რადგან სტუმრები მუსულმანები იყვნენ და სასმელს არ ეკარებოდნენ...

— რაც იქ გადახვედი, ქაქუცასთან კავშირი აღარ გექნებოდა. მაშასადამე, არც საქართველოში დატრიალებული ამბები გეცოდინებოდა.

— მართლაც არა ვიცოდი რა. ძალიან ვწუხდი, მაგრამ გულს ის მიხალისებდა, რომ იმისი დაწყობილი გეგმები აქ, ჩემგან, კარგად მიდიოდა. იმედი მქონდა, ზაფხულის ბოლომდის, ბარის ქისტეთს რომ მოვივლიდი, უკვე შევძლებდი დაღესტანში გადასვლას და იქაური ხალხის დამოძლვრასაც. ქაქუცასაგან უამბობას მართლაც ძალიან განვიცდიდი, მაგრამ ერთხელ როსტომი მოვიდა ჩემთან და მეუბნება: ერთი ჩემი სოფლიდან გამოქცეული ბიჭია, — შამილ იქაიძე, ვიღაც კომუნისტი შემოჰკვდომია და ალვანში აღარ ედგომებოდა. აქ დაიღუპება. ძაან კაი ბიჭია და იქნება ჩემი ნდობით თქვენს რაზმში მიიღოთო. ვუთხარი: მოიყვა, მაჩვენე და პასუხს მერე გაგცემ-მეთქი. მოიყვანა. საშუალო ტანის, ჯანიანი, ოცდაექვსი წლის ლამაზი ბიჭი იყო. ზრდილობიანი, დარბაისელი და ჭკვიანური სახის პატრონი. ავუხსენი ჩვენი ბრძოლის მიზანი. ყველა ის საფრთხე და ძაღლუმადური ცხოვრება, რომელიც წილად არგუნა ჩვენს რაზმს დრომ და კომუნისტების განუკითხაობამ. შამილმა მითხრა: ჩემს მამა-პაპასავით ჩემი სულიცა და ხორციც ჩემს სამშობლოს ეკუთვნის და ქვეყნის ამაოხრებელი რუსების წინააღმდეგ ბრძოლაზე უკან როგორ დავიხევ? სიკვდილამდის თქვენთან ვიქნები ჭირშიცა და ლხინშიცო. მაშინ მე განვუცხადე: დღეიდან შენი თავი შეფიცულთა რაზმის წევრად ჩათვალე-მეთქი.

იმ დღიდან შამილი იყო ჩემი ფოსტის დამტარებელი ჩემსა და ქაქუცას შორის. ეგრე ეჭვსგარეშე ვანდობდი ფრიად საიდუმლო მიმოწერას ბელადთან. შამილი და ათაბეის უმცროსი ძმა ორ განუყრელ მეგობრად იქცა და დიდი გამბედაობით მიდი-მოდიოდნენ ქისტეთსა და საქართველოს შორის. როსტომი ძლიერ ნასიამოვნები იყო და დიდადაც ეამაყებოდა, რომ ეგრე უჭოჭმანოდ ვენდე მის სიტყვას და მისგან მოყვანილ კაცს.

— ეტყობა, მაგრად გაგიტკბა ათაბეისთან ყოფნა. იმ ბარის ჩეჩნებში სულ არ გიცდია ჩასვლა?

— როგორ არა, იქაც ჩაველი, მაგრამ მანამდე მინდა ათაბეისთან ყოფნის დროს მომხდარი ერთი საგულისხმო ამბავი მოგიყვე.

— რასაც კი მოჰყვები, ყოველთვის სიამოვნებით მოგისმენ.

— ჰოდა, ერთ დღეს, სხვა ჩეჩნებთან ერთად, ერთი ათაბეის ნათესავი ჩეჩენიც გამოჩნდა, რომელსაც ფართლეულით სავსე ხურჯინი გადაეკიდნა ცხენისთვის. მე თავისთავად, ჩემდაუნებურად მივაქციე ამას ყურადღება, რადგან დიდად გაწაფული ვიყავ და კარგადაც ვიცნობდი წითლების ზნესა და ხასიათს. ავდექ და გავეხუმრე: რა მარჯვე ბიჭი ყოფილხარ. ამდენი ფართალი სად დაითრიე. ამით ხომ მთელს აულს შეჰმოსავ-მეთქი. ჩეჩენმა, რომელსაც მთელი ხალხი განცვიფრებით მისჩერებოდა, ეშმაკურად შემომხედა, თვალების ჟუტვით გაიცინა და მითხრა: ეს იფართალი იმ ვირმა რუსებმა შენს მოსაკლავად მომცესო. ამის თქმაზე ხალხს ხარხარი აუტყდა. მაგრამ იმდენად მუტრუკები არიან, არ იციან, რომ ჩეჩნეთში ჯერ ისეთი გაუგონარი ამბავი არ მომხდარა, რომელიმე ჩეჩენს თავისი ნათესავის სტუმარი მოეკლასო. უმალ მივხვდი, რომ რუსებმა გაიგეს ათაბეისთან ჩემი ყოფნა და გადასწყვიტეს მისი ნათესავის მოსყიდვა ჩემს მოსაკლავად... ეხლა კი საჭიროდ ვცანი, დამეჩქარებინა ბარის ჩეჩნებში თავკაცად ცნობილ ალი მიტაევთან ჩასვლა. მერე მოვიდა მეფართლე ჩეჩენი ჩემთან და მითხრა: შენ მართლა არაფერი იფიქრო ჩემზე, მე ჩეჩენი ვარ და არამცთუ ნათესავის სტუმრის მოკვლა არ შეიძლება, თუ დაგჭირდა, დაგიცავ კიდეცო. მე ეს კარგად ვიცოდი და კვლავ გავეხუმრე: შენთვის რუსების ვირობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ჩემი დაცვა-მეთქი. ფართალი ახლა ეგრე ადვილი საშოვნელი არ არი, თუ კიდევ შემოგთავაზებენ, უარს ნუ ეტყვი, რა გენაღვლება, მოხვეტე, წამოიღე და მოიხმარე-მეთქი. მერე ისიც მითხრა: აქ ახლომახლო ჯარის პატარა ნაწილი იდგა, ეხლა გაამრავლეს და თან ზარბაზნებიც მოაყოლეს, რომლებიც წინათ არ ჰქონდათო. მე დავასკვენი: მაშასადამე, რუსები ჯერ ისეთი სუსტები არიან, რომ ჩეჩნებს იარაღის აყრას ვერ უბედავენ. მხოლოდ ცალკეული მკვლელების მოსყიდვა სურთ, რათა ქაქუცას კაცებმა აქაც აჯანყება არ მოაწყონ.

— ეს ალი მიტაევი რა კაცი იყო ბარის ჩეჩნებში?

— ისიც შეიხის შვილი იყო. ხალხს მამამისიც და თავად ალიც ძალიან უყვარდა. ძალიან დიდი გავლენა

ჰქონდა ბარის ჩეჩნებში. ურუსმართანში ცხოვრობდა. იმოდენა სოფელია ეს ურუსმართანი, სანამ ალის სახლს მივაღწევდით, მეგონა, ნახევარი ჩეჩნეთი შემოვიარეთ-მეთქი. ათაბეი მომყვებოდა თან... ძალიან თბილად მიგვიღო ალიმ. პირნაყვავილარი, შუატანის, კარგი შესახედაობის კაცია. ძაან კარგად ლაპარაკობს რუსულად და მასთან თარჯიმანი არ დამჭირებია. კარგად გვიმასპინძლა და ვახშმის შემდეგ დავსხედით სალაპარაკოდ. ჯერ ათაბეი ელაპარაკა თავის ენაზე. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

— ეხლა კიდევ უფრო კარგად ვიცი შენი აქ მოსვლის მიზეზი. ისიც გავიგე, რომ ადრეც ჰყოფილხარ ჩვენში და ძალიანაც მოგწონთ ჩვენი ხალხი და წესჩვეულებები. მაგრამ მე მინდა პირადად შენგან გავიგო, რა გაქვთ გუნებაში და რისთვის იბრძვით.

მე კიდევ ერთხელ მოვიხადე მადლობა ჩემდამი დიდი ნდობისა და კარგი მასპინძლობისათვის; შევაქე მათი ვაჟკაცობა, სტუმართმასპინძლობა და სიტყვის გაუტეხაობა; ვუთხარი: გვყავს ქისტი, ჩემი ძმობილი და ქატუცას პირადი ფარული მცველი, მეც და ქატუცაც ისე ვენდობით, როგორც საკუთარ თავს. ჩემი პირველად აქ ყოფნისას ის გამომყვა თან და მას შემდეგ თავი აღარ დაუნებებია... მერე თვითონ ალის მივმართე: ბატონო ალი, თქვენ კარგად მოგეხსენებათ თუ როგორ სარგებლობდა რუსეთი ერთმანეთს შორის კავკასიელთა უთანხმოებითა და მტრობით... ის არა მარტო ხელს უწყობდა, არამედ ცდილობდა კიდეც, უფრო მეტად გაემწვავებინა ეს შუღლი. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ცხოვრებაში ყველას მოსდის შეცდომები, მაგრამ შეცდომა ერთია და ამ შეცდომის აღიარება მეორე. ვინც დაშვებულ შეცდომას არ აღიარებს, ის იმ შეცდომას კიდევ დაუშვებს. დაშვებულ შეცდომას კი ხშირად შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვეს. მოდი, ჩვენ ნუ დავუშვებთ მამა-პაპათგან დაშვებულ შეცდომებს. დაე, ღმერთმა მაპატიოს ამისი თქმა და ვიყვნეთ მათზე გონიერნი. მე ჩემს პატარა ცხოვრებაში არც ერთი ჭკვიანი კაცი არ შემხვედრია, რომელსაც ერთსა და იმავე საქმეზე ორჯერ დაეშვას ერთი და იგივე შეცდომა. აი, დღეს ჩვენ ნათლად ვხედავთ ჩვენი წინაპრებისაგან და, აგრეთვე, ჩვენგანაც, დაშვებულ შეცდომებს, რომლებიც ძვირად დაგვიჯდა და ასევე ძვირად დაგვიჯდება ახლად დაშვებული შეცდომებიც. ჩვენი, მთელი კავკასიის შეცდომა ის იყო, როდესაც საქართველო ებრძოდა რუსებს, ჩრდილო კავკასია განზე იყო გამდგარი, ხოლო, როცა მთელი კავკასიის საამაყო შვილი — შამილი ებრძოდა რუსებს, საუბედუროდ, პატარა ნაწილი ქართველებისა მიემხრო რუსებს. და ეს მოხდა მაშინ, როცა მთელი კავკასიის ერებს ერთხმად და ერთპირად უნდა ებრძოლნათ რუსების წინააღმდეგ. მაგრამ, ბატონო ალი, გთხოვთ, გაიხსენოთ, რა განწყობილება იყო საქართველოსა და დაღესტანს შორის: როდესაც საქართველო ეომებოდა ვინმეს, დაღესტანი ზურგში გვიყრიდა მახვილს. ანგრევდა, სწვავდა, იტაცებდა ყველაფერს! ტყვედ მიჰყავდა ქალი, კაცი, ბავშვი, მიელალებოდა ცხვარ-ძროხას, ცხენებს და ყველაფერს, რის წაღებასაც არ დაიზარებდა. აი ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ, რუსების პროპაგანდის წყალობით, ნაწილი ქართველებისა შამილის წინააღმდეგ წავიდა. ერთი წუთითაც არ იფიქროთ, რომ მე ამ გარემოებას ვამართლებდე, პირიქით — მე ის მაწუხებს, რომ ჩვენი წინაპრების დაშვებული შეცდომები ეხლა ჩვენ გვიხდება ჭირად და კისრით საზიდად. მათ ვერ გაითვალისწინეს ის, რომ რუსეთი ჩვენი საერთო მტერია და საერთო ძალით უნდა ამოვუვსოთ ტყვიით ის პირი, რომელიც კარგა ხანია, რაც დაღებული აქვს კავკასიის პატარ-პატარა ერების ჩასაყლაპად. მთლიანად ჩვენ, კავკასიელები, ძალიან ვგავართ ერთმანეთს რაინდობით, ზნეჩვეულებებით, ტრადიციით და ბევრი რამ სხვითაც... მხოლოდ რელიგია გვაქვს სხვადასხვა. სამხრეთი ქრისტიანულია, ჩრდილოეთი მუსულმანური. მაგრამ ამან რად უნდა შეუშალოს ხელი ჩვენს ერთობას და ერთსულოვნებას? ჩვენს მეგობრობას და ჩვენს ინტერესებს? ჩვენ, ქართველებს გვყავნან ჩვენი მუსულმანი ქართველები, რაც სულ არ უშლის ხელს ჩვენს ძმობასა და ერთიანობას... ბატონო ალი, დღეს მე, ჩვენი ბელადისაგან გამოგზავნილი, მოვედი თქვენთან. ის შამილისა და ჩვენი წინაპრებისაგან დაწყებულ ბრძოლას აგრძელებს. მე მინდა გთხოვოთ პირადად თქვენ, როგორც დიდად გავლენიან პირს ჩრდილო კავკასიაში, გადასცეთ თქვენს ხალხს ჩვენი — ქართველების სურვილი და მისწრაფება, რათა ბოლო მოეღოს ამიერიდან ჩვენს შორის მტრობას და იმ საქციელს, რომელიც ესოდენ არ შეჰფერის ჩვენს ვაჟკაცობასა და რაინდობას. და, რომელიც, რა ხანია, ხელს უშლის ჩვენს ძმობასა და ჩვენი ქვეყნების თავისუფლებას... აი, ეს ვუთხარი იმ ღამეს ალის.

— დიდებულია! არა მგონია, უკეთესად კი არა, ამის მსგავსად ეთქვას სხვა ვინმეს ოდესმე. მაგრამ ის ალი, თუ მართლა იგეთი კაცი იყო, როგორადაც შენ აქ წარმოაჩინე, უეჭველად თავადაც გეტყოდა მაგაზე რამეს.

— დიდი ყურადღებით მისმენდა. როცა დავამთავრე, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: რაც თქვენ დღეს მე მითხარით, მიიღეთ ისე, თითქოს ეგ ყველაფერი მე მეთქვას თქვენთვის, იმდენად ამოჰკრიფეთ ჩემიდან მთელი ჩემი გულისნადებიო. მერე ათაბეის გადასცა ქისტურად ეს ყველაფერი. როცა ბოლომდე მოისმინა, ათაბეი წამოხტა და გულში ჩამიკრა. ბოლოს ალიმ თქვა: მე დიდად ვაფასებ თქვენს პატრიოტულ გულისთქმასო — რადგან გაგებული ჰქონდა ჩვენზე ბევრი რამ და განცვიფრებული იყო ჩვენი რაზმის უთანასწორო ბრძოლით იმოდენა მსოფლიო ვეშაპთან — ეხლა დაღლილი ხართ, კარგად მოისვენეთ, ხვალ კი შევუდგეთ იმის გაკეთებას, რა განზრახვითაც აქა ხართ ჩამოსულიო.

— მაშ, მოდი, ჩვენც შევისვენოთ და ხვალემ იცოდეს ხვალისა. — თქვა ლევანმა. საშას ძილი ნებისა უსურვა და მიწური დატოვა.

კარის მოკეტვის ხმაზე ცეცხლთან მჯდარმა კაცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიხედა. იცნო, ვინც იყო და კერასთან მიიწვია.

— მობრძანდით, ლევანა ძიავ, გათბით. — წამოდგა, ცეცხლს შეშა მიაყარა და კიდევ უფრო გააძლიერა.

— ოჰ, ბადურ, შენა ხარ დღეს მორიგე?

— ჰო, შუაღამემდის მე ვიქნები.

— ერთი ეს მითხარ, სადაური ბადურაშვილი ხარ?

— წინანდლელი.

— ბადურაშვილები თიანეთისკენ სახლობენ.

— ეტყობა, ჩვენც იქიდანა ვართ გადმოსულები.

— ჰო, როცა ბარი მტრის შემოსევისაგან ათხელდებოდა, ისევ მთა ავსებდა სიცარიელეს... რამდენი წლისა ხარ, ბადურ? — და ცეცხლის შუქზე ბიჭის სახეზე ახლად წამოსული შავი ულვაშების ბიბინს დააკვირდა.

— იმ თვეში გავხდები თვრამეტისა.

ლევანამ გაიკვირვა.

— კაი ტროყი ბიჭი კი ჩანხარ. როდის მოხვედი რაზმში?

— როგორც კი ჩვენი ბელადი გავიდა ტყეში და წინანდლის თავზე გადმაიარა.

— შენ რა იცოდი ბელადის ასავალ-დასავალი?

— ერთ ღამეს მძინარი წამომაგდო მამაჩემმა ლოგინიდან, ეს თოფი და ეს პატრონტაშები წამმკიდა, ზედ კაი მოზრდილა საფერავით სავსე ტიკჭორა დაუმატა, თავად სანოვაგით სავსე ხურჯინი გადაიკიდა მხარზე და შუაღამისას მთაში, იმის ბინაზე ამიყვანა.

— აი, ბელადო, ოთხი ბიჭი მყავ, უფროსი შენ მოგგვარე ჩვენი ქვეყნის ჭირის სანაცვლოდ. იმსახურე და ასწავლე სამშობლოს სიყვარული, იმისთვის თავის განწირვა. დანარჩენი სამიც როგორც კი დაიბუმბლებიან, ისინიც საქართველოს სადიდებლად მომირთმევიაო.

ბელადი გადაეხვია და გადაკოცნა. დიდი მადლობა მოახსენა, მაგრამ რაზმში კი ჩემს მიღებაზე უარი განუცხადა.

— რათა, კაცო, რით დაგიწუნა ეს მგელივით ბიჭი?

— აბა, როგორ გითხრა... ბალღიაო... წაიყვაო, ჯერ გაიზარდოსო.

— მაშ, აქ როგორ მოჰხვდი?

— მამაჩემი ჩემზე უარესი ჯიუტია. — უკან არ დაუხევნია: მეფე ერეკლე რომ პირველად ომში შავიდა, ამოდენა იყოო. ის მეფე ერეკლე იყო, ეს კი ბალღიაო. მაშინ პირზე ბალნის ნასახიც არა მქონდა. მამაჩემი ბურღივით არი, რასაც მიადგება, უნდა გაბურღოს! ეუბნება: გამოსცადეო. რა გამოცდა უნდა, ზედ არ ეტყობაო? გამოსცადე, გარედან რა უნდა შაატყოო? მამაჩემი სოფლის მწერალია. სუ ის უწერამს ხალხს არზებსა და ათასნაირ ქაღალდებს. იმდენი რამე იცის, სუ რო დაწეროს, ერთი ვეფხისტყაოსანი გამოვა. ჰოდა, ადგა და ერთი ამბავი მოუყვა... რაც ბელადმა მაშინ იცინა! რაზმელები ხო მუცლებს ველარ იჭერდნენ ხელში.

— რა უამბო იგეთი?

— აბა, იმას შენთან როგორ ვიტყვი, უფროსი კაცი ბრძანდები.

— უფროსიო? წელან უფროსი არ ვიყავ, ელიზბარს რო მიადექი და შაირი არ გაუმრუდე?

— ის ხო შაირობა იყო, ლევანა ძიავ.

— ეხლაც იგრე მოჰყევი, ვითომ ელიზბარს ეშაირები...

— კარგი... ჯანდაბას, ვიტყვი: ერთხელ ერთმა კაცმაო — ეუბნება მამაჩემი ბელადს — რაღაც მიზეზის გამო კაცობა დაკარგა და, ცოლთან რამდენიც დაწვა, იმდენჯერ არაფერი გამოუვიდაო. ცოლმა ითმინა, ითმინა და ბოლოს სახლიდან გააგდო — წადი, დამეკარგე აქედან, თვალითაც აღარ დამენახოო. წავიდა ის საწყალი ქმარი, სად არ იყო, სად არ იარა, ვის არა ჰკითხა, ვისთან არ მივიდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაშინ ვიღაცამ ურჩია: წადი საზღვარგარეთ, იქ ბევრ რამეს არჩენენ და იქნებ შენც გეშველოსო. წავიდა ეს კაციც. იქ მართლა გადაეყარა იგეთ ექიმს, რომელმაც მაარჩინა. ამ კაცმა თავისი „იარაღი" იქვე გამოსცადა და შინ გახარებული დაბრუნდა. მიადგა თავის ცოლს შუაღამისას. საშინელმა კაკუნმა ფეხზე წამოაგდო მძინარი დედაკაცი. ვინა ხარ ამ შუაღამისას, რა კარებს მიმტვრევო? მე ვარ, შენი ქმარი, გაალე კარიო. ცოლმა რო ქმრის ხმა გაიგონა, გადაირია! წადი, ახლავე დაიკარგე აქედან, შე ცვედანო, თორემ ქვეყანას თავზე დაგცემო! ქმარმა გარედან დაუძახა: კაცო, ჯერ გამაიხედე, კარგად დაინახე, რით ვაკაკუნებ და მემრე ამომკარი პანღურიო!.. აი, ეგრე მიაღებინა ბელადს ჩემი თავი... მემრე კი, გაგიხარიან, საცა ძალიან ჭირდა, მე და ჩემი თოფი!..

— მაინც ეგრერიგად სად გამოადგა ბელადს შენი თოფი? — იკითხა ლევანამ, როცა თავადაც მოათავა სიცილი.

— სადაო? მა ი კისისხევის საყდრი გუმბათიდან ვინ ჩამოსო ზედ ქედანივით შამამჯდარი კომისარი ძულიაშვილი?

— ძულიაშვილი?.. როგორ, ეგ საქმე შენი ნაოსტატარია? აკი ღმერთმა დასაჯა, ეკლესიის ჯვარს რო ამტვრევდა, შიგ თავში დასცა მეხიო?

— ჰოდა, ის მეხი მე ვიყავი.

— ეგრე გეადვილება კაცის მოკვლა?

— ჩვენ კაცებს არა ვკლავთ, ჩვენ მხოლოდ კაცების მტრებსა ვხოცავთ. ის ძულიაშვილი მარტო კაცებისა და კაცობისა კი არა, ყველაფრის მტერი იყო. იმასა და იმის თანაშემწეს ხალხის თვალწინ ეკლესიებიდან გამოჰქონდათ ხატები, ძველი წიგნები, ღვდლების ჩასაცმელი და ყველაფერ ამას იქვე უკიდებდნენ ცეცხლს. წინანდალსა, ქვემო ხოდაშენსა და კისისხევში გაანადგურეს ყველფერი. გუმბათზე ჯვარი მხოლოდ კისისხევის საყდარსღა შემორჩა. ეს ძლიერი საყდარი იყო და ვერავინ გაბედა მაღლა ასვლა იმის მოსატეხად. მაშინა თქო იმ ძულიაშვილმა: აბა, მე ავალ, მე მოვამტვრევ კვირას იმ ჯვარს და თქვენვე გაყურებინებთ, რა ფეხებსაც მამჭამს თქვენი ღმერთიო!.. მოგვივიდა ამბავი: ეგრე და ეგრეა საქმე, ამ კაცმა ააწიოკა მთელი სოფლები, მოგვაშორეთ როგორმე თავიდანაო... ბელადმა ორი კაცი გამოგვარჩია: აბა, ეხლა გამოჩნდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თვალჩუბინებიცა ხართო. ნამდვილად კარგ დროს დაუნიშნია ჯვარის მომტვრევა, ზედ გუმბათზე უნდა მოკვდეს ეგ ღვთის მგმობელიო... მე ჭიპი იმ ადგილებში მქონდა მოჭრილი, მაგარამ ყოველი შემთხვევითვინ, წინა ღამეს მაინც დავათვალიერეთ იქაურობა. ჩასაფრების ადგილიც კარგა შავარჩიეთ. ღამიანად მივედით მე და სულხანიშვილი საფარში. ძაან ჟღმურტლიანი დღე გათენდა, საწვიმრათ გამზადებული. დროდადრო თითო იგეთს დაიქუხებდა, ღმერთმა შეარცხვინოს იმასთან მეფე ერეკლეს ზარბაზანი. ელვა წარამარა იკლაკნებოდა მთიდან მთაზე... ჩვენ ბუჩქებში ვწევართ გორაკის თავზე. დურბინდში ჩანს ხალხით სავსე ეკლესიის ეზო. ძულიაშვილს დაუჭერნია კარგა მორდილა ჩაქუჩი და ეკლესიის გუმბათზე მიხოხავს. ხალხის ყაყანი გაურკვევლად მოდის ჩვენამდინ, მაგრამ ორივე ვგრძნობთ, წყევლა-კრულვით ადევნებენ თვალს ამ ურჯულო სანახაობას. როგორც კი ავიდა კომისარი გუმბათზე, ფეხი კარგა მაიმაგრა და ჯვრის მოსამტვრევად დაჰკრა ჩაქუჩი, ცის დაქუხებასთან ერთად გავარდა ორი თოფი და ეს შენი ძულიაშვილი კისრის მტვრევითა და ბლარტაბლურტით წამოვიდა ძირს!..

— შენ ამბობ, რომ ხალხმა თოფის ხმაც ვერ გაიგო?

— ვერა. ხალხს ეგონა, რო გაჯავრებულმა ღმერთმა დაჰკრა თავისი მეხი და იმან გააგზავნა იმისი სული პირდაპირ ჯოჯოხეთში!.. ატყდა საყდრის ეზოში წივილ-კივილი, ხტუნვა-ცუნდრუკი სიხარულისაგან. ჩვენამდინ მაადწია იმათმა ძახილმა: „ვერაა, ვერ დაჰცა თავისი მეხი იმ ულმერთო თავზე ამ ქვეყნის ამამგდებს?! აკი ღმერთი ვერაფერს მიზამსო?!!"

ჩვენ, რაკი ჩვენი მოვალეობა მოხდილად ჩავთვალეთ, დინჯად, ფეხაკრეფით გავწიეთ ტყისკენ. იმ პირშავის მოშორებით კმაყოფილები პირნათლად წაუდექით ჩვენ ბელადს...

— მაშ, რაკი ქაქუცას საშასთან დაუწყვილებიხარ, მაგარი მსროლელი ჰყოფილხარ.

— როცა ეგეთი რამეა, ბელადი ან მე მგზავნის, ან საშას, ან ჩვენ პოეტ მიხას და ან იმ მოლექსე ხევსურის ბიჭ მგელიკას. იგრე კი, არა მგონია, რომელიმე ჩვენი რაზმელი ჩვენ ბევრით ჩამოგვივარდებოდეს სროლაში...

ცეცხლთან დუმილმა კარგა ხანს დაივანა. ბადურს ეტყობოდა, მარტოობა მოჰყირჭებოდა. ძალიან უნდოდა, ვინმე მოსაუბრე ჰყოლოდა გვერდით, სანამ მისი შემცვლელი მოვიდოდა. ამიტომ ენამრავლობდა და კატასავით შესციცინებდა შეფიცულთა თვალში ამ თავისებურ, გულჩათხრობილ, გამოუცნობ კაცს, კაცს, რომელთანაც ყოფნა რაღაცნაირ პატივისცემასა და მოკრძალებას იწვევდა.

ლევანა მიჰხვდა ამას და დაინტერესდა:

— თქვენ ტყვეებს მართლა ჰხოცავთ?

— ტყვეებს? — მოულოდნელი იყო ეს კითხვა გუშაგისათვის. — პირადად მე არც ერთი ტყვე არ მამიკლავს.

— ალბათ, ახალგაზრდობით გერიდებიან. მითხრეს, რო დაგიხოცნიათ. არც არი გასაკვირი. — აბა, სად წაიყვანოთ, რას უზამთ, რა უნდა ასვათ და აჭამოთ ტყვეს, როცა თავად თქვენ გიჭირთ თითონ...

— ტყვეებს უწინ სუ არ ვხოცავდით. ყველა ერიდებოდა ტყვეების დახოცვას. ერთხელ, ქოდალოს ტყეებიდან რო მოვდიოდით ქიზიყისკენ, ერთ ხეობაზე გამოვიარეთ, მზე ახალი ჩასული იყო, რაზმის წინ საშა სულხანიშვილი და სერგო მაისურაძე მიდიოდნენ, მოსახვევში ექვსი მილიციელი შემოჰხვდათ, სერგო და საშა მზად იყვნენ და, რო შეუძახეს, მაშინვე ხელები ასწიეს. ბელადმა ოთხი კაცი კიდევ მიაშველა და აჰყარეს იარაღი. ჩვენც მივედით. მიჰცვივდნენ ჩვენები და კინაღამ იქვე მიბეგვეს: თქვე უჯიშოებო, სხვა საქმე ვერ იშოვნეთ, რო ჩვენ არ დაგვდევდეთ? სამშობლოს გამყიდველებს მიჰკედლებიხართ, კომუნისტების სამსახურში შაჰსულხართო. მაგრამ ბელადმა იპატია ყველა, გაუშო და დაარიგა: მილიციაში ნუ მსახურობთ და პარტიაში ნუ შახვალთ, თორემ, თუ მეორედაც ჩაგვივარდით, მე ველარას გიშველითო. ერთხელ ერთი ეგეთი ამბავი მოხდა: ერთ კაი მაგარ ჯეილს, მილიციელს, დაეკვეხნა — რა გახდა ეს ქაქუცა, სულაც მარტო წავალ და ხელფეხშაკრულს მოგიყვანთ აქაო. უზუნდარის ბრძოლაში სწორედ იმას მოჰხვდა ქაქუცას ნასროლი ტყვია უკან... საჯდომში. რაზმელებმა იცოდნენ იმისი კვეხნის ამბავი და კინაღამ იქვე არ გაათავეს — აბა, ეხლა დაიჭირე ქაქუცაო! ქაქუცამ ბრძანა, დაჭრილს არაფერი დაუშავოთ. ჩაჰხადეთ ნიფხავი, ჭრილობა შეუხვიეთ და გაუშვითო. როცა შეუხვიეს, ქაქუცამ უთხრა — ახლა შენ კაი პანღურის ღირსი ხარ, მაგრამ ტრაკი აღარ გივარგა და სად უნდა ამოგკრათო? წადი შინ, გამოიმუშე და ამის შემდეგ იგეთი რამე დაიკვეხე, რისი ტრაკიც გექნებაო... იმის გარდა, ათი-თორმეტი კაცი სხვა ჩაგვივარდა ტყვედ. ქაქუცამ დასხა ისინი, თავადაც გვერდით მიუჯდა და ჭკვაზე დაარიგა: ჩვენ რუსებს ვებრძვით; ქართველ ხალხს თუ კომუნიზმი უნდა, ჩვენ არ დავუშლით, ოღონდ რუსის ჯარი გაიყვანონ აქედან, საქართველო დამოუკიდებელი უნდა იყოს. ამიტომ ნუ შახვალთ პარტიასა და მილიციაში. აი, ხო ჰხედამთ, დღეს ჩვენ, ქართველები, ერთმანეთს ვხოცამთ. მემრე რათა? იმისთვინა, რო რუსების საქმე და იმათი მგლური მადა, საქართველოს ჩაყლაპვის მადა დავიცვათ?.. მემრე ადგა და სუყველა გაათავისუფლა...

— მე კი ვიცი, რომ ტყვეებსა ჰხოცავთ.

— წელანაც გითხარი, ძია ლევან, რო პირადად მე არავინ მამიკლავს. მაგრამ რაზმში ტყვეების მოკვლა მაშინ დავიწყეთ, როცა თვითონ დაგვიპირეს დახოცვა.

— ტყვეებმა? ეგ ცოტა პირის მოსაწმენდი ხომ არ არი?

— არ მიყვარს ტყუილი. სუ თავიდან იგრე მოხდა, რო ოზაანელმა ლადომ მოკლა ტყვე.

— მაშ, მართალი ყოფილა. აბა, ტყვეს რა უნდა დაეშავებინა?

— თავიდან, ლევანა ძია, არავინ არავის არაფერს უშავებს. იმ ლადოს კი...

— ეგ ლადო ვინ იყო? მე აქ ლადო არავინ მეგულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეხლა აღარც არი. ძალიან თავისებური კაცი იყო, საწყალი, ვაჟკაცური და თავზეხელაღებული. ყარალაჯის ტყეში შემოგვიერთდა. უსწავლელი, მწყემსი კაცი იყო, მაგრამ ძალიან ამაყი და თავისებური. მარტო დედა და ერთი გაუთხოვარი და ჰყავდა. კომუნისტებმა ვერაფრით დაიმორჩილეს. ამისთვინ გადაეკიდნენ და მთელი სახლ-კარი აუწიოკეს. იმისი დაც და დედაც კინაღამ ცემით მოკლეს, რადგან სახლიდან ავეჯის გატანას არ ანებებდნენ. ამ დროს მოკლა ის, ვინც ამ ძარცვა-რბევას უფროსობდა და გავარდა ტყეში. გავარდა და ჯავრს არავის არჩენდა: რო გაიგებდა, დღეს სოფელში ხალხს შაჰკრიფავენ და აგიტატორი ილაპარაკებსო, მიეპარებოდა საიდანმე და ტყვიას ტყვიაზე უშენდა. აბა, იმ დროს იქ ვიღა დადგებოდა? — იღრიჭებოდა ბადური. — თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ ის შენი აგიტატორები. თან ხალხსაც უთვლიდა: კრებაზე ნუ დაჰდიხართ, თორემ არავის დაგზოგავთო... აეგრე დაეხეტებოდა, როცა ჩვენმა რაზმელმა, იმისმა ნათესავმა ქიმბარამ უთხრა ბელადს: — ბელადო, მართალია, ი ბიჭი ახლა ყაჩაღობს, მაგრამ თუ რაზმში მიიღებ, თავის დღეში აღარ იავკაცებსო. მაიყვანეს. ბელადმა აჰხედ-დაჰხედა და ძაან მეეწონა. აუხსნა, ვინ ვიყავით და რისთვინ ვიბრძოდით. მემრე დაარიგა: „ჩვენ რაზმში ყაჩაღებს ადგილი არა აქვთ. შენ, რაკი ჩვენი რაზმელი ჰხდები, მჯერა, რო დღეის ამას იქით რაზმისთვის სამარცხვინოს არას ჩაიდენ!“ საწყალმა ბიჭმა დაიჩოქა, ბელადს მუხლებზე მოეხვია და უთხრა: „აი, შენი მუხლების ჭირიმე, ხალხში ხმაც დიდი გაქვს დაგდებული და ჭკვაც დიდი გქონია. შენი მოღალატე ღმერთის მოღალატე იქნება. და თუ როდესმე შენთვინა და ამათთვინ თავი დავინანო, ღმერთმა დედის ხსენი ბალღამათ ამომანთხევინოს, ხალხმა კი სახალხოდ ჩამაქვაოს.“ მართლაც, ცხონებული სანამ დაგვეღუპებოდა, თავის სიტყვას არ გადასულა...

— თუ არ გადასულა, მაშ, როგორ მოკლა ტყვე?

— აბა, როგორ გითხრა, იმ კაცს ლადოს თვალში ტყვეც არ ეთქმოდა... იმ შვიდ კაცში, რომლებიც დავატყვევეთ, უეცრად ლადო მიჰვარდა ერთსა ყვირილით: „ააა, ეს შენა ხარ მაგარი ჯეილი, დედაკაცებს რო დეერიე კეტით, ჰცემე და ოჯახი დამინგრიე-დამიწიოკე?!“ ლადოს ფიცხი ხასიათი ვიცოდით და სულხანიშვილი გავარდა იქით მაშინვე, მაგრამ ვეღარ მოასწრო. ესღა გაიგონა: — არა, ლადო, მართალი არ უთქომთო!.. როგორ არა, შენ იყავი, შენი დედაო — და დაჰკრა მაშინვე თოფი. დაჰკრა და იქვე გადააქცია ის მშვენიერი მოსხლეტილი ვაჟკაცი... რო დაჰხედა საშამ, იგრე მეეწონა, გამწარებულმა კინაღამ თავისი განთქმული ულვაშები დაიგლიჯა... „აი, რა დღეში ჩაგვყარეს რუსებმა! ძმა ძმასა ჰკლავს და მეზობელი არ ინდობს მეზობელს! რათა, რისთვინ, რა უნდათ რუსებს, რატო არ მოგვასვენებენ ამ ჩვენს მიწა-წყალზე?!“ იმ ტყვეებს სამი შეფიცული ჰყარაულობდა. ვერც ერთმა ვერ მოასწრო ლადოს შეჩერება. ტყვეებმა იფიქრეს, ესენი ცოცხალს არ დაგვტოვებენო და ერთი კაი მაგარი ჯეილი ეცა სერგო მაისურაძეს თოფის წასართმევად. იგეთი მაგარი იყო, წაართმევდა კიდეც, საშას რო არ მიესწრო. — გაუშვი, თორემ გესვრიო. ვინ დაუჯერა? ჩაბღუჯული ეჭირა სერგო და თავად უკან ეფარებოდა. თანაც თოფის წართმევას არ იშლიდა. კიდევ უთხრა: გაუშვიო. არ გაუშო. გაუშვი, თორემ მოგკლავო. არც მაშინ გაუშო. საშასთანა მსროლელი არა მგონია საქართველოში ბევრი იყოს და, როცა ერთხელ კიდევ უთხრა და არც მაშინ გაიგონა, ესროლა... იმის მემრე დიდხანს დადიოდა გამწარებული, თავის თავზე გამწყრალი და გაჯავრებული, იგრე დეენანა იმისთანა კარგი ვაჟკაცის მოკვლა. მაგრამ სხვა გამოსავალი არცა ჰქონდა, შეიძლება სერგოსთვინ თოფი წაერთო... იმის მემრეც, მაღაროსკარის ბრძოლაშიც გაიმეორეს ეგეთი რამე ტყვეებმა... მემრე და მემრე, რაკი ჩვენებსაც ბევრსა ჰხოცავდნენ დაბეზღებით, ღალატით თუ ტყვედ ჩავარდნილი დაჭრილების გაუსამართლებლად ჩახოცვით, ჩვენც დავიწყეთ არჩევა ტყვეებში ყველაზე გაფუჭებული ხალხისა და ვხვრეტამდით...

— როცა ომობ, მაშინ მტერსა ჰკლავ, მეომარი ხარ და მტერსა ჰკლავ. მაგრამ როცა ტყვედ მიგყავს, მაშინ ის მეომარი კი არა, ჩვეულებრივი ადამიანია, კაცია! ესე იგი, ტყვის მკვლელი კაცის მკვლელია! — თქვა მოღუშულმა ლევანამ.

ბადური დუმდა. გაკვირვებული მისჩერებოდა შეფიცულთა ახალ ნაძმობს, მაგრამ ჯერაც თითქმის შეუცნობ კაცს.

— აბა, მშვიდობის ღამე გქონდეს, ბადურ. ცეცხლს ნამეტან ნუ გააძლიერებ, თორემ წაჯე-უკუჯექიაობას გასწავლის. ცეცხლი დიდკაცივით არი: თუ ძაან ახლო მიხვალ, დაგწვავს, ძაან მოშორებით და — შეგცივა. — ლევანამ ნაბადი მჭიდროდ მოიხვია და თავისი მიწურისაკენ გასწია... რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ მორიგის ხმა დაეწია. ლევანა მოტრიალდა.

— რაო, ბადურ, დამრჩა რამ მანდა?

— მე მითხრეს... მითხრეს...

— მართალია, გეტყოდნენ. ჩემთვისაც ხშირად ბევრი რამ უთქვამთ... მაინც ვინ რა გითხრა?

— მე მითხრეს... ვითომ... ლევანა ძია...

— ჰო, რაო ლევანა ძია?

— ვითომ... ჩვენ დაგვდევდაო...

— მემრე რაო, მთელ დუნიაზე ყოველთვის ვიღაცა ვიღაცას დასდევს.

— ჩვენიანებსა ჰხოცავდაო... ზოგიერთებს ჰჯერათ კიდეც.

— დევნაზე მართალი უთქომთ, ხოცვაზე კი... ჩემი ტყვია არც ერთ თქვენიანს არ გაჰკარებია.

— არა მგონია, ეგრე ცუდად ისროდე. ბელადმა თქო...

— ჰოდა, რასაც ბელადი გეუბნება, ის დაიჯერე.

— მე კი მჯერა ბელადისა, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი რაზმელი...

— ბადურ, შენ მაღაროსკარის ბრძოლაში იყავი?

— ვიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელ მხარეს იყავი?

— ხიდისკენ ვიწექი, ყორის უკან.

— კარგად გახსოვს ის ბრძოლა?

— კაი ბრძოლა იყო, იმას რა დამავიწყებს?

— აბა, თუ გახსოვს, ყველა მხარეს ყიჟინით რო გაედევნეთ მტერს, რატო არაგვს გაღმა არ გახვედით ხიდზე?

— ხიდის ყურთან, ტინებში, ტყვიამფრქვევი იდგა და არ გაგვიშო, სანამ მეტყვიამფრქვევეები არ დავხოცეთ.

— ის ტყვიამფრქვევი რო არ გაჩუმებულიყო, იმ ბრძოლას მოიგებდით?

— არ ვიცი, ის რო არ გაჩუმებულიყო, გაღმა ვერც გავიდოდით. აკი ვერც გავედით, სანამ არ დავხოცეთ.

ცეცხლის ალზე თეთრმა მაგარმა კბილებმა გაიელვა.

— არა, ჩემო ბადურ, თქვენ მეტყვიამფრქვევეები არ დაგიხოცნიათ.

— როგორ თუ არ დაგვიხოცნია?.. ან შენ საიდან იცი, დაგვიხოცნია თუ არა?

— ჩემზე კარგად ვინ იცის, ბადურ, ის მეტყვიამფრქვევე მე ვიყავი...

— რას ამბობ, ლევანა ძიავ! — ამის თქმამ ფეხზე წამოაგდო ჩოლოყაშვილის ფხიზელი გუშაგი. — მაშ, ის ორი კაცი ვინ იყო, ტყვიამფრქვევთან რო მირბოდ-მორბოდნენ?

— კომკავშირელები იყვნენ, გამოუცდელი ბიჭები, ტყვიამფრქვევის ლენტებს ეზიდებოდნენ...

— მაშ, შენ გვესროდი?

— დიახ, მე გესროდით. მაგრამ რომელიმე თქვენგანს ჩემი ნასროლი ტყვია მოჰხვედრია?

— ვერც მოგვარტყამდი. ყორის უკან ვიწექით, სკოლის აღმოსავლეთით რო ყორეა.

— იმ ყორეს რა ტყვია გაატანდა!

— თქვენ ყორის უკან გეძინათ?

— გვეძინა? როგორ თუ გვეძინა? მაშ, ის თქვენი ლამაზ-ლამაზი კომკავშირელები, შენი ლენტების მამტანი ჯეილები, როგორ გავგზავნეთ მიქელ-გაბრიელთან?

— აგაშენათ ღმერთმა! ვინც ისროდით, ხო უნდა დაგენახათ, ყორის იქით ვისაც ესროდით?

— უნდა დაგვენახა, მაშა! მაი იგრე როგორ უნდა მოგვეკლა?

— ჰოდა, მეც ვხედავდი. მარტო ვხედავდი კი არა, იმასაც ვატყობდი, ზოგიერთი გამოუცდელი სროლის დროს როგორ ასცილდებოდა ხოლმე ყორეს მკერდმ-დის. მე რო ტყვიები ყორისათვის არ მეტყლაშუნებინა და ტყვიამფრქვევი იგრე დამეყენებინა, რო ყორედან წამოყოფილი ყოველი თავი მომეცელნა, მაშინ რას იტყოდი? აბა, თქვენს ბელადსა ჰკითხე, როგორი სროლა ვიცი.

— ჰოო, ეგ ვის მოუვიდოდა თავში აზრად... ჩვენ კი რამდენს ვიცინოდით. სროლა არ იციანო. ერთი ჩვენა გვქონდეს ეგეთი ტყვიამფრქვევი და დედას ვუტირებდით მაგათო!

— მერე? მეტყვიამფრქვევეები ხომ დაჰხოცეთ, რატო არ აიღეთ ის ტყვიამფრქვევი?

— სად იყო ტყვიამფრქვევი! გაქცევისას თან წაიღეს.

— ის ტყვიამფრქვევი არსადაც არ წაუღიათ. ეხლაც, ალბათ, იქ განისვენებს, არაგვის მორევში, სადაც თავის ლენტებიანად მოვისროლე, როგორც კი მოწმე ვერავინ დავლანდე ჩემს ირგვლივ. შემეძლო კი საღამომდინ ხიდს იქით არავინ გამომეშვით. საღამოს კი მაშველიც მოვიდოდა... სხვათა შორის, ისიც მე ვიყავი, ტინებიდან ვინც გამოვარდა და ავლაბრის კომისარს უყვირა: გაიქეცით, ქაქუცა ზემოდან ალყას გვარტყამსო!.. — და ხიდს იქითა მხარეც წამოცვივდა და გაიქცა!..

— მაშ, შენ ჩუმად ჩვენ გვემხრობოდი?

— არა, თქვენ ჩემთვის მოწინააღმდეგეები იყავით.

ბადური გაოგნებული დუმდა. მერე ძლივს ამოიდგა ენა.

— მაშ ეხლა... ეხლა ჩვენთან... რამ მოგიყვანა ჩვენთან, ლევანა ძიავ?

ლევანა მობრუნდა და ღიმილით მიაჩერდა ცეცხლთან ჩამომჯდარ დაბნეულსა და გაოგნებულ ბიჭს. მერე დაიხარა და თითქმის ყურში ჩასჩურჩულა:

— ჭკვიანი რო თავს მოისულელებს, ნუ ჰკითხავ, რათა, ეს იმ ჭკვიანი კაცის საიდუმლოა.

სახტად დარჩენილი მორიგე დიდხანს გაჰყურებდა თავისი მიწურისაკენ მიმავალ ნაბდიან ლანდს და ეს კაცი კიდევ უფრო შეუცნობელი გახდა მისთვის...

***

ზამთარი ნელ-ნელა იწურებოდა. იწურებოდა შეფიცულთა რაზმის მოთმინებაც. ყინვა-ყიამეთში სამოქმედო ასპარეზი ზომაზე მეტად შემცირდა. მეკავშირეები იშვიათადღა ჩნდებოდნენ. ბარისა და ქალაქის ამბებს დახარბებული რაზმელები ერთ ადგილს ვეღარ დგებოდნენ. ახალგაზრდა მკლავს, თვალსა და მუხლს გაშლა, გატოკება და სივრცე სჭირდებოდა. ბელადი კი პატარ-პატარა, მხოლოდ უსახელო, შეუმჩნეველ საქმეებზე თუ გაგზავნიდა ორ-ორ, სამ-სამ კაცს. დიდ საქმეთაგან ავი ზამთრის პირობების გამო თავს იკავებდა. ყველაზე მეტად კი უტანსაცმლობა აწუხებდათ. რაზმელებს ტანზე შემოალპათ, შემოადნათ, შემოეფლითათ ყველაფერი. თმაწვერგაბურძგნილნი თავიანთ პრეისტორიულ წინაპრებს ისე დაემსგავსნენ, მათი მნახველი ეჭვმიუტანლად იწამებდა დარვინის თეორიას ადამიანის წარმოშობაზე. განსაკუთრებით „ასტინა“ — ლელო ჩიქოვანი იყო შავ დღეში. ცხვირპირდამჟავებულ შეფიცულთა გასამხიარულებლად ნამეტანი მცდელობისაგან, ზედა ჩასაცმელს ვინ ჩივის, ქვედა — შარვალი ისე ჰქონდა შემობლვლერძილი წარაუკმო ხტუნვა-ხტომაში, თავისი „უძრავ-მოძრავი ქონება“ სააშკარაოზე, ურცხვად უჩანდა დედიშობილად. რა უნდა ექნათ? ბელადმა უყოყმანოდ გაიღო მთელ რაზმში ერთადერთი საბანი და სულხანიშვილმაც, რომელსაც უკვე შეეძლო საზამთრო ბინების მოედანზე და ქოხებში

ეროვნული ბიბლიოთეკა



უჯიხო სიარული. ეს საბანი წელზე მზრუნველად შემოახვია თავის „ცირკის" მთავარ მსახიობს. მერე იძრო ხანჯალი, ლაჯებშუა დაუნანებლად ჩასცა და იქიდან კოჭებამდე „ჩაჭრა-ჩააკარაბაკა", შემდეგ მისდგა და მსხვილი, მაგარი ძაფით ორთავ ბარძაყებზე ცალ-ცალკე ტოტებად გამოუკერა „მშვენიერი, ახალ მოდის" კოვბოური შარვალი. ლელომ დიდი ღირსებით შეიფერა იგი და შესამოწმებლად, ყველაფერში თავისუფლად ვიხმარებ თუ არაო, რამდენჯერმე ჩაიხადა-ჩაიცვა, კიდევ ერთხელ „სრული შემადგენლობით" აჩვენა მთელ რაზმს თავისი „ავლადიდება" და, ნიშნად მადლობისა, რამდენჯერმე შეკუნტრუშდა თავისებურად, რითაც კიდევ უფრო გაამხიარულა მთელი ბანაკი.

არ გავიდა დიდი ხანი და მეკავშირისაგან რაზმში ამბავი მოვიდა: ახმეტის რევკომის თავმჯდომარე თიანეთში აპირებს წასვლას თორმეტი მილიციელითო.

დიდი ხანი იყო, რაც შეფიცულნი ამ კაცზე კბილებს ილესავდნენ და ყოველი მათგანი უმალ მიხვდა, რომ დადგა ჟამი მასთან ანგარიშის გასწორებისა.

ბელადმა უმალ დაიწყო ამ საქმეზე წამსვლელ რაზმელთა შერჩევა.

ახტა-დახტა სულხანიშვილი:

— შვიდი კაციდან პირველი თუ არა, მეშვიდე მაინც მე უნდა ვიყოო.

ბელადმა უარი უთხრა და დანარჩენმა რაზმელებმაც მხარი აუბეს:

— შენ ჯერ ფეხი ბოლომდის არ მოგრჩენია და ვერ გაგიშვებთო.

— რას ლაპარაკობთ, რაღა დროს ფეხია, მთელი თვეა, უსაქმურად ვგდივარ აქა და ნაცარსა ვქექავ. საქმეზე კი სულ სხვები დადიან!

— შენც რა გენაღვლება, იჯექი შინა და ჩვენს დაბრუნებამდის უჩვენოდ ქექე ეგ ნაცარი, რა, ღმერთმანი, არ გემარჯვება ნაცრის ქექვა? — ცხვირი გვერდზე წაილო „ძიამ".

რაზმი ახითხითდა.

ბელადსაც აუგრიხა ღიმილმა პირი.

საქმე ის გახლდათ, რომ „ძიას" ძალიან უყვარდა ცეცხლთან ძილი. „საფიხვნოში", სადაც თხუთმეტ კაცამდის ეტეოდა, გაიშხლართებოდა, ფეხებს ცეცხლს მიუფიცხებდა და დილამდე გაუნძრევლად ეძინა ნებიერად, რადგან ჩაუქრობლად ენთო კერა მთელ ღამეს. გუშინწინ, რაღაც ეშმაკად, არ დაეძინა საშას. გამოვიდა თავის ქოხიდან, მიუჯდა მიშა ნაცვლიშვილს, რომელიც იმ ღამეს მორიგეობდა და უთხრა: მაინც არც შენა გძინავს, მაინც არც ერთს არაფერი გვაქვს საკეთებელი, მოდი, ამაღამ ერთად ვაწვალოთ „ძიაო"... მიშა შეშას ეზიდებოდა, საშა ნაცრიდან გავარვარებულ ნაკვერჩხლებს ქექავდა და „ძიას" ფეხებს უმარჯვებდა. „ძიას" სცხელოდა, წრიალებდა, ტრიალებდა, ძილს ვერა და ვერ ართმევდა თავს და მწოლიარე თანადათან უკან-უკან მიჩოჩავდა ზურგით. საშა კი ყოველ გაჩოჩებაზე კვლავ ქექავდა გაღუებულ ნაკვერჩხლებს ნაცრიდან და ისევ ფეხებთან უგროვებდა ისეთნაირად, „ძიას" მელოტი თავი „საფიხვნოს კარისაკენ ყოფილიყო მიმარჯვებული... ამგვარად იმდენი აჩოჩა და აჩოჩა, „ძიამ" ბოლოს „საფიხვნოს" გარეთ გაყო თავი, გაყო და ქანჩივით მოუჭირა კიდეც ყინვამ. მაშინ კი, როგორც კი იგრძნო აუტანელი სიცივე, უმალ წაართვა ძილს თავი და საბრალო წამებულმა ინკვიზიტორთა ხითხითზე ჭყიტა თვალები. როგორც კი საშა დალანდა, მაშინვე წამოვარდა ფეხზე. „მაინც ჩემი სიკვდილი გინდა, სულხანიშვილო?! მაინც არ მეშვები? კარგი, მაგ სურვილსაც აგისრულებ ბოლოს და ბოლოს! წადი, ნებიერად გამაიძინე, სამაგისოდ შენ აღარ გაგრჯი, გავალ, თოვლში ჩავწვები და იქ მე თითონ გავიყინები!" — დაავლო ხელი თავის ფარაჯის ნაგლეჯს, ცეცხლში ჩაუძახა, თავად გარეთ გავარდა და თოვლზე გაიშხლართა. ნაცვლიშვილმა ჰაერშივე სტაცა ხელი შინლის ნამუსრევს და ცეცხლამდე არ დაუშვა. მერე თვითონაც მივიდა და ორმა დიდი ხვეწნითა და ფეფრებ-ფერებით ძლივს გადააფიქრებინეს ამ მიუვალ ტყეში მამონტივით თოვლში ჩაყინვა...

ჯიუტი იყო ბელადი, მაგრამ საშა არანაკლები ჯიუტი გახლდათ. ასე, რომ აისხა იარაღი და დავალების შესასრულებლად შვიდ კაცს გაუძღვა წინ.

რაზმმა მთელი დღე წასულთა ლოდინში გაატარა.

შუაღლე კარგა ხნის გადასული იყო, რომ ყრუდ, ძალიან ყრუდ მოაღწია ჯერ ერთბაშმა ბათქმა და მერე კანტიკუნტმა სროლამ...

მოსაღამოვდა თუ არა, ბელადი აწრიალდა:

— ლევან, ოთხ სამეულს წაიყვან და წასულთა კვალს გაჰყვები. არა მგონია, საშამ თავი ადვილად წააგოს, მაგრამ ეშმაკიც ფხიზლობს. როცა დრო ირევა, კაციც და ქვეყანაც კალაპოტიდან ვარდება. არ ვიცი, რა მოხდა, ძალიან დაიგვიანეს.

ლევანამ ორი სავაზნე გადაიჯვარედინა და თოფს მისწვდა, რომ აღმოსავლეთ საგუშაგოდან ორი თანაბარზომიერი გრძელი სტვენა გაისმა.

ბელადმა თავისუფლად ამოისუნთქა.

შემოვიდა წასულთა ჯგუფი და წინ ცხენზე ყეენივით შემომჯდარი სულხანიშვილი შემოიძღოლა. „ყეენმა" უნაგირზე ხურჯინივით გადაკიდებული ტომრები შემოიტანა.

„ოჰოო! ეს რა უნდა იყოს?!"

ბელადმა საშას ამპარტავნული შემოსვლა კარგის მაუწყებლად მიიღო და თვალებით ჰკითხა: ეგ რა ტომრებიაო?

— რევკომის თავმჯდომარის გამოსასყიდია.

— როგორ თუ გამოსასყიდი?

— გამოსასყიდი, რომელიც თიანელებმა გაიღეს ახმეტის რევკომის თავმჯდომარის სიცოცხლისათვის.

— კარგი, ანგლობა მაგ ცხენზევე დატოვე, ჩამოდი და მოჰყე, რა მოხდა ან ეს ტომრები რას ნიშნავს. ხომ აგისრულდა, რაც გიწინასწარმეტყველე, კიდევ კარგი, ცხენი გიშოვნიათ.

— მართლაც ცუდ დროს მიღალატა ფეხმა, ძლივს მივაღწიე სათიანო გზამდის. თოვლი კი იდო იქითაც, მაგრამ იგრე იყო ერთმანეთში კაცისა და პირუტყვის ნავალი გათქვეფილი, ფიქრი არ იყო ჩვენი ნაკვალევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამჩნევისა. შევარჩიე გზის მონაკვეთი და, რაკი ვიცოდი, იმ გზას ვერ ასცდებოდა, საიმედოდ ჩავსაფრდით. მე, როგორც კოჭლს, მაღლობი ადგილი მომიჩინეს, საიდანაც, თუ გაჭირდებოდა, ჩემი კარაბინი უნდა ამემუშავებინა. იქიდან ხელისგულივით ჩანდა ის მოსახვევი, საიდანაც რევკომი უნდა გამოჩენილიყო. საღამომდის გაუნძრევლად ვისხედით, მაგრამ იმის გამოჩენას არ დაადგა საშველი. უცებ თიანეთის მხრიდან ახმეტისკენ მომავალი ცხენების ფეხის ხმა მოვიდა ჩვენამდის. დურბინდით გავხედე. ორცხენშებმული რაღაც ოთხთვალა მოდიოდა, რომელსაც შვიდი რვა ცხენოსანი მილიციელი მოაცილებდა. ჩვენ, დაბოლმილებმა, რაკი ახმეტელი ჯალათი ვერ ვიგდეთ ხელთ, იმათ მოახლოებისთანავე დავსხლიტეთ თოფები. ერთი მილიციელი მოკვდა, ორი დაიჭრა, დანარჩენებმა მოკურცხლეს ჩვეულებრივ. მერე დატენილი ტომრები ვნახეთ და ფულით სავსე აღმოჩნდა.

„ფულიო?!" — მთელმა რაზმმა ერთბაშად იბღავლა.. ასეთი სიხარული, ალბათ, ციხიდან ქაქუცას გაქცევას თუ გაუტოლდებოდა. ფული იყო ახლა საგაზაფხულოდ ყველა რაზმელისათვის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, იარაღი, ტყვია-წამალი, თამბაქო და ათასი რამ წვრილმან-მსხვილმანი. ხოლო ლელო ჩიქოვანისათვის — კაი მაგარი ძაფით შეკერილი შარვალი, რომლის გარღვეული უბიდანაც მისი მთავარი „იარაღი" საჯაროდ აღარ გამოჩნდებოდა. ახლა აღარც დამკომთან ლიჯინი და აღარც პარტიებთან შეთანხმება-შეუთანხმებლობა დასჭირდებოდათ.

— არა უშავს, რაკი ახმეტის რევკომმა ამჯერად სიცოცხლის ფასად ფულადი ხარკი გაიღო, ნუ დავღონდებით, ღმერთი სამობით არიო, ხვალ თუ ზეგ მაინც ჩვენი არჩივია. შენ კი, საშა, ვატყობ, ცხენისთვის ძუაზე ფიჩხის მობმა დაგვიწყებია.

რაზმელებმა მხიარულად ჩაიხითხითეს.

— საჭიროდ არ ვცანი. ჩვენს იქით ზამთარი წელში გატეხილა და თოვლჭყაპად მიდის, აღარც ცხენის ფლოქვს იმჩნევს და აღარც კაცის ნატერფალს.

— აბა, მაშ „დავსხდეთ ჯარზედა" — მიხა ხელაშვილმა ნაბადი გვერდზე მოიქცია და ფანდურს ჩამოჰკრა:

*— ჰა, გიდი, სულხანიშვილო,*
*ლაშქრად მავალო ცდაზედა,*
*შინიდან ფეხით გასულო,*
*ცხენით მამდგარო კარზედა,*
*ვის გაუგია ტომრების*
*ნაზამთრალ ფოთლით დავსება?*
*რაზმელებს ფული ჰგონიათ,*
*ჩაიდონ დასტა-დასტებად.*
*რა დღეშიც ეგენ არიან,*
*შენ მტერიმც დაინავსება,*
*შიმშილით მალე მუცლები*
*წელებზე გაელასტებათ...*

— რაო? ტომრებში ნაზამთრალი ფოთლები ყრიაო? — სულხანიშვილის მორიგ ანგლობაში დაეჭვებული ელიზბარ ვაჩნაძე წამოხტა, იძრო ხანჯალი და ერთ ტომარას დანდობილად დაუსვა. ფულის დასტებმა ცხენის ცალ მხარეს მიწა დაფარა.

სიხარულით გადარეულმა რაზმელებმა ერთხელ კიდევ იბღავლეს „ვაშა!"

ეცნენ და ელვის უმალ წამოკრიფეს ერთბაშად გამომტყვრალი „საუნჯე".

გაფართხულ ნაბადზე გულაღმა გადავარდნილი მიხა გულიანად ხარხარებდა ელიზბარის გაბრიყვებაზე.

უნაგირზე ამაყად მჯდარი, ზომაზე მეტად ულვაშაპრეხილი საშა ციმციმ ასწიეს ცხენიდან და ეგრევე ციმციმ დააბრძანეს საპატიო ადგილას, — მგელიკას რჩევით, — „საფიხვნოს" თავში...

სულხანიშვილს ამ დღის შემდეგ კვლავ გაუმიზეზდა ფეხი, რამაც ლევანას კვლავ კარგი საბაბი მისცა ავადმყოფის ხშირ-ხშირი მონახულებისა, ქისტეთისა და „შეფიცულთა რაზმის" განვლილი გზის ამბით დატკბობისა, დროის მოკვლისა, რადგან მის სრულ გამოჯანმრთელებას კიდევ სამი-ოთხი კვირა დასჭირდა...

ცხენს შეეჩვივნენ, რადგან პირუტყვიც თავად ძალიან თვინიერი გამოდგა. ყველა რაზმელმა შეიყვარა. ეხლა თივისთვის სოფლად ვერავინ ჩავიდოდა. ხისა და ჯაგის ძირებში უგროვებდნენ ნაზამთრალ ბალახს და იმას აჭმევდნენ. მერე გაეჩვია და თავადაც ცოტ-ცოტად შოულობდა დღის სარჩოს. საღამოს მოვიდოდა ბანაკში და იცდიდა რაზმელების მიახლოებამდის. როგორც კი რომელიმე შეფიცული შეამჩნევდა, მაშინვე მივიდოდა, ეფერებოდა, წმენდდა და საჩუქრად ხმიადის ნატეხსაც დაიდებდა ხელის გულზე. ტყედგავარდნილთათვის ეს დიდი გასართობი და კიდევ უფრო მეტი რამ იყო, რადგან აქ არც კატა ჰყავდათ, არც ძაღლი, არც სხვა რამ ცხოველი და მომხ დურთაგან მამულის დასახსნელად თავგადადებული მეომრები ნათესავ-ახლობლებზე მთელ დაუხარჯავ სიყვარულს ამ ჭკვიანი პირუტყვის მოვლა-ფერებაში ხარჯავდნენ.

ლევანამ მოყვანისთანავე გაუსინჯა კბილები, თავი და ყურები კარგად შეათვალიერა, მკერდს დააკვირდა, წინა და უკანა ფეხების სიგრძე შეამოწმა, ჯიდაოდან გავამდე თვალი გაავლო, ოდნავ წინ დაშვებული და უკან აწურული მუცელი გაისიგრძეგანა და კარგად შენახულ, ჭარმაგ თუშურ-მთიულური ცხენის ნაჯვარად გამოაცხადა. მისი ურემში შებმაც შეიძლებოდა და დოღში გაყვანაც. მაგრამ ქაქუცას თანამებრძოლებს არც ერთში სჭირდებოდათ და არც მეორეში. იგი მათთვის ტკბილი, თბილი, შინ, — საკუთარი კერის ახლოს გატარებული ცხოვრების ნაღვლიანი გახსენება იყო...

როგორც კი თოვლი მიწაში აილუფხა, შეფიცულთა ბანაკს მოაწყდნენ მეკავშირეები. დღე ერთი იყო და რამდენიმე სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულის გამასპინძლება უხდებოდა მალაქიას. ერთი-ორჯერ დამკომიდანაც მოევლინნენ და კარგა ხანს იყვნენ ბელადთან მიწურში ჩაკეტილები. ბოლოს კი თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკოვნიკი სოლომონ ზალდასტანიშვილი ეწვია.

ცუდი ამბები ტრიალებდა ქართველი პატრიოტების ირგვლივ. უჭირდა „დამკომს", უჭირდა „სამხედრო კომისიას", უჭირდათ მაზრების სამხედრო წარმომადგენლებს, უჭირდა შტაბსაც, რადგან ბევრი კარგი მუშაკი იგდო ხელთ ჩეკამ და მრავალი მათგანი გამოტეხა კიდეც, რამაც თებერვალში დანიშნული გამოსვლები გაურკვეველი დროით გადადო...

მაგრამ წელიწადის დროთა ცვლილებამ, ჩვეულებრივ, ადამიანთა ბუნებაშიც გამოიწვია ცვლილებანი. ახალმა ტანსაცმელმა კი თვით „ძიასაც" გამოუკეთა გუნება და სულხანიშვილის ოინებს შეარიგა. მხოლოდ ერთადერთი ლევანა იყო, რომელსაც ამ საერთო გამოცოცხლებამა და საბრძოლო ანთებამ კიდევ უფრო მოჰგვარა ნაღველი. მართალია, საშა ჩააცივდა: რას უნდა მისწეროდა ასეთი საგაზაფხულო ცვალებადობა, მაგრამ შეფიცულთა „ცირკის უფროსისა" და „ასტინას" მწვრთნელისათვის არაფერი გაუმხელია. რაზმელებს სახარხაროდ ვერ გაუხდიდა ახალგაზრდობიდან კისრად წამოდებულ „ყვავის ცოდვას". რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი: ღმერთს უნდა განდობოდა, პატიება უნდა ეთხოვნა. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო სამი რამის გამო: ჯერ ერთი, — თავის სიცოცხლეში არასოდეს არავისთვის პატიება არ უთხოვნია, — იგი ზიზღს ჰგვრიდა; მეორე, — არა სჯეროდა ღვთის არსებობა; და მესამეც: თუ მართლა სადმე ღიმლამობდა ყოვლისშემძლე, ლევანას თვალში დიდი მეთავისე-პატივმოყვარე გახლდათ, რადგან განუწყვეტლად და თანაც საჯაროდ იღებდა ქრთამად ლოცვასა და მსხვერპლს სანთლის, პურისა და ხორცის სახით. ხოლო ანგარებიანი ღმერთი უკვე ღმერთი აღარ იყო!..

ბევრი ფიქრის შემდეგ, გადასწყვიტა და ბელადის ქოხის კარი შეაღო.

— ქაქუც, შენ მიცვალებულზე ქისტების „ზარი" მოგისმენია? სადაც დედაკაცები სდუმან, ხოლო კაცები „ზარს" ამბობენ? არა? ჰოი, რა ამაზრზენია! მსმენელს მთელ ტანზე ბალანს უშლის, გულ-გვამს უციებს და სხეულს უფშხალავს. მაგრამ სულ სხვაა ჩვენი, ფშავ-ხევსურული „ზარი", სადაც კაცები სდუმან, ხოლო დიაცნი ხმით ტირიან მონაცვლეობით. და აქ მთავარი არა „ზარია", არამედ ის სიტყვები, რომელთაც რითმიან თუ ურითმო ლექსად ტირილ-ქვითქვითით ეუბნებიან მიცვალებულს.

— ეგ კი საკმარისზე მეტი ვნახე ამ წლინახევრის წინ ჩვენი უღღეური მთავრობისა და უთაური პარტიის წყალობით.

— ვერონაში დედისერთა ბიჭს ასაფლავებდნენ. ხევსურეთში დედის ძმებთან ასულს, — იქ, ჯიხვებზე ნადირობისას, კლდეზე გადაჩეხილს. იწვა ვეება ვაჟკაცი და მკვდარიც კი თითქოს კუბოში ვერ ეტეოდა. თავთით დედა ეჯდა და დასტიროდა. ეხლაც ყურებში მიდგას იმისი ყოველი სიტყვა და ხმის მიმოქცევა. მოთქვამდა და დანარჩენი დედაკაცები ქვითქვითით აძლევდნენ ბანს:

*„ჰოი, მგლის-მუხლა მენადირევ,*
*აი, ჰო-ჰო-ჰო, აიიი!*
*ჯარჯივით რა ხელ გადაჰყევი*
*იმ სატიალე ჯიხვებსაე.*
*ფეხ ქვე მავისხლტა ჭიუხზედა,*
*კლდეთ ქალმის თასმით დაეკიდე,*
*სამ დღე, სამ ღამე იქ ეკიდე,*
*თავს მარტო არწივ დაგყაშყაშებდა,*
*ქალმის თასმამ ვერ გიპატივა,*
*გაწყდა და ქვესკნელს ჩაიხვეწე,*
*ძირს ზვავმ დაგიდვა საგებელი,*
*ქვიშანი საბნად გადაგხურა,*
*შე დედის ობლად დარჩენილო,*
*რახელ მავხელა სიკვდილმაე,*
*ნეტავ სიკვდილსმცა მისცა შვილი,*
*იმას სხვა სიკვდილ შამაჰყარა...*
*აი, ჰა-ჰა-ჰაია-ოჰოჰოჰოოო!!!*

ამ ამაზრზენმა „ზარმა" ბელადიც შეჰზარა და ტანზე ტაო აუშალა, რადგან ლევანას ტკბილი ხმა ჰქონდა და ოსტატურად ბაძავდა მონადირის დედასა და მოქვითქვითე დიაცთ.

ერთხანს ორივე სდუმდა.

მერე მასპინძელმა იკითხა:

— ვერ მივხვდი, ლევან, მაგის გახსენება რაში დაგჭირდა ან ჩემგან რა გინდა. ეს ერთი ხანია, თვალყურს გადევნებ და ეგრე გულდამძიმებულს ვერც რამეს გეკითხები, რადგან კარგად მახსოვს შენი შეგონება: ველოდებოდი, როდის გათქმევინებდა შენს დარდს შენივ დარდი.

— ყვავის ცოდო მადევს, ქაქუც, და ვერ მომინელებია. რა ხანია, შიგნეულს მიღრღნის, არ მასვენებს.

ბელადი წუთით შეცბა და სტუმარს გაკვირვებით მიაჩერდა.

— რა ყვავის ცოდო, რის ყვავის ცოდო? — იკითხა ბოლოს.

— ერთი უბრალო, ჩვეულებრივი ყვავისა.

— რაღაც ვერ მივხვდი... ეგ როგორ უნდა გავიგოთ?

— მისმინე, ქაქუც, ჯეილობაში სათიბში ბალახსა ვთიბდი. ხეზე ჩამოკიდებული ჩანთიდან ყვავმა პური ამომაცალა. იმ დღეს არაფერი... მეორე დღესაც მშიერი დამტოვა! მაგრამ როცა მესამედაც იგივე ჩაიდინა, — აღარ ვაპატიე ქურდობა!.. ორას-სამას ნაბიჯზე ერთი დიდი მუხის კენწეროზე ბუდე შევნიშნე. ავედი. ხუთი კვერცხი ედო. ჯერ ბუდის დაშლა და კვერცხების დამტვრევა მინდოდა, მერე მზაკვრული რამ მოვიფიქრე სასჯელად. ჩამოვიტანე ის კვერცხები, კონსერვის კოლოფში მოვხარშე, მერე ავიტანე და ისევ ბუდეში ჩავუწყე... დიდი ხნის შემდეგ გამახსენდა. ცნობისმოყვარეობამ წამძლია. ავედი იმ ხეზე და დავხედე... საწყალი ყვავი შვილების გამოჩეკის ლოდინში დაჰკვდომოდა ბუდეს. უამინდობასა და ქარ-წვიმას მაღლიდან იგრე გაეყვითლებინა, კურტუმსა და ფრთების წვერებზელა შერჩენოდა ბუმბული. და იმასაც, რაც

შვილების გულისთვის თავგანწირულისგან დარჩენილი-ყო, მატლი და ჭიაღუა დაჰპატრონებოდა... მას მემრე ზოგჯერ მესიზმრება ხოლმე. მოდგება და ძირიან-ფესვიანად მილებს წყევლა-კრულვით...

— აკი, სიზმრისა არაფერი მჯერაო?

— არა მჯერა, მაგრამ როგორც კი ეგ დამესიზმ-რება, უეჭველად რაღაც ფინთი რამე უნდა გადამხდეს.

— ეხლაც დაგესიზმრა?

— არა, იმ ღამეს დამესიზმრა, როცა ცოლ-შვი-ლის ამოწყვეტის ამბავი ჩამომიტანეს... მეგონა, შენ-თან ყოფნა მაინც გამინელებდა ამ ჩადედებულ ბალ-ღამს, მაგრამ ამ ბოლო დროს მომეძალა და ველარ და ველარ გავიქარწყლე.

— ერთ ადგილზე ტრიალმა და უმოძრაობამ იცის. ზამთრის ბრალია. ვერსად გავედით საქმეზე. ეხლა კი ტყე შეიკვირტა, მალე გაიფოთლება და ყველას გვეშ-ველება. სპარსელები ამბობენ: ასი ალაჯის გავლაც პირველი ნაბიჯიდან იწყებაო. ჩვენ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმული გვაქვს და ამ ზაფხულს ჭენებით უნდა გავიაროთ ის დარჩენილი მანძილიც...

— ეხლაც ის „ზარი“ დგა ჩემ სულში, ქაქუც, — ზარი ამაზრზენი, გულის მომწყვლელი. მბურღავს და მბურღავს ორთავ ყურებს: „ნეტავ სიკვდილსამც მის-ცა შვილი, — იმას სხვა სიკვდილ შამაჰყარა...“

— მე მესმის შენი ტკივილი, ლევან, მაგრამ ჩემთვის გაურკვეველია ყვავიც და იმისი ცოდოც. ამაზე, ალ-ბათ, უნდა დავფიქრდე. შენ კი გირჩევ, ილოცო, იქნებ როგორმე გულზე მოგეშვას.

— არა. ვერაფერს მიშველის. ძაღლის ლოცვა რო ღმერთამდის ადიოდეს, ციდან ძვლების წვიმა მოვი-დოდა... მე ვარ ის სიკვდილი, რომლის შვილებსაც სხვა სიკვდილი „შამაეყარა...“

იჯდა ქაქუცა და უმზერდა უსაშველოდ დამწუხ-რებულ შეფიცულს. ასეთი ლევანა არც ენახა და ვერც წარმოედგინა. აშკარა იყო, მიუხედავად ამოდე-ნა ჯარ-ჯამაათისა, მარტოობის სენი ღრღნიდა და სტანჯავდა.

— რის გაკეთება შემიძლიან შენთვის, ლევან?

— ხვალ ბიჭს რვა წელი უსრულდება, გოგოს ათი. ერთ დღეს არიან დაბადებულნი. ამ ზაფხულს ხუთი წელი გახდება, რაც მიწისქვეშა საქართველო-ში გადასახლდნენ... ამაღამ გამიშვი, იმათ საფლავებს დავხედავ და დილითვე აქა ვარ.

—ერთ ღამეში? ერთ ღამეს ჯანაანში ჩახვალ და მერე აქ ამოხვალ?

— მხოლოდ ერთი ღამე დამჭირდება. მე ვიცნობ ერთ პატარა კაცს, რომელიც ჯანაანიდან თბილისში ჩადის და ამოდის ერთ დღეში.

— ეჭვი კი არ მეპარება შენს სიცქაფეში, მაგრამ მე სხვას ვფიქრობ.

— თუ სხვას ჰფიქრობ, მაშინ დავივიწყოთ, რაც გითხარ.

— არა, არა, ლევან, სულ სხვას ვფიქრობ... რაკი მისდიხარ, იქით ხომ არ გარისკავდი და ჭურღულიას ხომ არ ინახულებდი?

— თუ საჭიროა, სატანასთან მისვლაზეც არ ვიტ-ყვი უარს. როცა ვირს ქორწილში ეპატიჟებიან, კარ-გად იცის, რო იქ შეშაც უნდა ზიდოს და წყალიც... მართალი გითხრა, სანამ რუსის წინააღმდეგ ჩემი თვალით არ ვნახავ ქართველთა წამოშლას, მანამდის თითქმის სულერთია, ჭურღულია გამომგზავნის შენ-თან თუ შენ გამგზავნი ჭურღულიასთან. განსხვავება მხოლოდ ის იქნება — ერთთან უნდა ვითითლიბაზო, მეორესთან გულის ბუხარი გავიწმინდო. მითხარ, რა უნდა გადავცე და იქიდან რა უნდა ამოვიტანო იმის გარდა, რაც მე თავად უთქმელად ვიცი.

— რაფო! რაფიელ!

— აქ ვარ, ბელადო!

— ამ საღამოს მიწურში არა ვარ.

— მესმის, ბელადო! — უკანვე გაიკეტა კარი ერ-ისთავმა.

***

ჭურღულიამ პირი დაალო ღამეული სტუმრის დანახვაზე.

— ეს რას უნდა მივაწეროთ, ლევან? — და თე-ძოზე ხარბად შეავლო თვალი, რომელზედაც აბგა არ ეკიდა, მითუმეტეს — ქაქუცასთავიანი! შეავლო და წამიერად მოიღრუბლა.

ლევანა უმალ მიხვდა მოღრუბვლის მიზეზს, თვალი აარიდა საწერი მაგიდის გატეხილ მინას და ოდნავ გაიღიმა.

— წუხელ გატეხა პატიმარმა მუშტის დარტყმით. წუხელვე ვახლევინე. ეხლა, ალბათ, მიქელ-გაბრი-ელთან ზის ვახშმად.

— დასანანია.

— ის გარეწარი?

— მაგიდის მინა.

— ხვალ დილითვე გამოვაცვლევინებ.

— გამოცვლა არ იქნება, სიტყვა შუშა არ არი, კაცმა ადვილად გატეხოს. ჩვენ ამ შუშაზე შევთანხმ-დით.

ჭურღულიამ თვალი მოჭუტა.

— ჯერ კიდევ ცივა, არ ვარგა სიცხიანი სიარუ-ლი ამოდენა გზაზე.

— შენ სიცხეს მაშინ ნახავ, თუ შუშას გამოსცვ-ლი. გულმავიწყობა ხშირად დიდად საზიანოა. ჩვენი შეთანხმებით, ამ შუშაზე უნდა დავდო ქაქუცას თავი.

— ნეტაი შენ, ლევან, რომ ყოველგვარ სიტუაცია-ში შეგიძლიან ხუმრობა.

— ხუმრობა სიმართლის შიკრიკია.

— არავითარი შიკრიკობა. სიტყვა სიტყვაა, — შენ ლევანა ხარ და სიტყვას ვერ გასტეხ.

— თუ გამოსცვლი, მაშინ შეიძლება შემეშალოს.

— როგორ თუ შეგეშალოს?

— ისე, შეიძლება ქაქუცას თავის მაგიერ შენი თავი შემოვდო.

— აბა, აბა, ჯანაშვილო, ნამეტანსაც ნუ შეტოპავ, თორემ შენისთანების დასაჭკვიანებელი წამალიც ვიცით.

— ასმა ყარაღმაც კი ვერ გაძარცვა ერთი შიშვ-ელ-ტიტველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— კარგი, გეყოფა ანგლობა, აბა, დაფქვი, რა ხდება ტყეებში.

— ძალიან ძნელ ამბავს შევები. თითქმის შეუძლებელს. თავს ვიმტვრევ დღედაღამ ფიქრით და, ლამის დავიჯერო, რო არაფერი გამოვა.

— რაო? კაცმა იმდენი მოახერხე, რომ იმათ ხროვაში „ძმად" შეძვერი, იმათი ნდობა-პატივისცემა მოიპოვე და იქ მისულ ლევანას არაფერი გამოუვიდეს?

— მე მულიდი არა ვარ და ქაქუცა ჩალათა ნონიი.

— ვინ ჩალათა, რა მუმლიდი, რაებს არაკუნებ, ლევან? შენ რაღაც იმ კილოზე არა ჩანხარ, აქედან რომ წახვედი.

— ცხონებული ვაჟა-ფშაველა იტყოდა ხოლმე: ქარი ხშირად იგრე არ უბერავს, როგორც ეს ხომალდებს უნდათო... ბინებს მოხერხებულად აშენებენ, გარშემო კი ყველაფერს ნაღმავენ. უნდა გენახა, რა ალაყ-მალაყები მაკეთებინეს, სანამ ბანაკში შევიდოდით. წინ კაცი მიმიძღოდა და, სადაც ის დასდგამდა ფეხს, მეც თუ იმის ნაფეხურზე არ გავივლიდი, მაშინვე ჰაერში აღმოვჩნდებოდი ნაწილ-ნაწილ აფრენილი. ალბათ, ჩემს წერილს ნახავდით, მენახირის ქოხში რომ დავტოვე. კარზე მუდამ ყარაული უდგა. — კაი, მაგარი ჯეილი. იქვე, მოედანზე შუაცეცხლი ანთია, რომელსაც მუდმივი მორიგე უზის. ბანაკის ირგვლივ სახუნდარებია მოწყობილ-შენიღბული. ერთ მხარეს კი განსაკუთრებული მცველი ჰყავს, რომლის ქოხის კედელი ქაქუცას ქოხის კედელიც არი. იმ კედელში კი ორი თითქმის შეუმჩნეველი ნაჩვრეტია. ერთში ნაგნის ლულაა გაჩრილი, რომელსაც ქაქუცას მხრიდან გამხმარი მელიკუდას კონა ჰფარავს, მეორე ნაჩვრეტი სათვალთვალოა. თავად ქაქუცას სისწრაფე და სისხარტე, შენც კარგად იცი, რო მთელს კავკასიაში საარაკოა. ერთი მაუზერი მუდამ წინ, ქამარში აქვს გაჩრილი, ერთიც, რამდენადაც შევატყე, თავთან, ნაბდის ქვეშ, თივაშია შემალული. თითონ, ბუნებით, ძალიან უნდო და ეჭვიანია. ჰყავს თავისი, გამორჩეული, რამდენიმე კაცი, რომელთაც შედარებით უფრო ენდობა. დანარჩენთა შესვლა იმასთან შეუძლებელია.

— ღმერთმანი, ძალიან მიკვირს, ეგეთმა მშიშარა კაცმა როგორ დაიგდო ეგეთი სახელი.

— შიში და სიფრთხილე ძალიან არა ჰგავს ერთმანეთს. ქაქუცა თავზეხელაღებული კაცია, მაგრამ ძალიან ჭკვიანი და ფრთხილი. იქ, სადაც მეორე ქოხიდან სათვალთვალო ნაჩვრეტია, მცველი ზის თვალმოუცილებლად, როგორც კი ქაქუცა ქოხში შევა. ეს, მე მგონია, მისი ერთ-ერთი თანაშემწის, ქაქუცას გიმნაზიის მეგობრისა და ახლო ნათესავის, მეორე არანაკლებად თავზეხელაღებულის, სულხანიშვილის მოფიქრებულია თავიანთი ბელადის უშიშროებისათვის.

— ის სულხანიშვილი, ხო გახსოვს, ჩვენ რამდენჯერმე მოვკალით. ხევსურეთის აჯანყების შემდეგ განცხადებაც კი გამოვაკარით მაგისი სიკვდილის სინამდვილეზე და ეს შობელძაღლი მაინც ვერც ერთხელ ვერ ჩავაძაღლეთ.

— ეე, ბარემღა ძალიან დაამშვენებდა ამ შუშაზე შემოდებულ ქაქუცას თავს მაგისი თავიც...

— ეგ უკვე, ლევან, შენს მარიფათზეა. მაგისი ჯილდო კი ცალკე დაემატება შენს დამსახურებას. ჩვენი, ბოლშევიკური პარტია და ხელისუფლება, ხო იცი, როგორი სიყვარულით ზრუნავს თავის ერთგულ შვილებზე.

— მართალი გითხრა, მეც მაგანა და შენთან დიდმა მეგობრობამ წამაქეზა, თორემ არ გინდა დღე და ღამე იმ მგლის ხროვაში გაძლება?

— უნდა გაუძლო, ლევან, უნდა გაუძლო, გული არ აიცრუო, მალე დადგება მაგისი აღსასრული, თუ შენებურად მიაწვები საქმეს.

— მეც ეგრე ვფიქრობ, რო მცდელი კაცისთვის შეუძლებელი არაფერია, მაგრამ როდის დადგება ეს შესაძლებლობა, აი, ამის ლოდინია გულის მღრღნელი. ის ქისტი უნდა დავიძმობილო, რადაც არ უნდა დამიჯდეს.

— ვინ ქისტი? რა დროს ქისტების დაძმობილებაა, შენ ჯერ შენს საქმეს გაუხდი მუყაითად. მომკლეს ამ შენმა ძმობილებმა: თათრები, სომხები, ლეკები, ქურთები, აისორები, მგონი ეხლა ტყეში მგლები და დათვებიც უკვე შენი ძმები არიან.

— ძმაო ძმითა ხარ მაგარი, თორე მტერ მაგერეოდა.

— დაიცა, ლევან, თუ ძმა ხარ, ეხლა მე ქისტი მინდა? არ მიყვარან ქისტები. ეგენი ყველა ქურდები, ყაჩაღები და ფანატიკოსები არიან.

— ფანატიკოსობამ მოგვაგებინა სამოქალაქო ომები რუსეთში. და განა ჩვენ თვითონაც ფანატიკოსები არა ვართ პარტიისა და ჩვენი ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის?

— მოეშვი, ლევან, ამ შენებურ ფილოსოფიას. და ამ შენს ქისტებსაც.

— ის, ქაქუცას მცველი, ქისტია, ჯუგუ.

— ჰა?! — შეხტა ჭურღულია. — რომელი ქისტი?

— რომელიც იმისი ქოხის მეორე მხრიდან ჰყარაულობს.

— ქოხის კედელთან მჯდომი? ეგ ქისტი საიდანღა გამოტყვრა?

— მთის ჩეჩნეთიდან გადმოჰყოლია. დიდი სახელი აქვს თურმე ჩეჩნეთში ქაქუცას და, როგორც კუჭატნელს ლეკის ბიჭი, ეგრევე ეგ გვერდიდან არ შორდება. უცნაური სახელი — ელჩი ჰქვია. ეს ის ჯეილია, ამხანაგო ჯუგუ, რომელიც შარშან საბუიდან გაგვექცა. აი, ინწობის პირას ერთ სახლს რო სამოცმა კაცმა ალყა შემოვარტყით შუაღამისას, ქაქუცას სამი რაზმელიდან ორი რო მოვკალით და ერთი მაინც ხელიდან გაგვისხლტა.

— რომ გაგვისხლტა, ქისტი ყოფილა?

— ზღაპარივით მიამბეს მაგისი ამბავი.

— რა ამბავი?

— იმ განუწყვეტელ სროლა-ალყიდან. ეშმაკსაც რო არ შეეძლო გაძრომა, იმას ორთავ მოკლულის იარაღი აუღია და ოთახის შიგნით ირგვლივ სირბილით იგრე დაუცლია მთელი ვაზნები, თითონ ში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ტყვიაღა დაურჩენია. ჩვენ კი გვეგონა, ის სახლი ქაქუცას რაზმელებით იყო გამოტენილი. ამ ჩვენი მცირე ხნის დაბნეულობით ისარგებლა და იმ სიბნელეში გაგვისხლტა.

— უჰხ, მე მაგისი დედა ვატირე!

— შვიდი დღე უსმელ-უჭმელს უვლია და ნადირის ყნოსვით თუ მართლაც ეშმაკის დახმარებით, უცხო-უცხო ტყე-ღრის გავლით მაინც მიბარბაცებულა ბინაზე. მე იმათებური არ ვიცი, იმან კი ჩვენებური, ცოტ-ცოტა კი რაღაც უსწავლია, მაგრამ იმ ქართულით ვერა გავაწყე-რა. ძაღლივით ერთგული ჩანს და მოუსყიდველი. ნამეტანსაც ვერ მივაწექი, რადგან არ მინდოდა დაეჭვებულიყო.

— ქისტებმა რუსული იციან.

— ბარის ჩეჩნებმა იციან, მთის ჩეჩნებმა შიგადაშიგ. ეგ, ეტყობა, იმათგანია, ვისაც რუსიცა და რუსულიც იგრე უყვარს, როგორც ვაზს ფილოქსერა.

— უჰ, შენ და შენი ვაზი! შენ, მგონი, ღვინო თუ არა, ვაზის ფოთოლში გახვეული ტოლმა მაინც უნდა გქონდეს, თორემ ისე პურს არ შეჭამ. ნეტა ერთი შენი ლეიბი მაჩვენა, — აეს ულვაში გამპარსე, თუ მატყლის ნაცვლად ვაზის ფოთლით არა გქონდეს გამოტენილი. რაზეც არ უნდა იყოს ლაპარაკი, ისე ვერაფერს იტყვი, რომ შიგ ვაზი არ გაურიო. რატომ არა სცადე, ფული დაგეხარბებინა? — ფული ყველაზე ნაღდი შუამავალია.

— არა, ქისტი ფულით არ მოისყიდება. ქისტმა, როგორც ვატყობ, ჩვენზე მეტად იცის თავისი ქვეყნის ყადრი და სიყვარული. მტრები სამ ნაწილად იყოფიან: შენი მტერი, შენი მეგობრის მტერი და შენი მტრის მეგობარი... რუსის მტერი ქისტის ძმა და მოკავშირეა. ამიტომ ქისტი ქაქუცას არასგზით არ უღალატებს. ამას გარდა, იქ ფულის სინაკლულეს არ განიცდიან, — ფული ოხრად აქვთ თავზესაყრელი.

— ვიცი, თიანეთის მაზრაში გადასახადებში აკრეფილი ფული მაგათ იგდეს ხელთ... მაშინ პირველ რიგში ეგ ქისტი უნდა მოიშორო.

— სხვათა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო... სანამ ლაშქრად არ გავსულვართ და ჩვენებთან შეხლა-შემოხლა არ გვექნება, არა მგონია, რამე გავაწყო.

— აი, გაზაფხულიც უკვე კარს გვადგა და ეგეც მალე იქნება. შენ რა, იქ არაფერს გაჭმევენ? — ხორცი დაგიყრია.

— ფინთადა ჰქონდათ საქმე, ტყის ხილის ნარჩენებს ჰქექავდნენ თოვლში, ბალახის ძირებს თხრიდნენ. გაუჩნდათ ფაღარათი... მალე ჩვენც თუ წავეხმარებით, გამოქვაბულის დათვებივით გადაშენდებიან. ბევრი დააკლდათ, შევსებით კი არავინ მიდის. შაშვიაშვილზე არიან დაბოლმილები, ჩეკამ შემოგვაპარაო. დიდი მონდომებით დადიოდა საქმეზე, მაგრამ სადაც მიდიოდა, ჯვარსა და რაღაც ნიშნებს სტოვებდაო. მერე, რაკი ქაქუცა, სულხანიშვილი, ელიზბარ ვაჩნაძე და მაყაშვილი ვერ მოსპო, გაიპარა და ბევრი ჩვენი თანამგრძნობი ჩაყარა ციხეშიო. თბილისიდან შულმანის გაქრობის მიზეზად სულხანიშვილი ვიღაც სუსლიკა ანდრონიკაშვილზე ჰყვებოდა. ეს სუსლიკა ქართული ათასეულის ოფიცერი ყოფილა. სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელთან და სხვა სამ კაცთან ერთად თურმე ქაქუცასთან უნდოდა გაქცევა. ჩვენებს ჩაუგდიათ ხელში. კარგა მაგრა ურეჯგვიათ. ეტყობა, კაი მაგარი ჯეილი იყო და, რაკი ვერ გასტეხეს, ჯიგრიანად მოუჭირეს ქანჩები. შულმანთან მორიგი დაკითხვისას მისი კაბინეტის კედელზე ერთი დიდი ლურსმნისათვის მოუკრავს თვალი. სცემია, ის ლურსმანი ამოუძვრია და შულმანისათვის დაუკრავს ყელსა და ყბაში. შულმანის ბღავილზე შემოცვივნილან თანამშრომლები. ანდრონიკაშვილი იმათაც მივარდნია იარაღის წასართმევად, მაგრამ ბევრნი ყოფილან და ვერ მოუსწრია. იქვე გამოუყვანიათ წირვა ამ სუსლიკასთვის. აი, მაშინ ჩაუყვანიათ მოსკოვში მძიმედ დაჭრილი შულმანი და იქიდან კი გაქრა იმისი კვალი.

— არ არი გასაკვირი, რომ ლურსმნის წვერი დაჟანგული ყოფილიყო და სისხლი მოეწამლა. ეგ არაფერი, შულმანის შემცვლელი დღესაც მშვენივრად ართმევს თავს თავის მოვალეობას. შენი წერილი მომიტანეს: გამიხარდა, რომ კარგად მიგიღეს, მაგრამ დანაპირები რაღაც ძალიან იგვიანებს.

— ამხანაგო ჯუგუ, მებაღეს როგორც არ უნდა ეჩქარებოდეს, მსხალი დროზე ადრე არ დამწიფდება. ჭკვიან კაცს უთქომს: თუ ყველაფერს ვერ მისწვდები, ნაწილზე მაინც უარს ნუ იტყვიო.

— არა, მე ნაწილის კაცი არა ვარ. ნაწილებზე შაშვიაშვილებითაც კარგად გავდივარ იოლას. აი! — კურტაკის ცარიელი სახელო ცხვირწინ აუტანტურა.

— კარგი, საზღვარგარეთაც რომ გაიქცეს, საზღვრამდის მაინც ვდევ მკვდარი ან ცოცხალი.

— არა. მკვდარი რა ჭირად მინდიხარ? შენ ჩემთვის ცოცხალი ხარ საჭირო, თორემ მკვდრები, ქაქუცას წყალობით, იმდენი გვყავს, ჩვენი სასაფლაოები გადატვირთულიც არი. შენი დიდი იმედი მაქვს, ლევან, თორემ, რამდენჯერაც თავის ბინაში წავასწარით, იმდენჯერ თავბედი გვაწყევლინა, შარშან მამია ერისთავის, ჩხეტიასა და წერეთლის მეთაურობით სამი ასეული და უამრავი კომუნისტ-კომკავშირელი რომ გავგზავნეთ, ხომ გახსოვს, კინაღამ ნახევარი გაგვიჟლიტა. ხელში დაჭრილმა წერეთელმა მამია და ჩხეტია შუბლგახვრეტილები ჩამოიტანა. მე იმას, იმ თავადის ნასხლეტს, მამია ერისთავის დასაფლავების წინ შევუთვალე: თუ არ დაგვნებდები, ძაღლის ნაშობო, შენს უფროს ქალიშვილს საფლავში ცოცხლად ჩავატან ერისთავს-მეთქი... ამ შობელძაღლმა, საკაძეა თუ იმაზე უარესი, იცი, რა შემომითვალა? — ჩემი თავიც და ჩემი ოჯახიც საქართველოსთვის მაქვს შეწირული. შენ კი, თუ ჩემს დევნას თავს არ დაანებებ, უწინდელივით აღარ დაგინდობ. მკლავის მოწყვეტა გაფრთხილება იყო, ეტყობა, შენ ამას ვერ მიჰხვდი. ახალი შეხვედრისას, იმ შენთვის ძვირფასი ერისთავივით, პირდაპირ შუბლში დაგახლი ტყვიას. ისიც გაითვალისწინე, რომ ჩემი ნასროლი აუცდენელია. ამიტომ ჩემი რჩევა იქნება: უფრთხილდე მაგ

ეროვნული ბიბლიოთეკა



უწმინდურობის ქოთანს, შენ რომ მეტისმეტი სიყვარულით თავი შეგირქმევიაო...“ როგორ ფიქრობ, მე ამ სიტყვების მპატიებელი ვარ? — გამწარებულმა ჭურღულიამ სადად შემორჩენილი მუშტი მაგიდის მინას ისეთი ძალით დაჰკრა, რაც მის წუხანდელ მსხვერპლს გადაურჩა, ისიც ნამსხვრევებად აქცია. მერე დაკაწრული ხელიდან გამოსული სისხლი ნადირივით ენით გაილოკა და დაასრულა: — მოვკვდები და აი, ამას ვერ ვაპატიებ მაგ მგლის ნაშიერს!..

— ბინა კი ვიცი, მაგრამ მიდგომაა ძნელი. ირგვლივ ყველაფერი დანაღმულია, გარშემო საყუჩები და სანგრებია გათხრილი. ყარაულები ყველა მხარეს ზვერავენ. არ ვიცი, რამდენი ტყვია-წამალი აქვთ, ისე ყველა რაზმელი ქაჯივით ისვრის — ერთი ტყვიით თავზე გადაფრენილ ძერას აგდებენ ძირს.

— რამდენი კაცი ჰყავს?

— ვერ გაიგებ. იმ ბინაზე, სადაც თვითონ არი, სამოცდაშვიდ კაცამდის ეყოლება. სულ ისეთი თავზეხელაღებულები, აი, შალიკო კანდელაკი რო იყო. დაჭრილი რო ჩავიგდეთ ხელთ და მერე ციხეში ჩვენი შეხვეული ჭრილობები რო დაიგლიჯა და შიგნით ფანჯრის რკინებიდან აფხეკილი ჟანგი ჩაიზილა.

— ჰო, ეგ დიდი მამაძაღლი ვინმე იყო. დაკითხვის დროს რომ სისუსტე არ გამოეჩინა ანაზდეულად, სისხლი მოიწამლა და თავი მოიკლა... შენ ამბობ, იმ ბინაზე, სადაც მე ვარო, გამოდის, რომ სხვა ბინებიც აქვს.

— მეეჭვება, რომ ორი-სამი ბინა სხვაგანაც უნდა ჰქონდეს ახლომახლო.

— რამ დაგაეჭვა?

— სულხანიშვილს დასცდა ერთხელ: ქაქუცა იგეთი დიდი სტრატეგია, თუ მტერი შეეცდება, ალყაში მოგვაქციოს, თავად მტერი მოექცევა ალყაში და სულ გაიჟუჟდებაო. ალყაში კი მაშინ მოვექცევით, თუ გარშემო მაგისი ხალხია ორგან მაინც ჩამდგმურებული და სროლის დროს ზურგიდან დაგვკრავენ.

— კიდევ უფრო რამ დაგაეჭვა?

— მე რო ცივზე მივედი მაგათ ბინაში და მერე იქიდან ავიყარენით, სხვა ბინაზე გადასულებს უფრო დიდი რაზმი დაგვხვდა იქა.

— კიდევ თუ გახსოვს რამე საეჭვო?

— ერთხელ ელიზბარ ვაჩნაძემ თქვა: მიშა ლაშქარაშვილს სდომნია ჩვენთან შეერთებაო. ხანდოს ხევის, კავთისხევის თუ დუშეთის მხარეს ყოფილა ჩვენს რაზმზე უფრო დიდი რაზმის პატრონი. ეტყობა, აქეთ არი გადმოსული და სადღაც ახლოს უნდა დაწანწალებდეს.

— შენ, ჯანაშვილო, ხომ არაფერი დაგსიზმრებია? რაღა დროს ლაშქარაშვილია?! იმისი „არმია“ ხანდოს ხევშივე დაიშალა და, ვინც შემორჩა, ისინიც მიეფანტ-მოეფანტა, როცა ხევსურეთის აჯანყებისას აპირებდა ქაქუცასკენ დაძვრას.

— არა მგონია, მთლად დაშლილიყოს და, თუ დაიშალა, მაშინ ხელახლა შეუკრებნია ხალხი.

— ჯერ არა მგონია, ეგ ხმები მართალი იყოს და, თუ მართალია, მაშინ ძალიან ძვირფასი ცნობაა ეგ, ჯანაშვილო.

— მე რო აქეთ მოვდიოდი, ქაქუცამ მითხრა: ხვალ დილამდის თუ მოხვალ, მოგვისწრებ, თუ არა, აქედან გათენებისთანავე ავიყრებით და მერე ეძებე ნემსი თივაშიო. ლაშქარაშვილმა თუ ვერ მომაგნო, მე თვითონ მივაგნებ იმასო.

— იცი, ლევან, მე მგონია, რაღაც ისეთი შეგნიშნეს, რამაც მათში ეჭვი გამოიწვია. არა მგონია, ქაქუცას ოცდაათ-ორმოც კაცზე მეტი ჰყავდეს. ეგ ლაშქარაშვილიც შენს მოსაღორებლად მოგონილი ფანდია, ამით კი ჩემი მოღორებაც უნდა. შენ რა საქმეზე გამოგიშვა?

— არაფერი არ დაუვალებია, ვთხოვე, რაკი აქედან აყრას აპირებ, ამაღამ წავალ, ჩემი ბალღების საფლავებს ვნახავ, წუხელ დამესიზმრნენ და მსაყვედურობდნენ, დილით კი აქავე გეახლებით-მეთქი.

— ეგ ჭკვიანურად მოგისაზრებია. კარგი. შენ ამაღამვე უკან გაბრუნდი და ისევ ეგრევე ერთგულად ეჩვენე, მე აქ კი არა, იქა მჭირდები, რადგან ყველა გაუტეხელი ციხე შიგნიდან ტყდება. იცოდე, ქაქუცას თავის მოტანისთვის დიდი ჯილდოა დანიშნული.

— რას იტყვი, ქაქუცას თავის ნაცვლად ხევსურივით რო იმისი მარჯვენა მოგიტანო?

— ნეტაი შენ, ლევან, რომ ყველგან და ყოველთვის ხუმრობის ხასიათზე ხარ.

— ვაჟა-ფშაველამ ტყუილად ხო არა თქო: „მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკან მისდევდი მა რადა?!“ — მარჯვენა აუცილებელია.

— ნუ ტუტუცობ, ლევან, ბავშვების საფლავების მონახულების შემდეგაც არ იშლი შენებურს. — ჭურღულიამ ზარი დააწკარუნა.

მილიციელი შემოვიდა.

— თუ გარეგინა მოვიდეს, სანამ არ მოგიხმობ, ნუ შემოუშვებ!

მილიციელი გავიდა.

— ეხლა ყური კარგად დამიგდე, — ჭურღულია წინ გადმოიხარა და მთელი ერთი საათის განმავლობაში ისმენდა ლევანა ჩურჩულს. ერთი საათის შემდეგ კაბინეტის პატრონმა კვლავ დააწკარუნა ზარი. კვლავ შემოვიდა მილიციელი. ჭურღულია მისკენ შებრუნდა.

— ეხლა შენა ხარ მორიგე, შაშვიაშვილო?

— დიახ, მე გახლავართ, ამხანაგო მილიციის უფროსო.

— ამ კაცს იცნობ?

— მაგას ვინ არ იცნობს, ამხანაგო მილიციის უფროსო.

— ჰოდა, გაუძეხ და მეორე კარით გავიდეს ქუჩაში. დაიხსომე: ჩემთან არავინ ყოფილა!

— არის, ამხანაგო მილიციის უფროსო!

***

რაზმელები ორ მწკრივად იდგნენ. ახალი ტანსაცმელი შვენოდათ. ჯვარედინად ეკიდათ მხრებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაზნეები. ახლად ამოსხმული, ჭვინტიანი ქალამნები ფეხებზე კოხტად ამოესხარტათ. მუდამაც ერჩივნათ ქალამნები ყოველგვარ ფეხსაცმელს. ფრთხილი, ჩუმი, მსუბუქი, კატასავით რბილი სიარული „იცის“ ქალამანმა. იარაღი გაწმენდილ-გაკრიალებული, თმა-წვერი მალაქიასაგან კოხტად შეკრეჭილ-შეკორტნილი, პირი გაპარსული და ქუდები ლაზათიანად ოდნავ გვერდზე მოგდებული. ბიჭები ისე ყოჩაღად გამოიყურებოდნენ, ბელადს სიამოვნების ღიმილიც კი მოჰგვარა მათმა, ცოტა არ იყოს, გაპრანჭულმა, ამპარტავნულმა გამოხედვამ.

ის იყო, გათვლას ამთავრებდნენ, ლევანა რომ მოვიდა.

— კარგია, ლევან, რომ მოგვისწარი.

— ვაშად მოხველ, ამირან-დარეჯანის ძეო! ყველასათვის სალამი მომირთმევია.

— შენც გაგიმარჯოს! აბა, ერთი კაცი გვაკლია, — ბელადმა ისევ ჩამოათვალიერა მწკრივები. მერე მიიხედ-მოიხედა, — რაფო არა ჩანს. რაფიელ! სადა ხარ, რა დაგემართა?!

— ემსაახი, ბელადო! — მოისმა მოშორებით და მალე ამ ხმის პატრონიც გამოჩნდა. ზურგზე კარი წამოეკიდნა და მისი სიმძიმის ქვეშ წახრილი მოჩოჩიალობდა ერისთავი. ეს იყო ნედლი წიფლისაგან ცულით გამოჩორკნილი, ერთი ტლანქი, ვეება ფიცარი, რომელიც, ალბათ, ორმოცდაათ-სამოც კილოგრამს მაინც აიწონიდა. ამის დანახვაზე ქაქუცა გაოცდა.

— რა არის ეგა, რას მოათრევ?

სახტად დარჩენილმა რაფიელმა ძლივს ამოილუღლუღა:

— აკი თქვენ გიბრძანებიათ, ჩემს მიწურს კარი ჩამოხსნას და მოედანზე ამომიტანოსო?

შეფიცულები ლამის მიწაზე გორავდნენ სიცილისაგან. სულხანიშვილს პირი გვერდზე მიელო და ჩუმად ხითხითებდა.

— ოჰ, საშა, საშა! ეს სულ შენი მამაძაღლობაა! — თქვა ბელადმა და მერე რაფიელს მიუბრუნდა. — აბა, როგორც არი, ეგრე, სიმაღლეზე დააყენე!

რაფომ კარი ძლივს მოიხსნა და სიმაღლეზე დააყუდა. ქაქუცა მივიდა და მტკავლით გაზომა.

— სიგრძე რვა მტკაველი, სიგანე ორნახევარი, სისქე თითქმის სამი გოჯი. მალაქი!

— აქა ვარ, ბელადო!

— მალაქი, ამის შემდეგ ჩემი მიწურის კარს საზამთროდ სიგრძე-სიგანეს იმასვე დაუტოვებ, რაც არი, სისქე კი ერთი გოჯით ნაკლები იქნება. კარგად გაიგე და დაიხსომე.

— დიახ, მესმის, ბელადო!

მეექვსე ქვეითი ათასეულის ყოფილი ოფიცერი — რაფიელ ერისთავი ფრიად კმაყოფილი დარჩა, ბელადს აქაურობის დატოვების ჟამსაც რომ კიდევ რაღაცით ასიამოვნა.

— ახლა უკანვე წაღებას და იქავ ჩამოკიდებას მიბრძანებთ?

ეხლა კი თვით ბელადმაც ვეღარ შეიკავა თავი და ახარხარდა. შეეძლო, კიდევ უფრო გაემხიარულებინა რაზმი, მაგრამ დაენანა მიამიტი, ერთგული დარაჯი.

— უკვე შეგიძლიან, გადააგდო, ეხლა ეგ აღარაფერში დამჭირდება.

რაზმი სიფრთხილით მიდიოდა. წინ სულხანიშვილი მიუძღოდა ორი მზვერავით. მზვერავები ერთმანეთს ოცი-ოცდაათი მეტრით იყვნენ დაცილებულნი. შუაში მიმავალ ბელადს აქეთ-იქიდან რაფიელი და ბაადური ამოსდგომოდნენ. ზურგს ელიზბარ ვაჩნაძე, ელიზბარ მაყაშვილი, მიხა ხელაშვილი, ლელო ჩიქოვანი და მგელიკა ჭინჭარაული იცავდნენ. რაზმს გვერდებიდან სერგო მაისურაძე, გაბო ოზიაშვილი, კურდღელა და შალვა ნებიერიძე მიჰყვებოდნენ.

ტყეში სინესტე და სიჩუმე იდგა. ნეკერიდან ახლად გამოჩითული კვირტები ზოგან ფოთოლში გადაზრდილიყო და საამო სუნს აფრქვევდა. აქა-იქ ხეებზე დაფართქუნობდნენ პაწაწკინტელა წიფლის ჩიტები. მთელი ტყე სუფთა, გრილი, ჯანსაღი ჰაერით გაჯერებულიყო. მოშორებით საოცარი სისხარტით ჩამოხტა ძირს ციყვი და ასეთივე სისხარტით ავარდა მეორე ხეზე. რაზმელებმა პირზე ღიმი გადაიკრეს და სიამოვნებით, რომელიც სიყვარულს უფრო ჰგავდა, გააყოლეს გაბრწყინებული თვალი. ახლა მათ გულშიც ისევე, როგორც ტყეში, გაზაფხული მთელი სისავსით შემოდიოდა.

პატარა ყალთაღზე შეისვენეს. სულხანიშვილმა სერგო მაისურაძე იხმო და რაზმს უმალ დარაჯა შემოარტყა.

ჩოლოყაშვილი მიუხვდა ლევანას განმარტოების მიზეზს და მისკენ გაემართა.

საუბარი ხმადაბალი იყო, სხვა რაზმელთათვის მიუწვდომელი.

— მოხვედ მშვიდობით!

— დამხვდით მშვიდობით!

— აბა, როგორ იმგზავრე, როგორ მიიარ-მოარე იქაურობა?

— მარჯვნივ რო გასცე, მარცხნივ უნდა აიღო.

— თქვი. როგორც კი ვინმეს ძველი ნივთი სხვის ხელში გადადის, ახალი ხდება.

— შენცა და მთელი შენი რაზმიც ჭურღულიასთან „ჩაგიშვით!“

— სიკვდილმა თქვა: „შვილს მოგიკლავო და მჯერა შენი ჭკვისაგანო.“

— ჰოდა, ეგრე, როგორც დავთქვით, ზუსტად იმ დროს ავიყარენით. არ ვიცი, გაბედავს თუ არა მიტოვებულ ბანაკზე დაცემას, მაგრამ დიდი გამოცანის წინ კი დავაყენე: გარშემო სულ დავნალმე და ირგვლივ, სამი-ოთხი ვერსის დაშორებით, სამიოდე სხვა რაზმი დავაბინავე, რომელთაგან აუცილებელ ალყაში თავად მოჰყვება, თუ თქვენს შესამუსრად აქეთ წამოვა.

— ეს კარგიც არი და ცუდიც, ლევან. ერთი მხრივ, ჩვენ თუ თავისუფლად მოქმედების საშუალებას ვიღებთ. მეორე მხრით, საშიშროებაც მეტად იზრდება, რადგან მდევარს კიდევ უფრო გაამრავლებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ჩვენ თუ ვერ მოგვწვდებიან, რა მენაღვლება? დაე, ათას წელსამც ცოლცხლობდეს ის გველი, რომელიც ვერ მიკბენს.

— გაჭირვება სიფრთხილეს გვკარნახობს, აზრს სინათლეს აძლევს, ამტანობას გვაჩვევს და სიმამაცეს ბადებს! ირანის ფრონტიდან წამოსულს მესოპოტამიის უდაბნო უნდა გადამელახა, რათა ინგილისელებამდის მიმეღწია. ესკადრონს უდაბნოში ქურთი მეკობრენი დაესხნენ. მაშინ თურქების კავალერია სულ ქურთებისაგან შედგებოდა, რომელთაც ოსმალები კაზაკებს უპირისპირებდნენ და, ღმერთმანი, კარგადაც უპირისპირდებოდნენ... იარაღისა და წყლის მეტი არა გვებადა რა, ალბათ, იარაღი უნდოდათ. თუმცა მერე ერთმა დაჭრილმა ქურთმა თქვა, რომ ბრძოლა წყლის გამო მოხდა. ჩვენ იქ ჭის არსებობა საიდან უნდა გვცოდნოდა? როცა გვითხრა, სადაც უნდა მოგვეთხარა, იქ მტვერსა, ქვიშასა, აქლემის შარდსა და ცხენის ჩონჩორიკში შეზავებული რაღაც თხლესავით მოსქო, დამპალი წუმპე ამოვიდა... დაგვესხნენ თავს და ჩვენზე ბევრად მეტნიც. თავზეხელაღებულნი, სიცხისაგან გველივით ალგზნებულნი და წყურვილისაგან გაგიჟებულნი. ძველებური „კარე" გავაკეთე: თითო მხარეს თითო ტყვიამფრქვევი დავდგი, ცხენები დავაწვინე და საფრად ვიკმარე. ვერსაიდან ვერ მომიდგნენ. უდაბნო იმათი გვამებით მოიფინა. მერე, ტყვია რომ გაუთავდათ, ხმლით მივეტიე. გარშემო ქვიშა, ქვიშა და თვალსაწიერამდის ქვიშა, — უწყლო, უბალახო, უსურსათო. მხოლოდ ცხენები დაგვიხოცეს. ხალხს თმის წვერიც არ შეტრუსვია. მერე იმათი ცხენები დავიჭირეთ და ინგლისელებამდის უდანაკარგოდ მივედი.

— ეგ მეცა „მჯერა შენი ჭკვისაგან." არა მგონია, ჭურღულიას ხალხმა უწყლობით გაგიჟებული ქურთებივით იმამაცონ. სიფრთხილე კი ტყედგასული კაცისათვის „პირველი მოხმარების საგანია", ვფიქრობ, არც სიმამაცე აკლიათ ბიჭებს და არც მოსაზრებულობა, თუ საწყალ რაფიელს არ მივიღებთ მხედველობაში.

— ოო, რაფიელი საოცრად პატიოსანი და გულუბრყვილო კაცია მთელ რაზმში, მაგრამ ბრძოლაში შეუპოვარია და გულოვანი. აი, ხომ ეგეთი ხმელი და ხეხერაა, ნახე, იმსიმძიმე კარი საიდან სად ამოიტანა?!

— საშუალო ტანისაა, კაი ჯანის პატრონი კი ჩანს... უკვე შეიძლება კვალდაუტყობი სიარული. გამოსვლა როდისთვის გვექნება?

— ეგ უკვე „დამკომის" საქმეა, თავის დროზე შეგვატყობინებენ.

ლევანა მიხვდა: იქ შეტოპა, სადაც არ უნდა შეეტოპა.

— მაპატიე, ქაქუც. ქვეყნად რომ სულელები არ ყოფილიყვნენ, ჭკვიანები შეუმჩნეველნი დარჩებოდნენ.

— არაფერია, ლევან, მარტო შენ კი არა, მთელი რაზმი მაგისი ცნობისმოყვარეობით იწვის, მაგრამ ხევსურეთის აჯანყებამ უჭკუოებსაც კი ჭკვა ასწავლა, ამიტომ მოცდაა საჭირო. ხიდს იმიტომ აკეთებენ, რომ ფონში არ გატოპონ.

ქაქუცა წამოდგა — მოქნილი, ლამაზი, ძალოვანი — და რაზმს დაძვრის ნიშანი მისცა.

— შენიანები მეტეხის ციხეში გადაუგზავნიათ.

— ვიცი.

— ფადავა, წინამძღვრიშვილი და ბელთაძეც დაუჭერიათ.

— ჰო, ეგეც ვიცი.

ქაქუცამ ყველაფერი იცოდა. ისიც იცოდა, აჯანყება როდის დაიწყებოდა. ის და მისი შეფიცულები მთავარი დამრტყმელი ძალა უნდა ყოფილიყვნენ და მასთან შეუთანხმებლად „დამკომი" გამოსვლის დროს ვერ გადაწყვეტდა, ხოლო თუ გადაწყვეტდა, შეიძლება სამუდამო სანანებლად დარჩენოდა.

რაზმი ფრთხილად მიიწევდა წინ და რამდენიმე დღეში დუშეთის ტყეებს შეერია... და სრულიად მოულოდნელად, ხევსურეთის აჯანყების შემდეგ დაკარგული მიხეილ ლაშქარაშვილის კვალი აქ გამოჩნდა.

— ძალიან უნდა თქვენთან შეერთება. — თქვა მაცნემ.

ქაქუცამ მოამბეს სულხანიშვილი, ბადური და ლევანა გააყოლა.

პაწაწკინტელა სოფელში ფრთხილად შევიდნენ. ტყის პირას, წიფლებს შორის, ძლივს მოჩანდა ყორით ნაშენი მთიულური სახლი. ჩაჟამებულ ყავარს ხავსი მოსდებოდა. სახლის ირგვლივ ანწლი, ჭინჭარი და დიყი აყრილიყო, ხოლო მთლიანად გარემოს რაღაც მიტოვებულის, რაღაც უკაცრიელობის ნიშანი ედო.

უეცრად დაბალი ხის უგემოვნოდ შეკრული კარი გაიღო და კარზე პატარა, მოცუცქნული დედაბერი გამოვიდა. დამჭკნარ სახეზე ცოცხალმა თვალებმა უნდოდ გაიელვა. შუამავალი მივიდა. ყურში რაღაც უთხრა.

დედაკაცმა წამით აფორიაქებული სული მოითქვა, სტუმრები წინკარდიდან მეორე ოთახში გაიყვანა, მერე საიდანღაც კიბე გააჩინა და პატარა სხვენის კარს მიადგა.

სხვენიდან ტყისკაცი ჩამობობღდა.

საშინელი სანახავი იყო: ჩამოფლეთილ-ჩამობღვლეძილი, დაველეჯილი წაღები მიღრეცილ-მოღრეცილი, თმა-წვერი გაბურდული და ჭუჭყისგან შეჭმული, ჯაგარში, რომელიც თმის ადგილას ესხა, ჩალაბულა და ნამჯის ღერებგაჩრილი. ყბებჩაცვივნილი და თვალებამოღამებული. იარაღი არსად უჩანდა, გარდა ერთი ჩაჟანგებულ-ჩაოხრებული მაუზერისა, რომელსაც, გულითაც რომ სდომოდა და ძალიანაც გასჭირვებოდა, მაინც ვერ მოიხმარდა.

როცა გაოცებისაგან გამოერკვნენ, მიესალმნენ და როგორღაც, ალბათ, ზრდილობის გამო, ჰკითხეს: რაზმი სად გიდგასო, თავი უსიამოდ გადააქნია: — სამიოდ კაციღა შემომრჩა და ისინიც კარგა ხანია შემომეფანტნენო.

შეფიცულთაგან არავინ იცნობდა რაზმში მოყვანილ, ხანდაკის ხევში შეკრებილი ლაშქრის შარშანდელ სარდალს. ერთი ახედ-დახედეს და მერე ერმანეთს გადაუჩურჩულეს: ეს ბერი სადღა დაუჭერიათო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად ქაქუცაც პირველად ხედავდა პირისპირ ლაშქარაშვილს. წამიერი თვალის შევლებით ერთბაშად მიხვდა, რა კაციც იმალებოდა ამ ძვალმსხვილ ჩონჩხს შიგნით. წინასწარ გამზადებულ ტაბლაზე მოიწვია.

— მობრძანდით, ბატონო მიხეილ, უარს ნუ იტყვით ტყეში ირმის გამოწვდილ მწირ ბალახზე.

ლაშქარაშვილმა მორიდებით შეხედა შეფიცულთა ბელადს და თვალი ძლივს მოწყვიტა ნაქანდაკარ, ახოვან ტანს. მერე დაბანილი, მაგრამ ჯერაც ჭუჭყჩამკვდარი მურა თითებით მოთელილი თმა-წვერი მიისწორ-მოისწორა, უხერხულად დაიოშა დამტკავლული ულვაშები, გაბურდული წვერიდან შარშანდელი თივის ერთი ღერი კიდევ მოიცილა და ფოსოებში ღრმად ჩაცვივნილი თვალები ხარბად მოავლო ტაბლას.

ქაქუცამ ერთხანს აცალა სტუმარს დანაყრება და მერე ღვინით სავსე პატარა ყანწი მიაწოდა.

— ეს ჩვენი შეხვედრისა და გაცნობისა იყოს, ბატონო მიხეილ. ბევრი რამ მსმენია თქვენი დიდი ქართველობისა და, ადრე თუ ვერ ვქენით ერთად ჩვენი საქნელი, მალე, ალბათ, დავუმტკიცებთ ერს და სამშობლოს, რომ ამაოდ არ გვიწოვნია დედის ძუძუ, ტყუილად არ უმღერიათ აკვანზე ქართული ნანა.

ლაშქარაშვილი მცირე ხანს იჯდა გასუსული, მერე მოკრძალებით მიუჭახუნა გამოწვდილ რქას თავისი ყანწი და თავდახრილმა თქვა:

— ღმერთმა გისმინოთ, ბატონო ქაიხოსრო. მალე შემასწროს უფალმა იმ დროს, როცა ჩვენი თოფები მარტო ტყვიით კი არა, ჩვენში დაგუბებული ბოღმითაც დაიტენება.

— ეგეც მალე იქნება, ბატონო მიხეილ. თოფები დატენილია და ბოღმაც უკვე ყელშია ამოსული, მაგრამ მოსავალს მოცდა უნდა.

სტუმარმა დანანებით გაიქნია თავი და მძიმედ წაილაპარაკა:

— ჩვენ, შეიძლება, ორი წლით ადრეც გვექნა ჩვენი საქნელი, მენშევიკებს რომ ჭკვისთვის ეხმოთ და არ ელალატნათ.

ქაქუცა იჯდა გასუსული, სიბრალულით უცქერდა ტყიურად ქცეულ ღმერთისა და კაცისაგან მივიწყებულ გატანჯულ მამულიშვილს და, თითქოს მისი ბოლო ნათქვამი არც გაეგონოს, ისე შენიშნა:

— მძინარისთვის ღამე მოკლეა, ჩვენ კი, მერამდენე წელია, არ გვძინებია...

— ალბათ, ვერც დავიძინებთ, სანამ ახალმოვლენილ სახადს არ მოვიხდით. — თქვა მოგვიანებით სტუმარმა. მერე ხელები შემოფლეთილ-შემოძენძილ შარვლის ტოტებზე შეიწმინდა და მადლიერი თვალებით მასპინძელს კვლავ მოკრძალებითა და დაკვირვებით მიაჩერდა.

ვაჩნაძემა და სულხანიშვილმა ისევ შეიპატიჟეს ტაბლაზე. ლაშქარაშვილმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— არა. მეტი აღარა. დიდი ხნის ნაშიმშილარი ვარ. იმ დედაკაცს არაფერი ებადა, ხანდახან მხოლოდ ქერის ხმიადის პატარა ნატეხი მოჰქონდა, ისიც არ ვიცი, საიდან და როგორ... საბრალოს, არც კი ვიცი, თავად თავი რით-როგორ გაჰქონდა.

— მაგაზე ბევრსაც ნუ იფიქრებ, ზარალი, რომელიც ჭკვის სასწავლად გამოგადგება, მაინც მოგებაა — თქვა ლევანამაც.

ჩოლოყაშვილმა მზარეულს გასძახა:

— აბა, მალაქი, სასურველი სტუმარი ხომ დააპურე, ახლა უნდა გამილამაზო.

ლაშქარაშვილი მძიმედ წამოდგა და იქვე ახლო ნაგდებ კუნძზე მორჩილად ჩამოჯდა.

— აბა, ბიჭებო, ცეცხლზე სასწრაფოდ ქვაბი შემოდგით და წყალი გამიცხელეთ, — ბრძანა მზარეულდალაქმაც და ვეება მაკრატელი, რომელიც ცხვრის საპარს დუქარდს უფრო ჰგავდა, რამდენჯერმე მოსასინჯად გაატკაცუნა.

ქაქუცამ ლაშქარაშვილთან ბოდიში მოიხადა და სულხანიშვილი გვერდზე გაიხმო.

— მიშას დღესვე ჩოხა-ახალუხისა და ფეხის ზომა აუღე! საღამოს მეკავშირენი ამოვლენ, მაგ ზომებს გავატან. ათიოდ დღეში ახალ ტანსაცმელში უნდა გამოვაწყოთ.

— იარაღი?

— იარაღის მეტი რა გვატიალია? წაიყვანე და, რომელიც მოეწონება, ის აიღოს.

ორიოდ კვირაში გაკრეჭილ-გაპარსულმა, დაბანილმა, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილმა ლაშქარაშვილმა თავი კვლავ ღირსეულ ადამიანად იგრძნო. ირწმუნა, რომ ჯერ კიდევ საჭირო იყო თავისი ქვეყნისთვის. განიერი მხრები „ლაღად შაიბერტყა", როგორც მგელიკამ შენიშნა, და სახეზე ადრინდელმა ფერმაც იძალა. ბელადის მიბაძვით შეფიცულთაც ისე მიიღეს, ისე დაუყვავეს, ისეთი სითბო აჩვენეს, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობარი დაბრუნებოდათ. სასოწარკვეთილი, იმედგადაწურული კაცი კვლავ სიცოცხლის ხალისით აღავსეს. გამოაცოცხლეს და მომავლის რწმენა დაუბრუნეს. ეს იყო ჩოლოყაშვილის ფასდაუდებელი თვისება, როგორც კაცისა და როგორც მეომრისა: ბრძოლაში დამფრთხალს, გულში შიშშეპარულ ჯარისკაცს ისე მოუვლიდა, ისე მიუგურგურებდა, ისეთ რამეს ეტყოდა, ისე შეაგულიანებდა, რომ მთლად გადაახალისებდა, გაასალკლდევებდა და კვლავ საბრძოლველად აღანთებდა.

და „სადღაც დაჭერილი. ბერის" თვალში კვლავ დაიბრუნა თავისი დაკარგული ძველებური ხიბლი ცხოვრებამ.

მიუხედავად იმისა, რომ შეფიცულთა რაზმში ამდენი სითბო და სიყვარული ნახა, ლაშქარაშვილი მაინც შეწუხებულ-გულნაკლული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მალე ამისი მიზეზიც გამოირკვა, როდესაც ერთხელ სამი ქართლელი მეკავშირე მოვიდა ქაქუცასთან.

ბელადი, ჩვეულებისამებრ, ჯერ თავად ესაუბრა მათ და მერე, რადგან ლაშქარაშვილის ახლო ნაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნობები იყვნენ, უთხრა: ეხლა შენ ელაპარკე შენს მეზობლებსო.

ლაშქარაშვილმა ჯერ თავისიანების ამბავი გამოჰკითხა, მერე საქვეყნო და ამასობაში კარგა მაგრად შემოელანძღა ყოფილი მთავრობაც და თავისი პარტიაც.

ქაქუცამ, რომელსაც ყველაფერი ესმოდა, საშას გასძახა: სანამ სტუმრები წავლენ, როგორმე გაარიდე მაგათ ლაშქარაშვილიო.

საშამ თავისთან მიიწვია ახალი შეფიცული.

— ერთ წუთს მოდი, მიშავ, შენთვის შეკერილი სავაზნე უნდა გაგასინჯო. — ლაშქარაშვილი მივიდა.

— თუ ძმა ხარ, მაგ ხალხთან თავი შეიკავე. ნურც იმ მთავრობას აგინებ და ნურც შენს პარტიას. ქაქუცასა სწყინს.

ამის თქმა იყო და უკან მიბრუნებულმა მოსაუბრემ ერთბაშად შეატრიალა საუბრის კეხი მეზობლებთან. როცა მეკავშირეები წავიდნენ, ქაქუცამ თავისთან იხმო ახალი რაზმელი.

— კაცო, მიშავ, კედელს რო ძირს უთხრი, არ იცი, რომ ზედ დაგეცემა? მე ვცდილობ, ეხლა მოსისხლე მტერიც კი მეგობრად გავიხადო, შენ კი ისევ გათიშულობასა და სიძულვილს სთესავ ქართველთა შორის. განა ეხლა მაგისი დროა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შენც ხომ იმ პარტიას ეკუთვნი, რომელსაც აუგად ახსენებ? შენც ხომ სოციალ-დემოკრატი ხარ?

— დიახ, მართლაც იმათ ვეკუთვნი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მაგათ ხანდაკის ხეობაში ჩაიდინეს, დავგმე ეგ პარტიაც და მაგათგან შექმნილი მთავრობაც. უჰ, მაგათი დედაც!.. ყველაფერი მომზადებული იყო: ხალხი შეკრებილი, გამარჯვებაში დარწმუნებული, აღფრთოვანებული და საომრად განწყობილი. მაგათ კი ის დაწკეპილი ბიჭები იგრე დაგვიშალეს, ერთი ტყვიაც არ გაასროლინეს. ეს მაშინ, როცა ხეობაში გააფთრებული ბრძოლა მიდიოდა.

— ეგ ყველაფერი ეგრე იყო, მიშავ, ცამდის მართალი ხარ, მაგრამ ხელახლა ვიწყებთ ბრძოლას და ხალხიც ხელახლაა შესაკრებ-შესაერთებელი. მოვა დრო და ყველას ყველა ანგარიშები მოეთხოვება. ეხლა მაგისი არც დროა და წაგების მეტსაც არაფერს მოგვცემს. იგრე, რომ ძალიანა გთხოვ, ეგეთი ლაპარაკი აღარ იყოს.

და მართლაც გვარდიის ყოფილ საველე სასამართლოს თავმჯდომარეს ამის შემდეგ ყოფილი თავისიანების სააუგოდ პირიდან აღარაფერი დასცდენია, რადგან შეფიცულებთან გატარებული დროის განმავლობაში მშვენივრად მიხვდა, რომ ქაქუცას თხოვნა ბრძანება იყო.

***

*გოგო:* ლევანა პაპავ, ცოტა ხნით შეგაწყვეტინებთ და ერთ რამეს გკითხავთ.

*ლევანა:* მითხარი, კარგო გოგო, და, თუ რამ გამომრჩა, ვეცდები, გავიხსენო.

*გოგო:* თქვენი რაზმელები უცხო ოჯახებში არასოდეს არ შედიოდნენ?

*ლევანა:* როგორ არა, ხშირად უხდებოდათ სიარული სურსათისა, საცვლებსა და ფქვილზე.

*გოგო:* რაზმელების მოკეთეები, რომლებსაც შემლებული ოჯახები ჰქონდათ, შეფიცულებს თავიანთ ოჯახებში არ ეპატიჟებოდნენ? ღამღამობით წვეულებებზე არსად დადიოდით?

*ლევანა:* როგორ არა! მეც შემხვედრია ეგეთ ოჯახში ყოფნა.

*გოგო:* თუ საჩოთირო არ იქნება, ლევანა პაპავ, მინდა ვიცოდე: ახალგაზრდები და თვითონ ჭარმაგი ხალხიც, რომელთაც შეყვარებული, ცოლ-შვილი თუ, საერთოდ, ქალი დიდხანს არ ენახა, როგორ იქცეოდნენ მასპინძლის ოჯახში?

*ლევანა:* რაზმში, შვილო, ქართული, მამაპაპური ჩვეულებისამებრ იყო წესრიგი. ოჯახში შესულისათვის იქ დახვედრილი ყველა ქალი დად, დედად, დეიდად, მამიდად და პაპიდად ითვლებოდა. ვინმეს რო ჩუმად „სხვანაირად" გაეპარებინა იმათკენ თვალი, იმავ წუთს უნდა აეყარნა იარაღი და რაზმიდან წასულიყო. რაზმიდან წასვლა ბრძოლაზე ხელის აღებას ნიშნავდა. ბრძოლაზე ხელის აღება კი, ყველა შეფიცულისათვის, სიკვდილი იყო. პატიოსნებისა და სამხედრო თვალსაზრისით, ძალიან მაგარი დისციპლინა ჰქონდა ქაქუცას. ასევე იყო ღვინოზე. ყოველ სუფრაზე მხოლოდ ორი-სამი პატარა ყანწი შეისმებოდა. მეტს არც თვითონ სვამდა. სიმთვრალე გამორიცხული იყო შეფიცულთათვის.

*გოგო:* რატომ ერქვათ შეფიცულები?

*ლევანა:* ერთ ხევსურს, დიმიტრი ცისკარაულს დაურქმევნია. ხევსურეთიდან კახეთში აშროშანის ტყეში გადმოსახლებულა, ცივ-გომბორზე. ორკლასიანი განათლება მიუღია ვლადიკავკასში. დიდად ნიჭიერი კაცი, საქართველოს ისტორიის დიდი მცოდნე და დიდებული მამულიშვილი ყოფილა. როგორც კი გაუგია აშროშანის ტყეში ქაქუცას შემოსვლა, მაშინვე სწვევია. ეს მარტში, აღდგომა დღეს მომხდარა, სააღდგომო სუფრაზე. სუფრას კი სტუმრად მყოფი მეკავშირეებიც ესწრებოდნენ. მაშინ ამდგარა ეს ცისკარაული, რომელიც იქ მოსახლე ხევსურების ხევისბერიც იყო, დაუჩოქნია და ღმერთს შეხვეწნია (მეხსიერება ძველებურად აღარ მიჭრის, მაგრამ ვეცდები, სულხანიშვილის მონაყოლი, როგორც დამახსომდა, იგრე მოვიგონო):

„ღმერთო, დიდებულო! დიდად სახსენებელო! დიდების მეტ, მადლობის მეტ შენ არა მაგეხსენების. ღმერთო, შენ გაჩენილ ას ხვნე-თესვაი, ხვეწნა-ღაღადებაი, თორ ხმელზეით ხორციელნი ხმას ვერ შამაგდებენ. დიდება შენ, გუდანის ჯვარო, — წეს-გამრიგევ! ლაშარის ჯვარო — მხარ-კვერიანო! ხახმატის ჯვარო — ყმა სახელიანო! დიდება შენაც, თამარ დედოფალო — ხმელეთის დამრიგებელო! ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთ თქვენ საყმოსა, თქვენ მახვეწართა. მტრის ხელ აჰხადეთ კაცსა კაცრიელსა, აშორე ხმაი მწარის სიკვდილისა, დაიცევ-დაიფარეთ ლალის მტრისაგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა


სადაც თქვენ ულურ დაიძახონ, თქვენ მაწალმართე ანგელოზთ მაახმარეთავ, თქვენ კაბის კალთა გადააფარეთავ. აიქამც გაუმრჯვთავ, საც ხმალ-ხანჯარ ერთუცს შამასქდებისავ, საც თოფ-ზარბაზან გამაჰქუხდებისავ; სახშიით გასულ, ტყე-ტყე მავალ შაინახეთავ; ყმან გაუმრავლეთ, წულ გაუზარდეთ, ექენით ეტლიან-დავლათიანი. ზამთარ მშვიდობისა გადააყრევინეთავ, ზაფხულ ლალიან-ბარაქიანი ჩამაუყენეთავ... თუ მე რასამ მახსენებას ვაკლებდე, თქვენ ნუ დააკლებთავ თქვენ წყალობასა. მუდამაც მეშველ-მწყალობელნ იყავით, მხოიშნებელნი. მაგეცეთ იმათი წყალობა, მელაშქრენო საქართველოისანო. იმათმა დავლათმა დაგლოცოსთ, ხელ-ხმლოსანნო, თავ-ქუდოსანნო!..“ დაულევნია ის ყანწი და ახლა თავად რაზმისთვის უთქვამს: „დღეს ჩვენ ვუქმობთ მთელი საქრისტიანოს ბრწყინვალე აღდგომას და, ამასთან ერთად, ბრძოლის დაწყებასაც წმინდა საქმისთვის. აი, ამ მთებში ბალახმა დაფარა ალექსანდრე ბატონიშვილის ფეხით დაქნილი ბილიკები. რუსეთის უსამართლობას ებრძოდნენ ჩვენი წინაპრები. ვითომდაც მოყვარულად მოსულნი მტრად გადაგვექცნენ. გვიწიოკებდნენ ქალზალთ, ოჯახებს, გვიძურდლავდნენ დიაცებსა და გვიხოცავდნენ კაი ყმებს. ეხლაც იგრევე მეორდება, როგორც მაშინ... შენ, ქაქუცაო, შენა გხვდა წილად შენი წინაპრების ნაომარი საქმის გაგრძელება შენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. შენ უნდა გასთელო ხელახლა ალექსანდრე ბატონიშვილის ნათელ ბილიკნი... თქვენ, რაზმელებო, გეხსომებათ, რო ბატონიშვილს თავის გარშემო შეფიცული მეომრები ჰყავდა... თქვენც ეგრე უნდა შეიფიცოთ და გაჰხდეთ „შეფიცულთა რაზმი“, ეხლა თქვენი შამამყურეა მთელ საქართველო. თქვენ ხელთ ას ჩვენ ლამაზ ქვეყნის გადარჩენა. გულრკინად უნდა ვეომოთ რუსებს. ეს რაზმი უნდა გადაიქცეს ქართულ ჯარად, ამ ჯარის გულად. სიცოტავისგან გულში შიშ არც ვის შაგეპაროსთ. გახსოვთა რუსთაველმ რა თქო: „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“. ადამაინი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდება, მაგრამ სიკვდილიც ასა და სიკვდილიც, მამულისათვის სიკვდილ მეორ სიცოცხლე ას!..არც როს დაგაფრთხოსთ მტრის სიმრავლემ: ერთ ქვაი ას ქოთანს ამტვრევს! ჩვენ უნდა შავსძლოთ იმის კეთება, რაც ვერ შაიძლო ჩვენთ მამა-პაპამ. თუ თქვენში კიდენ ღუის ის ნაპერწკალ, ჩვენთ წინაპრებს რო ჰქონდათ, თქვენ უნდა ხანძრად აქციოთ და ყველა მხრიდან შაუნთათ მასისხლე მტერსა. მაშ, გაუმარჯოს დიდ დავითისა, თამარისა და ერეკლეს საქართველოს!.. “

დიმიტრის შემდეგ ქაქუცას ულაპარაკნია:

„მე აქ ვერაფერს დავუმატებ დიმიტრის ნათქომს. დღეს ჩვენ სამშობლოს ძალიან უჭირს. — რუსეთმა ხელმეორედ წაგვლიტა დამოუკიდებლობა. ბევრჯერ ყოფილა ამ ყოფაში ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ჩვენს წინაპრებს იარაღი არ დაუყრიათ, მტერს არ დამორჩილებიან. დღეს ჩვენ ვაგრძელებთ ამ ბრძოლას და დაე, მთელმა ქვეყნიერებამ დაინახოს, რო ქართველი მონად არ შობილა! საქართველო მარტო ქართველებისთვის კი არა, სხვა დანარჩენი კავკასიელებისთვისაც ზურგის მისაყუდებელი კედელი იყო და ამ კედლად დარჩება მუდამაც. მაშ, გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მომავალს და ჩვენი პატარა რაზმის მისწრაფებასაც, — იმ რაზმისა, რომელიც მთის წვერზე აგორებულ გუნდასავით ეშვება ზევიდან და მალე ზვავად დაატყდება ყოველგვარ ბნელ ძალებს!..“

ამ სიტყვას შეფიცვა მოჰყვა, რომლის ძალითაც ყოველი რაზმელი სიკვდილს ამჯობინებდა, ვიდრე ღალატს ამ წმინდა საქმისას: ცისკარაულმა შეიხსნა ხანჯალი, ბუნიდან ყანწში ვერცხლი ჩათალა და ამ ყანწით ყველა რაზმელს ღვინო დაალევინა. კიდევ ერთხელ დალოცა ხევისბრულად, მოჭრა თხილის სწორი ნაზარდი, ტარად გაუყარა ქართულ დროშას, გაშალა და მთელ რაზმს ამ დროშით და სიმღერით გაუძღვა წინ:

*— ვინა თქო საქართველოზე,*
*— ეგ არი, ლომი კვდებაო?*
*ჩაუხდა ბედის მასკვლავი*
*და აღარ ამოხდებაო...*

ეს ვაჟას ძმის, ბაჩანას ლექსია, რომლის თქმაც ძალიან უყვარდა ხოლმე ცხონებულ ვაჟას... აი, ამის შემდეგ დაერქო ქაქუცას რაზმს "შეფიცულთა რაზმი...“

*გოგო:* იმ რაზმს რატომ უყვარდა ასე ილია ჭავჭავაძე, ხომ ჰყავდა საკუთარი პოეტი, მიხა ხელაშვილი?

*ლევანა:* მიხა ხელაშვილი მართლაც ძალიან უყვარდათ. ჩემი ყურით გამიგონია ქაქუცასაგან: რო გავიმარჯვებთ, მიხას აუცილებლად უნივერსიტეტი უნდა გავათავებინოთო. მაგრამ არ შეიძლება... ცოტა უხერხულად მეჩვენება, ეგრე ადვილად ვინმეს ხსენება ილიასთან ერთად. წეღანაცა ვთქვი: საქართველოსთვის თავდასადებად შეფიცულებს ილია თავიანთ მამად, მთელი საქართველოს პირველ ბელადად მიაჩნდათ... ერთხელ საშას მეთაურობით თბილისს სამი კაცი გაგზავნა საქმეზე. უკან დაბრუნებისას „ზაჰესის“ მშენებელ მეურმეებს შეეფარნენ საღამოს. შუაღამისას აიყარნენ და წიწამურთან გავლისას ილიას მკვლელობის ადგილის ნახვა მოინდომეს. იმ ალაგას ჩასმულ უბრალო ხის ჯვარს ძირი მოლპობოდა და წაქცეული ეგდო მიწაზე. ზამთრის ყინვაში გაქვავებული მიწა ხანჯლის წვერით იმდენი თხარეს, სანამ იქიდან მონატეხი ძირი არ ამოიღეს. ამოიღეს და მემრე ხელახლა ჩასვეს იმ ნათხარში ის ჯვარი. და თანაც სიმაგრისათვის გარშემო ქვები შემოულაგეს.

*გოგო:* თქვენ მართალი ბრძანდებით, ლევანა პაპავ, სანამ საქართველოს თავისი მწერალი ასე ეყვარება, გადაშენება არ უწერია. ილიამ თავისი მოწამებრივი სიკვდილით ისევე დიდი სარგებლობა მოუტანა თავის ერს, როგორც სიცოცხლით... აკაკიზე რას იტყვით? აკაკიც ხომ ასევე უყვარდათ, როგორც ილია?

*ლევანა:* რა თქმა უნდა. აკაკიც ძალიან უყვარდათ. აი, რადიოთი და ტელევიზიით მომისმენია, მაგრამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხანიშვილი, ქარუმიძე, დადიანი, მაყაშვილი და გოლა პავლიაშვილი რო მღეროდნენ „სულიკოსა" და „ციცინათელას", ეგეთი შეწყობილი ხმები ჩემ ყურამდის, ჯერაც არ მახსოვს, რო მოსულიყოს. განსაკუთრებით მოგვწონდა სულხანიშვილის „დაიგვიანეს", რომელიც ბალღობაშივე უსწავლებია ბიძამისს... მხოლოდ ერთი კაცი ვნახე ჩემ ცხოვრებაში, რომელიც აკაკის ემდუროდა.

*გოგო:* (შემცბარი) აკაკის? პოეტ აკაკი წერეთელს? რას ამბობთ, ლევანა პაპავ, აკაკის მომდურავი და — ქართველი კაცი?!

*ლევანა:* დიახ, ჩემო გოგო, შემხვდა ეგეთი კაციც.

*გოგო:* ვინ იყო, ლევანა პაპავ, რა კაცი იყო?

***

ახუხულავებულ შეშაში ცხვირწაყოფილი მორი თანაბრად იწვოდა. ერთადერთი ხმა, რომელიც მორის ბოლოზე ჩამომჯდარი გუშაგის ყურამდე აღწევდა, მძინარეთა სხვადასხვა ნოტზე აღებული, ერთურთში არეული ხვრინვა და სითბოზე ათრთოლებული წიფლის ფოთლებამდის ასული ნაპერწკლების ტკაცატკუცი იყო. გაყურსულ გუშაგს შაშხანა ლაჯებშუა ჩაეყუდებინა და ტაფობს გაყოლებით სახელდახელოდ აშენებულ ქოხებს უკან შავად ჩაჟამებულ ტყეს გაჰყურებდა. უცებ აიწია, მძიმედ წამოდგა, თოფი მარჯვენაში ჩაბღუჯა და ფრთხილად დაიძრა. გასცდა თუ არა იქაურობას, ერთურთს კარგად დაცილებული ორი სახუნდარი უკან მოიტოვა და ტყეს კატის ნაბიჯებით შეერია. წინ თვალებთან მარცხენა ხელის ფარვა-ცეცებით მიიწევდა, რათა მოულოდნელად უშნოდ გამოწვდილ ხის გამხმარ როკს არ წასწყდომოდა. ერთგან წიფლის ზროს აეყუდა და ღამის სიჩუმეს დააყურადა. ირგვლივ ნადირ-ფრინველის ღიმღამი არ იგრძნობოდა. კიდევ გაირა ასიოდე ნაბიჯი და ფეხქვეშ ნაზამთრალმა ფოთლებმა გაიჩურჩუნა. ჯერ ჩურჩუნი არ მიმწყდარიყო, რომ ჰაერში სისინი გაისმა:

— ვინა ხარ?!

გუშაგი გაისუსა.

— თქვი „ფარული", თორემ გესვრი!

— „რიონი და ალაზანი". იყუჩე, ბალღო, სიჩუმეს ნუ აფრთხობ.

— მამოწმებ, ლევანა ძიავ?

— ცეცხლთან დამცხა. აქეთ, სიგრილეში გამოველ, ბაადურ.

უკან მობრუნებული პირველივე სახუნდარმა გააჩერა...

საათსაც არ გაევლო, რომ ლევანამ ისევ ცეცხლთან მოიკალათა: სახუნდარები და საგუშაგოები შესაფერისი სიფხიზლით ფხიზლობდნენ.

ცეცხლს შეშა მიაყარა, მორი ერთი ადლით წინ წასწია და ისევ ზედ ჩამოჯდა. იჯდა და ცეცხლის გარშემო „ძიას" „დამუშავებული ტექნიკით", — სითბოსკენ ფეხებშექცეულად მიყრილ რაზმელებს მდუმარედ მისჩერებოდა. ძილშიც კი ყოველი მათგანი საოცრად ჰგავდა ერთმანეთს და ერთმანეთისგანაც საოცრად განსხვავდებოდა. განსხვავდებოდნენ იმითი, რომ სხვადასხვა კუთხის იერ-სახე ამჟამად უფრო მკაფიოდ ჩანდა, ხოლო მსგავსებას ერთი მიზნისკენ სწრაფვა აკვალიანებდა. კახეთი იყო ოდითგანვე საქართველოს მენაპირე, სადაც თავს იყრიდნენ მიწის სიმწირეს, ბატონებთან უთანხმოებას, მტრის ხშირ-ხშირ თარეშს თუ მესისხლეობას გამოქცეულნი და თავად ბევრად უფრო მტრიანი, მაგრამ გაუტეხელი კახეთი უბეში ინახავდა ყოველ შემოხიზნულს. ახლა ისინი: ლელო ჩიქოვანი, სერგო და მალაქია მაისურაძეები; ვარდენ აბაშიძე, მიშა ლაშქარაშვილი, მარტია ჩოხელი, თომა ბექაური, შამილ იქაიძე, მიხა ხელაშვილი, მგელიკა ჭინჭარაული, ქისტი ელჩი, დათიკო ფარეულიძე თუ სხვანი და სხვანი, — ყველა ერთად აღებულნი კახელები იყვნენ და სახვალიოდ თავიანთი „ბახტრიონის" ასაღებად იკრებდნენ ძალებს.

ბახტრიონის გახსენებამ წუხანდელი საღამო გაახსენა, მიხამ რო მომართა თავისი ფანდური და ვაჟას „ბახტრიონიდან" ის ადგილი დაამღერა, სადაც ლაშარის გორზე ფშაველ-ხევსურნი თავს იყრიან.

ყოველი მუხლის ჩამოთავებას, სადაც ამღიონთ, როშკიონთ, ჭორმეშიონთა თუ მათურელ-ცაბაურ-გაბიდოურთა ცხენები დგრიალით მიაქანებენ თავიანთ მხედრებს, — ჟრუანტელდავლილი, სისხლადონდგორებული თუში დამუშტულ ხელს შეანჯღრევდა ჰაერში და მომღერალს აქეზებდა: „ჰაი, დედასა, მაგარი ხარ, ფშაველო, მაგარი, გენაცვალოს იქაიძე მაგ ზარიან ხმაში!"

მომღერალმა უცქირა, უცქირა თუშს და უცებ დასცხო:

*ნაქერალაში დამდგარან*
*თუშები თექიანები...*

შამილ იქაიძე სულ გადაირია, როგორც კი მომღერალი თუშთა ვაჟკაცობას მიადგა.

— ჯიგარი ხარ, ფშაველო, ჯიგარი! გენაცვალე... — მაგრამ აღარ დაუმთავრებია და მაღლა აწეული მარჯვენა ჰაერშივე გაუშეშდა, რადგან ლექსის ბოლო ვაჟას ნაცვლად თვითონ მიხამ დაამთავრა:

*ლაშქრობას უვარგისონი,*
*ჭამაში ფეთიანები...*

შამილა უცებ წამოვარდა ფეხზე, ეცა მიხას და მოულოდნელად ფანდური ხელიდან წაჰგლიჯა:

— ეგრე კი არ უნდა, ფშაველო, აი, ეგრე უნდა! — და ჩამოჰკრა ლარებს:

*ციხეო ბახტრიონისავ,*
*აულებელო, ტიალო.*
*რას ჰყურობ ალვანის ველსა,*
*ლაშქარნი გეხვევიანო:*
*თუშები, უკან ხევსურნი*
*გალავანს გადადიანო,*
*ჰკაფავენ თათრის შვილებსა,*
*თავებს უკუღმა ჰყრიანო.*
*გასწყვიტეს დედა—წულითა,*
*ლეშზე ყორანი ხმიანობს.*

*გათენდა მეორე დილა,*
*ფშავლებიც ჩამოდიანო.*
*— სად ეყარენით, ფშავლებო,*
*სადიაცენო, თმიანნო?!.*

სხვა დროს მოპირდაპირენი ხანჯლებს თუ არა, მუშტებს მაინც გააშიშვლებდნენ, მაგრამ ახლა ასეთი შეხუმრება მსმენელთა სალაღობოდ აღიქმებოდა და შეფიცულნიც გუშაგთა სიფხიზლის იმედით აზარხარებულნი აქეზებდნენ თუშსაც და ფშაველსაც...

ლევანმა ერთხელ კიდევ გადახედა მძინართ. თითქმის ყოველ მათგანს ისეთი მშვიდი, მიამიტი, თვინიერი სახე ჰქონდა ალის ლიცლიცზე, ვერაფრით იფიქრებდით, რომ, თუ გაიღვიძებდა, კაცს თოფს ესროდა. მაგრამ ტყედ გასულს ვერასდროს მოსთხოვ ათი მცნებიდან უმთავრესის დაცვას. ვაჟაზე დიდი ჰუმანისტი ბევრი არ დაუბადებია მიწას, მაგრამ იმანაც თქვა ერთხელ: „სიკვდილი თავად უფალსა გაუჩენია მტრისადა“ და კლავენ, რადგან ვინც მტერს დაინდობს, თავადა ხდება მტრის ლუკმა. მაგრამ მტერსაც გააჩნია: როგორი მტერი უნდა მოკლა და როგორ მტერს უნდა შეაკლა თავი. ორივე შემთხვევაში სიკვდილი უნდა გამართლებული იყოს. როცა არსენა კუჭატნელს წინ უხვდება და იღუპება, ამ შემთხვევაში სიკვდილი ორთავ მხრით გაუმართლებელია. პატივმოყვარეობისა და მხვაობრობის გამო თავის წაგება დიდად უაზროა... მაგრამ აქ, ამათთან... მოვიდნენ რუსები და დაუპანღურეს მთავრობა. შეიძლება უვარგისი, მაგრამ ის ხომ ამათი საკუთარი მთავრობა იყო?.. რუსი ისეთი დროშით მოვიდა, რომელზედაც „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“ ეწერა. მაგრამ შენს „ძმობას“ რატომ აძალებ არსენას ღვინოსავით? განა უშენოდ თავისუფლად არა გრძნობდნენ თავს? თანაც დიდებულად იციან, შენმა წინაპრებმა ამათი წინაპრები ხომ იმავე „საძმო“ ხრიკით აცთუნეს, როცა გაუჭირდათ და დახმარება სთხოვეს? მოვიდნენ ისინიც და, მისცხე წაქცეულსო, დაუმხეს საკუთარი კერპები, წაუბილწეს ტაძრები, შეუგინეს წმინდანთა ძვლები, რათა მათში მამა-პაპიდან სისხლში გადმოყოლილი თავისუფლების ნაღვერდალი მინავლულიყო. მერე მისდგნენ და ენის ამოგლეჯა დაუწყეს... განა ეს იყო სამეგობროდ მოსვლა და დახმარება? ჩვენ, ყველანი, ჩვენი წინაპრებიდან მოვდივართ. ახლა რატომ უნდა დაგიჯერონ? არა, როცა ფესვებს მტრობ, ყლორტებთან ძმობა გამორიცხულია!.. და ლევანმა დაინამდვილა, რომ ხვალ კაცს მოჰკლავდა, თუ იმ გზაზე გადაუდგებოდა, რომლითაც თვითაც მიისწრაფოდა... აი, ამ ცეცხლის ირგვლივ მიწოლილ ცოცხალი ცომის გუნდაში სრულიად საქართველოს ის ნაწილი ინივთება, რომელიც მზად არი თავისუფლების ძებნაში სიკვდილისათვის. და ამ მდგომარეობას დროთა განმავლობაში ისე მიეჩვია, როგორც აბრეშუმის ჭია ეჩვევა საკუთარი სურვილით კუბოდ გამზადებულ პარკში გამოკეტვას, რათა არყოფნაში თავისი გადასახლებით ადამიანებს აბრეშუმი დაუტოვოს... აი, ამგვარი რამისთვის ღირს თავის დადება, რადგან აქ სიკვდილს უკვე აზრი ეძლევა... თანაც წინამძღოლი ისეთი ჰყავთ, რომელსაც ძალუძს, წარუმატებლობაშიც კი ჰპოვოს სასარგებლო რამ. მისი იმედით სძინავთ ახლაც ასე მინდობილად. იგი ყოველ მათგანს ისე დაჰკანკალებს, როგორც მეზვრე თითოეულ მტევანს და, როგორც კი რთვლის დრო დადგება, სინანულით, მაგრამ აუცილებლობის კარნახით, ყოველ ამ მტევანს საწნახლისკენ გააქანებს, რადგან, თუ ღვინო გინდა, ყურძენი უნდა მიჭყლიტ-მოჭყლიტო!..

განაპირა ქოხიდან ცეცხლისკენ ვიღაც წამოვიდა.

ლევანა მიხვდა, მისი შემცვლელი უნდა ყოფილიყო.

მართლაც მაყაშვილი მოდგა შუქზე და კუნძზე ჩამოჯდა.

— ჯერ ხო მშვიდობაა ჩვენ თავზე, ბატონო ლევან?

— მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება.

— ამინ, გისმინოთ უფალმა. ბატონო ლევან, ბოდიში უნდა მოგახსენოთ დაგვიანებისთვის. თქვენ არ მობრძანდით გასაღვიძებლად, მე კი თავის დროზე საწოლიდან ვერ ავიწიე. ძალიან მკაცრი დისციპლინაა რაზმში და არავის ეპატიება მისი დარღვევა.

— აქამდის იყო საშიში, აქ რო არ ენახე, თორემ ახლა მოსული ხარ, ვინ რას გაიგებს?

— არა, როცა დაბრუნდება, მე თვითონ ვეტყვი და, რა სასჯელიც იქნება, სამართლიანად მივიღებ.

— მაშინ მე გამოვალ დასასჯელი, რადგან არასოდეს არავინ არ გამიცია. უმჯობესია, წახვიდე და ძილს ერთი ფრთა კიდევ მოჰპარო. რა ხანია, შუაღამე გადავიდა და, საცაა, გათენდება კიდეც. წადი, ჯეილი ბიჭი ხარ, ეხლა შენ უფრო გჭირდება ძილი.

— აბა, რას ბრძანებთ, წესი წესია. წესრიგის დარღვევას არავის პატიობს ბელადი.

—მაშინ დარჩი, ვითომც საუბარს შევყევით და ამ საუბარში შემოგვათენდა. შენ რომელი მაყაშვილებისა ხარ?

— მაყაშვილების ბუდე იყალთოა. არიან რუისპირშიც, მაგრამ ისინიც ჩვენი განაყარნი.

— ფუ, ეშმაკო! კინაღამ არ გკითხე: იმ მაყაშვილისა ხო არაფერი ხარ, ბაში-აჩუკმა თავი რო წააცალა-მეთქი.

გუშაგის შემცვლელს არაფერი უთქვამს. ერთი კი უწადინოდ შეირხა და მერე დიდხანს მიშტერებოდა ცეცხლს გაუნძრევლად.

ლევანმა იუხერხულა და მოიბოდიშა:

— ვატყობ, ცუდად გეხუმრე, ელიზბარ, მეგონა, შენც ხუმრობაში ჩამომართმევდი.

— თქვენგან არაფერია საწყენი, ბატონო ლევან. ეგ ამბავი მარტო მე კი არა, მთელ ჩემს ჯილაგს აწვალებს... წუხელ თქვენთან ერთად მეც ვუსმენდი მიხასა და შამილას კაფიაობას. ხევსურების, თუშებისა და ფშავლებისაგან ბახტრიონის ციხის აღებაზე რო მღეროდნენ.

— ჰო, მღეროდნენ და კარგადაც მღეროდნენ. მეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამელიმა იმათ პაექრობაზე.

— ვიცი, რო ახალგაზრდობაში ვაჟა-ფშაველასთან მეგობრობდით. ისიც ვიცი, რო მთელი იმისი ლექსები და პოემებიც კი ზეპირად იცით.

— ჰო, ბევრი რამ ვიცი ვაჟასი და თვითონ ვაჟაზეც.

— ჰოდა, ასეთ კაცს ნუთუ არასდროს მოგსვლიათ აზრად, გეკითხნათ მისთვის: იმ პოემაში ბახტრიონი რატომ აღებინა მარტო ფშაველებს, თუშებს და ხევსურებს? მაშ, ისტორიაში ბახტრიონის აღება რად არი „კახეთის აჯანყებად" მონათლული? სად იყვნენ ამ დროს კახელები?.. ვაჟა მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ ეგრე არ უნდა გადაეძალნა კუთხურობას. დიდი პოეტისათვის დიდად საჩოთიროა კუთხური პატრიოტიზმი და ნამდვილი ისტორიის გამრუდება. და განა მარტო ვაჟა? ავიღოთ აკაკის „ბაში-აჩუკი": იმერეთიდან გადმოჰყავს ერთი იმერელი, რომელიც მიდიმოდის, მთელ კახეთის აჯანყებას უკეთებს ორგანიზაციას, ვითომ სპარსელებს, მაგრამ სინამდვილეში, როგორც შემდეგ გამოჩნდება, კახელებს ულახავს საუკეთესო ფალავანს, — აბდუშაჰილს, მთელ კახელ მოჯირითეებს დააწბილებს, — ცხვირწინ ჩამოუგდებთ ყაბახს, მერე ვითომც თავისი ქვეყნის, — სამშობლოსაქართველოს მოღალატეს, — კახელ მაყაშვილს ხმლით წააცლის თავს და ბახტრიონის ციხესაც იმ ბაში-აჩუკს აღებინებს... ერთი ეს მიბრძანეთ: სად იყო ამ დროს ჩოლოყაშვილი?

— როგორ არა, კაცო, იმ წიგნში ჩოლოყაშვილიც არი.

— მეც ვიცი, რო არი, მაგრამ მის საქმეებს იმ იმერლის ჩრდილი ფარავს. თუ ის ბაში-აჩუკი იყო ყველაფერი, მაშ, ბიძინა ჩოლოყაშვილი და ქსნის ერისთავები რად ჩავიდნენ ისპაჰანს? რატო იმათ მაგივრად ის ბაში-აჩუკი არ წავიდა კუნძზე თავის დასადებად? მაშ, ეკლესიამ იმათ მაგვირად რატო ბაში-აჩუკი არ შერაცხა წმინდანად? ტყუილია, ისტორიამ არც ერთი იმერელი არ იცის მაშინ სპარსელებთან მეომარი. ან როდის, სად, რომელი მაყაშვილი ნახა სამშობლოს მოღალატე?

— ოო, ქვეყნის მოღალატედ მოხსენიება კაცისა, იმისი სამარადისო სიკვდილია. რა ვუყოთ; აგე, დღესაც კი ვერ გაურკვევიათ ბოლომდის: გიორგი სააკაძე სამშობლოს მოღალატე იყო თუ არა. ცილისწამებაზე დიდი ცოდო არ მეგულება დედამიწაზე. კაცი რომ შვილსა სწირავს სამშობლოსთვის, ეს ღმერთისადმი აბრამის სიყვარულის ტოლფასია!..

— ბიძაჩემი, კოლა მაყაშვილი, თელავის მაზრის ბოქაული იყო. მაგრამ ყაჩაღად გასულ ქართველ ბიჭებსაც კი არ ერჩოდა. ან კიდევ ძიას ქალ-ვაჟი ავიღოთ, განა ამ სამი წლის წინ კოჯორთან არ დაიხოცნენ სამშობლოსათვის? ვის გაუგია მაყაშვილის ღალატი? მე მაინც ხო კარგად ვიცი, რატომაც მოუდო ეს შარი მაყაშვილებს... მაგრამ იმ გოგოს სხვა უყვარდა და გასაკვირია, უარი ეთქვა?

ლევანამ ყური ცქვიტა.

— ვინ გოგოს? ვისთვის უნდა ეთქო უარი?

ელიზბარი უცებ შეჩერდა, ხელი ჩაიქნია და ცეცხლიდან გადმოვარდნილი მუგუზალი ისევ ცეცხლში შეაგდო.

(დასასრული იქნება)





ეროვნული
ბიბლიოთეკა



# რევაზ დანელია

## მზის სისხლის სიხარულით

(სამკარედი)

1

საკუთარი ცეცხლი ტანჯავს ალუბალს –
აჯამეთის ტყეებიდან გაქცეულს!
ის ნიავი, ნეტა, სად იმალება,
წვიმამ ქარად ხვალ რომ უნდა აქციოს?!

2

სიხარული მზის სისხლივით ბრიალა,
აენთება, უცებ აიათება?
ბროლის ყელით მთვარე აბორიალე,
ჯერ ცრემლებით, მერმე ბაიათებით.

3

არაფერი, არაფერი არ გინდა,
ამ ქარების, ამ მინდვრების, ცის გარდა?
სიზმრისფერი ის ალუჩაც გაფრინდა?
ის ალუჩა მართლა როგორ გიყვარდა,
ის ალუჩა – დედოფალი ნამდვილი!
კვლავ დაცდება საკუთარ ცრემლს – ნამს დილა!
შორით ჩანან სისხლისფერი ვარდებიც?
შენი დარდი დარდივით უდარდელი
შენივ სიზმარს მუხლზე დაუვარდება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შროშანღრუბელი

შროშას შროშანივით ღრუბელს
სული წვიმად უნდა ექცეს?
ტყედ რო იქცა, ლურჯად იქ ცას
უკვე მოეღეღა უბე!
გაიტრუნა სიოც, თვალი
სიზმარს სულ მთლად დაენამა.
გაახარა თვით უფალი
ჩემმა ლექსმა და ენამა!

შროშას შროშანივით ღრუბელს
სული წვიმად უნდა ექცეს?
ტყედ რო იქცა, ლურჯად იქ ცას
მოეღეღა უკვე უბე!
მოეღეღა, ტყეში სული
მეფობს უკვე წვიმის, აგერ –
სიხარულით ცის ასული
აღგამს ზურგზე ქარს უნაგირს!..
აქ ყოფილა თურმე ქარი,
შენ გეგონა ის კი სიო!
ტყის ცა მღერის: თეთრი ქალი
ქარის მთვრალი კისკისია!

შროშას შროშანივით ღრუბელს
სული სიზმრად უნდა ექცეს?
ტყე რო იქცა ლურჯად, იქ ცას
წვიმით მოეღეღა უბე!

## ლექსი დიდი წუხილისა

*„ეჰ, რად შევესწარ ამა დარესა.*
*ძნელ სახილველსა. შესაზარესა!..“*

მარიამ ბატონიშვილი

საქართველოს – „სევდით გრაგნილს,“
ვინ წაართმევს თუნდაც მისხალს –
ოქროს!.. ესმის ცაშიც გრანელს:
– ურუსი კვლავ ჰფლობსო მის ხელს!..
ურუსი კვლავ?.. კლავს ცას დარდი!
დარდმა დარდიც მოაკვდინა!
ცრემლის ცაში ჩაქრა ვარდი,
არაფერიც არ ეტკინა!

ამ ველს, ამ ტყეს და ამ ფერებს,
თვით იმ სოფლად მოსაფერებს,
ამ ცას აწ ვით შეადარებ?..
– საქართველო ავად არის,
„რად შემასწარ ამა დარეს!..“–
ცით მოისმის, ქართველები
ახლა უფრო ცით არიან!
სიზმრად ვნახე: დევი ველით,
როგორც ქვიშას, ცრიდა რიონს!

.............................................

„დაბრუნდა ეტლი უკუღმა?..“ მორჩა,
ჩრდილოეთისკენ მივექანებით?
როგორც ჯეჯილი, ხმა აინორჩა:
–თქვენ – ქართველებო, არც მენანებით!

## შემოდგომისპირული

ქარი წელში გაიშალა.
ატამს ლოყა მაინც უხურს.
ზოგან ყანაც აიჩალა?
მალე მივუჯდებით ბუხარს!
სიზმრის ტყეში ოჩოკოჩი
თოელმა კვლავ ათრიალეთა?
თუთაშფერი ღვინო ქოვჩი,*
ქარს – გადმოსულს თრიალეთით!
იცი, როგორ მე მიყვარხარ!..
სიხარულო, შემოგევლე!
მთვარემ სხივი გაუყარა
შავ-შავ გულში მაგ წითელ გველს?
გველმა მაინც გაიცინა,
გველმა მაინც?.. ჩაქრა გველი!
აგერ მოდის ასი ცოტნე
და ათასი არაგველი!
ქარი წელში გაიშალა!
ატამს ლოყა მაინც უხურს!
ზოგან ყანაც აიჩალა?
ცეცხლი მიჰყავს ცაში ბუხარს
თუ პირიქით!
ჩვენც ხომ უნდა დავიძინოთ,
უკვე ბევრი ვიბერიკეთ!
ცეცხლმა ცაში გაიცინა?
მიწაზე წევს სიბერე კი!
ქარი წელში გაიშალა.

* *მთვარისფერი ღვინო ვასვი (მეგრ.)*

ეროვნული ბიბლიოთეკა


ქარო, ცად აბრუნდე უნდა?
მთვარეს, მზეს და მზისფერ ჩალას
სიხარულით დავუბრუნდი!
დავუბრუნდი! ცაც ვსვი ბევრი,
მეფის დარად ვინადიმე!
გამოჩნდება ვინემ დიმი,
გაივსება მზით კვლავ ქვევრი!..
დარდი თვით დარდს გავატანე,
ზედ ღრუბელზე ლექსი ვწერე,
მერმე წაველ და ცისტანა
მზესთან ჯვარი დავიწერე!
ქარი წელში გაიშალა?
ატამს ლოყა აღარ უხურს!
ყანაც უკვე აიჩალა?
აჰყვეს ცეცხლი ცაში ბუხარს,
ცეცხლით ყელწაფრენილ ბუხარს!

## წვიმის საგალობელი

შვლისფეხება ტყეში უცებ ჩაქრა ქარი.
მაყვლისთვალა წვიმა მაყვალს დაცდა თითქოს!
ქრისტესისხლას, დღემუდამ რო ცით აქ არი,
სიზმრით – სული, ცრემლით გული დაეთუთქოს!

ფერმა ფერი, ვით ტყე, ხელში აიყვანა.
აწ რა უნდათ. აღარ გიკვირს, მათ რა ხევით?
მოეხვია წვიმა წელზე ჯერ თბილ ყანას,
მერმე ტანი მოიქნია მათრახივით!

თავდახრილი იდგეს ყანა, მწიფე თავთავს
არ მიუვალს საღამოსპირს სიო ვითა!
ქარმა თვისი თავდაღმართი ჩაათავა
სინათლისა სიმღერითა, სიავითაც!

სივრცეს, წვიმით და ვარდებით აყვავებულს,
სიყვარულის სიხარული თვით ეწვია?
მწიფე წვიმით, მწიფე ყანის თავთავებო,
ცის სიზმრები სიზმრებივით თუ იწვიან?!

უნდა დარდმა გზას უტიოს, უნდა მალე
სიყვარულის სიხარულმა გაიხაროს!
სიზმრის წვიმა გულის გულში თუ დამალე,
შემოგტირებს ფერი: – ხარ და არცა ხარო!

ამ შველივით ტყეში უკვე ჩაქრა ქარი?
ეს შრიალა წვიმაც შველი არი... თითქოს!
ქრისტესისხლას, დღემუდამ რო ცით აქ არი,
წვიმისფერი სული წვიმით დაეთუთქოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1871

არცა სიზმარი, არც სიზმარა არსით ჩანს ცხენი?
შთაყარნა ძვლები აწ შამილმა წყალობით ჩვენით
მექას. ურუსმა განუტევოს, სადა აქვს სული,
ან ეს ლურჯი ცა – უთბილესი, ან ეს მამული!
მთლად სისხლია და მთლად სულია აწ-ამ შამილი–
მზის სიხარული, მთვარის სევდა, ხვალის წარსული!

არცა სიზმარი, არც სიზმარა არსით ჩანს ცხენი?..–
ჩვენვე მოვაშთეთ (გვიხარია!) შამილი ჩვენი!

## მეოცე

თვალი მილულა საუკუნემ უკვე მეოცემ.
გემი ზღვით ჩაქრა. ნავიც არ ჩანს ცის აფრიანი.
ყაყაჩოს სული რომ აენთოს ისევ, ილოცე!
არაფერია არაფერი არაფრიანა!

ღვინო კი არა, ოღენ სუნთქვა დააგემოვნე.
ააჩურჩულე სული სულაც ბალახებივით.
ცით ანგელოსი გადმოსულა, აგერ – დემონიც!
აქვე კრავებით ანთებული იალაღები!

მზის სულიც აქვე! თვით ეს სისხლის მდინარე – ჟამი –
ქარია? ქარი მოეხვევა ამ ტყეს და ისევ?
შეენთო ცის თბილ აღმართს მშვიდად მთვრალი ლერწამი –
აისისცრემლა ცვარი, ახლა უკვე დაისი!

თვალი მილულა საუკუნემ უკვე მეოცემ?
აქ, აქ იწყება, თუ იწყება, ძილის ეს ტყე, ვით
ყაყაჩოს სული – მზის სიზმარი... მიდი, ილოცე
მიდი, ილოცე, ილოცე და გზას შეუყევი!

## დრონი

„ვაჰ, დრონი, ვაჰ, დრონი!..“ ჰყავს მთვარეს პატრონი,
ერთი კი არა, ათასი პოეტი!
დავრჩით ჩვენ – მე და შენ აქ ახლა მარტონი!
ეახლა რუსთაველს იმ ქვეყნად გოეთეც?
– ეახლოს, ბატონო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარდივით სოფელში, თუ ვინმეს დაურჩა,
მე და შენ დაგვირჩა ვარდი და საღამო –
იისფრად ნათიბი.
ეს გული მე ვიცი, აწლა რას აირჩევს!
აწლა რას აირჩევს?
– მნათობებს!

„ვაჰ, დრონი, ვაჰ, დრონი...“ კვლავ დიან მარტონი!
დარდია აწ ვარდის მთიები!
ამ ქარის, ამ ზეცის, ამ ცრემლის პატრონი,
ვითარ არიან იები?!
– ნუღარა მკითხავთ, ბატონო!

„ვაჰ, დრონი, ვაჰ, დრონი...“ ხარ მთვარის პატრონი!
ვით იხდის ეს ჟამი – წამი ვალს!
ეს ქარი სულ ტირის!.. სულს ტირის, ბატონო?
– მე მაინც ვერსაით წამივალს!



## ზანა*

ცით დის ზანა – ბროლისყელა, შვინდველა,
შენებრ შველი, შენებრ ძარღვი შიშველი.
ტყეში შევა. არცრის შეეშინდება,
ზეცას, ვით ტყე, შეენთება შინდებით.

ცით დის ზანა... – შენი სული – კანკალი –
ლამაზია, ვით ტყე, ვით აზნაურა.
მზის სიზმრებით მოიქარგა კანკელი.
ცამ ტაძარი, ვით ცა, აუცნაურა.

ცით დის ზანა... – სიხარული, დის, ცით დის.
ზანამ მზის ცა ვით არ გადაიაროს!
თბილად გალობს ყელხატულა მზის ჩიტიც:
– ზანა თავად კაცი, ადამი არი!

*მდინარე ხობისწყლის შენაკადი (მეგრ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლექსი სიხარულით დახოცილთათვის

ალუბალი ცეცხლის ალს
ხელიდან ვერ დაუცდა!
შეშლილ ტყეში ტყაშმაფას
საკუთარი და უცდის!
ქარები კი ქარებით
სადღაც მიფრიალებენ!
სიზმარა მზეს კითხულობს
მაფა მაფას თვალებით!
და ყველაფერს უამბობს
მაფას და ხომ ცით იყო!..–
სიხარულით ერთურთის
ორნივ დახოცილიყვნენ, –
იქვე თბილად ეყარნენ
(აღარ ედო ტყეს ფერი!) –
იყო ასე ქვეყანა,
არი ასე სოფელი!

ალუბალი ცეცხლის ალს
ხელიდან ვერ დაუცდა?
შეშლილ ტყეში ტყაშმაფას
საკუთარი და უცდის!

## მუხის ჩრდილი წამებული

ტყეს მოუღო ცეცხლმა ბოლო?
ითვლის ტყეში წამებს ბოლი?
მუხის ძირას წევს, მაშ, რა ქნას,
მუხის ჩრდილი წამებული!

## მიყვარდი და არც მიყვარდი

მახსოვს, სული როგორ ასვი
მზეს თიბათვის, აჰუ, რა ცხელს!
ლექსებს ხვალეც, აურაცხელს,
ათქმევინებ ცით იასვე?

კვლავ დათვრები უსურვაზის
ლურჯი ცრემლით – დაღის ტანით?!
ტყეს სიცოცხლე უსურვა, ზის
ტყეში ქარი დაღისტანის!

ქარი – შარი... როგორც მთვარე,
ცას ჰკიდია ყელზე დარდი?
გინდ იტირე, გინდ იხარე:
– მიყვარდი და არც მიყვარდი!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ალინა ქადაგიშვილი

## გზის დასაწყისი

*ივი იყურება ევოში, როგორც უფსკერო ჭაში და იმ ღივლივიდან რა სიტყვებიც ამოჰყვება, „ამოეთქმევინება“, უჩვეულო ლექსად აშენებს.*

*ეს პატარ-პატარა სიტყვიერი ნაგებობანი უარყოფენ თითქმის ყველაფერს, რასაც „ლექსთწყობა“ ასწავლიდა ნებისმიერ დამწყებ თუ ზრდასრულ პოეტს. თუმცა სიტყვა „უარყოფა“ ზუსტად არ გამოხატავს იმ შემოქმედებით პროცესს, რომელიც ფრაგმენტულობისკენ და ერთგვარი აბსტრაჰირებისკენ მიილტვის. ეს უფრო უარის თქმას ნიშნავს ყოველგვარ „კონვენციურობაზე“ და ტრადიციული ლექსთწყობის ცნობილ სტრუქტურებზე, რომელთა წიაღშიც სიახლე უნდა ჩაიწნეხოს და თვით ცნობილ სტრუქტურასაც ფერი უცვალოს. ეს მისი თაობის დამწყები შემოქმედებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშანია, რომელიც ირყევა კლასიკური ლექსის ვერფლობასა და უარყოფას შორის. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ივი ვერ გაურბის ტროპული მეტყველების ნაცად გზას და საყრდენსაც იქ პოულობს.*

*შევარჩიე ალინა ქადაგიშვილის რამდენიმე ლექსი „ცისკრის“ დებიუტისათვის იმ იმედით, რომ ამ პოეტური სტრიქონების ავტორი, რომლისთვისაც სიყვარული „ცის საჩუქარი არ ყოფილა“ და „არც წეროს მოუტანია ნისკარტით“, კიდევ გაიზრდება და უკეთეს ლექსებს დაწერს.*

*მჯერა, ევოს უფსკრულში მაცქერალი ახალგაზრდა ავტორი მომავალში ისეთ რამეებს აღმოაჩენს, რაც მკითხველთან ერთად თვითონვე გააკვირვებს.*

*იმედს ისიც მიმტკიცებს, რომ ივი მხოლოდ „გარემხედი“ აღმწერელი არ არის და გრძნობათა სიღრმეებს აყურადებს.*

*გივი ალხაზიშვილი*

## აღმართი

*ვუძღვნი ირაკლი ზიბზიბაძეს*

ჩვენ თავდახრილნი მივდიოდით და ხელებიდან გვიცვიოდა ჩრდილები.

აკაციის გულახდილობით გაბრუებული ქუჩა. ვიწრო აღმართი (The) sun shine(s)!

ჩემი გაბურძგნილი მეგობარი–boy-frend.

და ჩვენც ჩვენსავე ჩრდილებში ვცვიოდით და ერთმანეთის სიცხეში.

დღემდე ღიად დარჩენილი კითხვა: იმდენი აღმართია, რამდენიც დაღმართი, თუ ერთით მეტი? (რომელიც ღმერთამდე მიგვიყვანს?)

მაისის მიწურული თბილისში. „მიწურვილ იყო ზაფხული“ – (კომენტარი) პაემანი: „ქუჩის ბოლოში, შენს ჩრდილთან, ზუსტად ექვსზე“.

PINK FLOYD-ის სერენადა უღრუბლო ცაზე.

მე შენ მჭირდები. . .

PINK FLOYD – შავტუხა ბიჭის მიერ გამოყვანილი ქუჩის მესერზე. უზარმაზარი ასოები. გახუნდა, გაფერმკრთალდა. მესერს ფიცრები აკლია: ერთი, ორი.

ერთი, ორი; ერთი, ორი. – გონებაში ვიმეორებ თვლას და ფეხებს რიტმულად ვამოძრავებ. მის სახლს უნდა გავუარო. გულის ბაგა-ბუგი – ერთი-ორი, ერთი-ორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

უხარია, რაღაც უხარია — იცინის და ბავშვურად მელუღლუღება (თან მზერას მხრებისა და ქვედატანისკენ აპარებს.)

მე შენ მჭირდები. არა მარტო როგორც შენ, არამედ როგორც პანდორას ყუთი, მასში დამწყვდეული იმედით. მე შენ მჭირდები, როგორც დოპინგი, როგორც სიცოცხლის ელექსირი — მზის ენერგია; როგორც მილიონი ვარსკვლავი, რომლებიც უნდა მომითვინიერო.

ო, ისევ ეს კოსმოლოგიური სიყვარული, რომლის გადაშენებაზეც რა ხანია (წინასწარ)+მეტყველებენ „სპეციალისტები გრძნობათა დარგში".

ვაი, მათ სიბეცეს!

ხოლო მე და შენ მიწაზე ვტოვებთ ჩვენს ჩრდილებს და მზეს მივყვებით.

ვიწროა აღმართი.

* * *

კიდევ ერთი ჰიმნი მზეს! PINK FLOYD — დაისის ჩიტი — ვარდისფერი ფლამინგო.

„ჩემმა ოქრობიჭმა თავისი ნივთები მოხიკა და დამტოვა" — ამეკვიატა ლინგსტონ ჰიუზის მწუხარე ბლუზი.

მაგრამ შენ ეს არ გეხება. შენ არასოდეს მიმატოვებდი. დიახ, ვერასოდეს, რადგან ერთად არა ვყოფილვართ.

მან კი მიმატოვა! ო, რა მსუბუქია მიტოვებულის განცდა, როცა ერთად ყოფნა თამაში იყო, და შენ გამათავისუფლე ამ მძიმე როლისგან...

ეს მან მიმატოვა, შენ კი, უბრალოდ, გამირბი, არ გინდა, იყო მიტოვებული და დაკარგვას ისევ დამალვა გირჩევნია.

* * *

ხელისგულზე დაიხედე — რამდენი აღმართია გასავლელი: თუ არ გეყვარება, მოასფალტებულ ვაკეზე ივლი და იოდით და ვიტამინებით გამდიდრებულ საკვებს მიირთმევ...

გინდა იპოვო საოცნებო მწვერვალი, ანუ სიყვარული?

(მაგრამ აღმართი რომ დაღმართად გადაგექცეს?..)

მიკვირს, ჯინსის შარვალსა და ძველ ქურთუკში გამოწყობილი ყვავილების საყიდლად რომ მიდიხარ.

გშვენის, ვით შენი დახვეწილობის ხორც შესხმა — ეს თაიგული.

ეს თაიგული — იარაღთა შორის ყველაზე ნაზი.

თაიგულები. — რამდენი იმედი უკავშირდება მათ და ასევე რჩება გაშეშებული, უსიცოცხლო, ჰერბარიუმებში — ქალური მოგონებების ძეგლებში.

* * *

მუსიკა, მუსიკა გროვდება ყურის ნიჟარებში, ვით მოლუსკების ნიჟარებში ზღვის კარდიოგრამა. შენ მასმენინებ BLACK SABBATH და PINK FLOID-ს და კვლავ ორივეს გვინდა, გვჯეროდეს, რომ მუსიკა ჩვენს მერეც იქნება — ვარსკვლავების გადამახილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „იყოს მზე შუქმიბინდული..."

*უძღვნი ირაკლი ზიბზიბაძეს*

იყოს მზე შუქმიბინდული,
მე შენი მჯერა!
ჩემი თეთრი ხელები თოვლში
უნდა დაიცვა.
რომ გამიტაცო უნაყოფო ზმანებებიდან
შენ უნდა მითხრა:
აი, მოვიდა
და მიმითითო ზღურბლზე,
სადაც ხმა ყინულს ათბობს
და მზერა იგი თოვლს რომ ადნობს, უეჭველია.
ამ სახლში თბილა
უფანჯრებოდ და უკარებოდ.
უიატაკოდ და უჭეროდ ის შექმნილია,
არც საყვავილე ჩანს სანუგეშოდ,
არც პორტრეტია, რომ ჩამოხსნა
და შეცვალო დეკორაცია;
რადგანაც იგი არაა სცენა,
არც გაფორმება არ უწერია.
ჩანს მხოლოდ ზღურბლი, როგორც ცაზე ცის სარტყელია,
ოღონდ შავ-თეთრი და თან უბალიშოდ.
შენ კი ჯიუტად იმეორებ:
აი, მოვიდა
ვინ? დედაბერი, ქალი, ბავშვი თუ მამაკაცი?
–ვინ არის სახლში, საიდანაც ვერ გაიქცევი,
მიუხედავად გარეგანი თავისუფლების?
–ის, ვინც იქ ფანჯრებს წარმოსახვაში აღებს ჩვენთვის
და მოკრძალებით დილას სახლში ეპატიჟება,
სახლში, რომელიც დგას დღე-ღამის გზაშესაყარზე
და რომელშიც თვით ღმერთია ადგილის დედა.

* * *

შეყვარებულნი. ხშირად ერთად ფიქრობენ გედზე
მარგალიტივით რომ ამშვენებს ტბორის ზედაპირს
მათ წარმოდგენას შავად ლაქავს თეთრი პორტრეტი
ხელკავგაყრილნი სეირნობენ დაკიდულ ხიდზე

ღიმილის ნაცვლად მელოდრამით გადიან ნაპირს.
შეყვარებულებს, ორ არსებას, ერთად მოხვედრილს.
გედის სიმღერა – ცის ტირილი მოჰგვრით ციებას
როცა ერთმანეთს თვალებიდან პარავენ ცრემლებს
და პეშვებიდან წვიმას სისხლში გადაისხამენ
მათ ექსტაზში სურთ დაკარგული დროის ძიება.

ღვინის შხეფები ეპკურება გედების ცეკვას
შეყვარებულთა ხელებია დუმფარებივით.

ბიბლიოთეკა

## მე

ვიღაცამ რომ მოჩვენებითი მხიარულების ფარდა გასწიოს,
დაინახავს ოთახს,
სადაც უწესრიგოდ ყრია ნიღბები –
ტრაგედიის აქსესუარები.
ბნელ კულისებს კი წამიერად ანათებენ
შემოხეტებული ლანდები და ქრებიან.
დასი თითქმის არ ისვენებს
და კომედია კარგად შენიღბული ტრაგედიაა.
რატომ?
გამოგვიცხადეს, მაყურებელი ტრაგედიას აღარ იღებსო,
ახლა მოდაშია კომედია,
ჰოდა, ვიცინოთ,
დავცინოთ ყველას და მათ შორის საკუთარ თავსაც
და ეს ცხოვრება – კომედიები ტრაგიკული ფინალით
უმტკივნეულოდ, თვალთმაქცურად გავითამაშოთ.

* * *

რასაც არ ელი, ის უჩინრად ახლოა მუდამ:
როს სანადიროდ გადის გული სახეთა ტყეში,
ვისაც აირჩევს, ის აუხდენს მწარე განგებას –
განწირულია, იყოს მსხვერპლი და ჯალათს ეძებს.
და მოლოდინი, ასე მწველი ყვავილობისას
უკვე ნაყოფის მწიფობის ჟამს თავს რომ გვაბეზრებს,
მყოფადში კვდება– თვალებს მიწვავს მისი ცრემლები,
სიბნელეს ხელებს შემოვაჭდობ მთელი არსებით.
რასაც არ ელი, მოლოდინმა იგი უნდა შეას,
და რასაც ელი, ნაყოფია დროს მოწყვეტილი.
შენი სახეა და ფერმკრთალი ასლი ვარსკვლავთა,
მე კი ორივეს, ვით შემთხვევას, ვეთაყვანები.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარიანა ნანობაშვილი

## ერთი არსების ცხოვრებიდან

...დედა ყვირის...
...გული, ჩემ ახლოს რომ არის, ძალიან ახმაურდა...
...ჩემშიც ახმაურდა გული... ცუდია...
...რა ცუდია...
...ძალიან არ მომწონს

* * *
...დედა მღერის... ნაცნობია... კარგია... მიყვარს დედა

* * *
...ირგვლივ ყველაფერი მოძრაობს... მინდა, ვიმოძრაო...
...დედა დადის... მეც დავდივარ...
...თვითონ არ შემიძლია...

* * *
...დედა ცუდად არის...
...მეც ცუდადა ვარ...
...არ მეშინია...
...დედას ყველაფერი შეუძლია...
...დედასთან არ მეშინია...
...დამიცავს...

* * *
...დედას სძინავს... გული ჩუმად ხმაურობს... მიყვარს გულის ხმა...
...სიწყნარეა...
...ყველაფერი უფრო ნელა მოძრაობს...
...მე ვერ ვმოძრაობ თვითონ...

* * *
...როგორ მიყვარს დედა...

* * *
...დედა ლაპარაკობს...
...კარგია...
...რაღაც კარგს მეუბნება...
...კარგს დედა აკეთებს...
...კარგი – დედაა, დედა – კარგია...
...მომწონს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ოთახის კარი წამით იღება.

– პრაქტიკანტები შემოვიდნენ!

სანამ ყველა შემოდის, ფუსფუსებს და ემზადება, ხუთიოდე წუთი გადის.

– დავიწყოთ! – ავტორიტეტულად ამბობს ხანში შესული ექიმი.

გინეკოლოგიურ სავარძელზე გაწოლილი ახალგაზრდა ქალი უხერხულობისგან იმშუშნება, მაგრამ სტუდენტებსაც ისეთივე უშფოთველი და გაბეზრებული გამოხედვა აქვთ, როგორც ექიმებს. ქალი ოდნავ მშვიდდება.

ექიმი დარბაისლურად დგას ახალგაზრდა პრაქტიკანტებს შორის და ექთანს ზრდილობიანად მბრძანებლობს:

– სარკეები...

– ჰეგარის ჩხირები...

– ტყვიის მაშა...

– მაკრატელი...

– სპირტი...

* * *

...ცუდადა ვარ...

...დედას გული ძალიან მოძრაობს...

...პატარა გული, ჩემში რომ არის, ისიც ძალიან მოძრაობს...

* * *

...რაღაცა საშინელი ხდება... არ ვიცი, რა...

...ძალიან მეშინია...

* * *

...რაღაცა უცხო მიახლოვდება... საშინელი... ვგრძნობ, საიდანაც მოდის... ახლოს არის... ვმოძრაობ... თვითონ... გავურბივარ...

...რა აუტანელი ტკივილია... დედა...

* * *

– კიურეტით მუშაობთ ძალიან ფრთხილად, – საქმის შეუწყვეტლად არიგებს ექიმი პრაქტიკანტებს, – საშვილოსნოს კედლები არ დააზიანოთ!.. ნუღარ ყვირი, შვილო!.. მახვილი კოვზი მოძრაობს საშვილოსნოს ფსკერიდან გარეთ... აი, გაიგეთ ტკაცანი? ეს გამოფხეკის დასასრულის ნიშანია... შვილო, მერამდენე აბორტია?

– მესამე...

– სისხლის დენა ძლიერდება... მერი, ყინული!..

* * *

ეკლესია თითქმის ცარიელია. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალი ანთებს სანთლებს, მერე მღვდელს უახლოვდება. მოძღვარი თავზე ხელს adebs და

ლოცავს, შემდეგ აღსარებისთვის ემზადება – თავზე მუქ ნაჭერს აფარებს.

– იმარხულე, შვილო?

– დიახ...

– წირვაზე დადიოდი?

– დიახ, მამაო...

– აღსარება თქვი და კვირას ზიარებას მიიღებ...

...ღვთისმშობლის ხატთან ანთებული სანთელი თავისით ქრება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალი

ის დღე არაფრით განსხვავდებოდა სხვებისგან.

დილით ადრე ადგა, ქათმებს საკენკი დაუყარა. ჭიშკარს ურდული მოხსნა. მაგარი ჩაი დააყენა. საჩეხი უკვე შეჩვეული დუმილით შეხვდა. რაც ვანო არ იყო, დაცარიელდა სახლი. სახლიც და ქვეყანაც.

ანამ მთელი დილა ისაქმიანა. მექანიკურად აკეთებდა ყოველდღე ერთსა და იმავეს. წყაროდან წყალი მოჰქონდა, ბაღჩას რწყავდა, მერე საუზმობდა და სახლს გვიდა. სანამ ზაფხულის პაპანაქება კახეთს დააწვებოდა, თავისი მარტივი მეურნეობა უკვე მოვლილი ჰქონდა. ერთი ეგ არის, სადილს იშვიათად იკეთებდა. რაც მარტო დარჩა, არც მადა ჰქონდა, არც ხალისი. ისე, „მშრალზე" გადავიდოდა – პური და ხახვი, პური და პამიდორი, პური და ზეთი. ზოგჯერ – პური და კარტოფილი.

ის დღე, მართლაც, არაფრით განსხვავდებოდა სხვა დღეებისგან, შემთხვევით ფოსტის ყუთში რაღაც ქაღალდის სითეთრე რომ არ შეენიშნა. ოთხად მოკეცილი ფურცელი გაშალა და გაოცებით წაიკითხა. დაფიქრდა. კიდევ გადაიკითხა. მერე იქვე მდგარ სკამზე ჩამოჯდა და გაირინდა.

ის, რომ ახალი ქვრივი იყო, – რა მოხდა მერე, ყველაფერი ხდება... სასიყვარულო ბარათი ვის არ მიუღია.

მაგრამ ანას, სადაც იყო, სამოცდაათი წელი შეუსრულდებოდა.

ძალიან აღელდა. თავიდან შერცხვა. მაგრამ იმისი კი არა, ეს ვნებიანი ბარათი ამ ასაკოვან და დარბაისელ ქალს რომ აკადრეს. ისე შერცხვა, როგორც ნორჩ ქალწულს შერცხვება მამაკაცის ყურადღების პირველად შემჩნევისას. აირია, გული ბუნდოვანი და გაუცნობიერებელი სიხარულით აევსო. ეს იყო ოდესღაც, სხვა ცხოვრებაში მომხდარის, თუმცა ინსტინქტივით ნაცნობის ექო, უსისხლო და გახუნებული, მაგრამ საკმაოდ ძლიერი განცდა.

ანა გაოცებით აკვირდებოდა საკუთარ თავს. შეგრძნებებმა, როგორც ნაცნობმა არომატმა, მეხსიერებაში ის დრო წამოუტივტივა, რომელიც ათწლეულობით არ გახსენებია.

...თოთხმეტი წლის გოგონა დედამ შუაღამისას წამოაგდო ლოგინიდან. ქალაქს ბომბავდნენ. ხალხი ვირთხებივით გამორბოდა სახლებიდან. ზოგი რაღაც ჩანთებსა და ყუთებს მიათრევდა, ზოგი კატებსა და ძაღლებს. დედამ ორი პატარა ხელში აიყვანა და ანას უყვირა, მომყევიო. ნამძინარევმა ბავშვმა ფანჯარასთან მიირბინა, საყვარელი ბეგონიას ქოთანი ფრთხილად აიღო და მეორე სართულიდან გადახტა... რას გადარჩა მაშინ დამტვრევას!..

...ლენინგრადიდან ეშელონები დადიოდა ციმბირში. გაჩერებაზე გადმოსული ქალები და კაცები მოსწრებაზე, სხვებს ყურადღებას არ აქცევდნენ, ერთმანეთის გვერდიგვერდ ისაქმებდნენ და ისევ არბოდნენ ვაგონებში...

...ახალგაზრდა ჯარისკაცები! რა სასოწარკვეთილი მხიარულება შეჰქონდათ ყველგან. თავაშვებული სილაღე მტაცებელივით მოთვალთვალე სიკვდილის ცხვირწინ...

...ლტოლვილი გოგონების სვლა მწირი საკვების მოსაპოვებლად. წინ – ჭაობი, უკან – ჭაობი, ზემოთ – გერმანელების პატარა თვითმფრინავი, ორ მეტრში დაცხრილული ტალახი; საათებად ქცეული წამები, ბუჩქებში ჩარგული თავები და აშვერილი უკანალები; და უშვერი, ქალის პირიდან გაუგონარი გინება, პანიკას ისტერიკულ სიცილში რომ ნთქავდა და ჭკუიდან შეცდენის საშიშროებას ამცირებდა. მერე – ისევ ორ მეტრში დაცხრილული ტალახი, ძალიან ახლოს, ლამის თავზემოთ მოტრიალე კაბინაში პირტიტველა გერმანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ბიჭების მხიარული მოცინარი სახეები, ხელის დაქნევა და გაცლა...

...მერე დიდი, ხალხმრავალი, უკაცო რუსეთი. მშიერი და გაყინული... უსაშველოდ პროზაული.

...ვანოს მაშინვე დათანხმდა, იმდენად სწყუროდა სითბო და ზრუნვა. ჩუმმა და მორცხვმა ვანომ მხოლოდ ქორწინების მეორე თვეს გამოუცხადა, რომ უმაღლესი განათლება აქვს და, კანონის თანახმად, დემობილიზებულია. ანას კი ეგონა, რომ სამხედრო კარიერას გააგრძელებდა მაიორი ქმარი...

საქართველოს მიყრუებულ სოფელში როგორ ამოყო თავი, ვერც გაიგო. აეწყო, მოერგო, მიეჩვია თითქოს. პიანინო გაიხსენა, მუსიკალური ტექნიკუმი ნიჭით გადარია და მასწავლებლობდა სოფელში.

ეგ იყო და ეგ... ნუთუ სულ ეგ იყო?

ანა ხელისგულს დაეყრდნო ნიკაპით. როგორ ჰგვანებია დღე დღეს, წელიწადი წელიწადს, ათწლეული ათწლეულს. ყველაფერი მშვიდად, მდორედ, აუჩქარებლად, როგორც ძილ-ბურანში...

ქართულად სწორად ლაპარაკობდა, მაგრამ მკვეთრი რუსული აქცენტით. ქმარს ძალიან იყო შეჩვეული, მაშასადამე, უყვარდა. პირველ წლებში ძლიერ გაუჭირდა, სულ ტიროდა. ლენინგრადი ენატრებოდა თავისი თეთრი ღამეებით, ტყვიისფერი ცით, თოვლიანი და სუსხიანი ზამთრით. მერე მიხვდა — ის ყველაფერი დამთავრდა, მოგონებები კი მძიმე სევდას ჰგვრიდნენ. სულიერი კომფორტისთვის იბრუნა — ბევრი რამ დაივიწყა. ერთადერთი, რაც სამშობლოსთან აკავშირებდა, დების წერილები იყო და იშვიათი ვიზიტები ერთმანეთთან.

და ახლა რატომღაც ერთმა უცნაურმა და მოულოდნელმა ბარათმა მთელი სამყარო შეურყია. ასეთი განცდები აქ არასოდეს ჰქონია — მხოლოდ რუსეთში, მხოლოდ სიყმაწვილეში, ბედნიერ მეშვიდე კლასში. ახლა გული ზუსტად ისე უცემდა, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ. ნაღვლიან სამყაროსაც შეუმჩნევლად გადაეკრა ვარდისფერი ლიბრი. მოუსვენარ მოლოდინში მოემართა გონება, რაღაც ბუნდოვანის, შორეულის და აუცილებლად კარგის. რა ხანია, თავი ასე არ უგრძვნია, თითქოს სადღაც გაქრა ბოლო 50 წელი, მის ნამდვილ მე-ს, ნამდვილ ცხოვრებას რომ აშორებდა. თითქოს გაუკვირდა, როგორ ცხოვრობდა ამდენი ხანი ამ უცხო ხალხში, უცხო ჰაერს სუნთქავდა, მერე რა, რომ თბილსა და ხავერდოვანს, მაინც იმ ყინვიან არომატს ვერ შეედრება, ბავშვობის ზამთრებს რომ ახლდა თან.

პიანინოსთან მივიდა, ხელის ცეცებით გადაარჩია საბავშვო ნოტები. ბახი, ლემუანი, მოცარტის სონატები. მერე ძველი მუყაოს ყუთიდან ამოალაგა კრებულები რაღაცის ძებნაში. ერთი ხელში შეაცივდა. ფრთხილად მიიტანა პიანინოსთან და დაჯდა. ჩაიკოვსკის „წელიწადის დრონი" გადაფურცლა და „მარტზე" შეჩერდა. სიჩუმეში უცხოდ გაიჟღერა პირველმა ბგერებმა. პიანოში თამამად გამოიკვეთა თემა... ეს სოფელია, ნინა ბებიას სახლი. აი, ხახადაღებული ავი პიტონი, პაპას ეტლში შებმულ ეჟვნიან ცხენებს რომ მოსდევს გვერდიგვერდ. და არყები, არყები, არყები... და ცივი ჰაერის სპეციფიკური, ტკივილამდე მშობლიური რუსული არომატი...

ანამ უეცრად დაკვრა შეწყვიტა. მწვავე ნოსტალგიამ დარია ხელი, ამდენი წელი რომ არ აძლევდა გულის კუნჭულიდან ამოტივტივების ნებას. მარტო სამშობლო კი არ ენაღვლებოდა — ახალგაზრდობის საუკეთესო წლები, ომით ჩამწარებული, აუხდენელი ოცნებები, თამამი იმედები. სამყაროს აღქმის გრძნობათა პალიტრა, რომლითაც ცხოვრების გზა დაიწყო, ალბათ, ვანოს პროზაულობით ჩაკლული რომანტიკაც...

სარკესთან მივიდა და, ვინ იცის, რამდენი წლის შემდეგ პირველად დაათვალიერა საკუთარი სახე ასე დაკვირვებით. „А Я еще нечего" — განცვიფრდა — კამკამა ცისფერი თვალები ისევ გრძელი წამწამებით იყო დახუნძლული. ნაოჭები თითქმის არ

ეტყობოდა, ხშირი თმაც შერჩა. უყურებდა საკუთარ ორეულს და ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგლა გაახსენდა, რა ლამაზი ტუჩები აქვს, რა სწორი ცხვირი. ვანო ხომ არასოდეს ეუბნებოდა ამას. უყვარდა ძლიერი, მაგრამ ჩუმი სიყვარულით. ქალს გული აღტაცებით უცემდა და ველარ ამჩნევდა, რომ კანი, თუმცა თითქმის უნაოჭო, უშნოდ მოემჩვარა, ხშირი თმა რომ მთლად გაჭაღარავებოდა, ოდესღაც ლამაზმა ნაკვთებმა რომ ფორმა დაკარგეს... სხვა ადამიანის – მოსიყვარულე კაცის თვალით უყურებდა თავის ორეულს სარკეში და, უინტერესო მოხუცს კი არა, ისევ სანატრელ ქალს ხედავდა.

„Кто это мог бы быть" – დაფიქრდა პირველად,– „В Принципе, это не важно!" მთავარია, არსებობდა ვიღაცა, ვინც ფიქრობდა და ზრუნავდა მასზე, აღარდებდა მისი ბედი, აღტაცებული იყო მისით. უცებ მიხვდა – ვიღაცისთვის რომ არ გაემხილა საიდუმლო, გული გაუსკდებოდა.

ადგა, თმა გულდაგულ დაივარცხნა და მეზობელთან გადავიდა.

– ტამრიკო! – დაიძახა ჭიშკართან.

სამოციოდე წლის ქალმა რეცხვა შეწყვიტა და შეიპატიჟა.

– რამდენი გადარეულია ამქვეყნად. ნახე, რა ცერილი მივიღე დილით, – მოგონილი აღშფოთებით უჩურჩულა ანამ და ხელის კანკალით მოისინჯა ბარათი უბეში.

საქმისგან მოქანცულმა თამრიკომ ხელი ქმრის პერანგზე შეიწმინდა და ბარათი ჩამოართვა.

– რას არ კადრულობს ხალხი! ამ ხნის ქალი ვარ, რაღა დროისაა ასეტი რამეები!

თამრიკო კითხულობდა და თან სიბრაზისგან წითლდებოდა – ხელწერა მაშინვე იცნო.

„მოვკლავ მაგ მამაძაღლს!" – გაიფიქრა გაცოფებულმა და თვალწინ ონავარი შვილიშვილი დაუდგა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გიორგი გიგაური

## დედები ისევ შავებს კერავენ

ჩანაცრდა ღველფი
ჩამქრალ კერაზე,
სახლის კედლებმა ფერი იცვალეს,
დედები ისევ შავებს კერავენ,
შავეთზე ფიქრში შავებს იცვამენ.

თვე თაფლობისა შხამმა დაცვარა,
სწორფერის გული სევდამ დასერა,
სანატრელია წმინდა გზაშარა
და გამოწვდილი ხელი საშველად.

საამო სათქმელს ეცლება ძალა,
სალხინო სტრიქონს ახრჩობს სიავე,
ძმებმა ძმის სისხლი
დაიდეს ვალად
და სიყვარული გაანიავეს.

დაძრწის სატანა
მხრჩოლავი კვარით,
ცოფმორეული ველარ ისვენებს,
მისანს ზეცისკენ გაურბის თვალი,
საშველს ზეციდან ელის ისევე...

## ბოგანო

ბოგანოსა და
ბედ-იღბლის მორჩილს
დააქვს დარდისგან დამღნარი ტვინი,
ჩონჩხად ქცეული სულით და ხორცით
ლოცვად დამდგარი ოხრავს და ტირის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიმშილისაგან მუხლებმოცელილს
არც იმედი სწამს,
აღარც მიზანი;
ისევ ცრემლი და ისევ ლოცვები,
გულში გაჩრილი სევდის ისარი.

ტანზე ძონძები ლანდებად უჩანს,
სნეულს სიშიშვლეს ვეღარ უფარავს,
უუსკრულის პირას ის თვალებს ხუჭავს!..
როგორ უშველოს, აბა, უფალმა.

## ნეტავი იმ დროს

1.
რამ დააყრუა ქვეყანა,
რომ აღარ ესმის გოდება,
ბოგანოების ცოდვითა
იბღავლეს ქოხის ლოდებმა.

მოშინაურდა შიმშილი,
სიკვდილის შიში მომრავლდა,
ხელაბჯრიანი ვაჟები
ქცეულან ლუკმის მონადა.

მოქვითინებენ ბალღები,
ისმის წიოკი დედების,
ჩამოგვალულო ყანაო,
აღარც შენ მეიმედები.

2.
ნეტავი იმ დროს, მტრის თავზე
დავითფერული ელავდა,
ასპინძას აზანზარებდა
ლომი გაჭრილი ველადა.

ბახტრიონს ბნელი მოეხრჩო,
დილის ცვარ-ნამით მოფენილს,
მრავალჟამიერს მღეროდა
ომგადახდილი სოფელი.

ლვედრავდა გამარჯვებული
ერთიანობას ერისას,
ხარობდა საასპარეზო
თორ-აბჯრის, განა ენისა.

ნეტავი იმ დროს!..

## დოლარიანა

გადოლარდა და გამწვანდა კაცი,
მონამ ფულისა გაწირა ღმერთი;
ვერ შეელევა ეშმას და მაცილს,
სიავეს ვეღარ დაუსვამს წერტილს.

მეხამუშება,
მაოცებს,
მზარავს
თავის ფანდით და თავის ანცობით, –
წყლიდან ყოველთვის ამოდის მშრალად
და ყველა ბოთლის არის საცობი.

## დროა...

იშველიებენ ბრძენკაცთა აზრებს
და ასაღებენ ხშირად თავისად,
ერის მოძღვარი გამდგარა განზე,
განწირულს არ აქვს თავი დავისა.

აღარ არისხებს სიმართლის ზარებს,
ქურდს და მომხვეჭელს
არ ამხელს რიხით,
ზნედაცემულთა მუქარა ზარავს, –
საშიშიაო ეშმაკის წიხლი...

ისევ დიდგულობს ბოროტი გენი,
გამორჩეული ურცხვი მორალით,
დროა, მოძღვარო,
ალაგმე გველი,
ამოწვი მისი ნაამბორალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაღრიბი

მღვრიე იორთან შედგა მერანი,
მზე ეწვერება ნისლიან მაღრიბს,
სიბნელეს ელტვის ფიქრი ვერანი –
გულს დაბჯენილი სიკვდილის ნაღმი.

კარს ველარ გავხსნი ნანატრი სახლის,
ირემიც ველარ მოიწველება,
ცივი ღიმილით გავხედავ მაღრიბს,
თვალივის მთაზე მზე იწვერება.

## ქალი ხატებთან

თავს დაგყურებენ თეთრი ხატები
და იღვენთები ქალი სანთლებად,
იქნებ გაანდო გულში ნაღები,
ვინც შენზე ფიქრით ღამეს ათევდა.

ღიმილის შუქი გაუნაწილე,
გაახალისე შენზე მლოცველი,
კაი ყმის თვალში რომ არ გაწვიმდეს,
არ დაემგვანოს იმედმოცელილს.

ანგელოზების გაჰყევი სურვილს
და მოიყარე მუხლი ხატებთან,
შენ ერთს გეკუთვნის ვაჟკაცის გული,
ის შენზე ფიქრით ღამეს ათევდა.

## ღირსება

ღირსების მწვერვალს უსწორებ მზერას,
რწმენამ აღმასვლა გააადვილა,
სიტყვის ნაჭუჭში ლალივით ელავ,
სტრიქონს მიჰყვები სხივთა მანდილად.

შურის ღრუბელში მზესავით იწვი,
წმინდა კელაპტრით წყვარამს მიარღვევ,
ღმერთმა ალერსის მოგმადლა ნიჭი
და სიყვარულის შეგრთო ნიაღვრებს!

## კითხვების კრიალოსანი

ვინ დაგიბედა ასე გვიანი
ტალღა ტრფობისა ყალყზე შემდგარი?
ვინ გაგილევია გულის იარა,
ვინ დაგილეწა სულის ბეგთარი?

ვინ დაგიგლიჯა ჩანგის სიმები,
დიდი ფიქრისთვის ვინ გაგიმეტა?
ვინ არის, ნეტავ, შენი იმედი,
ვის ეგულები თავის იმედად?..

## პასუხი რეზო ფაჩულიას

*„დაგლოცოს ყველა წმინდა სალოცავმა,*
*საძმოს საჭეთამპყრობელო!“*

*რეზო ფაჩულიას წერილიდან*

მივიღე შენი წერილი
ჩანგის სიმივით წკრიალა,
მანუგეშა და დამატკბო,
გამიხდა სულის ზიარად.
საძმოს „საჭეთამპყრობელი,“
კოლხო, შენა ხარ,
მე არა.

მიირწევიან დღეები,
განა ხალისით მიჰქრიან,
ჩემი ყოფა და ცხოვრება
ტკივილიანი ფიქრია, –
სნეულებასთან ბრძოლაში
მოლხენა ჩამიწიხლია...

მთისკენაც გამოიხედე,
გელიან მწვანე სერები,
საბადურის ტყეს, ლომგულო,
ამოჰყე სვენებ-სვენებით.
თუ გაგიჭირდა, მოგივალ,
ცრემლებით მოგეშველები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გივი სიხარულიძე

## განგსტერიკო

თბილისში აგვისტოს მცხუნვარე დღეები იდგა. ერთი სული მქონდა, როდის მოვრჩებოდი საავადმყოფოში ბოლო მორიგეობას. კარგად მახსოვს, კლინიკიდან გამოვედი თუ არა, მანქანიდან ვაჟკაცა გადმოხტა, უკვე სახელდახელოდ ჩაწყობილ ჩანთაში ჩემი რაღაცებიც ჩაამატა და კურსი ბიჭვინთისკენ ავიღეთ.

სასტუმროში მოვეწყვეთ, ზღვაში ბანაობითაც გული ვიჯერეთ და ჩემ საყვარელ მეგრულ ფაცხას მივაშურეთ. უცებ ჩემი ყურადღება ვიღაც ტიპმა მიიპყრო: თმაზე იმდენი ბრიოლინი წაესვა და მზის სხივებზე ისე ულაპლაპებდა, სელაპი გეგონებოდათ. ტანთ მოდური პიჯაკი ეცვა, სხეულზე იმგვარად შემოტკეცილი, თითქოს, ეს-ეს არის, უნდა გასკდესო. ყველაფერ ამას ხაზგასმით აგვირგვინებდა გულის ჯიბეში ჩაწყობილი თეთრი და შავი ცხვირსახოცები. ფეხზე ლაკი ლუჩანოს დროის შავი ფეხსაცმელი ეცვა, თეთრით გაწყობილი; ჰალსტუხის შუაში პატარა ბრილიანტიანი ოქროს სამაგრი გაერჭო. ცირკის კონფერანსიეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბიჭვინთაში დამსვენებელს.

ცხოვრებაში ეს პირველად დამემართა, რომ მის გვერდით მდგომი მშვენიერება, რომელსაც ულამაზესი სახე უცოდველი კრავივით გადაეხარა გვერდზე, გვიან შევამჩნიე.

— ნუთუ ცოლ-ქმარია? — გამიელვა. ამის გაფიქრება და ჩემი მეგობრის შეძახილი ერთი გამოდგა:

— განგსტერიკო, ძმაო, როგორ ხარ... - ვაჟკაცა უცნობისკენ გაქანდა. ის კი, თითქოს ვალს ადებსო, ჩემ ძმაკაცს „ვაჟნად" შემოუტრიალდა და გვერდით მდგომ გოგონას გადაულაპარაკა:

— გაიცანი, ჩემი მეგობარია და, როგორც ყველა თბილისელს, ამასაც ვაჟკაცს ვეძახით.

ჩემმა ძმაკაცმა მის სიტყვებზე ერთი მაგრად გადაიხარხარა, მერე, ვითომდა ხუმრობით, ბეჭებში ხელი ჩასცხო, გადაეხვია. განგსტერიკო მიხვდა, რასაც ნიშნავდა კაცის ასეთი მოქცევა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

კარგად ვიცოდი, რა გველის წიწილიც იყო ჩემი ბავშვობის მეგობარი. გამიკვირდა, ან ასე რატომ მოიქცა, ან იქვე კიტრივით რატომ არ გააგორა-მეთქი, მაგრამ, როცა მზერა ისევ განგსტერიკოსთან მყოფ გოგონაზე შევაჩერე, რომელიც იმ წუთში აშკარად მზეს ეპაექრებოდა, ყველაფერს მივხვდი, - აი, თურმე რატომ იკავებს თავს... — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

ჩემი ძმაკაცი მომიტრიალდა:

— გაიცანი, ყველაზე მოდური „ბავში" საქართველოში თავის მეუღლესთან ერთად.

განგსტერიკომ ვითომდა აგდებით, მაგრამ აშკარა მოკრძალებით გამომიწოდა ხელი. ეტყობოდა, იცოდა, ვინც ვიყავი. მერე მეუღლეს მიუბრუნდა:

— გაიცანი. რასაც ვაჟკაცა იბრალებს, სინამდვილეში ეს არისო და ჩემს ძმაკაცს კიდევ ერთხელ გადახედა გესლიანად.

ვაჟკაცა აენთო, სახეზე შეეტყო, როგორ ვეზიზღებოდით ორივე. დაძაბულობა რომ განმემუხტა, საუბარში ჩავერიე; - რა მოგდით, ვერ გავიგე... როცა ძმაკაცებს ერთმანეთი უყვართ, ყველაფერს პატიობენ; თორემ, მე რომ ვაჟკაცას მურტალი ხასიათი ვიცი, შენ კი არა, კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს არ აპატიებდა ასეთ მოქცევას-მეთქი.

შემდეგ ხელი ჯერ მის მეუღლეს ჩამოვართვი, მერე მასაც გადავეხვიე და იქვე მდგომ მეგრულ ფაცხაზე მივუთითე, - იქნებ ერთად გვესადილა...

— სიამოვნებით, — მითხრა მან და მეუღლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმ წელზე, რომლამდეც ძლივს სწვდებოდა, ხელი შემოხვია. ფაცხაში შევედით.

ჩემ დანახვაზე მიმტანები დაფაცურდნენ – ახლავე, გენაცვალეო, - და ლამაზი სუფრა გაგვიწყვეს. რანაირად არ ვეცადე, მაგრამ ვაჟკაცა გუნებაზე ვერა და ვერ მოვიყვანე. განგსტერიკომ სწორედ იმ ბებერაზე დააჭირა ფეხი, რომელიც სულსა და გულს უღრღნიდა. მას ყოველთვის უნდოდა, ჩემზე მაგარი ყოფილიყო, მაგრამ არ გამოსდიოდა. ციხის რეჟიმის უფროსის შვილი, რომელიც მამის ალი-კვალი გახლდათ, ცხოვრების წესის შეცვლის მიზნით ძველბიჭობას იჩემებდა. მიუხედავად მისი ძლიერი აღნაგობისა, სიმთვრალეში ავი ხასიათის გამო ქუჩამ არ მიიღო და შაყირით „ვაჟკაცა" შეარქვა. სახელის პირველად დამძახებელი მაგრად სცემა, მაგრამ „კლიჩკას" ვერც მუშტით მოერია და ვერც თავის დარტყმით. მეტსახელი ბიჭებმა უცებ აიტაცეს და ისიც, ცხადია, ყველას ვერ შეებრძოლებოდა. გულნატკენს მეც დავუყვავე; - რა იყო, ბიჭო, თალიკო ხომ არ დაურქმევიათ, რომ გაგიჟდი. ვაჟკაცი ხარ და ვაჟკაცა შეგარქვეს-მეთქი.

როცა ვერაფერს გახდა, თანდათან შეეჩვია და ნაღდი სახელის დაძახებისას უკან აღარც იხედებოდა.

ათიოდე წუთის შემდეგ ბოდიში მოვიხადე, გარეთ გავედი და მალე უკან ორი შველივით რუსი გოგონას თანხლებით დავბრუნდი. ახლა ვაჟკაცამ გადახედა ნიშნის მოგებით განგსტერიკოს და თავისი გოგო გვერდით მოისვა.

ქეიფი ნელ-ნელა შევიდა ეშხში. უნიჭო მუსიკოსებმა როკ-ნ-როლი დაუკრეს. განგსტერიკომ უცებ დაავლო ხელი ვაჟკაცას გოგოს და როკ-ნ-როლი შეუბერა. ვაჟკაცა თავიდან შეცბა, მაგრამ მერე, როცა ცეკვა გახურდა და მთელი ფაცხა განგსტერიკოს მიხრა-მოხრაზე ახორხოცდა, მიხვდა, რომ აგრესიის გამომჟღავნებას აზრი არ ჰქონდა. განგსტერიკო ტაშის გრიალით მოაცილეს ადგილამდე. აქაოდა, ხალხის ყურადღება მივიქციეო, განგსტერიკომ ახლა ჩემი გოგონა გაიწვია კინტაურის საცეკვაოდ; ხოლო მე, - შენ მანამდე ჩემ ბუბუს ეცეკვეო, - გადმომიგდო. ჩემი გოგო თავის დაკვრით გავატანე, ბუბუს ბოდიში მოვუხადე და შემდეგ ცეკვაზე შევთავაზე პარტნიორობა. განგსტერიკო ისე ცეკვავდა კინტაურს, სიცილისაგან გული თუ არ წამივიდოდა, არ მეგონა. ატყდა ერთი ამბავი. ჩვენ სუფრას ღვინის წვიმა დააყარეს.

როცა რუმბა დაუკრეს, ქმარმა ბუბუ წამოაყენა, ჩემთან მოიყვანა და მთხოვა, ჩემი ბუბუშკა არ დამიჩაგროო, მასთან იცეკვეო. შემდეგ პაუზა გააკეთა და: - ახლა არ მითხრა, არ მომწონსო, თორემ გადავირევი. მეც კარგად ვხედავ და ხალხიც, როგორ მოგიხდებათ ერთად ცეკვა.

მე იმ წამს წამოვდექი და მის მიერ შემოთავაზებული დედალი ქედანი საცეკვაოდ გავიწვიე. მთელი დარბაზი მონუსხულივით შესცქეროდა მოცეკვავე ბუბუს, რომელიც ულამაზეს გავას ისე აქნევდა, ცირკის თოხარიკი ცხენი გეგონებოდათ. თანაც ისე გამომწვევ ილეთებს აკეთებდა, კაცს სისხლი აუდუღდებოდა ძარღვებში.

ქალი შიგადაშიგ ხალხისკენ აპარებდა თვალს, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, როგორ ჯადოსნურ გავლენას ახდენდა დამსწრე საზოგადოებაზე. სახეზე მეც მამაკაცური ჟინის ალმური ამდიოდა.

განგსტერიკოს ორივე რუსის გოგო ერთად გამოეყვანა საცეკვაოდ და თავისი მოგონილი გიჟური მოძრაობებით იმანჭებოდა. უცებ თვალი მათკენ გამექცა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე რუსი არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა, ბუბუმ თავისი ქართული შინაგანი ტემპერამენტით ისე დაჩრდილა ორივე, რომ საწყლები მის ფონზე დამჭკნარ ყვავილებს ემსგავსებოდნენ. როცა ცეკვას მოვრჩით, ბუბუმ ტუჩები ყურთან მომიტანა, თითქოს შემთხვევით შემეხო და მიჩურჩულა:

– გეთაყვა, თუ შეგიძლია, ხელში ამიტაცე და ადგილამდე ისე მიმიყვანე. წინადადება არ დავამთავრებინე, ხელში ავიტაცე და დედოფალივით მივართვი თავის განგსტერიკოს. მან დარბაზის ტაშის გრიალს თავისი ტაში და „ბრავო" შეუერთა, მერე მე ჩამხედა თვალებში და:

– რას იზამ, ძმაო, ყველაფერი შენნაირი ვაჟკაცებისთვის არ მიურთმევია ღმერთს ლარნაკით. ცოტა ბედნიერება ჩვენნაირებისკენაც ისროლა.

შემდეგ თავის ბუბუშკებს შეხედა ცეკვისგან ალეწილ სახეზე და ნიშნის მოგებით, თითქოსდა ეხუმრებაო, უთხრა: - მოგწონს, არა, უწუნიო? აბა, პროტოლინოს ჰგავდეს, მაშინ არც ეცეკვებოდი. ვიცი, გინდა, ლოგინში ჩაიგორო. აი, ჩააფურთხე. ჯერ კიდევ ცოცხალია შენი განგსტერიკო.

– რას ამბობ, ბიჭო, ხომ არ გაგიჟდი.

— კაი, კაი, ვიხუმრე, შე კაი ადამიანო. თორემ ბუბუს ენაცვალოს ჩემი თავი. — და ისე წამოიწყო სხვა თემაზე საუბარი, თითქოსდა სალაპარაკოდაც არა ღირს ეს ამბავიო.

მიუხედავად იმისა, რომ მე და ვაჟკაცას ყველაზე გამორჩეული გოგონები გვესხდნენ სუფრასთან, როგორ არ ვატანდი თავს ძალას, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე, ისე ჩამითრია ბუბუმ თავის წისქვილის ბორბალში. აშკარად ვხვდებოდი, ჯერ ჩემი დამტვრევა გადაეწყვიტა, ხოლო მერე, ფქვილობას ვინ ჩივის, ქატოობასაც მიპირებდა. ჭიქას ჭიქაზე ვცლიდი, მაგრამ, არ იქნა და, სასმელი არ მომერია.

ჩემი მეგობარი ქალი რაღაცას მიხვდა, მომიტრიალდა და რუსულად მითხრა: - როგორც ვატყობ, მე აქ ზედმეტი ვარო. შემდეგ ბუბუს მკერდს გადახედა შურის თვალით და ჩაისისინა:

— არც მიკვირს, ქალი ვარ და მე მაღელვებს, შენ რა მოგივიდოდა...

უხერხულობა ვიგრძენი. სიტუაციიდან განგსტერიკომ გამომიყვანა: - შეხედე, ბიჭო, რა დღეში ვარ. ბიჭები ხომ ფუტკრებივით ესევა ამ შობელძაღლს, ახლა ისღა მაკლდა, ლამაზი ქალები დაესიონ ჩემ ცოლსო. მერე ფეხზე წამოდგა, ჩემ გოგოს ხელი გაუყარა და საცეკვაო მოედანზე გაიყვანა. მე იქიდან შემომძახა, - ბუბუშკები არ მომიწყინოო.

როცა ქეიფს მორჩით, განგსტერიკომ თავის სიცოცხლეს ხელი ხელში ჩაჰკიდა, ჩვენ გოგონებს მუხლმოდრეკილი ხელზე ეამბორა, სალამოსთვის მადლობა გადაგვიხადა, მერე ვაჟკაცას ჩამოართვა ხელი, ბოლოს მომიტრიალდა და ნახევრად ხუმრობით მითხრა: - კაცების დეფიციტის ქვეყანაში, სადაც კაცუნების ხროვაა, შენნაირ ბიჭთან ქეიფი ჩემთვის დიდი ფუფუნებააო.

იმ წამს მის თვალებში გულწრფელობის ნაპერწკალმა გაიელვა.

— როგორ გეკადრება, ჩემო განგსტერიკო, - მეც ალალად გადავხვიე მხარზე ხელი.

— სწორედ რომ მეკადრებაო. — ჩაილაპარაკა და ერთმანეთს დავცილდით.

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა. ყოველთვის მესმოდა მათი ამბები: როგორ იცვლიდა ხელთათმანებივით საყვარლებს ბუბუშკები და როგორ შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ ყველანი ერთად. განგსტერიკო ბოლო წლებში სულ გათაღლითდა და ყოვლისშემძლე თბილისელებს თვითონ სთავაზობდა თავის სიცოცხლეს.

მისი სიტყვებით რომ ვთქვა, ჭირივით ეზიზღებოდა უფულო ვაჟკაცუნები. — უყურე ამათო, - ჩაილაპარაკებდა მათ გასაგებად, - მადა კარგი აქვთ, მაგრამ, ლუკმას მოერევიან თუ არა, იმაზე არ ფიქრობენო.

ერთხელ, როცა ერთი ასეთი ტიპი ძერასავით დასტრიალებდა თავს ბუბუს, გვერდით გაიხმო, მაგრამ ყველას გასაგონად უთხრა:

— შე კაი კაცო, ერთი ფრინველია აფრიკაში, სანამ ლუკმას გადაყლაპავს, უკანალთან იზომებს, გაეტევა თუ არაო. ვერა ხედავ, ეს ლუკმა შენნაირისთვის არ შეუქმნია ღმერთს. წადი და, სანამ დროა, შენი ტოლი ნახე. შენნაირი ხომ მეც ვყავარ ჩემ ცოლსო.

განგსტერიკოს ერთი საკმაოდ მოზრდილი „კნოპკიანი“ დანა დაჰქონდა. არ მახსოვს, სუფრასთან არ ამოეღოს და ხალხის დასანახად ვაშლი არ გაეჭრას. შემდეგ სათუთად გაწმენდდა და ისევ შეინახავდა შარვლის უკანა ჯიბეში. ერთხელ ვკითხე: - განგსტერიკო, რა არის, ამხელა დანას რომ დაათრევ?

მან ნიშნის მოგებით გადმომხედა და მიპასუხა:

— ათასი უზრდელი დადის. რა ვიცი, იქნებ ვინმემ შეურაცხყოფა მომაყენოს.

ამ სიტყვებზე გიჟივით გამეცინა და გავიფიქრე, ნეტა რას ეძახის განგსტერიკო შეურაცხყოფას-მეთქი.

ერთხელ ერთ წვეულებაზე შევხვდით. ისევ მოდურად ეცვა და გამომწვევადაც იქცეოდა. მის დანახვაზე ჭორიკანა კაცებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს: ნეტავ დღეს რომელ უცხოელს უპირებს განგსტერიკო თავისი ბუბუშკებისთვის ანკესზე წამოგებასო.

განგსტერიკომ შორიდან დამინახა, ყველას გამოეყო, ჩემკენ წამოვიდა, ხელი ჩამომართვა და ბუბუშკებისკენ წამიყვანა.

არაჯანსაღი ცხოვრების წესის მიუხედავად, ბუბუ ძველებურად მომხიბლავი ჩანდა. ის ხომ იმ ბრაზილიურ შავ ბრილიანტს ჰგავდა, რომელსაც პატრონისათვის ყოველთვის უბედურება, ხოლო მნახველთათვის უდიდესი სიამოვნება მოაქვს. ამ წვეულებიდან ორი თვეც არ იქნებოდა გასული, რომ ბუბუშკა ქალიშვილითურთ ვიღაც მდიდარმა მოხუცმა ამერიკელმა თავისთან მიიპატიჟა.

რა არ გააკეთა და ვინ არ შეაწუხა საწყალმა განგსტერიკომ, რომ მის მეუღლესა და ქალიშვილს ამერიკის ვიზები მიეღოთ. მიაღწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდეც საწადელს, ბუბუ ექვსი თვით ეწვია ნიუ-იორკს. მიუხედავად უფულობისა, განგსტერიკო ყოველდღე ელაპარაკებოდა ცოლს. საწყალს გული თითქოს რაღაცას უგრძნობდა. მარტოობის შიშს აეტანა. ბუბუ ირონიულად ამშვიდებდა: - ნუ დარდობ, განგსტერიკო, შენი ბუბუ არ მიგატოვებსო.

სამი თვის შემდეგ მიპატიჟება განგსტერიკომაც მიიღო. სასწრაფოდ გააფორმა საბუთები, სახლიდან ყველაფერი გაიტანა და გაყიდა. ფული ბუბუს გაუგზავნა, ხოლო თავად უცოდველი სახით ჩაფრინდა ამერიკაში.

ნიუ-იორკის აეროპორტშივე გაუკეთეს უბედურ განგსტერიკოს დეპორტაცია და უკანვე გამოაბრუნეს. ეტყობა, ვიღაცამ მწარედ ჩაუშვა. ნერვიულობისაგან შაქარმაც აუწია და კინაღამ ჩააბარა სული უფალს. გაუჭირდათ ახლობლებს განგსტერიკოს მდგომარეობიდან გამოყვანა. ბუბუს შორიდან გადმოსროლილმა აუღელვებელმა ნათქვამმა, ექვსი თვის შემდეგ კიდევ სცადეო, კინაღამ ჭკუიდან გადაიყვანა და შაქარს ნევროზიც დაერთო.

ვუყურებდი საცოდავ განგსტერიკოს და მიკვირდა, როგორ ერთგული ძაღლივით იყო მიჯაჭვული მოღალატე ცოლზე. აშკარა იყო, რომ განგსტერიკო ამერიკაში წაუსვლელობას შეეწირებოდა.

რამდენიმე თვეში განგსტერიკო თითქოს თავს მოერია, შაქარმაც დაუწია და ნევროზმაც გაუარა. ცოლი ყოველთვე 500 დოლარს უგზავნიდა. სამ თვეში დაურეკა და: - არ გეწყინოს, განგსტერიკო, იმ კაცს მივყვები ცოლად, რომელმაც ამერიკაში მიმიწვიაო. განგსტერიკო მიხვდა, რომ საბოლოოდ გაწირა ცხოვრებამ. ბუბუს ნათქვამმა, ყველაფერს გავაკეთებ, შენც რომ აქ ჩამოგიყვანოო, ცოტათი დაამშვიდა. საცოდავად გამოიყურებოდა, სახლიდან გამოგდებულ, ყველასაგან მიტოვებულ ძაღლს დაემსგავსა.

რამდენადაც შემეძლო, თანავუგრძნობდი. ყველგან თან დამყავდა. მაგრამ სადღა იყო ძველი განგსტერიკო. შეციებული ინდაურივით მობუზული რომელიღაც წერტილს მიაშტერდებოდა და მხოლოდ არაყს წრუპავდა. ასე გაგრძელდა სამი წელი. ერთხელ, შუაღამისას გაბრწყინებული სახით მოვარდა ჩემთან, გაღვიძებისთვის ბოდიში მომიხადა და მახარა, ბუბუშკების ქმარმა სენატში შეტანილი საჩივარი მოიგო და ამერიკაში ჩასვლის ნება დამრთესო. ბედნიერმა ორ დღეში გააფორმა საბუთები. ბილეთი აიღო, გულში მაგრად ჩამეკრა და დამემშვიდობა. სახეზე რომ შევხედე, ცუდად გავხდი, ისე შეეცვალა მოულოდნელ სიხარულს. როცა თვითმფრინავში ჯდებოდა, მოტრიალდა და მითხრა:

— ვიცი, რასაც ფიქრობ ჩემზე. ისიც ვიცი, კაცურად რომ გეცოდები, თუმცა არ ვიმსახურებ, მაგრამ გაცილებით მართალი და ნაღდი ვარ იმათთან შედარებით, ვინც ბუბუშკებთან ცუღლუტობდნენ. ისიც კარგად ვიცი, რატომ მიყვარხარ ასე გამორჩეულად. გმადლობ ყველაფრისთვის.

ასე დავცილდით. მანქანა დავქოქე და სახლში წამოვედი. გზაში ათას რამეზე ვფიქრობდი. როგორ არ ვცადე, რაიმეთი გამემართლებინა. ვერაფერი რომ ვერ მოვიფიქრე, ჩემთვის ჩავილაპარაკე: - კაცობის შეფასება მაინც შესძლებია სხვებისგან განსხვავებით.

რამდენჯერმე დამირეკა ამერიკიდან, ერთხელ სურათებიც გამომიგზავნა. ერთში მებაღის ხალათი აცვია, ხელში მაკრატელი უჭირავს; მეორეში ის და ბუბუს ახალი ქმარი იკრიჭებიან. იყო რაღაც ჯადოსნური ამ სურათში.

ხუთ თვეში ბუბუმ თავისი ბებერი ამერიკელი და განგსტერიკო მიატოვა და ვიღაც იტალიელთან ერთად გაიპარა. ორი კვირის შემდეგ განგსტერიკოს სევდანარევი ხმით დაურეკა, - რა ვქნა, ამჯერად თან ვერ წაგიყვან, შენი ლეიბის ქვეშ 20000-იანი ქვითარია და ნელ-ნელა გამოიზოგეო.

განგსტერიკო საშინელ დღეში ჩავარდა. უცოლშვილოდ დარჩენილმა ბებერი ვირივით ჩამოყარა ყურები. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს გუდა-ნაბადი აიკრა და წასვლა დააპირა.

ბუბუს ამერიკელმა ქმარმა; — დარჩი ჩემთან, ამაზე კარგ ადგილას სად წახვალ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდებაო. — დაამშვიდა.

განგსტერიკოს მოხუცი ჭირივით სძულდა. თავის ყოფას რატომაც მას აბრალებდა. მარტოდ დარჩენილი მობილურ ტელეფონს არ იშორებდა ბუბუს დარეკვის მოლოდინში. ქალი რატომღაც დუმდა.

მიუხედავად იმისა, რომ განგსტერიკო მებაღის სტატუსით უზრუნველად ცხოვრობდა ბუბუს ყოფილ ქმართან და არც საჭმელ-სასმელი აკლდა, დარდისაგან სულ დაილია და რენტგენის სურათს დაემსგავსა. ასე გავიდა თითქმის ორი წელი. როცა იმედის ნაპერწკალიც ჩაუქრა, უცებ ზარის ხმა გაისმა. უბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურმა ღილაკს ხელი დააჭირა, ალოც არ უთქვამს, ისე, თითქოს სულმოუთქმელი ელოდა რაღაცას.

— ალო, - გაისმა ქალის წკრიალა ხმა. — განგსტერიკო, შენა ხარ, ბიჭო?

დაბნეულმა ხმა ვერ გაიღო. უცბად ავარდნილ ტირილს ვერაფერი მოუხერხა.

— ალო, ალო, რა მოგივიდა, ბიჭო? კარგი, გეყოფა, — ისმოდა ყურმილში. როგორც იქნა, საწყალმა თავს ძალა დაატანა და ჩაილუღლუღა: — ბუბუ,... ბუბუ...

ბუბუმ არც აცია და არც აცხელა, — დღესვე „აირიტალიას" სალაროში მიდი, შენს სახელზე ბილეთი დევს, „ნიუ-იორკი-რომი" ხვალ აეროპორტში გელოდებით.

— გმადლობთ, ბუბუ, გმადლობთ... - გაიძახოდა განგსტერიკო ათრთოლებული ხმით და თვალებიდან ღაპაღუპით წამოსულ ცრემლებს იწმენდდა.

როცა ბუბუშკებმა სახლში მიიყვანა და ჩანთიდან მისი პიჯაკების ამოლაგება დაიწყეს, პერანგების ქვემოთ ტოტების საჭრელი დიდი მაკრატელი გამოჩნდა, რომელიც პერგამენტის ქაღალდში სათუთად გაეხვია განგსტერიკოს.

## ახალგაზრდა მოხუცი

მოხუცთა სახლს ახალგაზრდა ვაჟი მიადგა, იხვეწებოდა, - ღრმა მოხუცი ვარ და, გინდათ თუ არა, საცხოვრებლად მიმიღეთო. გაოცებული დირექტორი ჯიუტად გაიძახოდა, — მისამართი გეშლებათ, ახალგაზრდავ, ეს მოხუცებულთა სახლია და, თუ არ წახვალთ, პოლიციას ჩაგაბარებთო.

მთელი სახლი ააფორიაქა უჩვეულო სანახაობამ. მოხუცები კარს მიადგნენ, მოდავეებს თვალს არ აცილებდნენ. უცებ მათ მკვირცხლნაბიჯებიანი, 85-ოდე წლის მამაკაცი გამოეყო, ახალგაზრდასთან მივიდა, თვალებში ჩახედა, თითქოს ზომავსო, რამდენჯერმე დაკვირვებით შეათვალიერა, მერე შეგროვილ მოძმეებს მიუბრუნდა და ომახიანად განაცხადა.

— არ ტყუის, ამისი ადგილი თქვენთან არის და უნდა მიიღოთო.

— გაგიჟდით, ბატონო გივი, გინდათ, მეპატრონემ სამსახურიდან გამაგდოს? სად 25 წლის ბიჭი და სად ჩვენ.

მოხუცი ისევ ბიჭს დააკვირდა, შემდეგ იქ მყოფთ გადახედა და... — შენ სიტყვებში არის ჭეშმარიტება, მეპატრონე ვერაფერს დაგაკლებს, მაგრამ ჩვენ გვერდით რომ სასაფლაოა, იმისი დირექტორი გიჩივლებს კადრების მითვისებისათვის.

ამ სიტყვებით გივი სახლის ბინადართ მიუტრიალდა, რომ დამდგარხართ მძინარე მზეთუნახავებივით და შემომცქერით, მხარი ამიბითო. ერთ-ერთმა სეირის მაყურებელმა ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა, რას იზამ, ყველა შენნაირი გარეკილი ვერ იქნება, ხოლო ამ ბიჭის საკითხი ჩვენი გადასაწყვეტი არ არისო.

— კაი, კაი, ჩემო ნოდარ, გეყოფა გესლის ნთხევა. რადგან ეს ბიჭი ასე იხვეწება, ეტყობა, მისი ადგილი სწორედ აქ არის, — საუბარში ჩაერია ჭაღარათმიანი, სიბერისაგან წელში მოხრილი კაცი. უცებ მის თვალებში ეშმაკურმა ნაპერწკალმა გაიელვა და დასძინა.

— ამ ბიჭის ამბავი ერთ ანეკდოტს მაგონებს: ახალგაზრდა კაცს მომეტებული სიზარმაცის გამო სულ ეძინა; მშობლებმა გადაწყვიტეს ცოცხლად დაემარხათ. მამამ ეს აზრი შვილსაც გაუზიარა. ბიჭმაც, რადგან გადაწყვიტეთ, ალბათ, ასეა საჭიროო, — ჩაიბურტყუნა და გვერდი შეინაცვლა.

სოფელი წინ აღუდგა კაცის ცოცხლად დამარხვას, მაგრამ ოჯახის გადაწყვეტილება ურყევი აღმოჩნდა.

გასვენების დღეს უამრავმა სეირის მაყურებელმა მოიყარა თავი. მუსიკის თანხლებით გამოიტანეს სასახლე და სასაფლაოსაკენ გაემართნენ. გზაზე ამერიკელთა დელეგაცია შემოხვდათ. როცა გაიგეს, რაც ხდებოდა, ავტობუსიდან ერთი იანკი ჩამოხტა, პროცესიას წინ გადაუდგა და: — რახან ასე გაიმეტეთ ახალგაზრდა კაცი, ნუ დამარხავთ, მე მაჩუქეთ, წავიყვან ამერიკაში და იქ იძინოს, რამდენიც უნდაო.

სოფლელები ცოცხალი ლეშის მამას მიუტრიალდნენ — მაინც მარხამ და ბარემ აჩუქეო. კაცმა კუბოში დაძინებული შვილი გააღვიძა და ახალი ამბავი ამცნო. როცა ზარმაცამ დაადგინა, რომ ყოველდღე ულიფტოდ მეორე სართულზე უნდა ასულიყო, ისევ დამარხვა აჯობინა.

ეტყობა, ახლაც ამგვარ შემთხვევას აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი. კაცი გაიძახის, მოხუცი ვარო და ჩვენ რა უფლება გვაქვს, არ დავუჯეროთო. მე რომ მკითხოთ, ამ სახლიდან გივია გასაგდები. ამ ხნის კაცი ყოველდღე ათჯერ რომ დაარტყამს წრეს თბილისის ზღვას, მერე გაყინულ წყალში იბანავებს და საღამოს მზარეულ თამარას მიუჩოჩდება, — არა, ძმაო, გივიას ჩვენიანს ვერ უწოდებ!

საუბარში დირექტორი ჩაერია: — თითქოს დამარწმუნეთ, მაგრამ ჩვენთან არც ერთი ოთახი არ არის თავისუფალი. ისე, შენ თუ ასე ძალიან გინდა, ჩემო გივიკო, წაიყვანე და დაუთმე შენი საწოლი. შენ მაინც არ გძინავს საწოლში. ძალლივით აგდიხარ იატაკზე, აქაოდა ხერხემალი არ გამიმრუდდესო.

გივიმ ნიშნის მოგებით შეხედა დირექტორს, მერე ბიჭს მიუბრუნდა და დასტურის ნიშნად თავი დაიქნია.

იმ დღიდან დაიწყო მათი ერთად ცხოვრებაცა და მეგობრობაც. ყველა მამა—შვილს ეძახდა. უცნაური ერთი რამ იყო: მამა ახალგაზრდა გახლდათ, შვილი — მოხუცი.

როცა უსიცოცხლო რეზო სასადილოში შემოლასლასდებოდა, მოხუცები ღიმილით ეკითხებოდნენ, „შვილი" სადა გყავსო.

ის უხალისოდ პასუხობდა, — გათენებამდეა სავარჯიშოდ წასული და, საცაა, გამოჩნდებაო. დასტურად წელში გამართული გივიც შემოდიოდა და ხალისიანად ესალმებოდა მოსაუზმეებს, მერე მზარეულს მოუთათუნებდა ხელს საჯდომზე და არც მადიან ჭამაზე ამბობდა უარს.

ასე გაგრძელდა თითქმის ერთი წელი.

ერთ დღეს გივიმ რეზოს ხელი გადახვია, სიყვარულით ჩახედა თვალებში და უთხრა:

— ბიჭო, ვგრძნობ, რომ ასი წლის შემდეგ ახალგაზრდა ბებრად უნდა გარდავიცვალო. გადავწყვიტე, ნოდარის ჯინაზე - შენც გაგაახალგაზრდავო. ამყევი ნელ-ნელა ვარჯიშში, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ.

— რას ამბობ, გივი, ვერ შევძლებ. აქაც ჩემმა შერყეულმა ჯანმრთელობამ მომიყვანა — კვირაში ერთხელ სასწრაფოს ვიძახებ, დაბადებიდან დღემდე ხუთი კილომეტრი. თუ მექნება ფეხით გავლილი.

— თუ მართლა ჩემიანი ხარ, უნდა შესძლო. — კატეგორიულად მოითხოვა უბერებელმა სულმა.

გადაწყვიტეს, მეორე დღეს ერთი კილომეტრი გაევლოთ ფეხით. ასე დაიწყო მათი ვარჯიში. ექვსი თვის შემდეგ უკვე რეზო ასწრებდა გივის და:

გივი, დროზე, თორემ საუზმეზე დაგვაგვიანდებაო — ლაღად მოუხმობდა მეგობარს.

როცა ერთ მშვენიერ დღეს რეზომ გივის სთხოვა, ერთი—ორი საათი ოთახში ნუ შემოხვალ, მიმტანი ნატაშა მყავს მოპატიჟებულიო, გივის სიხარულმა საზღვარს გადააჭარბა, გიჟივით დახტოდა და იძახდა, ბიჭი გავაცოცხლეო. ნოდარმა ისევ ბოღმით ჩაილაპარაკა, — ერთ დონ-ჟუანს მეორეც მიემატაო.

მოვიდა ის დროც, როცა რეზოს მოხუცთა სახლში მხოლოდ გივისადმი უსაზღვრო სიყვარული და მადლიერების გრძნობა აკავებდა. არადა, კარგა ხანია, გაწვრთნილი მიმინოსავით მზად იყო გასაფრენად.

ერთ მშვენიერ საღამოს კარგად შეზარხოშებული მასწავლებელი და მოწაფე ორ რუსის ქალთან ერთად რეზოს ნათესავმა ამოიყვანა ახალთახალი „მერსედესით". დარაჯი უარზე გავიდა, ქალებთან ერთად ოთახში ვერ შეგიშვებთ, დირექტორი გამაგდებსო.

კარგა ხნის გარდაქმნილი რეზო დარაჯის საცემად გაიქაჩა, რას მიბედავსო. შუაში გივი რომ არ ჩამდგარიყო, ნამდვილად შარს გადაეყრებოდნენ.

თბილი ამინდი იდგა და დონ-ჟუანებმა აშლილი ვნებები ღია ცის ქვეშ, აბიბინებულ მდელოზე დაიოკეს.

წესრიგის მოყვარულმა დარაჯმა დილით ყველაფერი დირექტორსა და მეპატრონეს ჩაუკაკლა, თანაც დასძინა, ესენი მოხუცთა სახლს მალე ბორდელად გადააქცევენო. ამის გამგონე ბრიყვმა მეპატრონემ ბრძანა:

— დაუბრუნეთ ამ თვის ფული და ეს ნაძირლები აქ აღარ დავინახოო.

ახლა გივი გახდა დასაკავებელი. დედის სული ამოუტრიალა მეპატრონეს, — კარგად ვიცი, რატომაც ვერ მიტან, შენი ნაბოზარი დედა ცოლად რომ არ შევირთეო! — მიაძახა.

შეურაცხყოფილი მეპატრონე თითქოს საჩხუბრად გაემზადა, მაგრამ გივის თვალებში ისეთი რისხვა ამოიკითხა, შეჩერდა და უმწეოდ ჩაილაპარაკა:

— რა უნდა ელაპარაკო გამოჩურჩუტებულ ბერიკაცსო.

— ბერიკაცი თუ ვარ, დეიდაშენს ჰკითხე და ის მოგიყვებაო, — არ შეარჩინა გივიმ.

ატყდა ერთი ვაი-უშველებელი. გივის სისხლი უდუღდა და, გამოდი თუ ბიჭი ხარო, გაიძახოდა. მეპატრონე აფოფრილ ინდაურს ჰგავდა, რომელიც მზად იყო, ცოცხლად შეეჭამა მოწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინააღმდეგე, მაგრამ აშლილი კუჭის გამო, რამდენჯერაც წინ გაიწია, იმდენჯერ გაეპარა განავალი, თითქოს ისიც აგრძნობინებდა, დაოკდი, რაც შენი საქმე არ არის, ნუ იბრალებო. ერთი სიტყვით, რომ არა მობინადრეები, ეს ამბავი ფაღარათიანის უეჭველი გატყეპით დამთავრდებოდა. ათმა მოხუცმა ძლივს გამოათრია საჩხუბრად აღრენილი გივი და რეზო.

გივიმ ერთი გულიანად შეიკურთხა, მერე რეზოს მიუბრუნდა და უთხრა:

— ხომ იცი, თინას როგორ ვუყვარვარ. გადავწყვიტე, ბოლო მოვუღო უცოლო კაცის თავაშვებულ ცხოვრებას და ცოლი მოვიყვანო. შენ, რა თქმა უნდა, ჩვენთან იცხოვრებ.

კაცებმა გუდა—ნაბადი აიკრეს და სამუდამოდ დატოვეს მოხუცთა სახლი.

საშინელება ის იყო, რომ იქ დარჩენილები ვერც კი ხვდებოდნენ, გივის წასვლით როგორ ემშვიდობებოდნენ ახლა უკვე გამქრალი ახალგაზრდობის აჩრდილს და სიცოცხლეს.

მეორე დღეს, ქაშუეთის ეკლესიაში ჯვარს იწერდნენ 65 წლის ბედნიერი თინა და 20 წლის ბიჭივით მომართული გივი. თინას მეჯვარედ თავისი 70 წლის მეგობარი აერჩია, ხოლო გივის მხარს მისი გამოზრდილი უმშვენებდა.

ჯვრისწერის შემდეგ რესტორან „კუზმას" ეწვივნენ. მეჯვარემ მუსიკოსებს საცეკვაო შეუკვეთა. გივი შევარდენივით გამოენთო და პატარძალი გამოიწვია. მეზობელი სუფრებიდან ისეთი ოვაციები ატყდა, თითქოს სუხიშვილის ანსამბლის სოლისტებს უყურებდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა უდედმამო რეზომ ცოლის მოყვანა გადაწყვიტა, სასიძომ საცოლის ოჯახს მთელი სერიოზულობით წარუდგინა მამობილი. შვილსაც მისი სახელი დაარქვა და ნათლიობაც გივის სთხოვა.

თბილისის ზღვა, კარგა ხანია, მოგონებად იქცა და მეგობრებმაც სავარჯიშოდ ლისის ტბისაკენ გადაინაცვლეს.

თინათინი გივის თავს ევლებოდა, მაგრამ გაძნელდა მოუსვენარი სულის ჩარჩოში ჩასმა, ერთ ადგილას დაოკება.

გივის სიცოცხლის ბოლოც საბედისწერო და ამავე დროს როგორღაც ღიმილისმომგვრელი აღმოჩნდა.

იმ დილას თინამ რეზოს დარდიანი ხმით დაურეკა და მიატირა: — რა გიჟიც იყო, ისეთი სიკვდილითაც გარდაიცვალა, ვიღაც რუსის ქალს დააკვდა ლოგინშიო.

რეზოს და მის მეუღლეს არავინ უგლოვიათ ისე, როგორც გივი. კაცურად აუგო წესი მისმა აღზრდილმა.

ეს კი იყო - უამრავი ახალგაზრდა აცილებდა ამ ხნის კაცს უკანასკნელ გზაზე თან სევდით, თან ღიმილით; თვითონ გივისაც ღიმილი შემორჩენოდა სახეზე. ძნელი ასახსნელი იყო, ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ თავის დასასრულზე უკანასკნელ წამს თვითონვე ჩაეცინა თუ მისი განვლილი ულამაზესი დღეები აცილებდნენ სათნო ღიმილით.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# თამარ შაიშმელაშვილი



## დილა

როგორც წერილი,
სიყვარულის ცრემლით
ნაწერი,
ახლად მოსული
თოვლი
ისე მომჩერებია...

***

ჩუმად მითხარი,
სანატრელო,
ამ ყაყაჩოებს
რა აქვთ საერთო
ჩამავალი მზის
სიმღერასთან?

***

ამოდის მთვარე, –
როგორც ირემი
გზააბნეული, – სამყაროს
დედა...

***

წავიდნენ,
ისე გამეპარნენ
შენზე ფიქრები,
როგორც პეპლები
ყვავილების
სამოსახლოდან...

***

ისე დავდივარ
შენ ქუჩებში,
როგორც ფაეტონები
მთვარიან ქალაქში,
თან რომ მღერიან,
თან კაეშანს
დაატარებენ...

***

რა გინდა სამყაროში სახეტიალოდ...
მას ერთი თვალი აქვს –
ზღვა დიდი,
მაცდური...
მზესთან წაგიყვანს და...
ვაითუ, აღარ დამიბრუნოს
შენი თავი...

***

ავკინძე თრთვილი,
როგორც უფლისგან
გამოგზავნილი
დილის ყვავილები.

***

მითხარი,
რომ ეს სიყვარული
თუ დაიწყებს
შემოღამებას,
თავისი მთვარეც
ეყოლება –
ძალიან ლამაზი და
სევდიანი...
რომლის შუქზეც
ცრემლებიც კი
აყვავდებიან...

***

ისევ მოგიტან
ჩემ სულს
საჩუქრად,
როგორც გვირილებს,
დაბადების დღეზე
გაგზავნილს...

***

ეს ღამე ჩემია –
მთვარის
ფონენდოსკოპით,
რომ შენი
გულისცემა
მოვისმინო...

***

გავცდი ვარსკვლავებს,
მშვიდია სული...
და ზეცის თაღთან
ლოცვას
ყურს ვუგდებ...
მთვარე კი, როგორც
თეთრი მერცხალი,
დრუბლებში
ჩუმად
იკეთებს ბუდეს...

***

გესმის გულისძგერა
გადარჩენილი
თეთრი თოლიისა,
შენ მხრებზე რომ
ეშვება
ნელ-ნელა,
როგორც
მზე ნაღვლიან
სანაპიროზე...

***

როგორც პალმების
ნამღერი შუქი,
მივდივარ ცისკენ
და მიწაც არ მთმობს...
შენი ცრემლების
გამონაშუქი
სახეზე ფერმკრთალ იებად
მათოვს...



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ელეონორა გვრიტიშვილი

## ბალაანელი გოგოები

ქსნის ხეობაში ნებისმიერ ამვლელ-ჩამვლელს რომ ჰკითხო, რომელია ამ მხარეში ყველაზე ცნობილი სოფელიო, არც დაფიქრდება, ისე მოგიგებს ბალაანიო. თუ დაინტერესდები და კიდევ ჰკითხავ: რატომ მაინცდამაინც ბალაანი, განა რით გაითქვა აგრე სახელიო?

- გაბოს გოგოებითაო, - გიპასუხებს მაშინვე.

- ვითომ ეგენი ვინღა არიან ეგეთებიო? - აღგეძრება ცნობისწადილი.

- ეგეთი გოგოები ამ ხეობაში არც აქამდე დაბადებულან, არც ახლა არიან და არც მერე ვინმე გაჩნდებაო! - გეტყვის მტკიცედ.

- ვაახ, კაცოო, ნეტა ერთი მანახაო! - მაშინვე ინატრებ და დაიწყებ იმ გოგოებზე ფიქრს. მთქმელს ცალი გულით მაინც უნდოდ გახედავ:

- მააშ, რახან შენ იტყვი! რატომ გგონია, რომ შენი მოწონებული მეც მომეწონება?

- წადი, ნახე და მერე გამამტყუნეო! - ჩაგივლის გვერდზე დამცინავი სიამაყით.

გამვლელის სიტყვები ისე მოგნუსხავს, სხვაზე ველარაფერზე იფიქრებ და ჯადონაქამივით დაადგები ბალაანის გზას. ივლი, ივლი და კარგა ხნის მერე მიადგები იმ სოფლის მიდამოებს, ჩამოჯდები ქსნის პირას დიდ ლოდზე და სოფელში შესვლას ველარ გაბედავ. ფიქრობ, ფიქრობ და თან შენ თავზე ბრაზდები, რომ ვიღაც ენააქავებულის ლაქლაქს აჰყევი და ამ უცხო სოფელში ამოჰყავი თავი.

„კარგი, მოვედი, მერე? ის გოგოები როგორღა ვნახო? კარდაკარ სიარულს ხომ არ დავიწყებ იმათ სანახავად? დავუშვათ, პირდაპირ მივადექი იმათ სახლსა, მერე? მერე რაღა ვთქვა? ეგრე ხომ ვერ ვიტყვი, თქვენი ნახვა მინდოდა და იმიტომ გამოვიარე ამოდენა გზა-მეთქი? უხერხული არ არის? რას იტყვის იმათი მამა, ვინმე ავხორცი არ ვეგონო. იქნება ძვალ-რბილიც გამიერთიანოს! არა მგონია, ჩემი მომრევი იყოს, მაგრამ მაინც სირცხვილია. ეგეთი რამ ცხოვრებაში არასოდეს გამიკეთებია, ცოლიცა მყავს და შვილებიცა. მაშ, რა მინდა, რისთვის ამოვეხეთქე ამხელა აღმართსა? რისთვისა და ინტერესის გულისთვისა. რატომ უნდა გამკიცხონ, თუ სილამაზის ნახვა მომინდა? უფრო კარგი რა შეუქმნია დალოცვილ ღმერთსა ამ დედამიწის ზურგზე? სილამაზე ხომ ყველასია, ყველასა აქვს უფლება, ნახოს და დატკბეს იმისი მადლით. აქაც იმიტომ ამოვედი, რომ შევამოწმო, მართლა ეგეთი ლამაზები არიან ის გოგოები თუ არა," - ასე დაუწყებ შენ საქციელს ხან გამართლებას, ხან კიცხვას. მერე ადგები, უკან გაბრუნებას განიზრახავ, მაგრამ ისევ გადაიფიქრებ. „საღამომდე დავუცდი და, თუ თვალი ვერსად მოვკარი, წავალ;" - გადაწყვეტ გულში და მშიერ-მწყურვალი მოთმინებით დაუწყებ გაბოს გოგოებს უიმედო ლოდინს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აჰა, გაგიწყდა მოთმინების ძაფიც! მაგრამ, დაიცა, არ წახვიდე, ცოტა ხანს კიდევ იჯექი! გაბოს გოგოები ვენახიდან სახლში მოდიან და, საცაა, გამოჩნდებიან. აგერ, გამოვიდნენ კიდეც მოსახვევიდან, მაგრამ იმათ სახეებს ჯერ კარგად ვერ ხედავ. ისე, შორიდანაც უკვე გექმნება რაღაც შთაბეჭდილება. ხედავ, სამივე ერთი ზომისანი არიან, მაღლები, როგორ ალვის ხესავით მოირხევიან, რა გამართულად მოაქვთ მოქნეული წელი, მკერივი მკერდი და მაღალი თეძოები! რა უბრალოდ აცვიათ წვრილი ყვავილებით მოხატული ჩითის კაბები, და უქუსლო ჩუსტები. ცალი ხელით მხარზე გადებული თოხები უჭირავთ, მეორეთი კი კალათები მოაქვთ. ერთს ლობიო უყრია კალათში, მეორეს - ნედლი სიმინდის ტაროები, მესამეს - ხილი. აი გაგისწორდნენ კიდეც, თვალი შენკენ გამოაპარეს, გიუცხოვეს და შენს უტიფარ მზერაზე თვალები რიდით დახარეს. ოჰ, ოჰ, ჰოო, რა თვალ-წარბი აქვთ, რა ცხვირ-პირი და ხოხობივით მოღერებული ყელი?! სამივე სხვადასხვანაირები არიან, მაგრამ ერთმანეთზე უკეთესები. დაილოცოს თქვენი გამჩენი! - იტყვი გულში აღფრთოვანებით და ისე ხარბად ათვალიერებ თითოეულს, არც რიდი გახსოვს, არც უხერხულობა და არც თავმოყვარეობა.

ეგრე ურცხვად ნუ უყურებ, ვერა ხედავ, როგორ შეუფაკლდათ ლოყები? ცოტა თავი შეიკავე! ჰოო, ეგენი არიან გაბოს გოგოები. აბა, რას იტყვი, როგორები ყოფილან? ვერაფერს ამბობ, გაშტერებული პირში ენას ვერ ატრიალებ და ახლა უკნიდან ათვალიერებ ჩავლილებს. მათ ზურგზე მსხვილი ნაწნავები გველებივით იკლაკნებიან და მზეზე ბზინავენ. ერთს შავი თმა აქვს, მეორეს წაბლისფერი, მესამეს - ოქროსფერი. მართალია, ფეხების მოყვანილობას კაბის სიგრძე უფარავთ, მაგრამ შენი თვალები რენტგენივით აშიშვლებს ჩითის კაბებში მიმალულ მათ სხეულს და ხილულად გრძნობ კვერცხის ცილასავით თეთრ და მკვრივ კანს, ჩამოქნილ ფეხებს.

ეგ გოგოები მარტო ზურგიდან რომ გენახა, მაშინაც მოიხიბლებოდი. ლამაზი ქალი ზურგიდანაც ლამაზი ყოფილა. დალენჩდები, დაირეხვები და აზროვნების უნარი წაგერთმევა. კარგა ხანს კიდევ იჯდები გაოგნებული, მერე ადგები და შინისკენ წამოხვალ. მოდიხარ მთვრალივით, იღიმები სულელივით, ბედნიერი ხარ ჭკუამხიარულივით. რა გედიმება, რა გებედნიერება, რა გემხიარულება? ისა, რომ ნაღდი, შეულამაზებელი, თვითნაბადი მშვენიერება ნახე.

- დიდება, სილამაზევ, შენს ძალას! - შესძახებ აღფრთოვანებით და ფეხს აუჩქარებ. მოდიხარ ღიღინით და ცა ქუდად არ მიგაჩნია და დედამიწა ქალამნად.

გაიველის დრო და ხანდახან შეზარხოშებულს სუფრაზე გაგახსენდება ბალაანელი გაბოს გოგოები, დაიტრაბახებ, რომ ისინი გინახავს და მოწყურებული დალევ მათი სილამაზის სადღეგრძელოს. კარგად იცი, რომ იმათი სადღეგრძელო მარტო შენ არ შეგისვამს, ბევრი შენნაირი და შენზე უკეთესიც მოუჯადოებია იმ გოგოების თილისმას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეგრე ყოფილა, სილამაზე იმას კი არ აბედნიერებს, ვინც ლამაზია, არამედ იმას, ვინც მას შესტრფის. ლამაზი ქალი იშვიათად ყოფილა ბედნიერი. მოშურნე თვალის ავი გულისთქმით თითქმის ყველანი უბედურნი არიან.

- ნუთუ გაბოს გოგოებიც? არ მინდა, არ მითხრა, არ დავიჯერებ! - მეუბნები ჯიუტად, - როგორ იქნება, რომ ისინი უბედურები იყვნენ, როგორ შეიძლება ასეთი უსამართლობა?!

- ეჰ, ჩემო კარგო, შეიძლება! - ამ ცრუ სოფელში ყველაფერი უკუღმაა და რაღა მათთვის დატრიალდებოდა ცხოვრების ჯარა წაღმა?

- მაინც რა დაემართათ? - მკითხავ გულჩაწყვეტილი და მეც დანანებით ვიწყებ მათი ამბის თხრობას:

გაბოს ჯერ უფროსი გოგო - ელო მოსტაცეს. შემოდგომის ერთ მთვარიან ღამეს გაბოს სახლს თორმეტი ცხენოსანი შემორტყმია და სროლითა და მუქარით ხალხი დაუშინებიათ, ვინც მოგვიახლოვდებით, ადგილზე გაგაგორებთო! ოთხი პირახვეული სახლში შესულა, გაბო გაუკოჭავთ, ელო ხელში აუტაცნიათ და გარეთ გამოუყვანიათ. საწყალ გოგოს ისეთი კივილი აუტეხავს, მთა და ბარი შეძრულა. როგორც კალმახი ისე იქნევდა თურმე ტანს, მერე აივნის ბოძს ჩაჰფრენია, ისე ღონივრად შემოხვევია, რომ ოთხმა ვაჟკაცმა ხელები ვერ გააშვებინა და იმ ჭიდილში ბოძი ადგილიდან გამოაგდეს. არაფერმა უშველა საწყალს, მაინც მოიტაცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა სროლითა და ყიჟინით სოფელი დაუტოვებიათ, მაშინღა შესულან მეზობლები გაბოს სახლში და ხელ-ფეხი შეუხსნიათ მისთვის. იმ საცოდავებს ის ღამე ტირილსა და მოთქმაში გაუტარებიათ, რადგან წარმოდგენა არა ჰქონდათ, ვინ მოიტაცა და საით წაიყვანეს ელო. ირიჟრაჟა თუ არა, გაბო და მისი ორი მეზობელი ახალგორის გზას დასდგომიან, ქსნის გაღმა-გამოღმა სოფლებში გაკითხვა და ელოს მოტაცების შესახებ მილიციაში გაცხადება გადაუწყვეტიათ. მესამე დღესღა მობრუნებულან სახლში. თურმე ოძისელ დათიკოს მოეტაცნა, იმისთანა სახლ-კარისა და ქონება-ცხოვრების პატრონს, იმნაირი იქაურობაში რომ არა ყოფილა.

- რაღას იტაცებდა ის დალოცვილი! - თქვა კმაყოფილმა გაბომ, — ეთხოვა იმისი ხელი და მეც სიხარულით გავატანდი ჩემს ელოს ცოლად.

- შენ კი გაატანდი, მაგრამ იმას აღარ ეკითხებოდი? ელოს სულ სხვა ვინმე უყვარდა! - ტირილით უსაყვედურა ნენემ, შუათანამ.

- მერე, ეგაც იმას გაჰყოლოდა, ვინც უყვარდა. როდის დაეუშალე?! - გაიკვირვა გაბომ.

- სად გაჰყოლოდა, რუსის ჯარში? ერთმანეთისთვის პირობა ჰქონდათ მიცემული, ახლა რაღა ეშველებათ? ორივე ჯავრით მოკვდება! - გულამოსკვნით ამოიტირა მაიკამაც, ყველაზე უმცროსმა.

- მოგიკვდეს შვილო, მამა - ამოიგმინა გაბომ, - ეგ რომ მცოდნოდა, თავს შევაკლავდი და ელოს იმათ მაინც არ გავატანდი. კიდევ კარგი, საწყალი დედათქვენი არ შეესწრო ამ დღეს!

გაიარა ხანმა და ბერიკაც ჩამოვიდა ჯარიდან. როცა ელოს მოტაცების ამბავი გაიგო, დათიკოს სახლში მიუვარდა და ქვებით ჩაულეწა ფანჯრები.

- გამოეთრიე, შე ნაბიჭვარო! სუსტ ქალს მოერიე და თავი კაცი გგონია? გამოდი, ერთი, რა ვაჟკაციცა ხარ, დამიმტკიცე! - ღრიალებდა ბერიკა დაჭრილი დათვივით.

დათიკომ არც აცია, არც აცხელა, ჩამსხვრეული ფანჯრიდან თოფი დაუმიზნა და ბერიკა მოცელილი ბალახივით ძირს დასცა. ელოს ხუთი თვის ბიჭი გულში ჩაეკრა და ძრწოლითა და შიშით აძაგძაგებული ყურს უგდებდა ბერიკას მუქარას. თოფის ხმაზე კი ბავშვი საწოლზე მოისროლა და შემზარავი კივილით კიბეზე დაეშვა, სისხლის გუბეში მცურავ სულთმობრძავ ბერიკას გადაემხო და შეშლილივით ჩასძახოდა!

- ბერიკაა, ბიჭოო, ბერიკაა!...

როცა საქციელდაკარგული დათიკო მათ მიუახლოვდა, ელო გაშმაგებული წამოვარინდა, ქმარს მივარდა და გულ-მკერდზე მუშტები დაუშინა, სახეც ჩამოაკაწრა და თმებშიც სწვდა:

- მკვლელო, მკვლელო, მკვლელოო... მეც მომკალი, ახლავე მომკალი, ამასთან ერთად მომკალიიი! - შეჰღაოდა სახეშეშლილი. მერე ისევ ბერიკას მიუბრუნდა, მისი თავი კალთაში ჩაიდო და გულსაკლავად ატირდა.

ლამაზი ქალი უბედურებაშიც არანაკლებ ლამაზი ყოფილა. იმ ენით აუწერელ მწუხარებაში ელო წარმოუდგენლად ლამაზი იყო. მისი ხილვით გაოგნებული ხალხი ენაჩავარდებული შესცქეროდა და ისე უყურებდა იმ ამბავს, როგორც ჩინებულ სანახაობას. დათიკო იმ დღესვე დააპატიმრეს, ელო კი ბავშვით ხელში ტირილით გა-ჰყვა ბერიკას ცხედარს, ღირსეულად იგლოვა და მამის სახლში დაბრუნდა. იმ დღიდან იმ უბედურ დღეზე გაჩენილს შავი არ გაუხდია. ისეთი გამეხებული სახით გამოდიოდა სახლიდან, შიშით შეხედვას ვეღარავინ უბედავდა. ასე მოუკლა ყველა მის თაყვანისმცემელს გული, ჩაიწვა და ჩაინახშირა სულში ყველა სურვილი და იმედი, მხოლოდ თავისი ბიჭისთვისღა ცოცხლობდა და მარტო იმაზე ზრუნვაში ათენებდა და აღამებდა.

- მეორეს? მეორეს რაღა დაემართა?

- ეეჰ, არც ნენე იყო ელოზე ბედნიერი. მართალი უთქვამს ჩვენს ხალხს, ბედი მომეც და სანეხვეზე დამსვიო, მართალია, ნენეს გულისთვისაც ბევრი ჯეელი იბაგუნებდა მკერდზე მჯიღს და ოხვრას გულსაც თან ატანდა, მაგრამ იმას მაინც ის შეუყვარდა, ვისი სიყვარულის უფლებაც არა ჰქონდა.

ერთხელ ნენემ საქონელი ტყიდან ჩამორეკა და მოსაწველად დას ბაკში შეუყვანა, თვითონ კი დეკეულის მოსაძებნად ტყეში აბრუნდა, რომელსაც ვერსად მიაგნო. სულ სირბილით მოიარა ახლომახლო ხევხუვები.

- ბროლაა, ბროლაა!.. - ეძახდა დეკეულს,
- ნეტა რა იქნა ის სამგლე? - ხმამაღლა გაიფიქრა შეწუხებულმა და თავქვე დაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ღამდებოდა და ცოტა შიშიც შეეპარა. მორბის ლაწალუწით და უცებ ელდანაცემი შედგა, რადგან წინ ვიღაც მთასავით ახალგაზრდა კაცი გადაუდგა. როგორც ჩანდა, მონადირე იყო, მხარზე სანადირო თოფი და წელზეც დამბაჩა ეკიდა, ფეხებთან კი მოკლული შველი ეგდო. როცა შიშისგან ცოტა გული მოიბრუნა, გოგო მერედა დააკვირდა უცნობს. იქაური არ იყო, ნენე მას პირველად ხედავდა. ჩამავალი მზის სხივებს წითლად გაენათებინა ტყისპირი და ნენეს და იმ კაცს რაღაც ზღაპრული შუქით მოსავდა.

- ვისი ხარ? - ჰკითხა კაცმა ბანგმოკიდებულივით.

- გაბოსი.

- გაბოსი? - თვალი შეჰკიდა იმან უფრო თამამად, - მაშ, შენა ხარ გაბოს გოგო? შენი დები სადღა არიან? - ჰკითხა მხიარულად.

- ეგ შენი ჭკუის საქმე არ არის! - უკმეხად მიახალა ნენემ და ადგილს მოსწყდა.

- ხა, ხა, ხა, ხა... სად გარბიხარ, ნუ გეშინია, კი არ შეგჭამ, - დაადევნა იმან სიცილით. მაგრამ ნენე აღარ ჩანდა.

- ვააა... ეს ვინა ვნახე, კაცოო - გაოცებული ჩაჯდა ის კაცი ბალახებში. იმ გოგოს თვალებსა და სხეულს ისევ ცოცხლად ხედავდა, - ნეტა დანარჩენები როგორებიღა არიან? რაღაც არ უნდა დამიჯდეს, სამივე ამაღამვე უნდა ვნახო! - გადაწყვიტა და შველი ზურგზე მოიგდო.

როცა სოფელში ჩავიდა, პირველივე სახლს მიუკაკუნა და კარი სწორედ იმ გოგომ გაუღო, წეღან ტყეში რომ გააშტერა.

- შეიძლება? - გაიცინა ალალად, - დამაღამდა და გზა ამერია. ეგება ღამე გამათევინოთ. სად არის მამაშენი? – ხვთისომ შველი ძირს დააგდო და შავი თვალები ცეცხლოვანი ისრებივით დაარჭო ნენეს ალმურწაკიდებულ სახეს.

- მობრძანდით, ახლავე დავუძახებ, - მორცხვად გაუღიმა სტუმარს და სახლში შეიპატიჟა.

ნენე გარეთ გამოვიდა და მამას ასძახა:

- მამი, ჩამოდი, შენ გკითხულობენ!

გაბომ უცნობი დაკვირვებით შეათვალიერა:

- რომელი ხარ? რაღაც ვერა გცნობ.

- როგორ მიცნობ, როცა არასოდეს გინახივარ? გუდაწვრელი მონადირე ვარ. აქეთ, თქვენს მთებში ვნადირობდი და მხარი მექცა. რა ვიცი, აბა, მისდღემში გზა არ ამრევია და, დღეს რა დამემართა?! ეგება ღამე გამათევინოთ და ხვალ დილაადრიან წავალ.

- მოდი, კაცო, ნუ გერიდება, სტუმარი ღვთისაა! - ხალისიანად შეიპატიჟა გაბომ და შვილებს მიუბრუნდა: - აბა, დატრიალდით, და ბუხრის პირას ტაბლა გაგვიშალეთ! ბევრი არაფერი გვაქვს, მაგრამ მცირესაც კეთილი გულით მოგართმევთ, - ახლა სტუმარს უთხრა მობოდიშებით.

- ნუ შეწუხდებით, აგერ მოკლული შველი აქ არა გდია? ახლავე გავატყავებ და მწვადები შევწვათ, - ხვთისომ ხანჯალი დააძრო, შველს ფეხზე დასწვდა და ჩამოსაკიდებელ ლურსმანს ძებნა დაუწყო.

- რას ამბობ, კაცო, ეგ შენი ნანადირევი შინ წაიღე. ჯერჯერობით ფეხზე ვდგევარ და ერთი კაცის გამასპინძლებას მეც მოვახერხებ.

- შინ არა! სახლისთვის ხვალ მოვკლავ რამეს, ჩემი ხელობა ეგ არ არის? - ხვთისომ დერეფნის ბოძზე მსხვილი ლურსმანი დაინახა, შველი ზედ ფეხით ჩამოჰკიდა და მუცელი გამოუფატრა. ისე სწრაფად ატრიალებდა ხელებს, რომ გაბო და მისი გოგოები თვალის მიდევნებას ვერ ასწრებდნენ.

- ეს ჯიგარი, თუ არ გეზარებათ, ჩააყაურმეთ! - მიაწოდა ნენეს გულ-ღვიძლი და ისე შეხედა, საწყალ გოგოს ქრიალი დააწყებინა. მონუსხულივით გამოართვა და ადგილიდან ფეხი ვეღარ მოიცვალა, ეგრევე იდგა გახევებული. მდუმარე ელომ თასი მოიტანა, დას გულ-ღვიძლი გამოართვა და მკაცრად შეხედა, თან ფეხზე ფეხი დაადგა და მთელი ძალით დააჭირა. ნენემ ტკივილისგან შეჰკივლა და გამოერკვა, მერე დას უხმო ბრძანებაზე ოთახში შეჰყვა.

- რა პირდაღებული მისჩერებიხარ, კაცი არ გინახავს? სულ დაჰკარგე თავმოყვარეობა!

- ეგეთი კაცი ჯერ არ მინახავს! - გულწრფელად მიუგო ნენემ და ღია კარში გახედა სტუმარს, რომელიც ზურგით იდგა და შველს ატყავებდა, - ნეტა ვინ არის, რა ჰქვია? ეგ შემხვდა წეღან ტყეში, - უჩურჩულა დას და ანთებული თვალები ისევ სტუმრისკენ გაექცა.

- კარგი, ჰო, თავი შეიკავე, ეგრე რამ აგაცეტა? არაფერი შეგამჩნიოს! - შეუტია ელომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- გარეთ გაველ, რაა, ყაურმა შენ გააკეთე! - შეეხვეწა ნენე დას.

- დაეგდე ემანდა! - ისე გოროზად ბრძანა, რომ ნენე ვეღარ შეეწინააღმდეგა და მთვარეეულივით ასრულებდა მის ყველა მოთხოვნას. შურდა, ოჰ, როგორ შურდა თავისი უმცროსი დისა, რომელიც გაზაფხულის ანცი ნიავივით დაჰქროდა სტუმრის გარშემო და ხალისითა და კისკისით ხან რას მიურბენინებდა, ხან რასა. შემოვარდებოდა ოთახში, ხელს რაღაცას დასტაცებდა და ისევ გარეთ გავარდებოდა. მერე ხელებიც დააბანინა, პირსახოციც მიაწოდა, შესციცინებდა და შეჰხაროდა სტუმარს. საწყალ ნენეს კი მარტო მისი ხავერდოვანი, ბუბუნა ხმა ესმოდა. „ნეტა როდის მორჩებიან საქმესა და როდის შემოვლენ?“ - ფიქრობდა გულგაწვრილებული და წყენით გახედავდა ხოლმე უფროს დას, რომელიც ყაურმისთვის გულ-ღვიძლს წვრილად სჭრიდა. „თვითონ რომ უბედურია, სხვისი ბედნიერებაც არ ახარებს, - შეაპარა ეშმაკმა ნენეს ავი ფიქრი: —აბა, რა დავაშავე ისეთი, რომ იქ არ გამაჩერა? მაიკაც ხომ ეხმარება, რატომ იმაზე არ ეჭვიანობს. ნენე უცებ ისე გაბრაზდა დაზე, რომ მის გვერდით დგომა აუტანლად ეჩვენა, სასწრაფოდ მოსცილდა და ბუხრის პირას დაბალ სკამზე დაიწყო ხახვის ჭრა.

ცოტა ხანში ყველა ოთახში შემოვიდა. ხვთისოს  შვლის ხორცი შამფურზე წამოეგო. გაბომ ცეცხლი გადაქექა, მსხვილი ნაკვერჩხლები ერთად მოაგროვა, თუნუქის ფურცლით ღონივრად დაუნიავა, აქეთ-იქიდან მაღალი რიყის ქვები შემოუწყო და ზედ შამფურები გასდო. მალე სუფრასაც შემოუსხდნენ და კაცებმა ღვინის ჭიქები ერთმანეთს მიუჭახუნეს.

- აბა, ვახსენოთ მაღალი ღმერთი და ჩვენი სტუმარი დავლოცოთ! - მიმართა გაბომ შვილებს.

- გაგიმარჯოთ, ღმერთმა სიკეთე და ბარაქა ნუ მოგიშალოთ! - დინჯად და ღირსებით უთხრა ელომ და შავად დაბინდული თვალები სტუმარს მიაპყრო.

ხვთისომ ისეთი მოწიწებითა და კრძალვით დაუკრა ელოს თავი, რომ თვითონვე გაუკვირდა თავისი საქციელი. ასეთი თავაზიანი და მორიდებული არასოდეს ყოფილა, პირიქით, სითამამითა და უხეშობით იყო ცნობილი და თავი მოჰქონდა კიდეც ამით. ნამდვილი კაცი ქალაჩუნა კი არა, უხეში უნდა იყოსო! - იტყოდა ხოლმე თავმომწონედ. ახლა კი რა დაემართა, რამ დაანაზა და დაასათნოვა? ალბათ, ამ ქალის, მშვენიერი ელოს ხილვამ, მისმა დედოფლურმა კდემამოსილებამ გააკეთილშობილა. „თამარ დედოფალიც ასეთი იქნებოდა. შავი მარგალიტივით არა ბზინავს?!“ ხვთისოს თუმცა შავი მარგალიტი არასოდეს ენახა, მაგრამ მის წარმოსახვაში ის ელოსავით მშვენიერი იქნებოდა.

ხვთისო ახლა ნენემ დალოცა:

- გაგიმარჯოთ! - ძლივს ამოსთქვა ხმის კანკალით. დამფრთხალი ნუკრივით თრთოდა, ლოყებზე ხანძარი ეკიდა, დიდრონი თაფლისფერი თვალები სტუმარს ერთი წამით შეანათა და მაშინვე მორცხვად დახარა, გრძელმა წამწამებმა დაუჩრდილეს მზერა.

„შემომხედე, ერთხელ კიდევ შემომხედე“, - შეეხვეწა ხვთისო გულში, მაგრამ ამაოდ. ნენე თავის თეფშს დასცქეროდა და სტუმრის შეხედვას ვერ ბედავდა. „რა მადლმა შეჰქმნა ეს სილამაზე?! - გაოცებული ხვთისო ახლა ნენეს უყურებდა და თავი სიზმარში ეგონა: ასეთი ზღაპრული ნაკვთები, წაბლისფერი მსხვილი ნაწნავები, მაღალი ლამაზი შუბლი, საფეთქლებისკენ გაფრენილი წვრილი წარბები, საოცარი სინაზით ჩამოქნილი ცხვირი და ულამაზესი ფორმის ტუჩები ჯერ არ ენახა. გაიცინებდა და იმისი საუცხოო, ქათქათა კბილების დანახვაზე საწყალს ლამის გული მისდიოდა. „არა, ამდენს ვეღარ გავუძლებ, აქვე გამისკდება გული, - შეეშინდა ხვთისოს, - ნეტა ისეთი რამე მაინც დამემართოს, ბნედა ან დამბლა დამეცეს, რომ აქ დამტოვონ და ცოტა ხანს კიდევ მაცქერინონ ამათთვის. ოოჰ, ნენე, ნენეე, რა ტკბილად ჩავიხრჩობოდი შენი თვალების თაფლის ზღვაში“. - უიმედოდ ინატრა ხვთისომ.

- გაგიმარჯოთ! - ახლა მაიკას ხმამ გაიწკრიალა ზარივით და ისე გაიცინა, მთის წყაროს საამო რაკრაკი იმასთან მონაგონი იყო.

მაიკა თხუთმეტიოდე წლისა იქნებოდა, სიმაღლეში უკვე დებს დასწეოდა და კოჭებში ეტყობოდა, რომ მალე გაუსწრებდა კიდეცის სულ სხვა ვინმე იყო, სხვა თიხისგან მოზელილი და გამოქნილი, თავნება, ანცი, მხიარული და თავქარიანი. სულ ერთიანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრწყინავდა სახე, თვალები, კბილები, სხეულიც კი უცინოდა. კი არ დადიოდა, დაფრინავდა. სიდინჯეს და თავდაჭერილობას იმასთან არაფერი ესაქმებოდა, არც მოუხდებოდა. მასთან არც მოგწყინდებოდა და არც დაიღლებოდი - მუდმივ ნეტარებასა და ბედნიერებაში იგრძნობდი თავს. მისი საოცარი ლურჯი თვალები ხან ლაჟვარდისფრად ანათებდა, ხან ზურმუხტისფრად, ხანაც მუქ ნაცრისფრად. ზოგჯერ ყველა ფერი ერთმანეთში ერეოდა და ისე უჭრელდებოდა, როგორც გაზაფხულის ყვავილებით მოფენილი მინდორი.

„გაბოს გოგოების სილამაზის შორს გავარდნილი ამბავი სწორი ყოფილა. ასეთი გოგოები, ალბათ, ას წელიწადში ერთხელ იბადებიან! - დაასკვნა ხვთისომ და გაოცებული მზერა ახლა გაბოზე გადაიტანა. — ნეტა როგორ უძლებს დღენიადაგ ამ სილამაზის ცქერას? ისე იქნება შეჩვეული, ალბათ, ველარც ამჩნევს".

გაბო სტუმარს გულისთქმას მიუხვდა:

- აი, ჩემი გოგოები ხომ ლამაზები არიან, მაგრამ მაგათი დედა სამივეს ერთად აღებულსა სჯობდა. მართალია, ცოცხალი აღარა მყავს, მაგრამ მაინც ბედნიერი კაცი ვარ, რომ ის ქალი ერთ დროს ჩემი ცოლი იყო, - თქვა ამოოხვრით.

- რითი დაიღუპა? - რიდით ჰკითხა სტუმარმა.

- ქსანმა მომტაცა. ადიდებულ წყალზე გადებულ მორზე გადმოდიოდა და სწორედ იმ დროს დასჯახებია უცბად მოვარდნილი ზათქი. ანიკო წყალში ჩავარდნილა და ტალღებს ისე სწრაფად გაუქანებია, ნაპირზე მდგარ ქალებსა და ბავშვებს თვალი ვეღარ მოუკრავთ. მშველელიც რომ ვინმე გამოსჩენოდა, ვერაფერს გახდებოდა. ჩვენ, კაცები, თითქმის ყველა სათიბში ვიყავით და მისი სიკვდილის ამბავი იქ ამომიტანეს. ოთხი სოფლის ქვევით გაერიყა ჩემი ცოდვით სავსე ქსანსა... ეს გოგოები რომ არა, ერთ წუთსაც არ ვიცოცხლებდი უმისოდ თავსა. რა მექნა, პატარები იყვნენ და უპატრონოდ ხომ ვერ დავყრიდი. როგორც იქნა, მოვერიე მაინც დარდსა, მაგრამ მიჭირს, ძალიან მიჭირს უმისობა... ეეჰ, არ მინდა იმის გახსენება. სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი ანიკოც ცოცხალი იქნება, განუწყვეტლივ გვერდითა ვგრძნობ მის სულს, - თქვა ბოლოს მხნედ და ხვთისოს ჭიქა მიურტყა.

- ღმერთმა აცხონოს! - მძიმედ თქვა და კიდევ ერთხელ შეავლო თვალი მის წინ ტაბლასთან ჩამომსხდარ გოგოებს. ძალიან გაუჭირდა ისეთი ქალის წარმოდგენა, რომელიც სილამაზით თითოეულს კი არა, სამივეს ერთად აღებულს აჯობებდა.

- აბა, მაიკა, ახლა წამოხტი და შენებური წარმოდგენა გაგვიმართე, ცოტა გაგვამხიარულე! - მიუბრუნდა გაბო ნაბოლარას.

- იიჰ, ნეტაი ერთი შენა! - იუარა მაიკამ კისკისით.

- ადე, ადე, ჩვენმა სტუმარმაც ხომ უნდა გაიგოს, რა არტისტიცა ხარ!

- რას გამიწყალებ ხოლმე გულსა, მამი, მართლა არტისტი ხო არა ვარ?

- ძალიან მაინტერესებს, - სთხოვა ხვთისომაც და რაღაც სასიამოვნოს მოლოდინში გაყუჩდა.

მაიკამ ბევრი აღარ ახვეწნინა, შალს ხელი დასტაცა და გარეთ გაქროლდა. ცოტა ხანში კარი ჯახანით შემოაღო, ფეხი კი შემოდგა, მაგრამ ტანი ველარ შემოიტანა, გაიჭედა კარებში და აღარ იძვრის, ვერც შიგ შემოდის, ვეღარც უკან გადის. ბოლოს მთელი ძალით მოიქნია ტანი და ოთახში ბურთივით შემოვარდა. გვერდებზე ბალიშები ჩამოეკიდა და ზედ შალი გადაეფარებინა, გრძელი ოქროსფერი ნაწნავები გაეწნა და ჩიტის ბუდესავით თავზე მრგვლად დაეხვია. მაიკამ გვერდები კეკლუცად შეათამაშა და თვალების პრაწვითა და ტუჩების ბრეცვით სტუმრისკენ დაიძრა, თეძოებიდან ამოვარდნილივით კოჭლობით აქეთ-იქით გადადიოდ-გადმოდიოდა, წინ მოიწევდა და მოქოთქოთებდა. როცა ტაბლას მოუახლოვდა, სტუმარს თვალები გადაუჭუტუნა, აღშფოთებული გამომეტყველება მიიღო, საჩვენებელი და ცერა თითებით ტუჩის კუთხეები ამოისუფთავა, პირი დებისკენ ჰქნა და ტულარჭვით დაიწყო:

- ქაა, ერთი მითხარით, თქვენ გახარებასა, რატო ვერა ვთხოვდები?! რა მაკლია, პირში მითხარით, გენცვა! არ მოგერიდოთ, პირდაპირ პირში მითხარით! რაც ჩვენს სოფელში შარახვეტიები იყვნენ, ყველანი დათხოვდნენ და მე რატო არავინა მთხოულობს, რითი ვარ იმათზე ნაკლები? ან ვისზე ნაკლები მზითევი მაქ? ნიკლიკრაოტებიცა მაქ, შავი ყუთიცა თეთრი კბილებითა, ფორტეპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანს თუ რაღაც ჯანდაბას რო ეძახიან. იმითანა ლუიტრა მიკიდია, ცხრა კაცი რო ჩამაეკიდოს, ვერ ჩამაიწყვეტამს. მეტი რაღა ჭირი და სიკვდილი უნდათ ამ კაცებსა, გაწყდა მაგათი სინსილა!.. აბა, რავი, რა მაკლია, რატო ვერა ვთხოვდები, პირში მითხარით, თქვენი ჭირიმეთ!

- ბუნელაში გექნება ფეხი ჩადგმული და იმიტომა, — მიუგო ნენემ სიცილით.

- მერე რაა, რო?

- ისა, რო ეგრე ამბობენ, ბუნელაში ფეხჩადგმული ქალები, წეღან შენ რომ თქვი, იმათზე უარესები არიანო...

- მეხი მაგის მთქმელსაც დაეცეს! - თქვა მაიკამ ტუჩაბზუებით, გატრიალდა და თეძოების ქანაობით კარისკენ წაჩლახუნდა, შიგ კიდევ გაიჭედა და ვაი-უბედურებით ჯერ ერთი გვერდი გაიტანა გარეთ, მერე მეორე.

აბა, რა სიტყვა აღწერს იმ მხიარულებას, რაც იქ დატრიალდა. სიცილისგან ჩაბჟირებული ხვთისო სამფეხა სკამიდან გადმოვარდა და ძირს გაიშხლართა. მის ხარხარზე ფანჯრების მინებს ზრიალი გაუდიოდა, თვალებიდან ცრემლი სდიოდა და სულს ძლივს იბრუნებდა. ასე ბედნიერად თავის სიცოცხლეში ჯერ არ ეგრძნო თავი.

- ეს რა დღე გამითენდა, სად მოვხვდი, მადლობა და დიდება შენდა, ღმერთო! - გაიძახოდა აღფრთოვანებული. ნენეც მხიარულად კისკისებდა. მარტო ელო იღიმებოდა თავშეკავებულად.

- როგორი გოგო მყავს, ჰა? აბა, ქალაქში ვინმე ეყოლებათ ამისთანა არტისტი? — ჰკითხა ბედნიერმა გაბომ ხვთისოს.

- ქალაქში კი არა, მთელ ქვეყანაზე არ იქნება ეგეთი ვინმე! - კვერი დაუკრა სტუმარმა და ნენეს გახედა: „შენა ხარ ყველაზე ლამაზი, შენი ბადალი ამ ქვეყანაზე ჯერ არავინ გაჩენილა, შენ შემოგევლე!“ - თვალებით ჭამდა საბრალო გოგოს, რომელიც განაბული იჯდა და, ვინ იცის, რა ქარიშხალი უტრიალებდა გულში.

- აბა, ჩვენო სტუმარო, ეხლა შენზეც გვიამბე რამე, იმ ხნისა ჩანხარ, ცოლ-შვილი გეყოლება.

ხვთისო ერთხანს უხერხულად დუმდა და მერე ძლივს ამოილუღლუღა:

- მყავს.

- რამდენი შვილი გყავს?

- ოთხი, სამი ბიჭი და ერთი გოგო, - და დამნაშავესავით გააპარა მზერა ნენესკენ, რომელსაც სტუმრის ნათქვამზე გულში ძალიან მძიმედ და მწვავედ რაღაც ჩასწყდა. მისი უნებლიე, ყრუ კივილი მხოლოდ ელომ და ხვთისომ იგრძნეს. საბრალოს სიყვარულითა და სიხარულით სავსე გული ისე ერთბაშად დაეცალა, როგორც ქვით გვერდგამომტვრეული წყლის დოქი. ნენე ერთხანს გაყუჩებული იჯდა, მერე ნელა წამოდგა და ლასლასით გარეთ გავიდა, სავსე მთვარით გაჩახჩახებულ მიდამოს თვალი მოავლო, ადგილს მოსწყდა და გაიქცა. საით მირბოდა იმ შუაღამეს, ნადირის მაინც არ ეშინოდა ან კაცისა? რომელიმე რომ გადაჰყროდა, ვინ იყო მისი მშველელი? ბოლოს დაქანცული შედგა, ქვაზე ჩამოჯდა და ატირდა ხმამაღლა, გულამოსკვნით და სასოწარკვეთით. რა ატირებდა? სულ რამდენიმე საათში განა ისეთი რა სიყვარულით შეუყვარდა ვიღაც ცოლშვილიანი კაცი? თანაც ტიროდა ნენე, ნენე, რომლის გულის მოსაგებად ახლომახლო სოფლებშის დარჩეული ბიჭები ჯიხვებივით რქებს ამტვრევდნენ ერთმანეთს. ეეჰ, ვინ გაიგებს ბედისწერის გზებს? ყველაფერი მისი განგებითა და ნებით ხდება!

როცა ტირილით გული იჯერა, ნენე წამოდგა და უკვე ნელი ნაბიჯით წამოვიდა სახლისკენ, ფეხაკრეფით აიპარა მეორე სართულზე, ჩუმად ჩაწვა ლოგინში და მდუღარე ცრემლებით გამოიგლოვა მეხივით თავსდატეხილი უცაბედი სიყვარული. დები ზევით რომ ამოვიდნენ, მან მესამედ გადააბრუნა ცრემლებით დამბალი ბალიში.

- სად იყავ, გოგო, სად დაიკარგე? - მკაცრად ჰკითხა ელომ.

ნენე გაიტრუნა და ისე ამოიფშვინა, ვითომ ღრმა ძილით ეძინა. დაწოლისთანავე ტკბილი სიზმრების მსუბუქმა ფრთებმა უმალ გააფრინეს მაიკას გონება ზღაპრულ ქვეყანაში, ელო კი სევდიანი ფიქრების მიყოლით ჩაიძირა ძილის ბურანში. გაბო და ხვთისო ქვევით იწვნენ. მალე გაბოს მშვიდი ფშვინვაც შეუერთდა უფროსი და უმცროსი ქალიშვილების სუნთქვას. არ ეძინათ მხოლოდ ნენესა და ხვთისოს. ისინი სიბნელეში გახელილი თვალებით ჭერს შესცქეროდნენ, ერთმანეთზე ფიქრობდნენ და ძალიან, ძალიან უბედურებად მიაჩნდათ თავი.

მეორე დილას დები ძირს რომ ჩამოვიდნენ, სტუმარი იქ აღარ დაუხვდათ. დილაადრ-

იან ისე გაპარულიყო, გაბოსაც ვერ გაეგო.

- ღმერთმა ხელი მოუმართოს, კარგი ბიჭი იყო, - დანანებით თქვა გაბომ, - მთელი შველი აქ დაუტოვებია, კაცო, ნახევარი მაინც წაეღო შინა.

- დარდი ნუ გაქვს, ისეთი ვინმე ჩანს, მაგას, ალბათ, არც შვლის ხორცი აკლია და არც დათვისა, - დაამშვიდა ელომ მამა.

ნენემ საქონელი ბაკიდან გამორეკა და ტყისკენ წაასხა. ისეთ გუნებაზე იყო, დანა პირს არ უხსნიდა.

- საგზალი მაინც წაგეღო, გოგო! - დაადევნა ელომ.

ნენე არც შემობრუნებულა, ისე უბრად გააგრძელა გზა.

- მოგიკვდეს ჩემი თავი! - გული მოეწურა დას. ყველაზე უკეთ ელომ იცოდა, რა ბალღამიც დუღდა მის გულში.

ნენე ჩქარა-ჩქარა მიერეკებოდა საქონელს, გული უგრძნობდა, რომ ხვთისოს ნახავდა. „ვერ დავიჯერებ, რომ სულ წავიდა და თვალს ვეღარასოდეს მოვკრავ. შეუძლებელია! განა უხმოდ არ შემომფიცა სიყვარული? როგორ მიყურებდა, რაღას არ მეუბნებოდა! არა, არ მომჩვენებია, მარტო მე მიყურებდა ისე ანთებული, მარტო მე მოვეწონე, მე, მეე!“ - არწმუნებდა ნენე თავს და უკვე მერამდენედ იხსენებდა ხვთისოს ყოველ მოძრაობას, სიტყვასა და გამოხედვას. მისი ცეცხლოვანი თვალების გახსენებაზე ტანში ჟრუანტელი უვლიდა და გული ნეტარებით ეწურებოდა.

მისდევს ნენე ტყეში აღმართს თვალდახუჭული და წინ მთის არწივივით მკლავებგაშლილ ხვთისოს ხედავს, რომელიც მოუთმენლად ელოდება მისკენ სირბილით მიმავალ საოცნებო ქალიშვილს. უცებ ნენე რაღაც ჩქამმა გამოაფხიზლა, თვალი გაახილა და ზუსტად ის სურათი დაინახა, ოცნებით რომ წარმოიდგინა. ამომავალი მზის სხივებში გაბრწყინებული ხვთისო ბორცვზე იდგა და მომაჯადოებელი ღიმილით თავისკენ უხმობდა მას. ნენემ ისევ დახუჭა თვალები, რადგან ხილული რეალობა ისევ წარმოსახული ოცნება ეგონა, მაგრამ მაინც გაიქცა იქით, სადაც ის მზეჭაბუკი ეგულებოდა. როცა ის ღონიერი მამაკაცის მკლავებში მოემწყვდა და ტუჩებზეც მისი მხურვალე კოცნა იგრძნო, მაშინღა გამოერკვა. ერთი წუთით მოსწყვიტა ბაგეები კაცს, ფხიზლად შეხედა, ნეტარებით გაეღიმა და თავდავიწყებით გადაეშვა უსაზღვრო ბედნიერების მორევში.

შეჩერდა წუთი და წამი, გაჩერდა მზე, დადგა დედამიწაც და გაირინდა ყველაფერი ირგვლივ, რათა არ დაერღვიათ მიჯნურთათვის ღვთაებრივი სიყვარულის სიტკბოება.

- ჩემო სიცოცხლე, ჩემო ყველავ! ოღონდ გიყვარდე, ოღონდ ჩემად მეგულებოდე და ყველაფერს დავთმობ შენი გულისთვის, ყველაფერს შემოგწირავ! უშენოდ ერთ წუთსაც ვერ გავძლებ, შენთვის მოვკვდები!

- რას ამბობ, რას, როგორ თუ მოკვდები, ის დღე და წუთი არ გამითენოს ღმერთმა! მეც შენთან ერთად მოვკვდები... შენს გვერდით სიკვდილიც კი ბედნიერება იქნება ჩემთვის!

ასე ეფიცებოდნენ ერთმანეთს სიყვარულს, ერთგულებას, სამუდამოდ ერთად ყოფნას, არ დაიღალნენ და არ მოსწყინდათ ერთმანეთის კოცნა და ალერსი, თვალებში ცქერა და ერთმანეთით აღფრთოვანება. რაც მთავარია, არც ერთს აღარ ახსოვდა ის უმძიმესი ხელისშემშლელი პირობა, რის გამოც სულ ცოტა ხნის წინ ორივეს თავი ყველაზე უბედურ ადამიანად მიაჩნდა.

იმ დღის მერე ხვთისო და ნენე კვირაში ერთხელ პირველი შეხვედრის ადგილზე ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს, თავიანთი სიყვარულის ამბავი ისე საიდუმლოდ შეენახათ, რომ ძეხორციელსაც არ გაეგო. გაფრთხილდებოდნენ იმ უსაზღვრო ბედნიერებას, რომელიც მხოლოდ მათი იყო და რომელსაც არ უნდა შეხებოდა მოშურნე თვალი და მხამიანი ჭორების ბოროტი ზრახვები.

სამწუხაროდ, ბედნიერება არასოდეს ყოფილა ხანგრძლივი და ბუნების ამ საყოველთაო კანონს ვერც ჩვენმა შეყვარებულებმა აარიდეს თავი. ერთხელ ნენე ამაოდ ელოდა მიჯნურს, მზის ჩასვლამდე იმ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, ხვთისო კი არა და არ ჩანდა ვიდრე ერთი კვირა გაილია, ნენემ იმ დათქმულ დღემდე ძლივს მიიტანა სული. გულაჩქროლებული ავიდა თავიანთი შეხვედრის ადგილზე, მაგრამ ხვთისო არც ამჯერად გამოჩენილა. როცა მესამე კვირასაც არ მოვიდა, ნენე საშინელმა შიშმა შეიპყრო. ქვეყნის დაქცევას უფრო ადვილად წარმოიდგენდა, ვიდრე იმას, რომ ის ხვთისომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიატოვა. „ღმერთო ძლიერო, ოღონდ ცოცხალი იყოს, ოღონდ არაფერი სჭირდეს და, თუ გინდა, ნუღარასოდეს დამანახებ იმის თვალებს! ყველაფერს შევეგუები, ყველაფერს გავუძლებ, ოღონდ ცოცხალი იყოს!“ ნენეს სწამდა, იცოდა, რომ ხვთისოს ვერაფერი დააბრკოლებდა ამ ქვეყანაზე, ვერც ცოლი, ვერც შვილები და, თუ სადმე ცოცხალი იყო, აუცილებლად მივიდოდა თავის ნენესთან, ასე უსიტყვოდ არ მიატოვებდა. ამიტომაც ჰქონდა გული საშინელი, აუტანელი შიშით სავსე, ამიტომ იყო მისთვის ასე გაუსაძლისი თითოეული ახალი დღის გათენება და დაღამება.

ლამის ერთი თვე გავიდა ასე და ნენემ ხვთისოს შესახებ კიდევ არაფერი იცოდა. რა ექნა, ვისთვის ეთქვა, სად ეკითხა? ისინი ხომ ფიცით იყვნენ შეკრულნი, სიკვდილამდე არავისთვის გაემხილათ თავიანთი საიდუმლო. ერთ დღესაც გაბო ვენახიდან დაღონებული და ნირწამხდარი ამობრუნდა. როცა შვილებმა უგუნებობის მიზეზი ჰკითხეს, შემდეგი თქვა:

– ამ რამდენიმე თვის წინ გუდაწვრელი მონადირე ხვთისო რომ გვყავდა სტუმრათა, საშინელი ამბავი დამართნია საცოდავსა... ნადირობისას დათვს გადაჰყრია, დაუჭრია, მაგრამ ვერ მოუკლავს. იმას კი ისე დაუგლეჯია, თავი ცალკე უპოვიათ, ხელი ცალკე და ფეხები ცალკე...

გაბომ წინადადების დამთავრებაც ვერ მოასწრო და გულწასული ნენე სკამიდან იატაკზე გადმოვარდა. ატყდა ერთი წივილკივილი, მოასულიერებდნენ, ისევ გული მისდიოდა. იმ ხეობაში თუ ვინმე ექიმბაში იყო, ყველა ნენეს მიჰგვარეს, მაგრამ ვერავინ გაიგო, რა სჭირდა, მარტო უაზრო თვალებით იყურებოდა, არც არაფერი ახსოვდა და ვერც ვერავისა სცნობდა. დიდმა გლოვამ და ნაღველმა დაისადგურა გაბოს ოჯახში. ყველაზე ძალიან კი მაიკა იტანჯებოდა. მისი მხიარული და უდარდელი ბუნება ვერ ეგუებოდა დარდსა და ცრემლს. მართალია, ნენე ძალიან ეცოდებოდა, მაგრამ ხანდახან ავიწყდებოდა  იმისი უბედურება და მხიარულ სიმღერას შემოსძახებდა ან გულიანად გადაიკისკისებდა. ბოლოს ერთმა მორწმუნე ქალმა გაბოს ურჩია, ნენე მონასტერში მიეყვანა:

- შენი გოგო გათვალულია, მაგას სხვა არაფერი სჭირს. ჩაიყვანე ლარგვისის მონასტერში და იქ დატოვე. მონაზვნები შეულოცავენ და აუცილებლად მოარჩენენ. დამიჯერე, ეგრე მოიქეცი!

სხვა გზა მაინც აღარა ჰქონდა და გაბომაც მეორე დღესვე ჩაიყვანა ნენე მონასტერში. მონაზვნებმა ის ალერსით მიიღეს. გაბო და მისი გოგოები კვირაში ერთხელ აკითხავდნენ ხოლმე ნენეს, რომელმაც მართლა მოიხედა, მეხსიერებაც აღუდგა, დღედაღამ ლოცულობდა და სულ იმის ფიქრში იყო, ვისთვის რა სიკეთე ექნა.

- ალბათ, ეგ იყო მაგის იღბალი... ოღონდ ცოცხალი დარჩეს და, სადაც უნდა, იქ იყოს, - ინუგეშებდა ხოლმე გაბო თავს.

ასე გადაწყდა ზეცაში ელოსა და ნენეს ბედი. ახლა გაბოს ერთადერთი იმედი მაიკალა იყო.

– ღმერთო, ეს მაინც მიბედნიერე! – შესთხოვდა მამაზეციერს ყოველ ცისმარე დღეს. მაგრამ ტყუილად აწუხებდა უფალს, მაიკა ისედაც ბედნიერი იყო. აკი ზევითაცა ვთქვი, მაიკა სხვა თიხისაგან იყო მოზელილი-მეთქი. იმას ბედნიერებად და სიხარულად სულ სხვა რამ მიაჩნდა, ყოველთვის უკვირდა და ვერც მიმხვდარიყო, როგორ უნდა ედარდა და ეტირა თუნდაც ხუთი წუთის განმავლობაში ვიღაცის გამო? როგორ უნდა შეყვარებოდა ვინმე ისე, რომ დაეთმო ყველა ამქვეყნიური სიკეთე და შავ ძაძებში ჩაეკლა თავისი სიცოცხლე? განა შეიძლებოდა ღვთის მიერ ნაბოძები ამდენი მადლი, მაღლა ცა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, დაბლა კი მთა, ჩანჩქერი, მდინარე, ტყე, ველი და ყვავილები, ულამაზესი ფრინველები და ცხოველები არად ჩაეგდო და ერთადერთ მამაკაცს გადაჰყოლოდა თან? „მეტი საქმე არა მაქვს! ვერავინ ეღირსება ჩემგან ეგეთ მსხვერპლს! ჩემს სულელ დებს კი არა ვგავარ, ცოცხლად რომ დაიმარხეს თავი! მე ღმერთმა იმისთვის გამაჩინა, რომ, სანამ ცოცხალი ვარ, შევხაროდე ამ ქვეყანას და მიყვარდეს მისი ის მცირე ნაწილიც, კაცი რომ ჰქვია სახელად. თუ კარგი ვინმე შემხვდება, შევიყვარებ, რატომაც არა?! მაგრამ, მირჩევნია, ის ოხრავდეს და კვდებოდეს ჩემთვის, ვიდრე მე მისთვის. რადგან ბედნიერება და მხიარულება სჯობს დარდსა და მწუხარებას, ამიტომ მეც უმჯობესს ვირჩევ!“

აი, ასეთი იყო მაიკას მტკიცე ლოგიკა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეც იქცეოდა და ვერც გაამტყუნებდი, რადგან ყველა და ყველაფერი ერთნაირად უყვარდა. მწარე ეკალი რომ შერჭობოდა, იმასაც სიყვარულით გამოიძრობდა. მაიკას მტრედის გუნდივით უკან დასდევდნენ გოგობიჭები, სიცილ-ხარხარითა და ლაზღანდარობით გარს ურბენდნენ თავიანთ სოფელს და, ნახირში იყვნენ, სამკალში თუ სათესში, მდინარეზე თუ ტყეში, ყველგან მათი მხიარული ჟრიამული გაისმოდა.

- გაიხარეთ, შვილებო, გაიხარეთ! - კეთილად ლოცავდნენ მოხუცები.

- ქაა, ე გოგოც რო ვინმემ მოგვტაცოს, რა გვეშველება, ხო დავყრუვდებით და დავმუნჯდებით ამოდენა ხალხი? - იტყოდნენ მერე შეშფოთებით. იმის წარმოდგენაც არ შეეძლოთ, რომ ერთ დღეს მაიკას ტოროლასავით წკრიალა ხმა აღარ შეიჭრებოდა მათ სახლებში; მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, რომ, როცა იქნებოდა, ამ მთა-ველის ლაღ სულს ვიღაცა მაინც ჩაიგდებდა ხელში, შებოჭავდა და შეეცდებოდა მისი სიხალისის ჩაკვლას, ჩახშობას, სახლში ჩაამწყვდევდა ამ მანათობელ მზეს, რომ მისი სხივები და სითბო სხვას აღარ მოჰფენოდა. აბა, მაიკა ამას გაუძლებდა? ის ხომ გალიაში გამოკეტილი ჩიტივით დარდით მოკვდებოდა, მოწყვეტილი ყვავილივით დაჭკნებოდა. წყალდასხმული კოცონივით ჩაქრებოდა, ახრჩოლდებოდა და აბოლდებოდა.

არა, არა, ამის დაშვება არ შეიძლება! მაიკა, ცხადია, უნდა გათხოვდეს, ბევრი შვილიც გააჩინოს, მაგრამ ისეთ ვინმეს უნდა გაჰყვეს, ვინც მის ბუნებას, მის ღირსებებს გაიგებს და დააფასებს, კი არ მოკლავს, უფრო გააბედნიერებს. მაგრამ სად არის ეგეთი ვინმე? დადის კი მაიკას შესაფერი ბიჭი ამ ხეობაში? დადის, თუ კარგად მიიხედ-მოიხედავთ, შეამჩნევთ იმ ბიჭს და, თუ კარგად გაიცნობთ, დარწმუნდებით, რომ მაიკას ღირსი სწორედ ის არის. მას სახელად სანდრო ჰქვია და წარმოშობით ლარგვისელია, იმ სოფლელი, რომლის მონასტერშიც ნენეა აღკვეცილი მონაზვნად. მაიკასა და სანდროს ერთმანეთი ჯერ არ უნახავთ. ბედისწერა არ ჩქარობს მათ შეყრას, ალის გოგოს წამოზრდას, ბიჭს კი დავაჟკაცებას.

ერთ მშვენიერ დღეს მაიკამ ნენეს მოსანახულებლად წასვლა გადაწყვიტა.

- დღეს ნენე რო არა ვნახო, გავგიჟდები! - გამოუცხადა ელოს.

- ნუ გეშინია, გულითაც რომ მოინდომო, რაცა ხარ, მაგაზე მეტად ვეღარ გაგიჟდები.

- მაშინ მოვკვდები!

- ჰოო, კარგი, ოღონდ ნუ მოკვდები და წადი! ჩემგანაც მოკითხვა გადაეცი... დაიცა, გაგატან რამეს!

- ოოჰ, ეხლა კალათი მათრევინე ამ სიცხეში! იმას ჩვენზე მეტი საჭმელიცა აქვს და სასმელიც!

- მოიცა, შე გადარეულო! ამდენი ხანია, არ გინახავს და ხელცარიელი როგორ უნდა მიხვიდე, უპატრონო ხომ არ არის?

- დარდი ნუ გაქვს, ვეტყვი, რომ შენ მატანდი და მე არ წავუღე.. აბა, გავიქეცი, ქვევით, წყაროსთან მელოდებიან! - მიაძახა მაიკამ და ისე მოკურცხლა, თვალის დახამხამებაში აღარ ჩანდა.

- ოჰ, შე თავქარიანო, შენა! - კალათაგაწვდილმა ელომ ხელები მძიმედ დაუშვა და მარანში შებრუნდა.

ათამდე გოგო-ბიჭი მაიკას ლოდინში წყაროსთან წუწაობით ერთობოდა. ბუერის დიდი ფოთლები ჯამებივით დაეხვიათ და ყინულივით ცივ წყალს ერთმანეთს ასხამდნენ. იმ გაგანია სიცხეში სახეში და სხეულზე ცივი ზათქი გულისწასვლამდე სასიამოვნო იყო, რაც ისტერიულ კივილსა და სიცილს იწვევდა. როცა თავფეხიანად დასველდნენ, მაშინღა შეწყვიტეს წუწაობა. ზოგი შეციებული ძაგძაგებდა და კბილს კბილზე აცემინებდა.

- აბა, ესე გალუმპულები სადღა უნდა წავიდეთ?

- არა უშავს, გზაში გავშრებით! - დაიძახა მაიკამ და სიმღერით დაეშვა დაღმართზე.

ზოგი გაჰყვა, ზოგიც უკან აბრუნდა სოფელში. ლარგვისში რომ ჩავიდნენ, უკვე მშრალები იყვნენ.

- თქვენ აქ დამელოდეთ, მე ნენეს ვნახავ და მალე მოვალ! - უბრძანა მეგობრებს და მონასტრისკენ გაეშურა, რომელიც ქსანს გადაღმა მთის ფერდობზე, მწვანე ტყის ფონზე თეთრი მტრედივით ქათქათებდა. როგორც კი ხიდზე ფეხი შედგა, მეორე ბოლოდან ვიღაც ბიჭი ამოვიდა. მოდის ლაღი, აშოლტილი, მხარზე სამგზავრო ჩანთა ჰკიდია, ხელში კი წკეპლა უჭირავს და ხიდის მოაჯირს რიტმულად ურტყამს. ეტყობა, გულში ღიღინებს და ნაბიჯსა და წკეპლის კაკუნს სიმღერას უწყობს. სახეზე ღიმილი დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამაშებს, თვალები უბრწყინავს და კბილები უელავს. როცა მაიკას მიუახლოვდა, შედგა და გაოცებულმა ცქერა დაუწყო, თითქოს ეუბნებოდა, ვინა ხარ, ასეთი მზეთუნახავი აქ საიდან გაჩნდიო.

მაიკამ ცალი წარბი ამაყად ასწია და გვერდზე ჩავლა მოინდომა. ბიჭმა ისკუპა და სიცილით წინ გადაუდგა. გოგომ მრისხანედ შეხედა და მარჯვნივ გადმოხტა, ახლა მარჯვნიდან გადაეღობა, მაიკამ ისევ მარცხნივ გადადგა ნაბიჯი, ისიც თან მიჰყვა.

- გზა მომეც, თორემ!

- თორე რაა?

- გირჩევნია, არ იცოდე, რააც!..

- ძალიან მინდა, ვიცოდე. მაინც რას მიზამ? - ეკითხება ბიჭი სიცილით.

მაიკა ელვის სისწრაფით ხელზე სწვდა, წკეპლა გამოსტაცა და გამეტებით შემოსცხო ფეხებზე, ფერდებზე, მკლავებზე. ბიჭმა ყვირილი, სიცილი და ხტუნაობა ერთად დაიწყო.

- ახლა გაიგე? აბა, ერთი კიდევ რამე გამიბედე! - შეუყვირა მოჩვენებითი რისხვით, წკეპლა ქსანში გადააგდო და მშვიდად განაგრძო გზა. ხიდის ბოლოში რომ გავიდა, შემობრუნდა და ბიჭს მოხედა. ის ლოინჯშემოყრილი იდგა და უცინოდა. მაიკამაც მხიარულად გადაიკისკისა და სირბილით გაეშურა მონასტრისკენ. როცა მოსახვევს მოეფარა, მერეღა შედგა. „ნეტა ვინ იყო? აქაური არ უნდა ჩანდეს", - გაიფიქრა ინტერესით და მონასტრის აღმართი სულმოუთქმელად აირბინა. მაიკა ქარივით შევარდა მონასტრის ჭიშკარში, ნენე მონახა, გადაკოცნა, გულში ჩაიკრა და მიაყარა:

- როგორა ხარ, კარგათა ხარ? ჩვენებიც კარგად არიან, კარგად იყავი! - გაბრუნდა და უკან გაიქცა.

- დაიცა, სად გარბიხარ, ორი სიტყვა მაინც მითხარი, სად მიგეჩქარება! - დაედევნა ნენე.

- მერე ჩამოვალ, დიდი ხნით ჩამოვალ და ყველაფერს გეტყვი! - მაიკამ დას ხელით კოცნა გაუგზავნა და გაქრა.

გულაძგერებული ჩამოქანდა ხიდთან, გამალებული აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით, იმ ბიჭს ეძებდა, მაგრამ ბიჭი აღარსად ჩანდა. როცა დარწმუნდა, რომ ბიჭი იქ აღარ იყო, დამმარებული წავიდა ამხანაგებისკენ.

- რა იყო, რა თავ-პირი ჩამოგტირის? - გაუკვირდათ.

- რა ვიცი.

- ნენე როგორ არის, რამე ხომ არა სჭირს? - ჰკითხა თიკამ, მისმა ყველაზე საყვარელმა მეგობარმა.

- არა, კარგად არის.

ისე აბრუნდნენ ბალაანში, მაიკას ხმა არ ამოუღია, სულ ის ბიჭი ედგა თვალწინ. აკი ხუთ წუთზე მეტს არავისზე ვიფიქრებო? არც ეგრე ყოფილა საქმე. ხუთი წუთი კი არა, მთელი ღამე იმაზე ფიქრში გაატარა, რული არ მიჰკარებია თვალზე, დღეც ნამთვრალევივით უხალისო და მოწყენილი დადიოდა.

საქმეში გართული ელო ხანდახან შეჩერდებოდა და დაკვირვებით გადახედავდა დას. „ნეტა რა ეტაკა?! დავიცდი, დიდხანს მაინც ვერ გაძლებს და თვითონვე მომიყვება ყველაფერს", - გაიფიქრა და რეცხვა განაგრძო. მაიკა დის გვერდით, დაბალ, სამფეხა სკამზე ჩამოჯდა. აშკარად ეტყობოდა, მისგან ელოდა საუბრის დაწყებას. ელო მიუხვდა და წააქეზა:- მიდი, მომიყევი, კარგად ვიცი, რაცა გჭირს!

- რა უნდა მჭირდეს?!

- სიყვარული, იმან იცის ეგრე დადარდიანება... შენ თუ ოდესმე ვინმე შეგიყვარდებოდა, მაგას კი ვერ ვიფიქრებდი...

- სიყვარული არა! მეტი საქმე არა მაქვს, ვილაცის გულისთვის ვიდარდო.

- მაშ, რა მოგივიდა?

- არაფერიც არ მომივიდა! რა გამიწყალეთ ყველამ გული?

- აჰა, ესე იგი, მარტო მე არ მომჩვენებია... შენს თავს რაღაც ამბავი ტრიალებს და არ მეუბნები! - ელოს სახეზე ღიმილი გაუქრა და თვალებში შეშფოთება გამოეხატა.

- ერთი ბიჭი შემხვდა ხიდზე...

- მერე?

- არ ვიცი, ვინ იყო, პირველათა ვნახე... ნენესგან რომ ჩამოვბრუნდი, იქ აღარ დამხვდა.

- სულ ეგ არი?

- ჰო.

- ნენეს უთხარი?

- არა.

ელო ჩაფიქრდა.

- როგორი იყო და რამდენი წლისა იქნებოდა?

- რა ვიცი. მაღალი იყო, ლამაზი... იქაურს არა ჰგავდა, ქალაქელი ჩანდა.

- ნეტა, ვისი იქნებოდა? შემდეგ ჩასვლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ნენეს ჰკითხე.

- იმას საიდანღა ეცოდინება?

- ეგება კიდევ სადმე გადაეყარო..

- როდის წავიდე?

- როცა გინდა?

- ხვალა?

- ხვალ იყოს.

- შენი ჭირიმე! - გახარებული მაიკა წამოფრინდა და დას საკოცნელად ეცა.

- კარგი, ნუ დამახრჩე, რეტიანო!... ამაღამ ფურცლიანი ქადა გამოვაცხოთ და ხვალ ნენეს ჩაუტანე.

მაიკა ისე გახალისდა, ლამის დაფრინავდა, დას ხელიდან საქმეს სტაცებდა და განუწყვეტლივ მღეროდა. დადგა მეორე დღეც. გულაჩქროლებული მაიკა ისე მიუახლოვდა იმ ხიდს, თითქოს პაემანზე მიდიოდა. ბიჭი არსადა ჩანდა. აღელვებულმა გოგომ წინ და უკან დაიწყო სიარული, ხან ქვაზე ჩამოჯდებოდა, ხან ადგებოდა, მალიმალ თმას ისწორებდა, მერე წყალზე ჩავიდა და დამტვერილი ჩუსტები სველი ხელით გაიწმინდა. ბოლოს, როცა იმ ბიჭის ნახვის ყოველგვარი იმედი გადაუწყდა, ადგა და მონასტრისკენ გასწია. ისეთი ჩამქრალი მიდიოდა, ცოცხალს არა ჰგავდა. რამდენჯერმე ზედიზედ კიდევ ჩავიდა ლარგვისში, მაგრამ, ცამ უყო პირი თუ მიწამ, იმ ბიჭისა ვეღარაფერი გაიგო.

- ერთი იმისიც!.. - თქვა ბოლოს ბრაზით და ისეთი შვება იგრძნო, თითქოს გულიდან დიდი ლოდი მოსწყდაო, - რა ცუდი რამე ყოფილა სიყვარული! ჩემ სიცოცხლეში აღარავის შევიყვარებ, მეტი საქმე არა მაქვს!

როცა სახლში ავიდა, ელოს პატარა დათა კალთაში ეჯდა და ოქროსფერ კულულებს გრძელი თითებით ნაზად უვარცხნიდა. მან ცნობისმოყვარეობით შეხედა დას და თვალებით უხმოდ ჰკითხა:

- რა ჰქენი, ნახე?

- არა და აღარც მაინტერესებს იმის ნახვა! - მიუგო მხიარულად, ფანდურს ხელი დაავლო და დამღერული ხმით დას მიუმღერა:

*ჭლექიანი დღე იყოო,*
*ხეს ფოთლები სცვიო-დააა,*
*ჩემი შეყვარებულიიი*
*სხვა ქალთან მიდიოო-დააა...*

ჩაიქვითინა მაიკამ არტისტულად, დათასა და ელოს მხურვალედ აკოცა, ფანდური ტახტზე მოისროლა და გავარდა. ელო წამოდგა, შვილი ხელში აიყვანა და სიყვარულით სავსე თვალები გააყოლა დას, რომელიც თიკას სახლისკენ მიჰქროდა.

- გაგახარა ღმერთმა! კიდევ კარგი, რო ეგეთი ქარაფშუტა ხარ! - თქვა კმაყოფილმა, მეორე ხელი კოკას დაავლო და ბავშვიანად წყაროსკენ გასწია.

მართალია, ლარგვისში წარამარა მოსეირნე მთის ფერიამ თავისი გულის რჩეული ველარ ნახა, მაგრამ, სამაგიეროდ, სულ სხვა ვინმეს გადააწყდა, რომელსაც სამუდამოდ მოსტაცა სიმშვიდე და მოსვენება და მისი უძილო ღამეებისა და ოხვრა-კვნესის მიზეზად იქცა. არ გასულა დიდი ხანი და, გაბოს სახლს დიდი ძღვენითა და მოსაკითხით ლარგვისელები მიადგნენ და თავიანთი ბესოსთვის მაიკას ხელი სთხოვეს. ყველას გასაკვირად, მაიკას დიდი თავპატიჟი არ გამოუდვია და გათხოვებაზე მალე დათანხმდა.

არ დაგიმალავთ და გულახდილად გეტყვით, მაიკა იმ პირველი ბიჭის ინტერესით უფრო გათხოვდა ლარგვისში. ამას, რა თქმა უნდა, არავის უმხელდა, მაგრამ გულში მაინც იმის ნახვას ნატრობდა. ბესო დედისერთა იყო, მშობლები დაჰხოცოდა და იმხელა სახლ-კარში მარტო დარჩენილიყო. ახლა მაიკა გახდა მისი ოჯახის დიასახლისი, რაც პატარძალს დიდად არ ეხატებოდა გულზე. ვერც ქმარი შეიყვარა და ვერც იმის სახლს შეეგუა. მართალია, იძულებით, ნელ-ნელა შეება ოჯახურ უღელში, მაგრამ ყველაფერს უგულოდ აკეთებდა. თავისი ტოლ-ამხანაგები ენატრებოდა და თვალი სულ გაქცევაზე ეჭირა. როგორც კი პატარა საბაბი მიეცემოდა, მაშინვე ბალაანში გარბოდა და იქიდან წამოსვლა აღარ უნდოდა.

ერთხელ ბესო სხვა ლარგვისელ კაცებთან ერთად რამდენიმე დღით ტყეში წავიდა შეშის საჭრელად. კარგი ბიჭი იყო, საწყალი, ჩუმი და ჭკვიანი, მაგრამ დიდი სიმარჯვით არ გამოირჩეოდა. როცა მეზობლებმა დიდი წიფელი წამოაქციეს, ბესომ გამორიდება ვერ მოასწრო, იმოდენა ხე ზედ დაეცა და იქვე გააფრთხობინა სული. სოფელში რომ ჩამოიყვანეს, იმ უბედურს მუცელი რუმბივითა ჰქონდა გაბერილი. ისეთი საშინელი სანახავი იყო, რომ სადაც ის ესვენა, მაიკა იქ ვერ შედიოდა. შიშით ვერ ეკარებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- რა დაგიშავე, უფალო, რომ სამივე შვილი ასე გამიუბედურე? - თავში ხელებს იცემდა სასოწარკვეთილი გაბო, - თუ რამ ცოდო მიმიძღვის შენს წინაშე, მე მომკითხე, ამ ანგელოზებს რათ აზღვევინებ?

- სუ, კაცო, სუ! უარესად ნუ გაარისხებ ღმერთსა! ყველაფერი მისი ნებითა ხდება, ალბათ, ეგრე იყო საჭირო, - ანუგეშა მეზობელმა.

- ჩემი გოგოების გაუბედურება იყო საჭირო? - შესტირა გაბომ.

- უბედურები ისინი არიან, ვინც დაიხოცნენ! ღმერთს მადლობა შესწირე, რომ შვილები საღ-სალამათები გყვანან.

- მართალი ხარ! მადლობა, უფალო, შენს სამართალსა! - გულმოცემულმა გაბომ შვილებს გადახედა, რომლებიც ერთმანეთის გვერდით შავი ანგელოზებივით ისხდნენ და გათლილი გიშრის მკრთალ სხივს გამოსცემდნენ. ელო და ნენე განუწყვეტლივ ტიროდნენ, ალბათ, თავიანთ უიღბლო სიყვარულს თუ გლოვობდნენ. მაიკას კი ერთი ცრემლიც არ მოსწყვეტია თვალიდან. ძალიან ეცოდებოდა ბესო, გულით უნდოდა, ეტირა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ადგა და იმაზე ფიქრი დაიწყო, როგორ მიატოვებდა აქაურობას და დაბრუნდებოდა ბალაანში, უკანმოუხედავად მოშორდებოდა ამ სახლ-კარსაც და ბაღ-ვენახსაც, სადაც ერთი ბედნიერი დღეც კი არ ახსოვს მოსაგონებლად.

ბესოს დასაფლავების შემდეგ მაიკასთან დროებით ნენე გადმოსახლდა, დღე მონასტერში იყო, საღამოს კი დასთან ბრუნდებოდა, ასწავლიდა მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ ლოცვებს. მაიკას ეზარებოდა იმ მოსაწყენი წესების შესრულება და დას ებუზღუნებოდა:

- ნეტა რა საჭიროა ამდენი რამე, მკვდარმა რაღა უნდა გაიგოს? - იტყოდა გაბეზრებული.

- რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე! ცოტა ხანს მაინც იგლოვე, მე შარახვეტიავ, შენა!

ნენეს უკვე იმისი ეშინოდა, რომ მაიკას აქ ველარ დააკავებდა და წლისთავამდე ბალაანში გაექცეოდა. ამიტომ, ეკლესიაში რომ წავიდოდა, დას სახლის კარებს გარედან უკეტავდა ხოლმე და გასაღებსაც თან მიჰქონდა. ერთხელ დროზე ადრე დაბრუნდა, კარი რომ გააღო, ფეხების ბრახუნი და შეძახილები შემოესმა:

- ჰოპ, ჰოპ, ჰასა, ჰასა... ჰოპ, ჰასა...

როცა ოთახის კარი შეაღო, ადგილზე გახევდა და პირდაღებული მიაჩერდა მაიკას, რომელიც თვალდახუჭული ცეკვავდა მთიულურს. თითის წვერებზე დგებოდა, წრეს უვლიდა, ჩაბუქნავდა, ისევ წამოიჭრებოდა, ჰაერში შეფრინდებოდა და შემოტრიალდებოდა. ხელებს და თავს მკვეთრი მოძრაობით ცეკვას უწყობდა და სახეზე ენით აუწერელი ბედნიერება ეხატა. აი, კიდევ შეხტა, მარდად შემოტრიალდა და ნენეს წინ დაეშვა. თვალი რომ გაახილა და ნენე დაინახა, შეცბა, გაჩუმდა და დამნაშავესავით გაუღიმა.

გაოგნებულმა ნენემ არ იცოდა, რა ექნა და რა ეთქვა. მას უცბად ისე შეეცოდა მაიკა, რომ თავი უმძიმეს ცოდვილად იგრძნო. ახლაღა მიხვდა თავის სისასტიკეს, შერცხვა, რომ ეს სიცოცხლისა და სიყვარულის ტრფიალი ასე გულცივად ჩაკეტა მისთვის საძულველ სახლში.

- მაპატიე, ჩემო საყვარელო, ასე მკაცრად რომ მოგექეცი! - ალერსით მოეხვია დას, - ყოველთვის ისეთი დარჩი, როგორიც ახლა ხარ! მუდამ გიყვარდეს და არასოდეს მოგბეზრებოდეს სიცოცხლე. შენც გაიხარე და სხვაც გაახარე, ღმერთმა კეთილად შეგაგროს მის მიერ მოცემული ყველა მადლი... დაბრუნდი ბალაანში და ისე იცხოვრე, როგორც შენ გაგეხარდება!

- მართლა? მართლა ამბობ? - ყურებს არ უჯერებდა მაიკა.

- ჰო, მართლა ვამბობ! მე კი ამაღამ შენთვის ვილოცებ და ღმერთს შევევედრები, მომიტევოს ის სისასტიკე, რაც შენს მიმართ გამოვიჩინე.

მაიკა მაშინვე შეუდგა წასასვლელად მზადებას, ერთ პატარა ჩანთაში ჩააწყო ყველაზე საჭირო ნივთები, გამოეთხოვა დას და ლამის სირბილით გაეშურა ბალაანისკენ.

შედგა ფეხი ხიდზე და ის ბიჭიც ამოვიდა მეორე მხრიდან.

- ვაიმე! - დაიკვნესა მაიკამ და ნაბიჯი ველარ გადადგა. იცნო, ის იყო, აშოლტილი და ლამაზი, თვალები ვარსკვლავებივით უციმციმებდა, კბილები თეთრად უელავდა. მაიკას დანახვაზე ისიც შედგა. მერე დაიძრა. მისკენ წავიდა. მხარზე ულამაზ სამგზავრო ჩანთა ეკიდა. ღიმილით გაუჩერდა წინ და ჰკითხა

ეროვნული ბიბლიოთეკა



- ახლა რაღას შემომცხებ, წკეპლა რომ აღარა გაქვს?

მაიკამ გაიღიმა, მორცხვად შეხედა, მაგრამ მღელვარებისგან თვალთ დაუბნელდა და ბიჭის სახე ვეღარ დაინახა. უცებ იმას ხმა დაუსერიოზულდა:

- რათ გაცვია შავები?

მაიკამ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ყველა სიტყვა ერთბაშად დაავიწყდა, დაიბნა, აილეწა, აირია, ბოლოს ადგილს მოსწყდა და გაიქცა. ერთ წამში გადაირბინა ხიდი და ჭალა, ბალაანის აღმართსაც სირბილით შეუდგა, თან მდუღარე ცრემლები სდის, სიხარულისა თუ მწუხარების? „სად იყო აქამდე, რაღა ეხლა გამოჩნდა? სად ჯანდაბაში ეგდო?“ - ეკითხებოდა მაიკა თავს, უსაზღვროდ ბედნიერი. დიდმუხასთან რომ ავიდა, შეჩერდა, მის ფესვზე ჩამოჯდა და უცებ საშინელმა სასოწარკვეთამ მოიცვა: „სად მივდივარ, რატომ მივრბივარ? ძლივს მის ნახვას ვეღირსე და ახლა გავურბივარ? - რას ვშერები, რას?“ - გაოგნებული მაიკა შეეცადა თავის ფიქრებსა და გრძნობებში გარკვევას. „უკან ხომ არ მივბრუნდე? მაგრამ ნენეს რაღა ვუთხრა? ამდენი ამბის მერე როგორღა დავბრუნდე, რით ვიმართლო თავი? არა, ნენე ამას ვერც გამიგებს და არც მაპატიებს არასოდეს.

მაგრამ ბალაანში რომ წავიდე, იმ ბიჭს როგორღა ვნახავ, ხომ გული გამისკდება დარდით? არა, არა, იქ ერთ წუთსაც ვერ გავძლებ, ჭკუიდან შევიშლები, მოვკვდები!“

მაიკას უცებ ფეხის ხმა შემოესმა, გაფაციცებულმა გაიხედა და მოსახვევიდან ჩქარი ნაბიჯით მომავალი ის ბიჭი დაინახა. ხომ ბედნიერებისთვის იყო მაიკა გაჩენილი და სულ ისე იქცეოდა და იმას აკეთებდა, რაც მას გაახარებდა, მაგრამ ასე ბედნიერად ჯერ არასოდეს ეგრძნო თავი. თვალები დახუჭა და მხურვალე მადლობა შესწირა ღმერთს. როცა გაახილა, ის ბიჭი ღიმილით უახლოვდებოდა.

- რატომ გამექეცი? - ჰკითხა.

მაიკამ მხოლოდ მხრების აჩეჩით უპასუხა - აბა, რა ვიცი. ბიჭი მუხის ფესვზე გვერდით მიუჯდა.

- ვინა ხარ?

- მაიკა, - ძლივს ამოღერღა.

- მაიკა? რა უცნაური სახელია?!

გოგომ მორცხვად გაიღიმა.

- სად მიდიხარ?

- ბალაანში.

- იქაური ხარ?

მაიკამ თავი დაუქნია.

- ლარგვისში რა გინდოდა?

მაიკამ არაფერი უთხრა. არ უნდოდა, ძალიან არ უნდოდა, ბიჭს მისი გათხოვებისა და დაქვრივების ამბავი გაეგო, ასე ეგონა, ძალიან ეწყინებოდა და ღალატად ჩაუთვლიდა ამ საქციელს. „რატომ გავთხოვდი, რატომ არ დავუცადე - გაიფიქრა გამწარებულმა. – ნეტა, თვითონ ვინ არის? თითქმის ერთი წელია ლარგვისში ვცხოვრობ, მაგრამ არასოდეს მინახავს. ალბათ, სტუმრად მიდის ვინმესთან, მაგრამ ვისთან?“

მაიკა წამოდგა, ჩემოდანს ხელი დაავლო და წასასვლელად მოემზადა. ბიჭიც მაშინვე წამოხტა:

- დაიცა, არ წახვიდე, ცოტა დამელაპარაკე. რატომ გამირბიხარ, ჩემი გეშინია?

- მეშინია, არა!.. - გაეღიმა გოგოს, ერთიანად გაწითლებულიყო.

- მაშინ გაგაცილებ! ამისთანა გოგო ამ გზაზე მარტო როგორ მიდიხარ! არ გეშინია, ვინმემ რომ მოგიტაცოს?

- ვერავინ გამიბედავს, აქ მე ყველა მიცნობს, - მიუგო ამაყად.

- მე რომ მოგიტაცო? მე ხომ არ გიცნობ?

- მომიტაცო, არა!

- ვითომ რატომაც არა! ვერ მოგერევი?

- ერთი მაშინ მომერიე და მეორეც ეხლა მომერევი!

- ეგეთი სუსტი გგონივარ?

- არც მე ვარ სუსტი... - მაიკას სახეზე ანცი ღიმილი გაუკრთა.

- აბა, მოდი, ვცადოთ, ძალიან მაინტერესებს, როგორ გამისხლტები ხელიდან, - გაუთამამდა ბიჭი.

მაიკას სახე მოეღრუბლა, კოპები შეეკრა და თვალებში რისხვა ჩაუდგა.

- ოჰ, მაპატიე... მართლა კი არ გითხარი, გეხუმრე, - მოუბოდიშა ბიჭმა მაშინვე.

- მე ზესოს ქვრივი ვარ... - მძიმედ დაიწყო მაიკამ, - ახლა მამაჩემის სახლში ვბრუნდები. ძალიან გთხოვ, უკან გაბრუნდი. ნაცნობი ვინმე რომ შემხვდეს, სახელი გამიტყდება! - ისე მტკიცედ და მკაცრად უთხრა, ბიჭმა ხმა ვეღარ ამოიღო.

- მე სანდრო ვარ, ნიაური. თბილისიდან ჩამოვედი ბებიაჩემის სანახავად. - მიაძახა მიმავალს.

მაიკამ ღიმილით მოხედა.

- კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, - უპასუხა და გზა განაგრძო. მიდის და ფეხები უკან რჩება. ისეთი ძალა ექაჩება უკან, რომ ნაბიჯის გადადგმის ღონე აღარა აქვს. უჭირს წინ წასვლა, ძალიან უჭირს, მაგრამ მაინც ისეთი ბედნიერია, მთელი ქვეყანა თავისი ჰგონია. „თბილისელი ყოფილა, ეგრეც ვიცოდი! იმიტომაც არა ჩანდა. ეჰ, ბევრიც რომ დამეცადა, თბილისელი ბიჭი მე რად შემომხედავდა? თუმცა, ხომ შემომხედა, გამომეკიდა და დამელაპარაკა კიდეც. გიყვარდეს, მაშინ კარგად ვახტუნავე წკეპლით!" - გაახსენდა მაიკას ის პირველი შეხვედრა და ბედნიერი ღიმილით გაუნათდა სახე. აღარც ქმარი ახსოვდა, არც თავისი ქვრივობა, თავი ისევ თხუთმეტი წლის გოგო ეგონა. „ნეტა რად ვეუბნებოდი წადი-მეთქი? - ისევ დაღონდა მაიკა. - წამომყოლოდა, რა იქნებოდა? ვინ ოხერის და ტიალის გულისთვის უნდა დავკარგო ჩემი ბედნიერება? ვისაც უნდა, იმას დავენახე, რაში მენაღვლებოდა, ცუდს ხომ არაფერს ჩავდიოდი? ამხელა გზაზე რისთვის უნდა ვიჩანჩალო მარტომ? რა სულელური სიტყვები წამომცდება ხოლმე ხანდახან? - გაბრაზდა თავის თავზე,– ახლა როდისღა ვნახავ? იქნებ ხვალვე წავიდეს თბილისში და მერე რაღა მეშველება?"

იმის გაფიქრებაზე, რომ სანდროს ვეღარასოდეს ნახავდა, მაიკას გულის ცემა შეუჩერდა, ჩემოდანი ხელიდან გაუვარდა, თავზე ხელები წაივლო და უსასოოდ მობრუნდა. მერე მზერა დაძაბა და გაოცებული, გახარებული, აღფრთოვანებული და უბედნიერესი მიაჩერდა სანდროს, რომელიც ასიოდე მეტრში უხმაუროდ მოჰყვებოდა.

მაიკას ჯერ გაეღიმა, მერე გაეცინა, მერე აკისკისდა თავისი ძველებური წკრიალა ხმით. გახარებული სანდრო ერთ წამში მასთან გაჩნდა და სიცილში აჰყვა. რა აცინებდათ, რა იყო იქ სასაცილო? - მკითხავ. ბედნიერება, სიხარული და სიყვარული აცინებდათ, რომელიც ისეთი ძალით გიზგიზებდა მათ გულებში, რომ ვერავინ და ვერაფერი ჩააქრობდა მას.

რაღა ბევრი გავაგრძელო, იმ დღის მერე, ორი კვირის განმავლობაში სანდრო ყოველდღე ადიოდა ბალაანში მაიკას მოსანახულებლად, მზე ამოვიდოდა და იქ იყო, ჩავიდოდა და, ლარგვისის გზას დაუყვებოდა. ყველაზე აუტანელი კი ის ღამე იყო, რომელიც მას მაიკას აშორებდა. ისე გაირბინა ორმა კვირამ, როგორც ორმა საათმა. დადგა სანდროს თბილისში დაბრუნების დროც. ელოს, სანდროს და მაიკას ყველაფერი მოფიქრებული, მოლაპარაკებული და შეთანხმებული ჰქონდათ: მაიკა ჩუმად გაჰყვებოდა სანდროს, მერე კი, როცა მითქმამოთქმა მიწყნარდებოდა და ბესოს გლოვის დროც გაივლიდა, ისე აღნიშნავდნენ თავიანთ შეუღლებას, როგორც წესი და რიგი იყო.

ასე გაჰყვა ჩვენი მაიკა თავის მზეჭაბუკს თბილისში. როგორც ამბობენ, თურმე იმათზე ბედნიერი და ლამაზი წყვილი იქ არავინ დადიოდა. სამი შვილიც შესძენიათ. როცა წელიწადში ერთხელ ბალაანში ამოვიდოდნენ, იმათ სანახავად მთელი ხეობა იქ იყრიდა თავს.

გაიარა ხანმა. გაბოს გოგოები, კარგა ხანია, დიდ სოფელში გადასახლდნენ, მაგრამ ლეგენდად დარჩენილ მათი სილამაზის ამბავს ხალხი მაინც წარამარა იხსენებდახოლმე.

— დახე, ქალო, რა ლამაზი გოგო ჰყავს შაქრიასა, მოწყვეტილ ვარსკვლავს არა ჰგავს?.. - ხელი წაჰკრა პელომ მართას, როცა მაღალ ქუსლებზე შესკუპებულმა და ბოლო მოდაზე გამოპრანჭულმა ნათიამ კეკლუცად ჩაუარა მათ.

- გაბოს გოგოებთან მაინც ვერ მოვა! - დაიწუნა კოლამ.

- რა გული გააწყალეთ იმ გოგოებითა, აღარ უნდა დაგვავიწყდეთ?

- რა დამავიწყებს, იმისთანა გოგოები ას წელიწადში ერთხელ იბადებიან! - ცალი წარბისა და საჩვენებელი თითის აწევით დაუსვა ბეჭედი კოლამ, თუმცა გაბოს გოგოები იმას თავის დღეში არ ენახა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ნოდარ ბაქრაძე

## შტრიხები პორტრეტებისთვის

### მეფე პოეტს თეიმურაზ პირველს

*ორი მრგვებია გვირგვინი – ოქროისა და ეკლისა*
*და, ღმერთმა უწყის, ბოლომდე რომლის ტარება მეღირსა.*
*მერე დრომ აღარ დაგვინდო, სუყველა გაგვანადგურა,*
*მეფე ვიყავი და ვწერდი ამა სოფლისა სანდურავს:*
*რა არის კაცის ცხოვრება, უნდა ილანძღოს, ივინოს,*
*ვერც ოქროს ტახტმა მიშველე, ვეღარც შენ, ეკლის გვირგვინო...*

### ნიკოლოზ ბარათაშვილს

*მთაწმინდიდან მთვარე ჩანს, როგორც სატრფოს საყურე,*
*ვდგავარ, ხელისგულივით თბილისს თავზე დავყურებ,*
*შორით ცის დასასრულთან, სერებიდან სერამდის,*
*მორბის ფაფარაყრილი ერთი თეთრი მერანი.*
*მაღლით ვერცხლისწყალივით ნისლი ლურჯ ცას მოედო,*
*შენთან ფიქრთგასართველად ამოველი, პოეტო...*

### ილია ჭავჭავაძეს

*უსამართლობას ამქვეყნად ებრძოდა ჩემი კალამი,*
*თუ არა კალმით, ღმერთმანი, გზას როგორ გავიკვალავდი.*
*რა ხერხი არ მიხმარია, რამდენი რამე არ ვცადე,*
*მხოლოდ შენ, ჩემო კალამო, ვერაფერში ვერ გამცვალე.*
*ჩამომაცილე სახელი ბოროტი კაცის, მევახშის,*
*შენ გამო ტყვიაც მესროლეს, მაინც ვარ უკვდავებაში...*

### პაოლო იაშვილს

*გული მტკიოდა, გული, მართლა, მაგ მონაჩმახით,*
*ვემალებოდი კაცი მოყვასს, კარის მეზობელს,*
*ჩუმად შევმართე ფეხზე, ჩუმად, თოფის ჩახმახი*
*და საკუთარ თავს – ჩემ მწარე ბედს თოფი ვესროლე.*
*რა შეიცვალა? თქვენ თუ ნახეთ რამე ახალი,*
*იქნებ თქვენ გესმით... როგორ მინდა, მეც რომ მესმოდეს...*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტერენტი გრანელს

ღმერთო, ცაში ამაფრინე, ციდან გადმომახედე,
მინდა, ლექსით ვესაუბრო ამ ხევებს და ამ ქედებს,
თორემ წლები ისე სწრაფად, წელში ისე მოგვხრიან,
ღმერთო, ღმერთო, მე სიცოცხლე შენთვის არ მითხოვია.
მოიხურა მთვარემ ნისლი, ვით თავშალი ზოზიამ,
ხმელეთზე თუ დემონია, ცაში ანგელოზია...

## ლადო ასათიანს

ჰეი, თქვენ, ყაყაჩოებო! დამშვენებულნო სიწითლით,
ლექსის სტრიქონებს ყოველთვის ნობათივით რომ მიწვდიდით.
ჰეი, შენ, ხომლო ქოჩორავ, სიამაყევ და სამოთხევ,
ვინ ჩავიაროს უბრადა, გულით ლექსი არ ამოხდეს.
ჰეი, თქვენ, ყაყაჩოებო! დამშვენებულნო სიწითლით,
სულ ხელისგულზე გატარებთ, რომ გადავფურცლოთ წიგნივით...

## იოსებ ნონეშვილს

ირმების გადასახედი, რა ლამაზია კახეთი,
შენც, ალბათ, ნისლო, გომბორზე გადასახედად ახვედი.
ოქროსფერია ეს დღეც და ოქროსფერია ყურძენიც,
ამდენ ხნის უნახაობას, მიკვირს, შენ როგორ უძლებდი,
რა ქართველი ხარ, მითხარი, ამ ედემს რომ არ გახედო,
ირმების გადასახედო, კახეთო, ჩემო კახეთო!..

## ჭაბუა ამირეჯიბს

რა არის კაცის ცხოვრება, ზოგს სჯერა და ზოგს არ სჯერა,
რომ მასზე უფრო დიდი ხარ და მეტად ვიწრის მარჯვენა,
რა არის წუთისოფელი, ღმერთიმანი, რომ ვერ გაიგებ,
ჯერ ნემსის ყუნწში გაგაძვრენს და მერე მახეს დაგიგებს.
ღმერთო, თავის წილ სამკელი სუყველას მოამკევინე,
შვილის გასროლილ ტყვიას კი მამას ნუ მოაკლევინებ...

## ჯანსუღ ჩარკვიანს

რა არის ქვეყნად სიცოცხლის ან კაცის მიზანი,
იბრძვის და ბოლოს ისევ ნატრობს თვით სიკვდილს ლამაზს,
სიცოცხლე მხოლოდ ლექსებია პოეტისათვის,
თუ ლექსისათვის ქვეყნად ღმერთმა გამოაგზავნა,
უნდა მოასწრო ყოველივე, წლები მიდიან,
ცხოვრება კაცის სულ პატარა მუხაიფია...

## რეზო ჭეიშვილს

ქარ-ქარ მივდევ საფიჩხიას და მუხიკას ისე ვისმენ,
შორს ცისფერი მთები დგანან, ნისლს უშვერენ მაღალ კისრებს.
დგას აქ სახლი – ძველ უბანში – საყვარულის და მზის ღარი,
ისევ მოდის ნოდარია, ჩემი სიყრმის მეგობარი.
მიბრუნდება სიჭაბუკე, კვლავ გავფრინდე, მინდა, ცისკენ,
მივუყვები საფიჩხიას და მუხიკას ქარში ვისმენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძმებს კალანდიებს

*სამი ძმა, სამი მწერალი – სამივეს ეკლის გვირგვინი*
*გვერგო და სოფლის შარაზე წაღმა-უკუღმა სირბილი,*
*სამი ძმაც – სატევარივით კალამი გვერგო სამთავეს, –*
*სირბილს ამ სოფლის შარაზე ვამთავრებთ და ვერც ვამთავრებთ.*
*სამთავეს ღვთიურ ენაზე რა ძალა გვალაპარაკებს,*
*ვერც კალმით, ვერც სატევარით მტერი ვერაფერს დაგვაკლებს...*

## ზურაბ ნარმანიას

*ზეცაში კიბე აღვმართე და ღმერთთან ისე ვსაუბრობ,*
*ოცნების პირამიდები, მინდა, ხალხს ცაში ავუგო.*
*ორი ნაბიჯით წინ მივალ, ერთით უკან მწევს საგანა,*
*ლექსებმა, ფრთავაშლილებმა, ქორივით დაუტატანა.*
*საძრახისია სიმდაბლე, შევცოდოთ – საძრახისია,*
*განჯება იმას მოგვავებს, ქვეყნად ვინ რისი ღირსი ვართ...*

## ირაკლი ბაზაძეს

*სტრიქონივით გაჭიმული აქ შრიალი მომწონს ხეთა,*
*რომ შევყურებ ჩემ აჯამეთს, ჩემ გელათს და მოწამეთას,*
*ღმერთისა და ლექსის რწმენით ვამარცხებდი ეშმას, დემონს,*
*ვწერდი ცოდვის ჩასარეცხად, სიწმინდისთვის „მერედეონს,“*
*ქვეყნად ყველას შეუცოდავს, ვინ ასცდება შურს და ღალატს,*
*როგორც ყველა, ამ ცხოვრებამ მეც გამცვითა, გადამღალა...*

## ბადათერ არაბულს

*ავიღე წიგნი, მოხატული პურის თავთავით,*
*წიგნი, რომელსაც ჩუმი სევდა ახლავს მკათათვის...*
*წუთისოფელი ისევ ორად, ორად გავყავი,*
*ბედნიერება, უბედობა ვერ უარვყავი...*
*ვინც ლექსს შთაბერა ქარის ხმა და სუნთქვა არაგვის,*
*ბედნიერება მას რგებია ქვეყნად მარადის...*

## ლევან მალაზონიას

*ცირკად გადიქცა ქვეყანა, ბევრი უტვინო კლოუნობს,*
*ამდენ ტყუილში, ნეტავი, ის შვებას როგორ პოულობს.*
*ხელს გვიქნევს ტაკიმასხარა, არ ვიცი, ვისი ბრალია,*
*თავზე დაგვექცა ზეცა და სასახლე, სახლი, ნალიაც,*
*დაიქცა დიდი „დერჟავის“ ძირგამოთხრილი ქვითკირი*
*და ბევრი უნიჭო ახლა იმ იმპერიას მისტირის...*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოლანდიური პოეზია

გასული წლის 12 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით ჰოლანდიის ქალაქ ლევარდენის რომქენის თეატრის გალერეაში მოეწყო შეხვედრა ეგიდით „ჰოლანდია-საქართველოს კულტურული ურთიერთობანი".

ღონისძიება გაიხსნა ქართველი მხატვრის შარაბ ხოჭოლავას პერსონალური გამოფენით; წარმოდგენილი იყო რელიგიურ თემაზე შესრულებული ნამუშევრები — ხატები, ფერწერა, გრაფიკა, აგრეთვე ეთნოგრაფ-დეკორატორის მაია ბაქრაძის ნაქსოვი ეთნოგრაფიული მოდელები და მხატვარ რამაზ თაბუკაშვილის საიუველირო ნამუშევრები.

ამავე დღეს გალერეის კაფეში გაიხსნა მხატვარ ვანო პეტრიაშვილის გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა. საღამოს კი აქვე კონცერტი გამართა ქართული ფოლკლორული მუსიკის ანსამბლმა „კირიონმა".



მარცხნიდან პირველი მხატვარი შარაბ ხოჭოლავა ჰოლანდიელ პოეტებთან

გამოფენას მასპინძლობდა ქართული სამზარეულო.

17 იანვარს ქ. ლევარდენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კათოლიკურ ტაძარში წირვის შემდეგ ანსამბლმა „კირიონმა" შეასრულა ქართული საგალობლები. აქვე გამოიფინა შ. ხოჭოლავას მიერ შესრულებული ხატები.

23 იანვარს ჩატარდა პოეზიის საღამო. ამ საღამოზე ახალი ლექსები წაიკითხეს მასპინძელმა პოეტებმა, რომელთა ლექსების ქართული თარგმანები მსმენელებს გააცნო ჰოლანდიაში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ ნინო ხოჭოლავა-ვან დერ მეიმ, ხოლო ქართული ლექსების ჰოლანდიური თარგმანები წაიკითხა მისმა ქმარმა — სტივენ ვან დერ მეიმ.

ქართული ლექსების კითხვისას ეკრანზე უჩვენებდნენ ქართულ ხატოვან ანბანს. ქართული ლექსების თარგმანები გამოქვეყნდა ახალგაზრდა პოეტთა კრებულში, რომელიც ლევარდენში გამოდის.

ჰოლანდია-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ამ ღონისძიებას თბილად გამოეხმაურა ჰოლანდიური პრესა, ტელევიზია და რადიო; გაჩნდა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის კარგი პერსპექტივა, რაც სამომავლოდ უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს.

„ცისკრის" მკითხველს ვთავაზობ ამ შეხვედრებში მონაწილე ჰოლანდიელი პოეტების ლექსების ჩემეულ თარგმანებს.

ბადათერ არაბული

## ჰან იაპი

### შხინკენშხანი

ყვითელი კასრი და ლურჯი ჭიქა
საწამლავით ბოლომდე სავსე

და ირგვლივ ცხვრები ყელზე წითელ-მწვანე ნიშნებით

შავი ფრინველი დაცურავს ცაში
კაცი მოსაწევს იმზადებს ჩუმად

მანქანის ძრავა ხრიგინებს ისევ
და მისი ბოლი ეხება კედელს
ცხვარი ნებივრობს გაშლილ მინდორზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



და სიცხისაგან შეწუხებულს
თავი ბალახში აქვს ჩამალული
შავი ფრინველი და იხვები
ქანაობენ ზღვის ლურჯ ტალღებზე
და თევზების მოძრაობას უთვალთვალებენ

წყალი ირეკლავს მზის მცხუნვარ დისკოს

და შხინკენშხანის ქედების თავზე
ჰაერი ახლა მოლურჯო და მოიისფროა

# იოზეფ დე ჰაანი

## დედა კვლავ მღერის

დედა კვლავ მღერის ძველ სიმღერას
მამა იხსენებს გარდასულ ბრძოლებს
და გენერალი ამყარებს წესრიგს

მანამ სანამ მათი შვილი
რიგს ელოდება
ის მოიკვლება პირბასრი დანით

შეეწირება ომის ღმერთებს
აიკუწება დაუნდობლად
და უკვალოდ დაიკარგება

ახლა კი სძინავს იარაღთან ერთად სანგარში.

# ტინი მულდერი

## თუკი

თუკი აყვავებულ იებს
გაზაფხულის თბილ დღეებში
მე ველარ ვნახავ,
უთხარი მას,
რომ მოწყვიტოს
ერთი ლურჯთვალა,
ლამაზი ია,
დადოს ჩემი
საფლავის ქვაზე

და ჩემი გული
მზის სითბოსავით შეიგრძნობს ამას.

## ასე უბრალოდ

რომ გდომებოდა,
მართლა გაგეგო
ანდა ერთხელ თვითონ შეგეგრძნო
თუ დარდისაგან
როგორ ნელა,
ნაცრისფრად დაიფერება
ჩემი თმა მალე,
მაშინ შენ ასე უბრალოდ და
ასე უჩუმრად
წუთისოფელს არ დატოვებდი,
ასე უბრალოდ
შენ ნამდვილად არ წახვიდოდი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სინაზე

ჩვენ ერთმანეთს გავუცვალეთ
ფარული მზერა —
თვალი — თვალში,
თვალი — თვალში;
ჩვენ გავბედეთ, შევხებოდით
ერთურთის თვალებს,
არ გვეშინოდა დასახიჩრების
და ერთმანეთს დავუზღვიეთ სევდით თვალები.

მაშ, გაწიე ფარდები ფართოდ,
შემოუშვი თამამად შუქი

და შეხედე, როგორ ვბრწყინავთ
გაცვლილ მზერაში.

# პიტერ ბურსმა

## ისმის ზარის ხმა

ბოლოს სუყველა იხურავს კარებს
და რჩება მარტო საკუთარ თავთან
იხდის ტანსაცმელს ყოველდღიურს
ჭუჭყითა და ტალახით მოსვრილს
შემდეგ კი იცვამს ნამეფო სამოსს
აღარ ბობოქრობს სიღარიბე
კაცობრიობაც აღარ ღელავს
სიკვდილის გამო
ხალხი უყურებს თავის მტრებს მტრულად
დგება წუხილი მღელვარება და ჩუმი შიში
სათნოების სიკვდილის შიში
კაცობრიობა უკვე მომძლავრდა
და მისი ჯარი
კვლავ მწყობრში დგება
ისმის ზარის ხმა
და მებრძოლებს გზას ულოცავენ

## მარტო ვარ

მარტო ვარ ისევ,
უცხო, როგორც ველური;
ქრი უფრო ზრდის ჩემ სიმარტოვეს.

ლარ ვმეტყველებ
და ეს არის ჩემი ცხოვრება.

ენა მაინც ვერ უძლებს დუმილს
და წარმოდგენა გრძელდება ასე:

მონაზონი ლოცულობს ჩუმად
და ქარბორია ტრიალებს ბაღში.

სადაც იგრძნობა ვარდთა სურნელი,
მათი სიწითლე,

ზღაპრული შუქი
ნათელი მზის ქვეშ ნაზად ხასხასებს.

და მონასტრის ფანჯრებიდან მოწვეთავს სხივი.

სად მონაზონთა
გუნდის ხმა ისმის.
საოცარია ვარდების ფერი
და მონაზონთა გუნდის ხმა ერთად.

# ალბერტინა სოეპვოერი

## ყვავთა მიწა

მისი თეთრი კისერი შენი ნატვრა იყო
მე მოვიტაცე მისი ლურჯი თვალები
მისი ოქროსფერი თმის ნაწილი
და ეს იქნება ჩვენი ბუდისთვის
საფენიც და თავსაბურავიც

საღამოს მწუხრისას, როცა ღრუბლები ცას გადაივლიან,
ვდგები ეკლესიის კარიბჭესთან,
ხელები მილურჯდება ყინვით და მაინც ვმღერი,
მოუსმინე, შემოდგომა მოდის წუხილით, ქარი უსტვენს ხეთა ტოტებში.

დაშლილ ღობიდან ბებერი ყვავი ცნობისმოყვარედ მათვალიერებს.
წვიმამ დამალა ხშირი სუნთქვა ჩამთბარ საბნებში.
მეც ვიმალები ჩემ საწვიმარში, შავი თვალი მათვალიერებს სადღაც ახლოდან
და მისრიალებს ჩემი ჩრდილი ბებერ კედლებზე.

ნაცნობ ქუჩებში მივდევ ნაბიჯებს,
ნაცნობი ხეები, ბავშვობის ხეები...
იძირება ჩემი სხეული რბილ მიწაში.
მოუსმინე, ველური შტორმი ჰაერში ბრდღვინავს

და თბილი ორთქლი ეგლისება ამ დანესტილ კარს,
თითით ვეხები კარის ნაპრალს და სითბო მავსებს.
თითქოს თავი შორდება სხეულს და შავი სისხლი იღვრება ირგვლივ.
უკან გდევს ისევ ბოროტი თვალი.
კვლავ მწუხარებით ჩამოჰკრა ზარმა.

მოგვიანებით ვიწრო ქუჩებში მე სამსხვერპლო აღმოვაჩინე
და ბავშვები, რომ მღეროდნენ ყვავთა სიმღერას.
მოუსმინე, კვლავ ხანგრძლივი წვიმები მოდის, ქარი ტირის
კვლავ ფანჯარაში...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. თ. ლოსევი
# ა. ა. ტახო-გოდი

## პლატონი, არისტოტელე

თავი I

### სათავეებთან

ფილოსოფოს პლატონის დაბადება (სიბრძნის გამო თვით ბერძნები მას „ღვთაებრივს“ უწოდებენ) ლეგენდებით არის შებურვილი. ადრეული ხანის თითქმის ყველა ბერძენი ფილოსოფოსის ბიოგრაფია მართლაცდა უჩვეულო გადმოცემებს უკავშირდება. ამ გასაოცარ თქმულებებს ბრძენის განსაკუთრებულობა და გამორჩეულობა, ანუ იდუმალ სამყაროსთან მისი კავშირი უნდა დაედასტურებინა.

ბერძნების გადმოცემით, ჰომეროსი ბრმაა, მაგრამ პოეტური აღმაფრენით არის დაჯილდოებული, რაც მას მხედველობის მაგივრობას უწევს. ტერესიას მსგავს მითიურ წინასწარმეტყველებს ღმერთები მხედველობის უნარსართმევენ, თუმცა სანაცვლოდ მათგანვე ენიჭებათ შინაგანი მზერით მომავლის განჭვრეტის უნარი. ძველი ფილოსოფოსი, იმავდროულად, წინასწარმეტყველი და პოეტიც უნდა ყოფილიყო და ხშირად იდუმალებით მოცული ლექსებით გადმოეცა თვისი აზრები ისევე, როგორც ქმნიდნენ ქსენოფონტე, პარმენიდე ან ემპედოკლე; რამეთუ მითოლოგია, პოეზია და ფილოსოფია მათთვის ერთი მთლიანობაა. სხვა ფილოსოფოსები, თუნდაც ჰერაკლიტე, აცნობიერებდნენ თავიანთ წინასწარმეტყველურ ხვედრს, „ბუნდოვანი“ პოეტური, სიმბოლური ენით წერდნენ და ისე უნდა გაგეგო, როგორც ორაკულის გამონათქვამებს იგებდნენ.

ამიტომაც ჰერაკლიტეს „ბუნდოვანს“ უწოდებდნენ. ასეთ ფილოსოფოსთა ბიოგრაფიები სავსეა უცნაურობებით. ლეგენდარული პითაგორა თავს ნაწილობრივ აპოლონის შთამომავლად აცხადებდა. საბერძნეთში მას სასწაულმოქმედად თვლიდნენ.

ემპედოკლე ამტკიცებდა თავის ღვთაებრიობას, ამიტომაც ცეცხლისმფრქვეველ ეტნას კრატერში გადაეშვა. თალესს შვიდ ბრძენს მიაკუთვნებდნენ. ჰერაკლიტე იონიაში გადმოსახლებული ათენის მეფის კოდრეს გვარისაა. მას მეწამულ სამოსზე სამეფო ძალაუფლების ნიშნები ჰქონდა გამოსახული. დემოკრიტე მოგვებთან განესწავლა, წინასწარმეტყველება შეეძლო, 109 წლისა გარდაიცვალა და თავისი სიკვდილი რამდენიმე დღით გადასწია, რათა ქალღმერთ დემეტრას დღესასწაულზე არ მომკვდარიყო.

ამიტომ, ანტიკური ტრადიციისამებრ, პლატონის დაბადების დღედ ერთსულოვნად 7 ტარგილიონი (21 მაისია) მიჩნეული, სადღესასწაულო თარიღი, რომელიც მითიური გადმოცემით კუნძულ დელოსზე შობილი ღვთაება აპოლონის დაბადების დღეა. ასე რომ, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველი აპოლონისა და ფილოსოფოსის ამქვეყნად მოვლინების დღეები ერთურთს დაემთხვა.

მეტიც, პლატონის ძმისწული, აგრეთვე ფილოსოფოსი პსევსიპე, ჩვენამდე მოუღწეველ თხზულებაში „ქებადიდება პლატონს“ აპოლონს პირდაპირ ფილოსოფოსის მამას უწოდებს და გულის ამაჩუყებლად გვიხატავს იმ ფუტკრებს, რომლებმაც ერთხელ ჩვილ პლატონს პირი თაფლით ამოუსვეს.

პლატონის თხზულებათა გვიანანტიკური ხანის კომენტატორი ოლიმპიოდორე იყენებს პსევსიპეს სიუჟეტს და მოგვითხრობს, რომ პლატონზე ორსულ პერიკტიონეს აპოლონი გამოეცხადა. შემდგომ მშობლებმა ჩვილი გიმეტის მთაზე წაიყვანეს აპოლონის. პანებისა და ნიმფების შესაწირად და, ვიდრე მშობლები ამ საღვთისმოსაო საქმიანობას ეწეოდნენ, გიმეტის ფუტკრებმა ყრმის ბაგეებზე გოლეული დააშენეს; სამომავლოდ მისი ამოდ მეტყველებისა და ნიჭის მომასწავებელ ნიშნადო, წერს ოლიმპიოდორე.

როგორც ვხედავთ, ფილოსოფოსის დაბადების ამსახველი ლეგენდები უზადოა. დაიბადა იგი 428-427 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე. ე. წ. პელეპონესის შინაომის ჟამს, ეს ომი დამღუპველი იყო როგორც დემოკრატიული ათენის, ასევე არისტოკრატული სპარტისათვის. ვინაიდან ისინი ელინურ სახელმწიფო პოლისებზე ჰეგემონიისათვის მეტოქეობდნენ ერთმანეთს.

პლატონის ოჯახი და მთელი მისი საგვარეულო მჭიდროდ უკავშირდებოდა ათენის წარსულსა თუ აწმყოს. ათენს იმიტომ, რომ მისი ისტორია და მასზე თქმულება ერთ მთლიანობად იქცა. ნათელია, რომ ვაჟი იზრდებოდა და უშუალოდ მონაწილეობდა მშობლიური ქალაქის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებში. გადმოცემები მოგვითხრობს პლატონის მამა-პაპაზე, ისინი თავიანთ წინაპრებად ღმერთ პოსეიდონსა და მოკვდავ ქალს, ტიროსს მიიჩნევდნენ, რომელთა შვილის, პილოსელი გმირის ნელევსისაგან ქლორიდამ თორმეტი ვაჟი შვა. მათ რიცხვშია განთქმული ნელევსის ვაჟი ბრძენი ნესტორი და მისი ძმა პერიკლიმენე. იგი არგონავტებთან ერთად მოგზაურობდა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. პერიკლიმენეს შთამომავალია ანდროპომპი, ხოლო ამ უკანასკნელის მენელაოსი, რომელიც ათენელი ბოლო მეფის, კოდროსის მამაა, არა მითიური, არამედ ისტორიული პიროვნება. კოდროსი გააძევეს მამაპაპისეული მესენიიდან, ათენში იგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტესეია გამოუნტეს ბოლო მემკვიდრემ მიიღო და ომში მისთვის აღმოჩენილი დახმარებისათვის მადლობის ნიშნად სამეფო ძალაუფლება გადასცა. კოდრეს მეფობის ჟამინდელი ათენი ყვაოდა. მაგრამ დაიწყო ომი და ორაკულებმა ათენელების დამარცხება იწინასწარმეტყველეს, თუკი ისინი არ მოკლავდნენ თავიანთ მეფეს. კოდრემ ეს ყოველივე რომ შეიტყო, თავის მოკვლა გადაწყვიტა და ვითომ ფიჩხის მოსაგროვებლად ძონძებში გადაცმული ქალაქიდან გავიდა. გალავანს რომ გასცდა, მტრის ჯარისკაცებს შეეჩეხა, აუშარდა, საომრად გამოიწვია ისინი და მტერს შეაკვდა. ორივე მხარემ შეიტყო მეფის დაღუპვის ამბავი. ათენელთა ერთი ნაწილი ქალაქიდან შეშინებული გარბოდა. იმ დღიდან ათენს არქონტები, ანუ უხუცესები მართავდნენ. ერთი მათგანი კოდრეს ვაჟი მედონი იყო, რომლის შთამომავლობასაც მედონიდები, ისევე კოდრიდები ეწოდა. მათი გვარისა იყო ეკზეკესტიდე, რომელიც, პლუტარქეს თქმით, „პირველი დიდგვაროვანია". ეკზეკესტიდეს ვაჟმა, ცნობილმა ათენელმა სახელმწიფო მოღვაწე სოლონმა სახელი დემოკრატიული რეფორმებით გაითქვა. იგი მისი ნათესავის პისისტრატეს მეტოქე და ანტაგონისტი იყო, იმ პისისტრატესი, ათენს ტირანად რომ მოევლინა. სწორედ სოლონისა და მისი (დროპიდების) შთამომავლები არიან პლატონის მშობლები. ჩვენთვის თითქმის არაფერია ცნობილი ფილოსოფოსის მამის, არისტონის შესახებ, მაგრამ პერიკტიონის - პლატონის დედის თითქმის ყველა ნათესავმა ათენის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში დატოვა კვალი. კალექსირი და გლავკონი კრიტონის შვილები და დროპიდეს შვილიშვილები იყვნენ. კალექსირს ჰყავდა ძე კრიტონი. შემდგომში იგი პოლიტიკოსი გახდა, „მეთაური ცამეტ ათენელ ტირანისა" 405-404 წწ. პერიკტიონი გლავკონის ქალიშვილი და კრიტონის ბიძაშვილი იყო. მისი უმრწემესი ძმა ქარმიდე აგრეთვე „ცამეტთა" ოლიგარქიული გადატრიალების მონაწილეა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ პერიკტიონი თავის ბიძას, პირილამპეს, პერიკლეს მეგობარს, ცნობილ პოლიტიკოსს მისთხოვდა. განთქმული ორატორის, ანდოკიდეს მამა ლეოგორეც პერიკტიონის ნათესავი იყო.

ამრიგად, პლატონის ხვედრი იყო, გაზრდილიყო წარჩინებულ, ძველი სამეფო წარმომავლობის, მტკიცე არისტოკრატული ტრადიციის დამცველ ოჯახში, ოჯახში, სადაც საკუთარი გვარი ათენის ისტორიის ნაწილად მიაჩნდათ. სახელმწიფო საქმეებმა და პოლიტიკურმა ბრძოლებმა ეს ადამიანები მძაფრად ჩაითრია, რის გამოც არც ერთ მათგანს სიბერემდე არ მიუღწევია, არც საკუთარ სარეცელზე სიკვდილი რგებია. ნიჭიერები და განათლებულები, ისინი ომებისა თუ სახელმწიფო გადატრიალებათა აქტიური მონაწილენი იყვნენ. ბრწყინვალე ორატორები და პოეტები, გონიერი და გამჭრიახი თანამოსაუბრეები ფილოსოფიური პრობლემებით ცხოვლად ინტერესდებოდნენ. როგორც ვხედავთ, პლატონი იზრდებოდა ისეთ გარემოში, რომელსაც პოლიტიკური საქმიანობისთვის უნდა აღეზარდა იგი.

თუმცა არც პლატონი, არც მისი ღვიძლი ძმები გლავკონი, ადიმანტი ან ნახევარძმა ანტიფონტე სახელმწიფო საქმეებში არ გარეულან. მათ უყვარდათ წიგნი, პოეზია, მეგობრობდნენ ფილოსოფოსებთან. გლავკონს პოლიტიკოსობა (იგი ახალგაზრდობაში სახალხო შეკრებებზე სიტყვით გამოდიოდა) სოკრატემ გადაათქმევინა. თუმცაღა არც ერთ მათგანს მათი წინაპარი სოლონისავით პოეტის სახელი არ მოუხვეჭავს, არც დრამატურგისა მათი ბიძაშვილის კრიტონის მსგავსად, არც ორატორის ოსტატობას დაუფლებიან თავიანთი ნათესავ ანდოკიდესებრ. პლატონი ვერ გახდა პოეტი, დრამატურგი, ორატორი, მაგრამ იგი უდიდეს ფილოსოფოსად ჩამოყალიბდა, მისი თხზულებანი პოეტურობით, ვითარების დრამატიზმითა და ორატორული მეტყველებით გამოირჩევა.

პლატონის ყოველმხივი აღზრდა სრულქმნილ იდეალურ ადამიანზე კლასიკური ანტიკურობის შეხედულებებს, ანუ ე. წ. კალოკაგატოსს (მშვენიერი – calos და კარგი – agathos) შეესატყვისებოდა. ადამიანში უმწიკვლო სხეულის ფიზიკური სილამაზე და შინაგანი, ზნეობრივი კეთილშობილება უნდა შენივთებულიყო. ასეთი „კალოკაგატურობის" მიღწევა მხოლოდ ვარჯიშითა და განათლებით, ადრეული ასაკიდანვე აღზრდის შედეგად არის შესაძლებელი. კალოკაგატია - იდეალია, რომლისკენაც თავისუფლად შობილი ადამიანი ილტვოდა, რათა, მზადმყოფი, მშობლიური ქალაქის ინტერესების საგუშაგოზე დამდგარიყო, იარაღით დაეცვა იგი, მის კანონებს დამორჩილებოდა და თავისი საქმეებით სახელი გაეთქვა მისთვის.

სრულქმნილი ადამიანის იდეალს ძველი ბერძენი პოეტები და მწერლები ოდითგანვე უმღეროდნენ. ჯერ კიდევ პოეტი საფო (V ს.ჩვენ წელთაღრიცხვამდე) წერდა: „მშვენიერება (calos) გვიხიბლავს მზერას, ის, ვინც კარგია ( agathos) თავისთავად მშვენიერია". ადამიანის შიგანანი ლამაზი სულის ძალას გულისხმობდა ბრძენქალი, ურომლისოდაც გარეგანი, ფიზიკური სილამაზე უაზრობაა და უშინაარსოც: შინაგანისა და გარეგნულის ჰარმონია დრომოჭმული ზნეობის მოსაწყენ ერთფეროვნებას როდი ნიშნავდა. პირიქით, ადამიანის ხასიათის განსხვავებული, თითქოსდა ერთურთსაპირისპირო თვისებები მხოლოდ ჰარმონიის ინსტიტუტს ქმნის. ფილოსოფოსი ჰერაკლიტე შემთხვევით როდი წერდა (მეექვსე-მეხუთე საუკუნეებში ჩვენ წელთაღრიცხვამდე): „ფარული ჰარმონია აშკარაზე უფრო ძლიერია, ხოლო შეუთავსებელი თავსდება, სხვადასხვა ტონიდან მშვენიერი ჰარმონია წარმოიქმნება და ყოველივე ბრძოლით წარმოიშვება. გრძნობათა და ვნებათა, ერთგულებისა და სიყვარულის ურთიერთჭიდილში ბრძენი, ბოლოს და ბოლოს, გაწონასწორებულ ადამიანად ჩამოყალიბდა, რომელმაც დაიმსახურა პოეტ სიმონიდე კეოსელის (VI-V სს. ჩვ. წ. აღ-მდე) სახელწოდება „ოთხკუთხა" (tetrogonos) ანუ: ვისაც ყველა უნარი თანაბრადა აქვს განვითარებული. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ერთსულოვანი მტკიცება ფილოსოფოსმა თალესმა ასე გამოხატა: „საუკეთესო საზომი". ამ შესანიშნავი თანაზომიერების მიღწევა მხოლოდ გულმოდგინე აღზრდითა და წრთობით არის შესაძლებელი, ვინაიდან იმ შვიდ ბრძენთაგან ერთ-ერთის, პიტაკეს თქმით, ძნელია კეთილშობილი (esthlos) იყო. ათენელი მოქალაქეები, დემოკრატიით განთქმული მათი ქალაქები აფასებდნენ კალოკაგატიას და ყველა თავისუფლად დაბადებული ადამიანისათვის მისაღწევად მიიჩნევდნენ. ამის მაგალითს ისინი სოლონში, პერიკლესა და სოფოკლეში ხედავდნენ. სოფოკლე ხომ ტრაგედიებს წერდა, თეატრშიც გამოდიოდა, მღეროდა, ცეკვავდა, კარგი მუსიკოსი იყო და (მართალია, არც ისე წარმატებული) სამხედრო მეთაურიცა და სტრატეგიც გახლდათ.

პლატონი ბავშვობიდანვე ბერძნებისათვის სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთქმული კალოკაგატური სულისკვეთებით იზრდებოდა და არც წინაპრებსა და თანამედროვეებს ჩამორჩებოდა, ამასთან, საუკეთესო მასწავლებლის შეგირდი იყო. წერა-კითხვას ცნობილი დიონისე ასწავლიდა, მუსიკას - დრაკონი, - დემონის მოწაფე (თვით პერიკლეს და აგრიგენტელი მეტალის მასწავლებელი), ტანვარჯიშს - მოჭიდავე არისტონ არგოსელი. ფიქრობდნენ, რომ ამ სახელგანთქმულმა მოჭიდავემ პლატონს პაპის (მამის მხრიდან) არისტოკლეს სახელი გადაარქვა და განიერი მკერდის, მკვრივი აგებულების თუ ფართო შუბლისთვის (platys – ფართო, მხრებგანიერი; platos - განი, platoo - ვაფართოებ; ფართო, მხრებგანიერი) პლატონი შეარქვა. ასე გაქრა არისტონის ვაჟი არისტოკლე და ისტორიაში შემოვიდა პლატონი. ყმაწვილობაში ფერწერას სწავლობდა, ფერთა შეხამება ახალგაზრდობიდანვე შეითვისა, რითაც სახელი გაუთქვა თავის შემდგომ თხზულებებს. იგი თხზავდა ტრაგედიებს, ეპიგრამებს, დიონისეს დითირამბებს, ვის სახელთანაც ტრაგედიების წარმომავლობაა დაკავშირებული; აგრეთვე მღეროდა, თუმც ძლიერი ხმით არ გამოირჩეოდა. განსაკუთრებით კომიკოსები არისტოფანე და სოფრონე უყვარდა. ალბათ, ეს სიყვარული გახდა საბაბი კომედიების შეთხზვისა, რადგან მათგან მოქმედ პირთა მართლად გამოსახვას სწავლობდა. მსგავს საქმიანობას მისთვის სულაც არ შეუშლია ხელი, ისტმოსის საერთო ბერძნულ თამაშობებში ესპარეზა და კიდეც დააჯილდოვეს, როგორც ერთ-ერთი ძლიერი ფალავანი.

შემორჩენილია პლატონისადმი მიწერილი 25 ეპიგრამა. მათ შორის, სწრაფმავალი სინამდვილის წამიერი ამსახავისა, პოეტმა რომ ყურადღება მიაპყრო.

ერთი მათგანი ტყის ღვთაებისა და ჯოგის მფარველ პანს ეძღვნება:

*ჩუმად, კლდის წყაროვ, მოშრიალე წვრილნარო თხემზე.*
*ჟივილ-ხივილი დაიყუჩე წამით, ნახირო,*
*პანი ტკბილხმოვან სალამურზე დაკვრას აპირებს,*
*გასრიალდება სველი ტუჩი ლერწამის ღერზე.*
*მსუბუქფეხება ხეების და წყლების ნიმფებო,*
*გარშემოერტყით, იჩქარეთ, რომ გუნდად იცეკვოთ.*

სიყვარულის ღმერთს, ბრწყინვალე ეროსს პლატონმა ჰეგზამეტრები უძღვნა, რამაც პატარა მძინარე ღვთაებას სრულიად იდეალური ხასიათი შესძინა.

*ხოლო ჭალაში ჩვენ ვიხილეთ ჩვილი ეროსი,*
*ყრმა კითერასი, ალისფერი ვაშლების მჯვანი,*
*იქვე ეკიდა კაპარჭინა, მოხრილი მშვილდი.*
*ტევრი ჰფარავდა აბჯარ-აბვარს: ხეები მწვანე*
*თვით აყვავებულ ვარდებითა შემოვარსული,*
*ნამძინარევი, ნეტარ სახით იღიმებოდა,*
*თითქოს კოცნიდა მის ბაგეებს ფუტკართ კრებული,*
*დაბზუოდა და ოქროსფერად თავს დაევლებოდა.*

პლატონის დიალოგების კითხვისას შეიძლება გადავაწყდეთ ბუნების ბრწყინვალე პოეტურ ჩანახატებს: - წყარო წყნარად მორაკრაკებს, ხშირი ბალახი ბიბინებს, მწვანობს. ხოლო ფართოფოთლოვან ჭადრის ძირში, ღმერთების წმიდა გამოსახულებათა მახლობლად, აუღელვებლად საუბრობენ სიყვარულის მნიშვნელობაზე.; მაგრამ ამ ცხელ გზას, შუადღის მხურვალე მზის ქვეშ რომ გაწოლილა, მგზავრები ჩრდილოვანი მდელოებისა და განწერწეტა კვიპაროსების ჭალებზე გავლით ზევსის ტაძრისკენ მიჰყავს. პლატონის ნაწარმოებებში ეს მგზავრები, წესისამებრ, ფილოსოფოსობენ, უმჯობეს კანონმდებლობაზე მსჯელობენ. თუკი ყურადღებას მივაქცევთ, რომ ლექსებს პლატონი ახალგაზრდობაში წერდა, „ფედრებს" გაფურჩქნის ასაკში, ხოლო „კანონებს" სიკვდილის მოახლოებისას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა სურათი ერთი და იმავე ოსტატის ხელითა და შთაგონებით არის შექმნილი, - ასე რომ, უეჭველია, სიტყვაკაზმული ეპიგრამების რიგი მას ეკუთვნის.

ჩვენ წინაშეა ბედნიერი ცხოვრება ახალგაზრდა, კეთილშობილი კაცისა, მაგრამ ამ გულმშვიდობას მალე ბოლო მოეღება.

პლატონი სოკრატეს ათენში, თავის მშობლიურ ქალაქში შეხვდა. ბრძენს, ფილოსოფოსს, ადამიანს, რომელსაც არასდროს არაფერი დაეწერა, მხოლოდ მის გარშემო შეკრებილ ხალხთან საუბრობდა, იმათთან, ვინც ჭეშმარიტებას ეძებდა ან ცდილობდა, თავისი თავი და ცხოვრება შეეცნო. სოკრატესთან შეხვედრით შეძრულმა პლატონმა მასთან შეხვედრამდე შექმნილი ყველაფერი დაწვა; გადმოცემით, ამ დროს იგი ცეცხლის ღვთაებას, ჰეფესტოს მოუხმობდა, ამ წუთიდან მისთვის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ხანა დაიწყო. ისევე, როგორც ძველად, მაშინაც ლეგენდები იბადებოდა.

ვიდრე პლატონს შეხვდებოდა, გადმოცემით, სოკრატეს ახალგაზრდა გედი ესიზმრა, რომელიც მუხლზე ეჯდა. ფრინველმა ფრთები ლონივრად დაიქნია, აფრინდა, თან საუცხოო ხმას გამოსცემდა. გედი აპოლონის ქათამია. სოკრატეს სიზმარი სიმბოლოებით არის აღსავსე. ეს ზმანება პლატონის მასთან დამოწაფებისა და მათი სამომავლო მეგობრობის წინათგრძნობა იყო.

თავი 2

## სოკრატეს გვერდით

მაინც ვინ იყო სოკრატე, პლატონის ცხოვრება სრულიად რომ შეცვალა? არისტოკრატ პლატონისგან განსხვავებით, იგი უბრალო წარმოშობისა იყო. დაიბადა დაახლოებით 469 წელს. მისი მამა, ქვისმთლელი სოფრონისკე, ალიპეკის დემადან არის (ათენი დაყოფილი იყო ათ ადმინისტრაციულ ერთეულად, ფილედ, ფილე კი თავის მხრივ ათ დემას შეიცავდა), ხოლო დედა ფენარეტა ბებიაქალი იყო. უკვე ასაკოვანმა იქორწინა ქსანთიპეზე, მან სამი შვილი გაუჩინა. სოკრატე ყოველდღიურ კეთილდღეობაზე არ ზრუნავდა, არანაირ სახელოსნო საქმეს არ მისდევდა. სამაგიეროდ, ნამდვილი ფილოსოფოსი და, კერძოდ „სიბრძნის მოყვარული", ჭეშმარიტების მაძიებელი იყო.

სოკრატეს შესახებ ცნობები უკიდურესად წინააღმდეგობრივია. თვით იგი არაფერს წერდა, მხოლოდ საუბრობდა, თანამოსაუბრეს კითხვებს უსვამდა და სწორ გზას უჩვენებდა, მაგრამ მის გარშემო ყოველთვის იყვნენ მეგობრები, თანამოსაუბრენი, ახალგაზრდები და მოხუცნი; ისინი თავს ხშირად მის მოწაფეებად ასაღებდნენ, თუმცა თვითონ სოკრატე მათ მოწაფეებად არ მიიჩნევდა, რადგან ფილოსოფიური სკოლის ხელმძღვანელი, ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით, არ ყოფილა და არც ასეთი სკოლა ჰქონდა. სოკრატე ჩხუბისთავი იყო, ჭინჭყლი. გონებამახვილი, დაუდეგარი, დამცინავი და თანამოსაუბრეთა მდგომარეობას, სიმდიდრეს, კავშირებსა და საზოგადოებრივ მნიშვნე-

ლობას ანგარიშს არ უწევდა. ფული სძულდა და დასცინოდა ე. წ. „სიბრძნის მასწავლებლებს“, სოფისტებს, რომელნიც უმეტესად შეძლებული ოჯახებიდან გამოსულ ახალგაზრდებს მჭევრმეტყველებას ასწავლიდნენ და ამ საქმეში დიდძალ საფასურს ახდევინებდნენ, რაც ერთობ გასაკვირი იყო ათენელებისათვის, რომელნიც ფილოსოფიას ფულით ანაზღაურებად ხელობად არ თვლიდნენ.

სოკრატეზე ცნობებმა ჩვენამდე ნაირგვარ წყაროებად მოაღწია. ისინი, ერთი შეხედვით, ერთობ ურთიერთგამომრიცხავია. შემორჩენილია მასალები სოკრატეს უმცროსი თანამედროვეს, ცნობილი კომედიოგრაფის არისტოფანესი, აგრეთვე, ისტორიკოს და ფილოსოფოს ქსენოფონტესი და თვით პლატონისა. ცნობებს ფილოსოფოსის შესახებ გვაწვდიან ე. წ. „სოკრატისტებიც“, ანუ მისი მსმენელები, შემდგომში თვითონაც რომ დააარსეს ახალი ფილოსოფიური სკოლები: ევკლიდე მეგარელი, ფედონ ელიდელი, ანტისთენე ათენელი, არისტიპე კირენელი. სოკრატეს იდეებზე ცოტას, მაგრამ მნიშვნელოვან შენიშვნებს ვპოულობენ პლატონის მოწაფე არისტოტელესთან.

კომედიაში „ღრუბლები“, რომელიც ჩვ. წ. აღ-მდე 423 წელს დადგეს, არისტოფანემ სოკრატე სასაცილო პერსონაჟად, რომელიღაც საეჭვო სოფისტური სკოლის მეთაურად, რაღაც უცხრო რელიგიისა და ახალი ღმერთების შემქმნელად გამოიყვანა. არისტოფანეს ეს კომედია გარკვეული დოზით სიახლეებით გაუმაღძარ, გაუნათლებელ ათენელ ობივატელთა შორის გავრცელებულ ბუნდოვან ჭორებს ასახავდა, მაგრამ, ამასთანავე, აღნიშნული პაროდია სოკრატეს დიდებასა და სახელმოხვეჭილობას მოწმობდა. სახელგანთქმული არისტოფანეს კომედიის პერსონაჟები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ დიდად პოპულარული, ხალხზე დიდი გავლენის მქონე პიროვნებები. ყოველ შემთხვევისათვის, ქუჩის, ბაზრებისა და მეგობრული შეკრებების ხშირი სტუმარი, ღარიბულად ჩაცმული, ფეხშიშველი, დაბალი, ღაწვმაღალი, ცხვირაბზეკილი, დიდტუჩება და კოპიანი, მელოტი სოკრატე თეატრალურ კომიკურ ნიღაბს ჩამოჰგავდა. მისი უცნაური მანერა ბჯითი, ინტიმური, მეგობრული საუბრებისა, ამასთან ირონიულიც, აცბუნებდა თანამოსაუბრეს. იგი მოულოდნელად აცნობიერებდა, რომ გულუბრყვილო და დაბნეული არსება, არარაობა იყო. სოკრატეს შეკითხვები სილამაზის, სამართლიანობის, მეგობრობის, სიბრძნისა და სიმამაცის შესახებ არა მხოლოდ ფილოსოფიურ მცნებებზე, არამედ ცხოვრებისეულ ფასეულობებზეც დაგაფიქრებდა. სოკრატე ადამიანის საზოგადო დანიშნულებაზე, მის მოვალეობაზე, კანონისადმი დამოკიდებულებაზე, რწმენაზე, განათლების აუცილებლობაზე, უხეში ვნებების დათრგუნვაზე, მეგობრების შეძენაზე მსჯელობდა, ანუ განმარტავდა ცხოვრებაში ადამიანის პრაქტიკულ ორიენტაციას, რომელიც სინდისით, სამართლიანობითა და მოქალაქეობრივი მოვალეობით ხელმძღვანელობს. საკითხთა მთელ ამ რკალს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ სოკრატესეული, მოკრძალებული უანგარო ადამიანის იდეალი, სინდისის კარნახით რომ ცხოვრობს, უმრავლესობის წინაშე მათ ბიწსა და მდაბალ მისწრაფებებს მხოლოდ გამოააშკარავებს, თვით იდეალი კი მიუღწეველი დარჩება. სიმდიდრის, სიამაყისა და პატივმოყვარეობის ფაქტების მხილება სოკრატესადმი გულისწყრომას და სიძულვილსაც კი იწვევდა, ვინაიდან იგი ადამიანს მისივე სრული არარაობის აღიარებას აიძულებდა. ხოლო ძალა ნაკლოვანებების ძლევისა და რაღაც სხვაგვარი ცხოვრების დაწყებისა ყველას როდი ჰყოფნიდა. ისინიც, ვინც თავის უძლურებას გრძნობდნენ, სულის სიღრმეში ასამართლებდნენ ადამიანს, რომელმაც მათი სინდისი გააღვიძა, მათი უვიცობა დაასაბუთა, სიმშვიდე დაურღვია, საკუთარი ძალების რწმენა წაართვა და ძველთაგან დადგენილ ტრადიციებში დააეჭვა. გზა მორალური სრულქმნილებისკენ, იდეებით ცხოვრება და არა ზრუნვა მატერიალური კეთილდღეობის მოხვეჭისათვის ერთობ მძიმე წარმოსადგენი იყო საშუალო ადამიანისათვის. სოკრატეს ცოტანი, უფრო ხშირად ახალგაზრდები, მდიდარი და წარჩინებული ოჯახის შვილები მისდევდნენ; ისეთნი, მატერიალური კეთილდღეობა რომ ჰქონდათ მოყირჭებული; მშობლებისა და სახელმწიფოს ავტორიტეტს რომ აუჯანყდნენ და საზოგადოებაში სწრაფ და რადიკალურ გარდაქმნებზე ოცნებობდნენ. რაგინდ პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენოს, სოკრატეს ზოგიერთი ახალგაზრდა მეგობარი სულაც არ აპირებდა, თანდათან აღეზარდა და ჩამოეყალიბებინა ან შეეგონებინა „საშუალო“ ადამიანი ანდა დაერიგებინა „საუკეთესო“ მდიდარი მოქალაქენი. სოკრატესეული დარწმუნების გზა ერთობ გრძელი იყო, ხოლო უმრავლესობისა, ანუ ხალხის დაჯავშნა, იდეალურ კანონმდებლობებს უსიტყვოდ რომ დამორჩილებოდა, უფრო იოლი და ადვილი ჩანდა. ასე, პოლიტიკური მოღვაწეები კრიტია და ალკიბიადე, ერთ დროს სოკრატესთან სიბრძნეს რომ ეძებდნენ, ანტიდემოკრატიულ გადატრიალებაში ჩაერივნენ. ისინი ილტვოდნენ „ოლიგარქიისაკენ“, მცირეთა ძალაუფლებისაკენ, იმისკენ, რასაც იმხანად ტირანიას უწოდებდნენ. ამით სოკრატეს იდეებს ორგულობდნენ და მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. სოკრატეს უშუალო მოწაფეები და მისი განმმარტებელი ფილოსოფოსები კი ხშირად მოიხმობდნენ თავიანთი მასწავლებლის უსაყვარლეს აზრებს.

კინიკური სკოლის დამაარსებელი ანტისთენე და მისი მოწაფე დიოგენი მოითხოვდნენ ადამიანის სულიერი თავისუფლების აუცილებლობას, რომელსაც ქონებრივი კეთილდღეობა აქვს წართმეული, აგრეთვე განიხილავდნენ ოჯახის სიმტკიცეს, ზნეობრივ ტრადიციებს, საზოგადოებრივ მოვალეობებს, ვინაიდან ეს ყველაფერი ხალხს საძულველი სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მორჩილად ხდის, ადამიანებს ჰყოფს თავისუფლებად და მონებადო.

არისტიპე კირენიდან უმაღლეს კეთილდღეობას ცხოვრების ტვირთისაგან გათავისუფლებულ ადამიანში, ტკბობათა სტიქიისათვის უანგაროდ თავის მიცემაში, ჰედონიზმში ხედავს. ევკლიდე მეგარელმა იმდენად მოსწყვიტა ადამიანი მატერიალურ სამყაროს, რომ ჭეშმარიტ ყოფას მხოლოდ იდეაში სცნობს. ელიტარული სკოლის დამაარსებელმა ფედონმა ფილოსოფიური კამათის ხელოვნება მაღალ საფეხურზე აიყვანა, ეთიკურ პრობლემებს ამჯობინებდა, მაგრამ იმავდროულად თავისუფალი აზროვნებით გამოირჩეოდა. ამრიგად, სოკრატეს მოწაფეთაგან ყველამ მასწავლებლის ესა თუ ის იდეა ცალმხრივად განავითარა. უაღრესად თეორიული, პრაქტიკული ტენდენციები წინა პლანზე წამოსწია.

ჩვენამდე მოწაფე ფილოსოფოსთა მეშვეობით მოღწეული სოკრატე კი უკიდურესად წინააღმდეგობრივი სახით წარმოგვიდგება. მისი არსება უმრავლე-

სობის ძალაუფლების, ანუ დემოკრატიის და კანონების პატივისმცემელიც არის და მოქალაქეობრივ მოვალეობათა უსიტყვო შესრულების კრიტიკოსიც. ირონია და ეჭვი მასთან გვერდიგვერდ არსებობს, ადამიანის კეთილი საწყისისაც ღრმად სწამს. იდეალური ყოფიერებისაკენ სწრაფვა სულაც არ უშლის ხელს მიწიერ მეგობრებთან მხიარულ ნადიმებსა და საუბარში. რწმენა შინაგანი ხმისადმი, „დემონისადმი", სინდისისადმი, უღირსი ქმედებანი რომ შეაძულა ფილოსოფოსს, უძველეს მითებში ადამიანის სულის იმქვეყნიურ რწმენას ეთვისება. თავს არარაობად მიიჩნევდა და მტკიცედ სწამდა, რომ ღიად მიზანს მსახურებდა და მაღალი ზნეობისა იყო. დელფოს ორაკულმა ბერძენთა შორის ბრძენთაბრძენი უწოდა.

სოკრატეს სახება უფრო საინტერესოდ წარმოგვიდგება, თუკი ქსენოფონტეს „მოგონებებითა" და პლატონის დიალოგებით - ანუ სოკრატეზე უმთავრესი წყაროებით ვიმსჯელებთ.

ჩვენამდე მოღწეული მათი თხზულებები ფრაგმენტები როდია, პირიქით, საოცრად სავსეა მტკიცებულებებითა და მათი საერთო მასწავლებლისა და მეგობრის ცხოვრების აღმწერ ძირითად საკითხავს წარმოადგენს.

ქსენოფონტემ სოკრატეს მისეული იდეალი შექმნა - მორალისტის, ქინიანის, ღღრეკის, მაგრამ ცოტათი უძლები მოსაუბრისა, ყველას რომ ზაფრავდა წუნდაუდებელი ლოგიკით. პლატონისეული სოკრატე ცოცხალი, მეჩნებარე, სუფრასთან საუბრის მოყვარული, იმავდროულად ტრაგიკული და საინტერესო ფიგურაა. ასკეტის, ბრძენისა და მასხარის სახის ასეთი შეთავსება იშვიათია. ნუ ვუსაყვედურებთ ავტორებს თხზულებათა ერთიერთგამომრიცხავი აზრებისათვის იქ, სადაც მთავარი მოქმედი პირი სოკრატეა. მაშინაც, თუკი ეს ავტორები მხოლოდ აზვიადებდნენ სოკრატეს თვისებებს და ამცრობდნენ სხვისას, როცა მათ გააზრებულად გამოტოვეს რაღაცა, სხვა კი განგებ წინ წამოსწიეს, უფრო მეტიც, თუკი ისინი ცოცხალ ლეგენდას ქმნიდნენ. სწამდათ, რომ სწორედ იგია ერთადერთი, ნამდვილი. მათ მიერ გაგებული ჭეშმარიტება, - ისინი, ავტორები - ქსენოფონტე და პლატონი იცნობდნენ სოკრატეს, მასთან მეგობრობდნენ და თავს საფრთხეში იგდებდნენ იმითაც, რომ მის სიტყვებსა და აზრებს იწერდნენ.

ნუ ვიქნებით ჰიპერ-კრიტიკულნი, ვინაიდან თვით ლეგენდაც ყოველთვის გარკვეული ეპოქის ადამიანის ლტოლვასა და სასოებას ასახავს და მითი საფუძველშივე მუდამ შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს. სოკრატე მითად და ლეგენდად სიცოცხლეშივე იქცა. მაგრამ, რადგან ასეთმა ლეგენდამ და ამგვარმა მითმა ფილოსოფოს პლატონის (მოგვიანებით არისტოტელეს) გამოჩენას ხელი შეუწყო და მის მრავალტომეულ თხზულებათა ცენტრალურ ბირთვად იქცა, ჩვენ, კაცობრიობა, პოეტური შთაგონებისადმი და მონაჭორისადმი მისწრაფებას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რაც შთამომავლობაში იწვევს თრთოლას, ფიქრსა და ათასწლეულების წინათ მომხდარ მოვლენებს საკუთარ, პირად თავგადასავლად განაცდევინებს.

დავტოვოთ სწავლული სკეპტიკოსები და პლატონისა და ქსენოფონტეს მიერ შექმნილ ლეგენდას მივყვეთ.

სპარსელებზე გამარჯვების შემდეგ (ათენის დემოკრატიის აყვავების დროინდელი, ჩვ. წ. აღ-მდე მეხუთე საუკუნის პირველი ნახევარი) ადამიანისა და მისი პიროვნებით დაინტერესება, მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის, თავისუფალი სულიერი აზროვნების გაფურჩქნა, ცალკეულ პირთა დამოუკიდებლობა და საკუთარი ძალების შეგნება ბრწყინვალედ აისახა ძველბერძნულ ტრაგედიაში. სწორედ აქ, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს დრამატურგიაში ჩანს მათი თანამედროვე ადამიანი, რომელიც კონფლიქტშია უძველეს ტრადიციებთან და რელიგიურ დადგენილებებთან. ის დრო წავიდა, როდესაც ადამიანს თავი გვაროვნული კოლექტივის გარე ვერ წარმოედგინა და თავს დიადი მატერიის ნაწილად, სიკვდილ-სიცოცხლის მუდმივი მონაცვლეობის მონაწილედ აცნობიერებდა. ჩვ. წ. აღმდე მეექვსე-მეხუთე საუკუნეების ფილოსოფოსები, რომლებიც ყოფიერების შესახებ ასწავლიდნენ და ბუნების საიდუმლოებებზე მოუთხრობდნენ, პოემებსა და ტრაქტატებს თხზავდნენ საყოველთაო-საერთო სახელწოდებით „ბუნების შესახებ", შემდეგ საკმაოდ მოკრძალებით, ეთიკური პრობლემებისკენ გადაინაცვლებენ. ბუნება მორალის გარე ფენომენი იყო და ძველი ბერძენი ყოვლის საზომად თვლიდა სწორედ ბუნების კანონების შესატყვისად ადამიანის მოქმედებას.

მაგრამ მეექვსე-მეხუთე საუკუნეების ბერძნული პოლისის მოქალაქე თავისი სახელმწიფო კანონების მიხედვით ცხოვრობდა, გამოიმუშავებდა იდეალს, რომლის კრიტერიუმიც სწორედ პოლისური კალოკაგატია იყო. მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრისათვის, როცა მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს არა უკვე ბერძნები და უცხოტომელები - სპარსელები, არამედ თვით ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოებიც, ვინაიდან ახალი მიწები, ფული და განაღდების ბაზარი სწყუროდათ, ცალკეული, ფხიანი, საქმიანი, განათლებული, ძლიერი ადამიანის კანონებისა და სამართლიანობის ზედმიწევნით მცოდნის ინიციატივის როლი გაიზარდა. აი, აქ გამოჩნდნენ სოფისტები, სიბრძნის ფასიანი მასწავლებლები. ვით მათი თავკაცი პროტაგორა, ისინიც მიიჩნევდნენ, რომ ადამიანი ყოველთა საგანთა საზომი. საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრი და ბუნების გვირგვინია. ეშმაკური აზრი ხშირად იარაღზე ძლიერია. მეტადრე თუკი კამათის ხელოვნებას — ერისტიკას ხარ დაუფლებული, და შეგიძლია „ტყუილი მართლად გაასაღო ხოლო შედარებით სუსტი არგუმენტები ძლიერად გამოიყვანო". ერისტიკას დიდი საფასურის სანაცვლოდ ასწავლიდნენ სოფისტები: პროტაგორა, გორგია, პროდიკე, ჰიპია და სხვანი. მჭევრმეტყველება, რიტორიკა, დარწმუნების უნარი რომ გვძენს, უმთავრეს მეცნიერებად იქცა. სოფისტური რიტორიკის ეშმაკობის, ე. წ. სოფიზმის გაცნობა დადგენილი საფასურის წყალობით ყველას შეეძლო. სოფისტების სწორი, თავდაპირველად კანონზომიერი მისწრაფება, შეესწავლათ ლოგიკური, დამაჯერებელი აზრის მექანიზმი და ამით ადამიანისათვის ცვალებად პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იარაღი გადაეცათ — თანდათან გრძნეული, სიტყვიერი ეფექტებით გატაცებად და უსაგნო რიტორიკად იქცა. მთავარი ის არის, თუკი სოფისტისთვის ადამიანი გარემომცველი ცხოვრების საზომია, მას ყოველგვარი შეზღუდვის, თავისი პირადი, ხშირად ანგარებიანი, მიზნის მისაღწევად შეუძლია იმოქმედოს და არად ჩააგდოს მორალი. ასეთი ადამიანისათვის ყველაფერი ნებადართული იყო, ხოლო ყველა ზნეობრივი ნორმა პირობითი და იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ ესმოდა ეს სოფისტად აღზრდილ ადამიანს. სოფისტები, რომელთა დახმარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითაც ბევრი მჭევრმეტყველების სიბრძნეს ჩასწვდა, შეიძულეს და აიძულეს კიდეც, მით უფრო, რომ ათენის დემოკრატიის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე, რომელთაც თავიანთი ჯანმრთელი, ძლიერი საწყისი უკვე დაკარგული ჰქონდათ და საომარ ავანტიურებზე გადასულიყვნენ, სოფისტების მოწაფეები გამხდარიყვნენ და მიმნდობ ხალხს ოსტატურად ატყუებდნენ.

ახალგაზრდობაში სოკრატე მამასთან ერთად მუშაობდა და არცთუ ცუდ მოქანდაკედ მიიჩნევდნენ. 25 წლისა იგი სოფისტური სიბრძნის შესასწავლად პროდიკე კეოსკელთან, თავის თანატოლ სოფისტთან გაემგზავრა, რომლისთვისაც სხვა სოფისტებისგან განსხვავებით მნიშვნელოვანი იყო მორალური პრინციპები, აქ იგი მრავალსახეობას სწავლობდა. შესაძლოა, მჭევრმეტყველებით გატაცებამ სოკრატე სილამაზითა და ფილოსოფიისადმი სიყვარულით განთქმულ ასპაზიას, პროკლეს მეუღლეს გააცნო. მრავალი წლის შემდეგ სოკრატე იხსენებს, ასპაზიასაგან რიტორიკას რომ შეისწავლიდა და თავისი გულმავიწყობით მისგან კინაღამ ალიყურიც მიიღო. მან აგრეთვე გაიხსენა და გაიმეორა ასპაზიას მიერ შეთხზული სიტყვა პერიკლესათვის, რომელიც მას უნდა წარმოეთქვა დაღუპულ ათენელ მეომართა დაკრძალვისას. რიტორიკით გატაცებულმა სოკრატემ პერიკლეს მასწავლებელ დემონისა და კონისაგან მუსიკაც შეისწავლა. ხოლო მუსიკამ იგი, თავის მხრივ, მათემატიკასა და ასტრონომიასთან მიიყვანა. სოკრატე სწავლულ გეომეტრასტრონომ და მუსიკოსს თეოდორე კირენელს დაემოწაფა. კითხვა-პასუხზე დამყარებულმა საუბრის მეთოდმა, ე. წ. დიალექტიკამ სოკრატე შეახვედრა საოცარ ქალს, დიოტიმას, წინასწარმეტყველსა და ქურუმს, რომელმაც, გადმოცემით, ათენში ჟამიანობის შემოსვლა ათი წლით გადაავადა. ამ უგანათლებულესმა ქალმა სოკრატე გონების სისხარტითა და უფაქიზესი ლოგიკით განაცვიფრა. ქალებმა სოკრატეს სიტყვის გაჩარხვადაოსტატებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს. პოეტი ქალებით საბერძნეთი ხომ ოდითგანს ქებულია, ისეთებით, როგორიც იყვნენ საფო (მეშვიდე-მეექვსე.) და კორინა (მეექვსე-მეხუთე სს.). პლატონი წერდა:

*ვით ვვიმტკიცებენ, მუზა ცხრაა ამა ქვეყნადო?!*
*აჰერ მეათე — ლესბოსელი ასული საფო.*

კორინა ცნობილი პოეტის, პინდარეს ხელოვნებას ასწავლიდა. ცნობილია აგრეთვე ფილოსოფოსი ქალები, ფეანო, ტიმიქსა, არისტოკლეია. ანტიკურობის მიწურულს ფილოსოფოსმა და სახელოვანმა მათემატიკოსმა ქალმა ჰიპატიამ გაითქვა სახელი. გადმოგვცემენ, რომ ახალგაზრდა, ოცი წლის სოკრატე ელინური სკოლის ცნობილ დამაარსებელს, ავტორს პოემისა „ბუნების შესახებ" ფილოსოფოს პარმენიდეს შეხვდა. იგი ასწავლიდა მთლიანის, ერთის, უძრავი ყოფიერების რაობას, რომელიც ადამიანის მაძიებელი აზრის მიერ შეიცნობა და „არაფრად", „არყოფნად" „შეუცნობადად" ვერასოდეს იქცევა. თუკი პლატონის თხზულებათა მიხედვით ვიმსჯელებთ, პარმენიდესთან შეხვედრა მდიდარ პითოდორეს ოჯახში შემდგარა. იგი ამ შეხვედრის შესახებ მრავალი წლის შემდეგ ჯამბობს ანტიფიანტეს, პლატონის დედინაცვლის შვილს. ახალგაზრდა სოკრატეზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ბრძენმა და კეთილისმყოფელმა მოხუცმა პარმენიდემ. მასთან თავისი მოწაფე, უკვე ცნობილი და თავდაჯერებული ზენონ ელინელი ახლდა.

ამბობენ, რომ სოკრატე ანაქსაგორას მოწაფეს, განთქმულ არქელაოსს (მეხუთე ს. ჩვ. წ. აღ-მდე) უსმენდა. ორივენი, ისევე როგორც ასპაზია, წარმოშობით იონიის სანაპირო ქალაქიდან იყვნენ, სადაც ძველბერძნული ფილოსოფია, მეცნიერება და პოეზია ჩაისახა. არქელაოსმა ჯერ კიდევ 475 წ. ათენში გახსნა სკოლა. მას „ფისიკიეს" ან „ფსიქოლოგს", ანუ კოსმოსისა და ყოფიერების, ბუნების და სხვადასხვა ელემენტების, მიწის, წყლის, ცეცხლისა და ჰაერის ერთობლიობის მკვლევარს უწოდებდნენ, რაც ამ დროისათვის უკვე მოძველებულ აზრად ითვლებოდა.

არქელაოსის მასწავლებელმა ანაქსაგორამ უკვე წინა პლანზე წამოსწია მსოფლიოს მმართველი კოსმიური გონი და ყველა მთავარი ფუნქცია, რომელიც მანამდე ბუნებას მიეწერებოდა, მას მიაკუთვნა, რითაც ადამიანის გონების უმაღლეს დანიშნულებასა და, საერთოდ; აზრის ყოვლისშემძლეობას გაუხსნა გზა.

პროკლეს მოღვაწეობის პერიოდში ანაქსაგორა ათენში ერთობ პოპულარულ პიროვნებად ითვლებოდა და თუმცა პროკლეს თანატოლი იყო, მას ფილოსოფიას ასწავლიდა. ანაქსაგორა, პროკლე და ასპაზია განუყრელი მეგობრები იყვნენ. ანაქსაგორა ახლოს იყო აგრეთვე დრამატურგ ევრიპიდესთან. ანაქსაგორა თავისუფალ მოაზროვნედ მიაჩნდათ. წიგნები, რომლებშიც იგი ციურ მნათობთა ღვთაებრივ წარმოშობას უარყოფს,. რამდენიმე გროშად შეგეძლოთ გეყიდათ და ახალგაზრდობაც ამ წიგნით დაინტერესდა. ადამიანის ინტელექტუალურსა და სულიერ შესაძლებლობათა დანახვაში გამოცდილ სოკრატეს, საეჭვოა, ანაქსაგორასთან დამოწაფების შესაძლებლობა არ გამოეყენებინა.

ძველი ღვთისმოსავების დამცველთა და პროკლეს მტერთა მიერ ანაქსაგორას წინააღმდეგ გამართული სასამართლო პროცესი სოკრატეს მთელი ცხოვრება დაამახსოვრდა. ათენელებს ასეთი რამ არასოდეს ენახათ. ანაქსაგორას თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნებისათვის ასამართლებდნენ. მსაჯულებმა წინადადება შემოიტანეს, „სახელმწიფო დამნაშავეებად ჩაეთვალათ ისინი, ვინც ღმერთებს არ აღიარებდა დადგენილი ადათ-წესით ანდა ციურ მოვლენებს მეცნიერულად ხსნიდა". პროკლეს ანაქსაგორა უნდა დაეცვა, ვინაიდან მას, როგორც ყველას, ვინც რელიგიის შეურაცხყოფაში იქნებოდა მხილებული, სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. პროკლეს წყალობით ანაქსაგორა სიკვდილს გადაურჩა. იგი ათენიდან გააძევეს. დასახლდა ლამპსაკში და იქ გარდაიცვალა 428 წელს. მაშინ სოკრატე 40 წლისა იყო.

იმ დღიდან სოკრატემ მიზნად დაისახა, ხალხისთვის ჭეშმარიტებისა და ნამდვილი ცოდნის ძიება ესწავლებინა. მაგრამ ათენიდან იგი არსად წასულა, თუ არ ჩავთვლით მგზავრობას კუნძულ სამოსზე, წმინდა დელფოსზე, ან ისტმოსის ყელში, სადაც სოკრატე არქელაესთან ერთად გაემგზავრა.

ფილოსოფიითა და ცხოვრების აზრის პრობლემატიკით გატაცება სოკრატეს სულაც არ უშლიდა ხელს, სამშობლოს წინაშე თავისი ვალი განუხრელად აღესრულებინა.

პელოპონესის ომში იგი იბრძოდა პოტიდეასთან (432 წ.), დელისთან (424 წ.) და ამფიპოლესთან (422 წ.), სადაც თავი ღირსეულად და მამაცურად ეჭირა. სოკრატე იმდენად ჩაუღრმავდა ფიქრებსა და იდეებს, რომ, როგორც პლატონი წერს, ერთხელ ბანაკში პოტიდეასთან ერთ ადგილზე მთელი დღე და ღამე გათენებამდე უძრავად იდგა, რითაც ყველა გააკვირდა. დელისთან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძოლაში ქსენოფონტე, რომელიც ცხენიდან ჩამოვარდა, მან თითქოს სიკვდილს გადაარჩინა, ხოლო როდესაც ჯარი უკან იხევდა, სიმამაცით გამორჩენილ ლახეტთან ერთად დინჯად კაფავდა გზას ისე, რომ მისი გმირობა შორიდანაც შესამჩნევი იყო, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სრულიად შეცვალა ფილოსოფოსის ცხოვრების დინჯი დინება.

ხერეფონტი, სოკრატეს ერთ-ერთი უახლოესი და მგზნებარე მეგობარი, წმიდა ქალაქ დელფოსში აპოლონის ორაკულთან გაემგზავრა და ღმერთს ჰკითხა, თუ არის ქვეყანად ვინმე სოკრატეზე უფრო ბრძენიო. თქმულებები პითიას პასუხს სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ. პითიამ უპასუხა, სოკრატესავით ბრძენი არავინააო, ან კიდევ: „სოფოკლე ბრძენია, ევრიპიდე უფრო ბრძენი, სოკრატე კი ყველაზე უბრძენესია“.

ასეთმა გამორჩევით ბრძენად აღიარებამ ადამიანისა, რომელიც თავის თავზე ამბობდა: „მე ვიცი ის, რომ არაფერი ვიცი“, სოკრატეზე ერთობ იმოქმედა და თითქოს იდეამ მოიცვა, თავის თანამოძმე ქალაქელთათვის ჭეშმარიტი ცოდნა გადაეცა. „ვინაიდან, მიაჩნდა, რომ კეთილდღეობა მხოლოდ ცოდნაა და ბოროტება უმეცრებაა“. სოკრატეს დიდებამ სოფისტების პოპულარობას გადააჭარბა. კამათის ხელოვნებას ისინი კამათისთვის ასწავლიდნენ, ჭეშმარიტებას არად დაგიდევდნენ და ხშირად შავს განზრახ უწოდებდნენ თეთრს... სოფისტები ეფექტურად ავლენდნენ თავიანთ განსწავლულობას. ისინი ღრმა ცოდნით სულაც არ გამოირჩეოდნენ, სამაგიეროდ, თავს აშკარად იქებდნენ, როგორც – სიტყვაზე – ჰიპია ელიდელი ანდა ფრაზიმაქსი ან მოწაფეებით გარშემორტყმული პროტაგორა და გორგია.

სოკრატეც მუდამ ცნობისმოყვარე თაყვანისმცემლებით, მეგობრებით თუ მოწაფეებით იყო გარშემორტყმული, მაგრამ იგი უანგაროდ ასწავლიდა და ყოველდღიური ცხოვრებით თავმდაბლობის მაგალითს თავად იძლეოდა. საუბრისას საგნის შესახებ ცოდნას ღრმად მალავდა და გარეგნულად თანაბარი გეჩვენებოდა თანამოსაუბრისა, ვისთან ერთადაც ჭეშმარიტებას ეძებდა. სოკრატეს კამათი არ უყვარდა, როგორც სოფისტებს. იგი დიალექტიკოსი იყო, ანუ ძალდაუტანებელი საუბრით, კითხვა-პასუხებით საგნის არსის გარკვევის ოსტატი (ბერძნ. dialegomai - ვსაუბრობ). აზრთა შეჯახებისას ცრუ გზების დაგდებას, მისახვედრი კითხვების შერჩევას, სწორ ცოდნასთან თანდათანობით მიახლოებას და ამ გზით იდეის სულიერ დაბადებას სოკრატე ხუმრობით „ბებიაქალურ ხელოვნებას“ უწოდებდა. ალბათ, თავისი დედის ხელობას იგონებდა, მშობიარეთ რომ შველოდა.

სოკრატესთან მიდიოდნენ ცოდნისა და სიბრძნის წყურვილით აღსავსენი, ცნობისმოყვარენიც, მისი დიდება რომ იზიდავდათ. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდებიცა და მოხუცებიც. სოკრატე თანატოლ პითაგორელ ფილოსოფოსებთან სიმიესთან და კებეტთან მეგობრობდა. უბრალოდ, კეთილი და წესიერი კაცი, კრიტონიც მისი ერთგული მეგობარი იყო. მეგობრები საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეშიც ჰყავდა: თესალიაში, ფივაში, მეგარაში, ელიდაში. ომის დროს ევკლიდე მეგარელი ათენისკენ გზას რისკის ფასად იკვლევდა, სოკრატესთვის რომ მოესმინა. ტყვედჩავარდნილი და მონადქცეული ფედონ ელიდელი, სოკრატეს მეოხებით რომ გამოისყიდეს, მისი უახლოესი მოწაფე გახდა. ხოლო ხერეფონტე, აპოლოდორე, ანტისთენე, არისტოდემე ან ჰერმოგენე სოკრატეთი აღფრთოვანებული მოწაფეები იყვნენ და მის გამო ცხოვრების ყველა სიამის დათმობა შეეძლოთ.

თვით აპოლოდორეს მიერ აღიარებულ სოკრატეს სიბრძნეს ხერეფონტე ყველგან აქებ-ადიდებდა; მაღალი ზნეობის უსაზღვროდ მოყვარული ჰერმოგენე სოკრატეს განუხრელად მისდევდა. მან შეიძულა მამის სიმდიდრე და გაღარიბდა. აპოლოდორე და ანტისთენე გვერდიდან არ შორდებოდნენ ფილოსოფოსს, მიზნად დაისახეს ყოველდღიურად თვალყური ედევნებინათ ყველაფრისათვის, რასაც იგი ამბობდა და აკეთებდა. პატარა და ფეხშიშველი არისტოდემე სოკრატეს ერთ-ერთი მხურვალე თაყვანისმცემელი იყო, დიდ-დიდ სანადიმო სუფრებთან ფილოსოფიური საუბრებისას ხშირად ახლდა და მეხსიერებაში ღრმად იბეჭდავდა ყოველ სიტყვას, რათა მერე გადაეცა სხვებისთვისაც, ვინც მისი მასწავლებლის ცხოვრებით იყო დაინტერესებული.

მწერალმა, ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა ქსენოფონტემ სოკრატე უჩვეულო ვითარებაში გაიცნო. ქუჩაში მიმავალ ქსენოფონტეს ერთხელ სოკრატე შეხვედრია, ჯოხით გზა გადაუღობავს და უკითხავს, საკვები სად იყიდებაო. ქსენოფონტეს პასუხის მერე კი უთქვამს, ადამიანები სად კეთილშობილდებიანო. მდუმარ ქსენოფონტეს სოკრატემ უბრძანა: „გამომყევი და ისწავლე!“ სწორედ ამიტომ, როცა ქსენოფონტე მცირე აზიაში სპარს უფლისწულ კიროსთან მხედართმთავრად უნდა გამგზავრებულიყო, მოეთათბირა არა სხვა ვინმეს, არამედ სოკრატეს. ხოლო სოკრატემ იგი დელფოსში აპოლონის ორაკულთან გაგზავნა.

გულზვიადი არისტოკრატები ალკიბიადე, კრიტოსი და კალიკლე სოკრატესთან დამეგობრების გზებს ეძებდნენ, ხოლო მაკედონიის მეფე არქელაოსმა იგი თავის კარზე მიიწვია, რაზეც უარი მიიღო. სოკრატემ სკოპასის და ევრილოქეს, თესალიისა და ლარისის მფლობელთა მოპატიჟებაც არ მიიღო.

იგი ურთიერთობებისათვის იყო გაჩენილი. დღე და ღამეს გიმნაზიაში, პალესტრასა თუ აგორაზე ანდა დიდებულ სუფრასთან ატარებდა. საუბრობდა და მოძღვრავდა, რჩევებს იძლეოდა, ყურადღებით ისმენდა. ხანდახან ქალაქს ვინმე სახელგანთქმული პირი ეწვეოდა და სოკრატეს ერთი სული ჰქონდა, შეხვედროდა, შეჰკამათებოდა მას. 432 წელს ათენში მეორედ ჩამოვიდა სოფისტებს შორის ყველაზე უდრეკი და ცხარე მოკამათე პროტაგორა, რომლის წიგნებიც შემდგომში ათენში დაწვეს, ხოლო თვითონ, თავისუფალ აზროვნებაში ბრალეული, იძულებული შეიქნა, სიცილიაში გაქცეულიყო და ქარიშხლის დროს დაიღუპა. პროტაგორა მდიდარ კალიას სახლში დაბინავდა. უგანათლებულესმა ათენელებმა და ცნობილმა სოფისტებმა მისვლა იწყეს. მოწიწებული თაყვანისმცემლებით გარემოცული პროტაგორა მედიდურად დასეირნობდა. სოკრატეს ყოფილი მასწავლებელი, სოფისტი პროდიკე მხართეძოზე წამოწოლილიყო ლოჯაში, მსმენელები სკამებსა და საწოლებზე ისხდნენ, სტუმრებით გაჭედილ სახლში ჩამოსულთათვის საკუჭნაოც მოაწყვეს, ხოლო კარისკაცმა, რომელსაც სოფისტთა ცქერა მობეზრებული ჰქონდა, გაჭირვებით შეუშვა სახლში სოკრატე, ვინაიდან ისიც უძლები სოფისტი ეგონა. სოკრატე მამაცად და ირონიით ეკამათებოდა პროტაგორას, აწინდელი კამათის ყველა ილეთის იყენებდა და მისადმი მტრულად განწყობილი სოფისტებითა და ცნობისმოყვარე ახალგაზრდებით იყო გარემოცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე იყვნენ ალკიბიადე, კრიტონი, პერიკლეს ძე აგათონე. პელოპონიურ ომამდე ერთი წელიდა იყო დარჩენილი. ომის დასაწყისშივე პერიკლეცა და მისი ორთავე ძეც ჭირისგან დაიხოცნენ.

გადმოცემით, სოკრატე ისეთი მკაცრი წესებით, მოკრძალებით ცხოვრობდა, რომ 429 წლის ჟამიანობისას, როცა ამოწყდა თუ ქალაქი დატოვა ათასობით ადამიანმა, იგი არ დასნეულებულა. თუმც თავს მეგობრებად ასაღებდნენ, ყველა როდი იყო მისი ნამდვილი მეგობარი. ერთ მდიდართან კალიასთან ნადიმზე (რის შესახებაც ქსენოფონტე მოგვითხრობს – „ნადიმი"), სულიერი სიყვარულის უპირატესობაზე რომ მსჯელობდნენ და ასაბუთებდნენ ადამიანთშორისი ურთიერთობისას მეგობრობა უმთავრესიაო, სოკრატეს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მის გვერდით მჯდომი ცნობილი ორატორი ლიკონი მრავალი წლის შემდეგ სასამართლოში მის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. სოკრატეს მოწაფეები ანტისთენე და ჰერმოგენე იმაზე არც კი ფიქრობდნენ, რომ ისინი მათი მასწავლებლის სასიკვდილო ხარეცელთან დადგებოდნენ. ჯერჯერობით კი ცოცხლად ისმენდნენ სიტყვებსა და მოწვეული მსახიობების გამოსვლებს, ინტერესით აკვირდებოდნენ ცეკვას, ასე ოსტატურად რომ გამოხატავდა ღმერთ დიონისესა და არიადნეს ქორწილს. უსმენდნენ ფლეიტასა და კითარას, მოცეკვავე აკრობატი ქალის მოქნილ მიმოხრას ყურადღებით აკვირდებოდნენ. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ,– მოგვითხრობს პლატონი,– ათენიან ახლოს, პრიაში, ხანდაზმული კეფალის ოჯახში მოკამათეები ერთურთს კვლავ შეხვდნენ. სოკრატე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემაზე მსჯელობდა, იმაზე, რა არის იდეალური სახელმწიფო და როგორ უნდა აღვზარდოთ მოქალაქენი. სამყაროს შექმნისა და ლეგენდარული ატლანტიკის შესახებ სასაუბროდ სოკრატე კრიტონის სახლში ერთი დღის შემდეგ მივიდა.

ისინი, ვინც სტუმართმოყვარე კალიას სახლში სოკრატეს სრულიად ახალგაზრდა შეხვდა, მრავალი წლის შემდეგაც ისევე, როგორც 416 წელს, შეიკრიბნენ ლხინის სუფრასთან (Symposion – ნადიმი) ცნობილ ტრაგიკოს პოეტ აგათონელთან, სწორედ მასთან, ვინც ყმაწვილკაცობაში სოკრატესა და პროტაგორას კამათს უსმენდა.

ბერძნული ტრადიციისამებრ, წყლით გაზავებული ჭიქა ღვინით ერთობლივ საუბარს არა მხოლოდ გასართობი, არამედ ფილოსოფიური მნიშვნელობაც ჰქონდა. ამიტომ, როცა ტრაგიკოსმა აგათონმა თავისთან მეგობრები მიიწვია, რათა თეატრში მოპოვებული გამარჯვება აღენიშნათ, ნადიმზე ათენელ ცნობილ პირთა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე სოკრატე იყო.

ლხინის მონაწილენი სილამაზესა და სიყვარულის პრობლემებზე მსჯელობდნენ. ყოველი მათგანი განსაკუთრებულ სიტყვას წარმოთქვამდა. სოკრატე ყველას აჭარბებდა. იგი განავითარებდა მშვენიერ ლოგიკას, ადამიანის უმაღლესი სიყვარულისა და უზენაესი სიკეთისაკენ თანდათან რომ მიემართებოდა. სოკრატეს წარმონათქვამმა გაიმარჯვა. მოულოდნელად ალკიბიადე, მისი ძველი მოყვასი და საყვარელი ადამიანი, შემოიჭრა და თავი ბრწყინვალე გვირგვინით შეუმკო. აღფრთოვანებული ალკიბიადეს მიერ წარმოთქმულ სოკრატეს საქებ სიტყვას ისმენდა ყველა.

მაგრამ დადგა მძიმე დროება. პელოპონესის ომის წარუმატებლობით დასუსტებულმა დემოკრატიამ 411 წელს ალკიბიადეს მოღვაწეობასა და ე. წ. ოლიგარქიულ „ოთხასთა საბჭოსთან" დაკავშირებით თავისი პოზიციები დაკარგა. გადასინჯეს კონსტიტუცია, ოდინდელი თავისუფლება შეკვეცეს და, თუმცა 410 წელს დემოკრატია აღსდგა, ცალკეული პარტიების დემაგოგ ბელადთა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ ხალხში დიდი უკმაყოფილება წარმოშვა.

სოკრატე უნებლიეთ აღმოჩნდა მომავალი, მეხუთე საუკუნის რამდენიმე ბოლო წლის მოვლენათა შუაგულში. სწორედ აქ, 408 წელს ერთურთს შეხვდნენ სოკრატე და პლატონი. წვრილმანები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ეს შეხვედრა, ტრადიციული გაგებით, რაღაც უჩვეულო მოვლენა უნდა ყოფილიყო. სოკრატემ იგი სიზმრით იწინასწარმეტყველა. დანასიზმრებმა გედმა –პლატონმა ბოლოს და ბოლოს იპოვა მასწავლებელი. მას მთელი ცხოვრება უერთგულა და თავისი თხზულებებით სახელი გაუთქვა, რაკი მისი ცხოვრების პოეტურ მემატიანედ იქცა. ამიერიდან პლატონმა ყველა ადრინდელი გატაცება – მუსიკა, ლექსი, პალიტრა, თეატრი და მანამდელი ფილოსოფიური ძიებანი უარყო. ცოდნამ, რომელიც მან კრატილესთან ამოკრიბა, უკიდურესობამდე მიიყვანა ჰერაკლიტეს მოძღვრება, ყოველი არსებულის დენადობის შესახებ და საერთო ცოდნასა და პირობითობაზე დააეჭვა. სოკრატემ მისცა პლატონს ის, რაც მას ასე აკლდა, - მტკიცე რწმენა ჭეშმარიტებისა და ცხოვრების უმაღლეს ღირებულებათა არსებობა, რომელიც სიკეთესა და სილამაზესთან ზიარების ძნელი გზითა და შინაგანი თვითსრულყოფით შეიცნობა.

ფილოსოფიით მშვიდობიანი თავშექცევა პოლიტიკურ ცხოვრებას გვერდს ვერ აუვლიდა. სოკრატესა და პლატონს წილად ხვდათ, ამ უცილობელ ფაქტს მალევე შეჯახებოდნენ. ქალაქის მმართველები ცდილობდნენ, ყოფილი წესრიგი და კანონებისადმი განუხრელი მორჩილება აღედგინათ, რისთვისაც მიმართავდნენ რელიგიურ გრძნობებსა და უძველეს წეს-ჩვეულებებს, მაგრამ ძლიერი ძალაუფლებისადმი გამოდევნებით დემოკრატიული ტრადიციები თავადვე დაარღვიეს. ასე აღმოჩნდა ჩაითრეული სოკრატე ტრაგიკულ ისტორიაში. ათენელ სტრატეგებს 406 წელს არგინუზიის კუნძულებთან ბრძოლის შემდეგ რომ შეემთხვათ. ათენის ფლოტმა 10 სტრატეგოსის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ გაიმარჯვა პელოპონელებზე, თუმცა ამოვარდნილმა ქარიშხალმა ათენელებს საშუალება არ მისცა, თავიანთი დაღუპული მეომრები დაეკრძალათ. შეუშინდა რა სასჯელს, სამშობლოში მხოლოდ ექვსი სტრატეგი დაბრუნდა, დანარჩენი კი გაიქცა. დაბრუნებულები, როგორც გამარჯვებულები, ჯერ დააჯილდოვეს, შემდეგ ბრალი დასდეს რელიგიურსა და მამაპაპეულ წესჩვეულებათა დარღვევაში. ხელისუფლებას ისე ეჩქარებოდა, სტრატეგებს გასწორებოდა, დაეშინებინა მოქალაქეები, რომ მოითხოვა, მათი ბედი ერთ დღეში გადაეწყვიტა, ხმა ერთბაშად, ერთიანი სიით მიეცა და თითოეულის საქმე ცალ-ცალკე არ განეხილა. სოკრატე სწორედ 406 წელს აირჩიეს ათენის „ხუთას მრჩეველთა" („ბულე") წევრად. ამ საბჭოში გაწევრიანება 30 წლის ასაკის ყველა ათენელს შეეძლო. საბჭო ათენის 10 სამხარეო ადმინისტრაციულ ერთეულად. ე. წ. ფილედ იყოფოდა. თითოეულ განყოფილებაში 50 ადამიანი შედიოდა. დაახლოებით 40 დღის განმავლობაში ათეულიდან ყოველი ერთეული რიგრიგობით ასრულებდა მოვალეობას. ბულესტების სხდომა იწოდებოდა პრიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანიებად, ხოლო თვით სესიის მონაწილენი – პრიტანებად. აღმოჩნდა, რომ სტრატეგთა გასამართლების დღეს სოკრატე პრიტანთა რიცხვში იყო და, უფრო მეტიც, ამ დღისთვის იგი ეპისტატედ, ანუ მთელი სათათბიროს მეთაურად გამოცხადდა. ყოველთვის დამოუკიდებელი და სამართლიანი სოკრატე უკანონო, ნაჩქარევ სასამართლოს მკვეთრად დაუპირისპირდა ყოველგვარი განხილვის გარეშე:

აღნიშნულ მოვლენათა თანამედროვე ქსენოფონტე თავის „ბერძნულ ისტორიაში“ და გვიანი ისტორიკოსი დიოდორე დაწვრილებით მოგვითხრობენ ამ მტანჯველ საქმეებზე. ჯიუტი სოკრატესთვის გვერდი რომ აექციათ, გადაწყვიტეს, სასამართლო შემდეგი დღისთვის გადაედოთ. ამ დროისთვის საბჭომ სხვა ეპისტატი აირჩია. სტრატეგები დაადანაშაულეს და დასაჯეს. თვით სოკრატე მმართველი პარტიისგან დევნას ძლივს გადაურჩა. თავისი დემოკრატიული დადგენილების დარღვევის გამო ჭეშმარიტი ცოდნისა და აბსოლუტური სამართლიანობის მაძიებელი სოკრატე უნებლიეთ დაუპირისპირდა დემოკრატებსაც და მათ მტრებსაც. პოლიტიკურ ცვლილებებსა და ინტრიგებს არ დამორჩილდა, თუმცა თვით ფორმალობათა დაცვაში სრულიად გამოუცდელი იყო და კიდეც დაიმსახურა საყოველთაო დაცინვა. რადგან არ იცოდა, როგორ მოეპოვებინა ხმები საბჭოში.

სოკრატეს უჩვეულო საქციელი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ერთ-ერთ პირველ ნაწარმოებში „სოკრატეს აპოლოგია“ პლატონი ამ ისტორიის შესახებ თვით სოკრატეს პირით მოგვითხრობს, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. თუმცა სოკრატე ყველას არწმუნებდა, რომ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას უკრძალავდა შინაგანი ხმა, რომელსაც იგი „დემონს“ უწოდებდა, მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, რომ „დემონი“ არასოდეს უკრძალავდა სოკრატეს, დაეცვა სამართლიანობა, სერიოზული სასჯელის ფასადაც რომ დასჯდომოდა ეს. საფიქრებელია, რომ ეს „დემონი“ იყო არა რაღაც, არამედ თვით სოკრატეს სინდისის ხმა, რაც მას უნებლიე სახიფათო მოქმედებებისაკენ უბიძგებდა და ყოველდღიურ ჩვეულ ფილოსოფოსობას აშორებდა.

404 წელს ათენელი პოლიტიკოსი კრიტოსი, თვით ბრწყინვალე სოფისტი და გონებამახვილი პოეტი, ოლიგარქიების ერთგული, ოდესღაც სოკრატეს რომ უსმენდა და ახლა სოფისტებისკენ გადაბარგებულიყო, სახელმწიფო გადატრიალებას ჩაუდგა სათავეში. დემოკრატიის აღდგენის შემდეგ, როცა ხელმეორედ გააძევეს ალკიბიადე, თვით კრიტოსსაც მოუწია დევნილებაში ყოფნამ. იგი თესალიაში ცხოვრობდა, იქაც პოლიტიკურ თამაშს ეწეოდა და ათენს სპარტანულ სამხედრო არისტოკრატული წყობილების მხურვალე ერთგული დაუბრუნდა. ათენის ოლიგარქიამ გადატრიალებამდე 30 ტირანის ძალაუფლების სახელწოდება მიიღო. ეს 30 შეთქმული სათავეში იდგა და ათენის მცირე ნაწილს წელიწადზე მეტხანს მართავდა. ისინი აძევებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ იმათ, ვინც არ ემორჩილებოდათ.

პლატონის კვალდაკვალ დავადგენთ სოკრატეს დამოუკიდებლობისა და გაბედულების კიდევ ერთ ფაქტს. იგი იმხანად ათენის საბჭოს პრიტანი იყო და, ტირანთა წესით, ხუთ თანამოქალაქესთან ერთად, რომელნიც ანალოგიურ მოვალეობას ასრულებდნენ, სალამინის კუნძულიდან ცნობილი ლეონი უნდა ჩამოეყვანა, რათა სიკვდილით დაესაჯათ იგი. ლეონი უმდიდრესი კაცი იყო და ოლიგარქები მისი ქონების დაპატრონებას ცდილობდნენ. თუმცა სოკრატე ამ ბრძანებას წინ აღუდგა და კვლავაც მარტო, მაშინ, როცა დანარჩენმა ოთხმა ლეონი დასაღუპავად მოიყვანა. სოკრატე ძლივს გადაურჩა სიკვდილით დასჯას. თანაც ვისგან? კრიტოსისა და ქარმიდესაგან, იმათგან, ვინც მას მასწავლებლად თვლიდა.

ამ დროისათვის ალკიბიადე მცირე აზიაში მოკლეს, მაგრამ ოდითგანვე გაცვალა ძნელი, სოკრატესეული მართლისძიება პოლიტიკურ ინტრიგებზე. ვინ-ვინ და პლატონი აქ უტყუარი მოწმე იყო, ვინაიდან მისი პაპის ძმა კრიტოსი ცდილობდა, პლატონიც ოლიგარქიულ პოლიტიკაში ჩაეთრია, რაც პლატონმა გადაჭრით იუარა. ხოლო ქარმიდე - უმრწემესი ძმა პლატონის დედისა, სწორედ ის ბრწყინვალე ახალგაზრდა იყო, ოდესღაც სოკრატემ რომ დაიყოლია, საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მიეყო ხელი.

საბედნიეროდ, ოცდაათის ძალაუფლება 403 წელს დამარცხდა. კრიტოსი დაიღუპა სტრატეგთან და ათენის დემოკრატიის მამასთან ფრასიბულესთან ბრძოლაში. იმავე ბრძოლაში დაეცა ქარმიდე. პლატონის ოჯახი გავლენიანი ნათესავების გარეშე დარჩა. სოკრატეს საშუალება მიეცა, პლატონთან კიდევ რამდენიმე წელს ემეგობრა.

შესაძლოა, პლატონის დიალოგი „გორგია“, სადაც აღწერილია 405 წელს თითქოსდა სოკრატეს შეხვედრა ცნობილ სოფისტთან, ამ დროისათვის უკვე ღრმად მოხუცებულ გორგია ლეონტიელთან, იყო იმ მოვლენათა გამოძახილი, რომლებმაც თავდაჯერებული არისტოკრატები წინ, პოლიტიკური ცხოვრების ოხემზე წამოსწიეს. შეხვედრაზე გიმნაზიაში სოკრატე მეგობარ ქეროფონტესთან ერთად მივიდა, სადაც გორგიამ უკვე დაასრულა გამოსვლა. დამსწრეთა შორის იყო ვინმე მდიდარი არისტოკრატი, ახალგაზრდა კალიკლე; შესაძლოა, პლატონის მიერ გამოგონილი პირიც; მხატვრული განვრცობა სოფისტური მსოფლშეგრძნებისა უკიდურესობამდეა დაყვანილი. კალიკლე სახელმწიფო კარიერისკენ ისწრაფოდა. იგი ჭკვიანი, გამჭრიახი, სასტიკი, ეგოისტი, ყველა გაგებით „ძლიერი ადამიანი“ იყო. სოკრატე კარგს არას ელოდა, როცა მის ბრჭყალებში აღმოჩნდა. კალიკლე თითქოსდა წინათგრძნობა იყო სოკრატეს შეჭირვებული ბედისა. რა თავდაჯერებული და უცოდველი ხმით მსჯელობდა იგი მოხუცი სოკრატეს წინაშე, რომ სამართლიანია, ბრბოზე მაღლა იდგე, როცა უკეთესი უარესზე მაღლაა, ძლიერი სუსტზე დიდია. კალიკლე ადამიანის დამღუპველად თვლიდა სოკრატეს ფილოსოფიას. მისით შეიძლებოდა მხოლოდ ახალგაზრდობა ყოფილიყო გატაცებული: მისი აზრით, ფილოსოფიით დაინტერესებული ასაკოვანი ადამიანისთვის საჭირო იყო მათრახი, ვინაიდან ფიქრებში ჩაძირული ასეთი ადამიანი კარგავს სამოქმედო ძალას და გაბედულ საუბარს ვერ ბედავს (ვერ ბედავს, შემართოს სიტყვა). კალიკლე სოკრატეს თითქოს უწინასწარმეტყველებდა, რომ, თუ კი მას შეიპყრობდნენ და სატუსაღოში ჩასვამდნენ, იგი ვიგინდარა ბრალმდებლების წინაშე დაუცველი იქნებოდა და სულს განუტევებდა იმ შემთხვევაში, თუ სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ. კალიკლესათვის სუსტები ბრბოა, ხოლო ძლიერები ისინი არიან, ვინც სახელმწიფო საქმეებს დაუნდობლად წყვეტენ და სულიერი მოდუნების მიზეზით შუა გზაზე არ შეჩერდებიან.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ სოკრატეს სამართ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლიანობის ძიება ძლიერთა ამა ქვეყნისაია უკვე აღიზიანებდა და დაიწყეს ფიქრი, როგორ დაეღწიათ თავი ამ მომაბეზრებელი ფილოსოფოსისგან.

ოლიგარქიების დაცემის შემდეგ, როგორც ჩანს, 402 წელს, სოკრატე კიდევ ერთ „ძლიერ" პიროვნებას, ალევადთა გვარის წარმომადგენელ თესალიელ მენონს შეხვდა, რომელიც სპარს უფლისწულ კიროს უმცროსთან ბრძოლაში ჩაება და სპარსეთში წამებით მოკვდა. ეს მენონი არც სიმართლეს, არც პატიოსნებას, არც ღვთისმოსაობას ზნეობად არ თვლიდა, თუმცა სოკრატეს ჯერ ისევ პატივს სცემდა. ხოლო იქვე ანიტე იჯდა, მდიდარი დაბალი, წამყვანი დემოკრატი და ოცდაათის მტერი, ვის დამხობაშიც იგი აქტიურად მონაწილეობდა, მაგრამ აღმოჩნდა, ეს გამოჩენილი, „ძლიერ" პიროვნებათა წინააღმდეგ მებრძოლი მათგან ცოტათი თუ განსხვავდებოდა. სოკრატეს ისიც ეჭვის თვალით უყურებდა, მის ენამახვილობაში ვერ გარკვეულიყო და მასაც ახალგაზრდების გამრყვნელ სოფისტებს მიათვლიდა. მისთვისაც ყოველი ახალი ქროლა მავნე იყო, ძველი კეთილი წესების წინააღმდეგ მიმართული. იგი, დოგმატურად მოაზროვნე ფილოსოფიის მოძულე, კალიკლეს არაფერში უთმობდა, ამ უკანასკნელის მიერ სოკრატესთვის ნაწინასწარმეტყველები მწარე ხვედრის განმახორციელებელი იყო, ერთი იმ გარეწარ ბრალმდებელთაგანი, რომელთა წინაშეც სოკრატემ თავის გამართლება ვერ შეძლო.

სოკრატეს მტრები არ თვლემდნენ. 399 წელს სოკრატეზე უსახელო წერილი შეიტანეს მელეთეს. მდიდარ მეღაბალე ანიტეს და ორატორ ლიკონის მიერ შედგენილი. პირველი ბრალმდებელი ფორმალურად მელეთი იყო, მაგრამ, არსებითად, მთავარი როლი გავლენიან ანიტეს ეკუთვნოდა, რომელიც სოკრატეს ასამართლებდა. ვიწრო კონსერვატული კეთილსაიმედოობით მასში სოფისტს, ძველი იდეალების საშიშ, სახელმწიფო რელიგიურსა და ოჯახური ცხოვრების კრიტიკოსს ხედავდა. ბრალდებაში ეწერა: ეს ბრალდება დაწერა და ფიცით დაადასტურა მელეთმა, მელეთის ძემ, პითეელმა, სოკრატეს, სოფრონეს შვილის, დემელი ალიპეკის წინააღმდეგ. სოკრატეს ბრალად ედებოდა, რომ იგი არ ცნობდა ღმერთებს, რომლებსაც აღიარებდა ქალაქი და სხვა, ახალი ღმერთები შემოჰყავდა; მას, აგრეთვე, ახალგაზრდების გარყვნაში ადანაშაულებდნენ. სასჯელად სიკვდილს მოითხოვდნენ. როგორც პლატონი მოგვითხრობს, სოკრატე გეომეტრ თეოდორე კირენელთან და ახალგაზრდა ტეეტეტთან, ცნობილ მეცნიერთან, ფილოსოფოსთან, მამაც და კეთილშობილ ადამიანთან მშვიდად ბაასობდა. ძველთაძველი ამბავი განმეორდა: ოდესღაც ახალგაზრდა სოკრატე მოხუც პერმენიდეს გულის ფანცქალით უსმენდა. ახლა სამოცდაათი წლის მოხუცი სოკრატე გზას ტეეტეტს ულოცავდა. ბოლოს სოკრატესა და დედამისისათვის ღმერთისაგან ნაბოძებ ხელოვნებაზე ლაპარაკობდნენ – დედას მშობიარეთათვის, სოკრატეს ახალგაზრდებისათვის მშვენიერი აზრები რომ ეშვათ. სოკრატეს თითქოსდა მოულოდნელად ახსენდება, რომ იგი სასამართლოში უნდა წავიდეს, სადაც გამოიძახეს, რადგან ბრალს მელეტე სდებს. თუმცა სოკრატესათვის სასამართლოში გამოძახებასაც არ შეუშლია ხელი, მეორე დღეს თავის თანამოსაუბრეებს შეხვედროდა და „ბებიაქალის ხელოვნებით" გაერკვია თუ რას წარმოადგენს ნამდვილი სოფისტი. საერთო დასკვნა ასეთი იყო: სოფისტური კამათი ცარიელი ლაყბობაა, რაც დროსა და ფულს გაკარგვინებს. სოფისტის ხელოვნება სხვა არაფერია, თუ არა კამათი გამორჩენისათვის, თუმცა დიალექტიკური საუბრიდან გამოტანილი დასკვნა უბრალო, გაუნათლებელი მოქალაქისათვის არაფერს წარმოადგენს. სიბრძნესთან უზიარებელ ასეთ ათენელს, ხელოსანს თუ ვაჭარს ახსოვდა ან უფროსებისგან მოესმინა ვინმე სოკრატეზე,. რომელსაც ოცი წლის წინათ არისტოფანეს კომედიაში დასცინეს. ყველაფერი, რაც მიწაზეა და რაც მიწაშია, იმ სოკრატემ გამოიკვლია. მავნე და ახალგაზრდების გამრყვნელი, საინტერესო თაღლითი იყო. ასწავლიდა თუ როგორ მოეტყუებინა მოქნილი სიტყვით სასამართლოში თვისი კრედიტორები. ამასთან მოხუცი სოკრატე რომელიღაც უხილავ ღმერთებსა თუ ღრუბლებს, გრგვინვასა თუ გრიგალებს ეთაყვანებოდა. ყველგან ამბობდა, რომ მის შიგნით რაღაც „დემონი" ცხოვრობს, როცა საჭიროდ მიიჩნევს, ის წყალობს მას; ესაა ხმა, რომელსაც უცილობლად უნდა უსმინო. დასასრულს, ყველა სიავეთა მიღმა, უფროსი თაობა იხსენებს, რომ სოკრატეს ალკიბიადე, კრიტოსი და ქარმიდე ვერ შორდებოდნენ და ამაყობდნენ იმით, რომ მისი მოწაფეები და მეგობრები იყვნენ. ხოლო რა უბედურება დაატყდა თავს ათენს ალკიბიადესა თუ კრიტოსისაგან და რამდენი უდანაშაულო და ღირსეული მოქალაქე დაიხოცა ოცდაათითა ტირანიისას. ყველამ იცოდა. სოკრატეს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა.

მანამდე სოკრატე და მათემატიკოსი თეოდორე ახალგაზრდა მეგობრებთან ერთად წყვეტდნენ საკითხს, თუ რა არის პოლიტიკის ხელოვნება და ცოდნის დანაწილების ერთიულეს სისტემას არკვევდნენ, რასაც ამ ამაღლებულ ხელოვნებამდე მივყავართ. სოკრატეს ბრალეულობის საქმე ცუდად წარიმართა. სასამართლო განხილვა დაინიშნა ნაფიც მსაჯულთა ერთ-ერთ განყოფილებაში, ანუ ჰელიეუმში 5000 მოქალაქისა და 1000 სათადარიგოს ჩათვლით, რომელნიც ატიკის ყოველი 10 ფილედან ყოველწლიურად კენჭისყრით ირჩეოდნენ. სოკრატეს საქმის განმხილველი განყოფილება 500 კაცისაგან შედგებოდა. ხმის მიცემისას ამ რიცხვს კიდევ ერთი მსაჯული მიუმატეს, რათა სასამართლოს წევრთა რაოდენობა კენტი ყოფილიყო.

სოკრატე სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო და თავი დაეცვა. მას აღუთქვა დახმარება და განთქმულმა სასამართლო ორატორმა ლისიამ, რომლის მამის სახლშიც სოკრატე ოდესღაც დროს ატარებდა, მსჯელობდა რა იდეალურ სახელმწიფოზე. სიტყვაც მოუმზადა. მაგრამ ეს იყო 20 წლის წინათ. ლისიამ მამა დაკარგა. მისი ძმა 30 ტირანის დროს დაიღუპა: ხოლო თვით გამოჩენილი ორატორი კონსერვატორი დემოკრატებისაგან სოკრატეს დაცვას ცდილობდა. სოკრატემ ლისიას მიერ მომზადებული სიტყვა უარყო. თუმცა მიღებული იყო, ათენში ორატორ-ლოგოგრაფებისათვის ასეთი დამცავი სიტყვა ან აპოლოგიები სპეციალურად შეეკვეთა. სხვადასხვა მდგომარეობის, შეძლებისა და განათლების მქონე ადამიანებთან საუბარს ჩვეული სოკრატე შეეცადა, თავის უდანაშაულობაში თავად დაერწმუნებინა სასამართლო, სადაც შესაძლო იყო ნაფიც მსაჯულად ნებისმიერი 20 წელს გადაცილებული ათენელი მოქალაქე მოეყვანათ. ნაფიც მსაჯულთა მოვალეობას ასრულებდა მექოთნე, მეიარაღე, მკერავი, მზარეული, მეზღვაური, ექიმი, ხურო, დაბალი, მეწვრილმანე, მასწავლებელი, მუსიკოსი, მწერალი და მრავალი სხვა. მოედნებსა და ბაზარში საუბარს ჩვეული იყო სოკრატე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოკრატეს მდგომარეობა გართულდა; ბრალმდებლების გამოსვლის შემდეგ სიტყვა მას მისცეს. დასაცავი სიტყვის წარმოთქმის დრო მკაცრად იყო შეზღუდული. კლეპსიდრე, ანუ წყლის საათი გამოსაჩენ ადგილზე დადგეს. სოკრატეს კი ბევრი რამის თქმა ეწადა და სურდა, ოცი წლის წინანდელი ბრალდებისაგან თავი გაემართლებინა, არისტოფანემ რომ გაუხსენა ახლანდელი ბრალმდებლების წინაშე. ფაქტობრივად, არც ერთი კონკრეტული ბრალდება არ არსებობდა. როგორც თვითონ ამბობდა, სოკრატეზე ჭორებსა და აჩრდილებს ებრძოდა. მაგრამ მშვენივრად იცოდა, რომ მას ცილს სწამებდნენ ისინი, რომელთა არარაობასა და უმეცრებას მიწყივ ააშკარავებდა. ისინი გულუბრყვილო, უბრალო, ჭორსა და მითქმა-მოთქმას აყოლილი ხალხი იყო. სოკრატეს საშუალება ჰქონდა, სიტყვით გამოსვლისას მელეთისადმი, ჩვეულებისამებრ, ირონიული კითხვები დაესვა და ისიც ან შეუსაბამოდ პასუხობდა, ან დუმდა, მაგრამ სოკრატეს, რომელიც ჩვეული იყო ხალხისთვის არა მატერიალური სურვილები, არამედ ზნეობრიობა დაემტკიცებინა, თავი ღირსეულად ეჭირა და არ ეძებდა შეწყნარებას, რადგან იცოდა, რომ ნაფიც მსაჯულებს გულს ვერ მოულბობდა სიღარიბით, ვერც სიბერითა და ვერც თავისი სამი შვილის შეხსენებით, რომლებიც უნდა დაობლებულიყვნენ. თავის სიმართლეში დაჯერებული აცხადებდა, რომ მომავალშიც მოქალაქეთა აღზრდას არ შეწყვეტდა. არაფერს მალავდა, - სასამართლოს იმ ორაკულზეც შეახსენა, უბრძნესად რომ აღიარეს; იმ იდუმალ ხმაზეც, მას რომ უღირსი საქციელისგან თავს აკავებინებდა; იმაზეც, რა მამაცად უმკლავდებოდა ოცდაათთა ტირანიას, რომ იგი სპეციალურად არ ასწავლიდა ვინმეს და ფულიც აროდეს აუღია. მოწმედ თავისი მეგობრები მოიყვანა, გულის ფანცქალით რომ უსმენდნენ მას. იქ იყვნენ მოხუცი კრიტონი და მისი ძე კრიტობული, ესქინე სფეტადან მამასთან ერთად, ანტითონე და ნიკოსტრატე. აქვე იყო აპოლოდორე ძმასთან ერთად და არისტონეს ძენიც, ადიმანტი და პლატონი. სასამართლოსგან სოკრატე არ ითხოვდა ჭეშმარიტების დაფარვასა და ფიცის გატეხას, იგი მხოლოდ სამართალს ეძებდა.

გამოცხადდა შესვენება და საქმის განხილვის შემდგომ მსაჯულებმა საბრალდებო დასკვნა გამოიტანეს. სოკრატეს სიამაყემ ზოგიერთი გააღიზიანა კიდეც, რადგან იგი არც ტიროდა და არც შეწყნარებას ითხოვდა. სხვანი აპოლონის მიერ ბრძენთაბრძენად გამოცხადებულსა და რაღაც დემონური ხმის მქონეს უფრთხოდნენ, ზოგს სოკრატეს თავმდაბლობა და ურყეობა, თავის სიმართლეში სიმტკიცე არ მოსწონდა. პლატონის მოწმობით სოკრატეს გასამართლებას 221 ადამიანმა მისცა ხმა. წინააღმდეგ კი 280-მა. მას სულ რაღაც 30 ხმა დააკლდა. ვინაიდან გასამართლებლად 501-დან ნაფიც მსაჯულთა მინიმუმ 251 ხმა იყო საჭირო. ათენის კანონების თანახმად, ბრალმდებელი 1/5 ხმას თუკი ვერ მოაგროვებდა, ვალდებული იყო, ქრთამის სახით 1000 დრაჰმა გადაეხადა. და შემდგომ უფლება აღარ ჰქონდა, სასამართლოში მსგავსი სარჩელი შეეტანა. მხოლოდ ორმა ბრალმდებელმა – ანიტემ და ლიკონმა – ხმების აუცილებელი რაოდენობა მოაგროვა. მელეთმა თავის წერილობით ბრალდებაში სოკრატეს სიკვდილით დასჯა მოითხოვა. ათენის კანონებით ბრალდებულს უფლება ჰქონდა. სასჯელის ფორმა თვით შეერჩია და სოკრატემ მისთვის ჩვეული ირონიით თავის თავს, სიბერეშიც კი მთელი ძალები ათენელ მოქალაქეთა აღზრდას რომ შეალია, პრიტანიაში, საზოგადოებრივ ხარჯებზე სამარადისო სადილი შესთავაზა, რაც განკუთვნილი იყო ოლიმპიური თამაშობების ათლეტების ჯილდოდ. მსაჯულნი აღაშფოთა ამ დაცინვამ და ახმაურდნენ ისე, როგორც მაშინ, როცა სოკრატე სიტყვას წარმოთქვამდა. სოკრატე განაგრძობდა. იგი მზად იყო, გადაეხადა ჯარიმა ერთი მინა, მისი ქონება კი 5 მინად შეფასდა. მაგრამ იქ მყოფი მეგობრები, კრიტონი, კრიტობული, აპოლოდორე და პლატონი სთხოვდნენ, მსაჯულთა მოსათაფლად – ჯარიმად 30 მინა დაენიშნა, თავდებობას კი თვითონ კისრულობდნენ. ისინი შეძლებული ადამიანები იყვნენ და იმედი ჰქონდათ ფულის დროულად შეტანისა.

სასამართლო ჯარიმით არ დაკმაყოფილდა. სოკრატეს ირონიით შეურაცხყოფილ მსაჯულთაგან სიკვდილით დასჯას მისცა ხმა ახლა 80-ით მეტმა. საბრალო აპოლოდორემ სასიკვდილო სასჯელის გამოტანის შემდგომ სოკრატეს შესტირა: „ჩემთვის განსაკუთრებით მძიმეა, სოკრატე, სიკვდილი რომ უსამართლოდ მოგისაჯეს,“ რაზეც სოკრატემ უპასუხა: „შენთვის სასიამოვნო იქნებოდა, რომ განაჩენი სამართლიანი ყოფილიყო?“ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე პლატონი შეეცადა მსაჯულების შეგონებას. კიდეც ააღწია ფიცარნაგზე და დაიწყო ლაპარაკი: „ძირს! ძირს! ისლა გვაკლია, საპატიო სასამართლოს არისტონის შვილისთვის მოგვესმინა, იმისი უახლოესი ნათესავისათვის, ვინაც ამ რამდენიმე ხნის წინ ოლიგარქიას მოთავეობდა...“

სოკრატე მშვიდად იყო. მან თქვა, რომ ბუნებამ დაბადებიდან ისევე, როგორც ყველა ადამიანი, ისიც სასიკვდილოდ გაწირა. სიკვდილი კი კეთილდღეობაა, ვინაიდან საშუალებას იძლევა, არარაობად იქცე და ვერაფერს გრძნობდე ან, თუ ვირწმუნებთ საიქიო ცხოვრებას, სახელოვან ბრძენთ და წარსულის გმირებს შეხვდე.

იგი მზად არის, აიდშიაც გამოსცადოს მისი ბინადარნი, ანუ ვინაა მათ შორის ბრძენი და ვინ ბრძნად გვაჩვენებდა თავს. პატივს სცემდა რა ათენელების გადაწყვეტილებებს, მან ითხოვა შვილებზე მზრუნველობა და მათი პატიოსან გზაზე დაყენება ისე, როგორც თვითონ სოკრატე ზრუნავდა მოქალაქეების ზნეობრივ ცხოვრებაზე. მაგრამ უკვე აქედან უნდა წავიდეთ, – დაასრულა მან, „მე – სიკვდილში, თქვენ კი კვლავ სიცოცხლე განაგრძოთ, ხოლო რომელია აქედან უმჯობესი, ღმერთის გარდა არავინ უწყის“.

სოკრატემ ახალ მამხილებელთა მოსვლა უწინასწარმეტყველა მათ, – რაც უფრო ახალგაზრდანი არიან, მით უფრო მკაცრნი იქნებიან ისინიო, უსამართლობის მათებური მხილება ყველაფერზე ალმატებული იქნება, რასაც აქამდე ვაკეთებდიო. ისინი, ვინც მოხუცი ფილოსოფოსი აწამა, პასუხს აგებენ სამართლიანობის დარღვევისათვის და მალე შეემთხვევათ უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე სატანჯველი, რომელიც სოკრატეს მიუსაჯესო.

გადმოცემით, სოკრატეს ბრალმდებლებს მისი წინასწარმეტყველება აუხდათ. მოგვითხრობენ, რომ გონს მოსულმა ათენელებმა ქალაქიდან გაყარეს ისინი, აღუკვეთეს „პური და წყალი“. ბოლოს კი მათ სხვა გზა არ ჰქონდათ და თავი ჩამოიხრჩეს. შთამომავლებს უნდოდათ, რომ სოკრატეს მკვლელებს ოდესმე სამაგიერო მიზღოდათ და აი, შეიქმნა ლეგენდა, რომ ანიტე, მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



არი შემგულიანებელი და მღევნელი, მოკლეს – ქვით ჩაქოლეს და საშინელი წამებით გარდაიცვალა.

მაგრამ რაღას აქნევდა სოკრატე მასზე შექმნილ ლეგენდებს!

სასამართლო გადაწყვეტილებით სოკრატე ციხეში გაგზავნეს. განაჩენი მთელი თვის განმავლობაში ვერ აღასრულეს, ვინაიდან გემი, ყოველწლიურად ღვთაება აპოლონის სამშობლოში რომ იგზავნებოდა წმინდა ელჩობა „ფეორიით", ჯერ არ დაბრუნებულიყო. ხოლო მაშინ, როცა დელოსზე ფეორია ათენელი გმირის ტესეიას პატივისცემით იმყოფებოდა, სიკვდილით დასჯა იკრძალებოდა. ასე ცხოვრობდა სოკრატე სატუსაღოში კიდევ მრავალი დღე გარდუვალი სიკვდილის მოლოდინში. მას აკითხავდნენ მეგობრები. მოხუცი კრიტონი არწმუნებდა, გაქცეულიყო და სადმე თავი შეეფარებინა, ათენიდან შორს, თუნდაც თესალიაში, სადაც მას უკვე ელოდნენ. ცნობილი ფილოსოფოსი პითაგორელები ფივიდან სიმია და კებეტი მზად იყვნენ, მეგობარს დახმარებოდნენ და გადაეხადათ მისთვის, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევდნენ. ყველაფრიდან ჩანს, რომ თვით საპყრობილეს ზედამხედველები სასამართლოს უსამართლობით შეშფოთებულიყვნენ და ტუსაღს გულმოდგინედ არ იცავდნენ. ერთგული მოწაფეები ყოველდღიურად სტუმრობდნენ სოკრატეს. ისინი სასამართლოს შენობასთან იკრიბებოდნენ, ციხის კარის გაღებისთანავე მასწავლებელთან შედიოდნენ და მთელ დღეს მასთან ატარებდნენ. აი, დაირხა ხმა, რომ გემი დელოსიდან მეორე დღეს დაბრუნდებოდა და კრიტონი აჩქარებდა სოკრატეს, გადაეწყვიტა, რადგან გასაქცევად ყველაფერი მოგვარებული იყო. მაგრამ სოკრატე არ შედრკა. როგორ დაეტოვებინა ქალაქი, სადაც დაიბადა, აღიზარდა, განათლება მიიღო? მამა-პაპათა კანონები? განა ისინი აპატიებდნენ სიმხდალეს? რას იტყოდა ხალხი, რომელთაც სოკრატე ჭკუას არიგებდა და შეაგონებდა? არა, სიკვდილს ღირსეულად უნდა შეხვდეს და წინ არ აღუდგეს სიავეს, რომელიც მას მშობლიურმა ქალაქმა მიაყენა. არ შეიძლება, ბოროტებას ბოროტებითვე მიუზღა, კანონი და ქვეყნის ადათი დაარღვიო. სიტყვათა ექო, რომლითაც თითქოს სოკრატეს მიმართავდა კანონი, მის გულში ხმას გამოსცემდა. როგორ ებრძლებოდა მოხუცი კრიტონი, მაგრამ საუკეთესო არჩევანი იყო, წმინდა ელჩობის ჩამოსვლას მორჩილად დალოდებოდა.

როგორც სოკრატემ იწინასწარმეტყველა, ხომალდი კრიტონთან საუბრის მეორე დღეს ჩამოვიდა. მეგობრები ჩვეულებრივზე ადრე შეიკრიბნენ; უნდოდათ, მასწავლებელთან უკანასკნელი შეხვედრა გაეხანგრძლივებინათ. აქ იყვნენ ფედონი და აპოლოდორე კრიტობული მამასთან ერთად, ჰერმოგენე და ესქინე, ანტისთენე და მენექსენე, ეპიგენე და კტესიპა; კლეომბროტე და არისტიპე ამ დროისთვის კუნძულ ეგინეზე იმყოფებოდნენ. მტანჯველი მოვლენების შემდეგ პლატონი ავადმყოფობდა. სამაგიეროდ, ფივიდან მივიდნენ ერთგული სიმია და კებეტი, მეგარიდან – ევკლიდე და ტერპსიონე, აგრეთვე ფედონდი. ციხის ზედამხედველმა თერთმეტმა არქონტმა ხელი მოაწერა, სასჯელი იმავ დღეს აღსრულებულიყო. მათი ბრძანებით სოკრატეს ხუნდები ახსნეს და საწოლზე მჯდომმა სოკრატემ მთელი ამ ხნის განმავლობაში შემუპებული ხელი სიამოვნებით დაიზილა. მისი ცოლი, ქსანტიპა იქვე მოთქვამდა. ხელში უმცროსი ვაჟი ეჭირა. სოკრატემ კრიტოსს სთხოვა, სახლში წაეყვანა უბედური, თვითონ კი მეგობრებს სულის უკვდავებაზე, საიქიოში თავის ბედზე აუღელვებლად ესაუბრებოდა. საუბრობდა იმაზე, რა მშვენიერი და კაშკაშა წარმოედგინა ჭეშმარიტი ცა და მიწა. სოკრატე დარწმუნებული იყო, როცა ციკუტას დალევდა, შხამი მას მოაკვდინებდა, იგი ნეტართა ბედნიერ მხარეში გადაინაცვლებდა. მეზობელ ოთახში განიბანა, შვილებს და ნათესავებს გამოეთხოვა, უბრძანა, შინ დაბრუნებულიყვნენ. მზე ჩადიოდა. აი, გამოჩნდა თერთმეტის მსახური, როგორც მოსალოდნელი სიკვდილის გაფრთხილება. ხოლო სოკრატემ ამ უბადრუკ მაცნეს მისთვის დამახასიათებელი კეთილგანწყობით თავაზიანი კაცი უწოდა და ოდინდელი წესით შენდობა სთხოვა. მოვიდა კაცი მონითურთ. მას ხელში მომაკვდინებელი შხამით სავსე ფიალა ეჭირა. მოხუც ფილოსოფოსს აუცილებელი რჩევა-დარიგება მისცა, – შხამი უნდა შესვა და იარო, ვიდრე ფეხები არ დაგიმძიმდება, შემდგომ წამოწვე და დაელოდო, საწამლავი გულამდე ავიდეს და გულისცემაც შეწყდება. სოკრატემ თასი აუჩქარებლად აიღო ხელში და იოლად დაცალა. მეგობრები მის ირგვლივ გულამოსკვნილნი ტიროდნენ. გულსაკლავად ღრიალებდა აპოლოდორე. სოკრატემ ისინი შეარცხვინა კიდეც, სიკვდილი მოკრძალებულ მდუმარებაშია მართებულიო. იგი ჯერ დადიოდა, შემდგომ მიწვა და უკვე ველარ გრძნობდა, მის გაციებულ სხეულს თითებით როგორ სინჯავდა მსახური. და უცებ, სასიკვდილო სიცივე გულს რომ მიუახლოვდა, სოკრატემ უკანასკნელად ამოთქვა: „კრიტონ, ასკლეპიოსის მამალი გვმართებს, შესწირეთ, არ დაგავიწყდეთ". - „უსათუოდ, – გამოეხმაურა კრიტონი, – კიდევ რამე ხომ არ გინდა თქვა?" მაგრამ სოკრატეს პასუხი არ გაუცია. მზერა გაუშტერდა. კრიტონმა თვალები დაუხუჭა და პირი დაუხურა. სიკვდილის წინ თითქოს გამოჯანმრთელდა და მისი სული, მიწიერ ვნებათაგან გათავისუფლებული, მარადისობას შეუერთდა, უკანასკნელი ამოსუნთქვისას სწორედ ამიტომ გაახსენდა მსხვერპლი, რომელსაც მკურნალ ღვთაებას, ჯანმრთელობის მომნიჭებელ ასკლეპიოსს სწირავდნენ.

რუსულიდან თარგმნა ნოდარ შანიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ,,... მაინც მწვერვალებს ედება ქარი“

მოქანდაკე **გენო ზაქარაიას** ესაუბრება ჟურნალ ,,ცისკრის“ თანამშრომელი ქეთევან გამგებელი

*– ბატონო გენო, გვიამბეთ თქვენი ოჯახისა და, საერთოდ, იმ ატმოსფეროს შესახებ, რომელშიც იზრდებოდით. იმაზეც გვიამბეთ, როგორ აირჩიეთ პროფესია.*

– უპირველესად, მშვიდობა თქვენ!

ჟურნალი "ცისკარი" მრავლის დამტევი და მომლოდინე სახელია და მის "რკალში" რომ აღმოვჩნდი, დიდი მადლობა.

ახლა შეკითხვაზე:

მხატვრობა ჩემთვის პროფესია არ არის (კარგი გაგებით). ამიტომ კითხვა პროფესიონალიზმი ძალზე საფრთხილოა. ვიწყებ იმით, რომ ტრაქტორისტი, რომელიც ხნულს ავლებს მიწაზე, ჩემთვის უფრო შემოქმედია, ვიდრე ის, ვინც ახლად გაჭიმულ ხნულზე ბოლოქანქარა ჩიტივით ჭიაყელებს დაეძებს. პირადად მე ხნულიც გამივლია და ჩიტიც ვყოფილვარ, ხნულისთვის შეურაცხყოფა არ მიკადრებია.

მე ვიტყოდი, უფრო დიდი ნიჭი ადამიანთა თანადგომაა და შესანდობარია ურთიერთხელჩაკიდება (ბრეიგელს არ ვგულისხმობ).

დავიბადე სამეგრელოს ერთ ლამაზ რაიონში – მარტვილში – ჯერ სიტყვა რად ღირს, მარტვილობა! იქვე ჭყონდიდი, დიდი ჭყონდიდელი.

ჩემი სოფელი ნაჯახაოა, გვარიანი წარსულის მქონე სოფელი. "ჯიხა" – ამაღლებულ არქეოლოგიურ ადგილებს ნიშნავს. ბატონმა ნაპო ზაქარაიამ აქ არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა და ამ სოფლის ადრეული წარმოშობა დაადასტურა.

ჩემ გვარში იყო ვერცხლის დამუშავების ოსტატი, მისი ნამუშევრები ინახება რაიონის მუზეუმში. იყო ექიმიც, რომლის სახელს ბოლო დრომდე ატარებდა მარტვილის რაიონული საავადმყოფო. ისე, ჩემი ბავშვობის წლები მეზობელ სოფელში – ნაგებერაოში გავატარე. უფრო სწორად, დედულეთის სოფელია. ოთხ კილომეტრზე სოფელი ბანძაა, ისტორიაში მეხუთე საუკუნიდან ცნობილი. ჩემი ბავშვობის წლებში კვირა დღეს ყოველთვის მესმოდა პატარა ებრაელი ბიჭუნების ხალხმრავალ ბაზრობაზე "ცივია, ცივიას" ძახილი, დასალევ წყალს ჰყიდდნენ, ჭიქა ხუთ შაურად – ასე იყო მაშინ.

დედულეთი ჩემი, როგორც ბავშვობის წლები, უტყუარია. მე ვერ გავკადნიერდები და ვერ ვიტყვი, დიდი კონსტანტინესავით "ლანდებთან ლაციცი" მეხერხება-მეთქი, მაგრამ გამომყვა საკმაოდ დიდი გულისყური წარსულისადმი. ბაბუაჩემი, გვარად ბახია, ტკბილი მოხუცი, ზღაპრების მოყოლით მაცნობდა სამყაროს. ბებია კი, გვარად კორძახია. წარმოშობით უძველესი ნოქალაქევიდან არის და ახლაც ცოცხალია. მხიბლავდა ქალის მკერდივით ამოზნექილი ქაჩალი მთების სევდა; გულის მომწყვლელი მეგრული სიმღერები, სერზე მომდგარი მთვარის მკრთალი ნათება, რომლის სიწყნარეში ღამღამობით ტურების კივილი ისმოდა. ახლაც აშკარად ჩამესმის ხოლმე ის კივილი. არის მასში თავისებური ხიბლი. მეგრული სიმღერა ვახსენე – განა არ არის ეს კაცთ თანამდევი სევდა, რომელიც გაფორიაქებს და უმწეოს შენს მარტოსულობაზე ჩაგაფიქრებს.

სოფელს ვუმადლი ქარიან ამინდში ქარით გახეხილ ვარსევლავებიან ცას, როცა ღამით მინდორში იძინებ და მთვარეზე უხილავი ძაფებით მიბმული ვარსკვლავები უზარმაზარ კარუსელს გაგონებს. დღესაც ნათლად ჩამესმის სოფლის ყანებში მობორიალეს გვიან ზამთარში ჩალის ღეროების ქარით ზუზუნი. "ზუზუნებენ, ზუზუნებენ ჩალის ღეროები" (გალაკტიონი). განა ლირიკა არ არის გაძარცულ ხეთა ტოტებში წითლად გამონათებული ხურმები. მდინარე აბაშის პირი, ქვიშიანი ცხენისწყლის ჭალები, ნაბადმოსხმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენების ჭენება – უკვე თითქოს აღარ მესმის მათი ხმა. სამაგიეროდ, კარგად მახსოვს სულ პატარაობაში ბაბუაჩემის რუხზოლებიანი ხარი "ჯორა", არაჩვეულებრივი ძალისა, ახლაც ჩამესმის მისი ორთქლამოყოლილი სუნთქვა. მახსოვს მისი მეტყველი მზერა. ასე მგონია, ის სუნთქავს, ჩემ ფილტვებს ბერავს, ის მეტყველი მზერა კი ჩემ თვალებს ავსებს. ფერთა ეს საოცარი რიტმი ჩემში დღეს მოდერნისტულ განწყობას ბადებს. ბავშვობაში ღამის ჭალებში ტურების კივილი ჩემთვის გაუცნობიერებელ შიშს იწვევდა – მთვარიან ღამეში, ნეტა, რა თვალები ჰქონდა ამ საწყალ ცხოველს?

ეს ყველაფერი ჩემთვის თემშარაა, თემშარა (ჰაიდეგერი). ისე, რა პატარაა ჩვენი დიდი საქართველო. კარგმა ჯეელმა მზის ამოსვლისას კახეთიდან რომ დაიწყოს სირბილი, ალბათ, დასავლეთით ზღვასთან ჩაუსწრებს გავარვარებულ, მოშიშხინე მზეს.

რაც შეეხება ოჯახს, მყავს უფროსი გოგონა (ნიუ-იორკში სწავლობს) და ორი ვაჟი, ისინი ჯერ პატარები არიან. მეუღლე ეკონომისტია. ჩემთვის კოლხეთის დაბლობი, მისი მისტერიები ერთ დიდ ალბომში ჩაკრულ სურათებს ჰგავს. პატარაობისას მე და სოსო სიგუას ერთად გვიხეტიალია ჩვენი სოფლის შემოგარენში, საკვირველ ორიენტაციას ამჟღავნებდა, როგორც მეგზური. დღეს სოსო ცნობილი კრიტიკოსია.



*– როგორ გაიარეთ შემდგომი გზა, ანუ რას გვეტყვით თქვენი სტუდენტობის წლებისა და იმ ადამიანების შესახებ, რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღვით თქვენი, როგორც პროფესიონალი მოქანდაკის ჩამოყალიბებაში?*

– სკოლა სოფელში დავამთავრე, ცოტა ხნით სოხუმის სამხატვრო ტექნიკუმში ვსწავლობდი, შემდეგ კი თბილისში გადმოვედი მ. თოიძის სახელობის სასწავლებელში. აქ გატარებული სამი წელი მერე დაკარგულად ჩავთვალე, მაგ სასწავლებელში ბევრი ნიჭიერი ბიჭი ჩაიკარგა. მერე ჯარში ვიმსახურე, შემდეგ კი ჩავირიცხე სამხატვრო აკადემიაში. მყავდა კარგი პედაგოგები, იმდროინდელი აკადემიის ძალიან კმაყოფილი ვარ. დიდი მადლობა მათ.

უკვე ოცდაათი წელი გამიხდა, რაც თბილისში ვარ. ასე რომ, მიყვარს ჩემი ქალაქი, რომელიც ჩემი ჩამოყალიბების პროცესს აგრძელებს.

*– ყველა ადამიანს და განსაკუთრებით ხელოვანს სამყაროს თავისებური ხედვა აქვს, რაც პიროვნების თვითგამოხატვის საშუალებადაც გვევლინება. რა განაპირობებს ხელოვანში ამ ნიჭის დაბადებას?*

– ხედვა ყოველთვის განსხვავებულია. ხელოვანი და არახელოვანი სხვადასხვა რაკურსით უყურებენ ყველას და ყველაფერს. როგორ გითხრათ, ხელოვანის ხედვა ჩემთვის ცოტა უცნაურად ჟღერს, პიროვნებაზეა დამოკიდებული და არა მისი ჩამოყალიბების დასრულებაზე. ამაზე არც უნდა იფიქრო; გააჩნია, როგორ ინტერპრეტაციას მისცემ შენს სააზროვნო სივრცეს, რა ფორმით მოიტან სათქმელს. ყველაფერს არ მივედმოვედები და არც შემაქვს მხატვრული აზროვნების ალბომში.

*– თქვენი ნამუშევრების ფორმებში მოდერნისტული ხედვაც იგულისხმება: როგორ იპოვეთ თქვენი ხელწერა?*

– კლასიკა – ეს ჩემში გარკვეულწილად აპრობაციაგადატანილი თემაა და კლასიკური ფორმა, როგორც შენი შემოქმედი, მუდამ თან გდევს, "ყოველთვის, ყოველ დროს, ყოველგან" (გალაკტიონი). კლასიკა თვით მოდერნის საფუძველია პოეზიაში და პლასტიკაშიც. "ვენერა მილოსელი", მიქელანჯელო – მოდერნია. აბა, ვნახოთ მისი მონები, რამხელა სულის განწირვაა, რა მძაფრი მეტასტაზებია ტკივილის. განა ეს არ არის ოცდამეერთე საუკუნე? მე არ ვამბობ დღევანდელ ჩვენებურ ინტერპრეტაციაზე. დღეს ფორმისაგან განთავისუფლება კარგა ხნის დაწყებულია და ლამის მავთულებს გასცდა საკუთარი სულის შემოტანა დინამიკურ სივრცეში. დღეს ბევრს ლაპარაკობენ კონცეპტუალურ ხელოვნებაზე, "მონა ლიზაში" არ არის კონცეპცია თუ რა?

დღევანდელ დროში იმდენი ნახატი და მხატვარი გამოჩნდა, ლამის ყველას პრეტენზია გაუჩნდა. როგორც სავაჭრო ცენტრში, ისე „მიდი-მოდიან",ოღონდ ხელწერა მქონდესო და ათასგვარ სისულელეს იგონებენ, ნაწარმოების მხატვრული ღირებულება ნულია. პრინციპში ხელწერა თვითონ შენი ცხოვრებაა, შენი არსებობა, ქცევა. აბა, პიკასოს დავაკვირდეთ; ხუან მიროს თქმით, მან წიხლით შეაღო ევროპაში ოდნავ დახურული ხელოვნების ფანჯრები. ეს მუდამ მოელვარე პიროვნებაა, რომელიც არ ჩერდება. ვის არ ნახავთ მის მხატვრობაში, რამხელა გონითი ჭვრეტა აქვს, უზარმაზარი ინტერპრეტაციის უნარი. ის რეჟისორიც არის და კომპოზიტორიც. როგორ უყვარს სამყაროში მიმობნეული ხელოვნების მარგალიტები. რა კარგად კინძავს მათ, როცა უნდა, ხელახლა მიმოაბნევს თავისი ხელმოწერით.

ასე რომ, საკუთარი ხელწერის პოვნა ჩემთვის თვითმიზანი არ არის. მე მიყვარს ის, რასაც ვაკეთებ, რასაც ვხედავ. განა პოეზია არ მეხმარება? ჩვენი ყოფაც ხომ მოდერნისტულია – რეალურ და ირეალურ სამყაროს შორის მუდმივ ვიბრაციაში ვართ – ეს კი ჩემი ცხოვრების არსებობის კლასიკაა.

*– რა მოხდა, რატომ დაპატარავდა მონუმენტური ქანდაკება და როგორ ახერხებთ პატარა ფორმაში დინამიკის შექმნას?*

– თვით მონუმენტი ჩემთვის მარადიული კოდის მატარებელი ცნებაა. დღეს ეს კოდი ნაწილობრივ დაიკარგა. აბა, ვნახოთ ეგვიპტური ანდა რომაული პორტრეტები: აქ მთელი ეპოქაა თავისი ისტორიით, ეს მონუმენტია დროში. არა აქვს მნიშვნელობა კოლოსს თუ ნეფერტიტს – დღეს კოსმიური ეპოქაა. მე იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა





ვახერხებ და ვაკეთებ, როგორიც ვარ – ეს ჩემი კლასიკაა, ეს იდენტურია ჩემი ამქვეყნიური არსებობისა.

*– რა მოგწონთ, რას ითვისებთ და რას უარყოფთ ძველეგვიპტური, შუმერული, ბერძნული თუ ზანგური სკულპტურებიდან?*

– წელან პიკასო შემთხვევით არ ვახსენე. ჩემთვის სამყარო უფრო დიდი ხელოვნებაა. მასში, როგორც ვთქვი, უთვალავი მარგალიტია. ბედნიერება მქონდა, პარიზში მენახა ეგრეთ წოდებული “ბობურის ცენტრი” და, რა თქმა უნდა, დიდებული ლუვრი: ვნახე როდენის მუზეუმი, მაიოლის, ცატკინის, ბურდელის. მქონდა ბედნიერება, ბარსელონა მენახა, ზღაპრული მთა მონსერატი, გრანდიოზული და ბრწყინვალე გაუდის არქიტექტურა. მშვენიერი ქალაქი-სახელმწიფო ანდორა.

საოცარია კელტ-იბერიული კულტურა.

საქართველო კი, რამდენი ხანია, წარსულით ამაყობს. განა ნაკლები კულტურის მქონე ერი ვართ? სტუმარი თუ ჩამოვა, არიქა, მიდის ესკორტით მათი ჩამოტარება ქალაქების შორიახლოს, სიძველით თავის მოწონება. აგერ, რამდენი საუკუნეა, თავისთავადი ღირებულების არქიტექტურა არ გაკეთებულა. გასაგებია, რთული დროება გადავიტანეთ – ნეტავი სხვებს არ გადაუტანიათ ვითომ? ნომენკლატურულმა დრომ თავისი დამღა დაგვიტოვა. ადამიანის სული საოცარი არქიტექტურული ტექტონიკაა – ჰოდა, ვერა და ვერ გავთავისუფლდით ჯერ.

*– თქვენი ნამუშევრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაიდგა: გვიამბეთ საზღვარგარეთ მოწყობილი თქვენი გამოფენის შესახებ: ხომ არ გქონიათ იქ სამუშაოდ მიწვევა?*

– რა გითხრათ, მოქანდაკისათვის ნამუშევრის დადგმა ბედნიერებაა. დიდი რუმინელი მოქანდაკე ბრანკუსი ამით არაა განებივრებული!..

მე მქონდა მეტ-ნაკლები წარმატებები: საქართველოს სამხედრო გზაზე მიმუშავია სულხან-საბას ძეგლზე. ეს ძეგლი ახლა ძალიან ცუდ დღეშია – შემოძარცულია გარშემო მისასვლელი რელიეფები, ძეგლიც შელანძღულია, ვერ პატრონობენ.

ბელორუსიაში, ქალაქ გროდნოში დავდგი ქვის სკულპტურა, ნამუშევარი მარკ შაგალს მივუძღვენი. ახლა რელიგიის მუზეუმშია. ქვა ქალაქ ვიტებსკიდან იყო ჩამოტანილი. კომპოზიციის სახელწოდებაა: “თეთრი ხსოვნა”. ეს იყო 1988 წელი. შემდგომ ქალაქ მინსკში მარმარილოში გავაკეთე კომპოზიცია, რომელიც მინსკის კინოთეატრ „მოსკოვის“ ფოიეში დგას. მერე – რუსთავში, სადაც დიდი სიმპოზიუმი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მოქანდაკეები უცხოეთიდან. ნამუშევარი დგას აზოტის ქარხნის ტერიტორიაზე. კომპოზიცია გერმანელებმა შეისყიდეს და თვითონ დაამონტაჟეს.

იყო სიმპოზიუმი ქალაქ თელავში, მეფე ერეკლეს სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე დგას ჩემი კომპოზიცია „37 წელი“.

1991 წელს ვიყავი საფრანგეთში, ქალაქ ბიარიცში. ეს ძალიან ლამაზი ქალაქია ბისკაიის უბეში წყნარი ოკეანის სანაპიროზე. იქ ვიმუშავეთ. იყო ლამაზი შეხვედრები ბასკებთან. საოცარი ხალხია იქაური ბასკები. მუდმივი კონფლიქტები აქვთ ფრანგებთან. ძალიან ლამაზია ბასკეთის ქალაქი ონდარუა. ბევრი “ნაცნობი” გვარი შეგვხვდა, დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი. თვითონ სან-სებასტიანო ლამაზი ქალაქია. ბედნიერება მქონდა, მენახა ბასკი მოქანდაკის, ჩილიდას ნამუშევარი – კლდეში ჩარჭობილი უზარმაზარი რკინისაგან ნაჭედი ხარის რქები.

ქალაქ ბიარიცში დაიდგა კორიდის ჩემეული ინტერპრეტაცია – “წიქარა”. რა გითხრათ, კორიდა – მისი არსი ჩემთვის მიუღებელია; აქ ხომ ადამიანისაგან განწირული ხარი საცოდავად მარცხდება. არადა, ხარი სიძლიერისა და სიკეთის სიმბოლიკაა: ჰოდა, მეც “წიქარაში” ბიჭისა და ხარის ურთიერთთავგანწირვას ვცემ პატივს. ჩემ კომპოზიციაში სწორედ ეს აისახა. ორივე ამბავი ხარის სიკვდილით მთავრდება – კორიდის ჩემეული ინტერპრეტაციაც წიქარას იდეით გადავიდა კორიდის კომპოზიციაში. ამ თემაზე გრაფიკული ჩანახატებიც შემომრჩა: შეიძლება, ჩემი ბავშვობის დროინდელი ხარის თვალებში დანახული ის მეტყველი სიძლიერე გამომყვა, რომელსაც სევდა ახლავს ჩემ ხსოვნაში.

1992 წელს კვლავ საფრანგეთში, ქ. უზესში ვიმუშავე ქართველ კოლეგებთან ერთად. ახლა იქ დგას ჩემი კომპოზიცია ქვაში. ეს კერძო ფირმის ტერიტორიაა და ნამუშევარიც მისი საკუთრებაა. მიხარია, რომ პატრონობს მას. ქ. უზესი ძველი რომაული სტილის და დროის ქალაქია. საოცარია ტყიან მთებში უშველებელი რომაული „აკვედუკები“, სადაც ტყეში მიტოვებული ქვის კარიერები – რომაელების იმპერიული ბატონობის მარხილებიანი ნაკვალევია.

რა გითხრათ, ბევრი. ბევრი გამოფენა მქონდა, ყველას ვერ ჩამოვთვლი – 1998 წელს მქონდა გამოფენა ისევ ბიარიცში. ქალაქის მერიის მიწვევით ვმუშაობდი ცნობილ მოქანდაკე ჯემალ ბჟალავასთან ერთად. ეს შესანიშნავი მოქანდაკეა და საკმაოდ პოპულარულიც. ადრე საქართველოში, ახლა საფრანგეთში მოღვაწეობს. ისე, საფრანგეთი დიდი ქვეყანაა და ჯემალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძალზე მაღალი ავტორიტეტი მოიპოვა პლასტიკის ქვეყანაში. გამოფენა კარგად ჩატარდა. ვნახოთ, მომავალში რა მოხდება...

*– ცნობილი მიზეზების გამო დღეს მრავალი ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანი, და მათ შორის მოქანდაკე, ტოვებს სამშობლოს და თანამემამულენი ხშირად უცხო ქვეყანაში მოპოვებული წარმატების შემდგომ ვეცნობით მათ შემოქმედებას; სადამდე მიგვიყვანს ეს დროთა განმავლობაში და, საერთოდ, ზემოთქმულის ფონზე რა მდგომარეობაა დღეს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, სკოლებში?*

– საყოველთაოდ ცნობილია, რომ პურის თავთავი ძალზე მრავლის მეტყველი სიმბოლოა. ჰოდა, ჩვენ ისე მოვედით, ამ იმედის მომცემ თავდახრილ თავთავებზე კომბაინს ვუშვებთ "გასაპარსად". დღევანდელი ახალგაზრდობის ბედი მეც მაწუხებს. არ შეიძლება, მათ მიმართ გულგრილი ვიყო: მათთან ყოველთვის კარგი დამოკიდებულება მაქვს, ხშირად გვისაუბრია თანადგომაზე, ხელოვნების მრავალფეროვნებაზე. კულტურის საწნახელში ხელოვანთა ურთიერთგადაჭდობილი ხელებით იწურება მატრობელა იზაბელა. უჭირთ მათ, ნიჭი და სათქმელი ერთად უნდა იყოს, თორემ კონსტანტინე გამსახურდიას გაგახსენებთ – ხელოვნების დარგები ოჩანი ხარებივით ცალ-ცალკე გაიწევენ. ჩვენ არ ვართ განებივრებული ერი.

სასურველია, ნიჭიერი ახალგაზრდობა დროულად გაიგზავნოს უცხოეთში სასწავლებლად. ბოლოს და ბოლოს სად წაიღებს ცოდნას. ვიცით ჩვენ, საფრანგეთში და გერმანიაში წარგზავნილმა მხატვრებმა, მწერლებმა რამხელა კულტურული მემკვიდრეობა დაუტოვეს საქართველოს. განა დღეს მაგალითი არ უნდა იყოს სარაჯიშვილისა და ხოშტარიას მეცენატობა, თავის დროზე მწერლებისა და მხატვრებისათვის მათი მხარში ამოდგომა? საქართველო ნიჭის დეფიციტს არ განიცდის...

ნიჭისადმი გულგრილობა ყველაზე საშიშია. დღევანდელი ფსევდოდემოკრატიის პირობებში ხელოვნებამ დატოვა საქართველო. არც გასაკვირია, ნიჭს კვება უნდა, თორემ მიტოვებულ სახნისს ემგვანება. ჩვენთან ცოტა თუა დაინტერესებული იმით, რა ფასეულობა იქმნება დღეს საქართველოში. არადა, კულტურა, ხელოვნება უფრო გლობალურია, ვიდრე კარჩაკეტილი ლოკალიზმი (ყველა ფიროსმანი ხომ არ იქნება, ის იშვიათობა იყო) – მერე, იცოცხლე, მიდის გულის ამაჩუყებელი, ტკივილიანი სადღეგრძელოები. ცოტა ჭკვიანურად რომ მოვქცეულიყავით, ფელიქს ვარლამიშვილისა და ქალბატონ ვერა ფაღავას ნამუშევრები საქართველოში გვექნებოდა.

კომუნისტ რუსებს უარესი მოუვიდათ, როცა მთელი ინტელექტისა და ნიჭის უცხოეთში გადინება-განდევნა მოხდა. რუსეთმა ამით წააგო. ჩვენც წავაგებთ. კი, ბატონო, სამყარო ყველასია, თავისუფალი ხარ, სადაც გინდა, იქ იმოღვაწე, მაგრამ რა ვუყოთ ჩვენს ერს? ეტყობა, ხალხის ცნობიერებას ჯერ არ დასჭირვებია მათი მადლი. საფრანგეთს საქართველოზე ნაკლები მთები და ველები არა აქვს. აბა, ჩამოვაცილოთ მას კულტურა და ხელოვნება, რა დარჩება? ჩვენი ერი დაქსაქსულია და ხელოვანნი ხელების ფათურით ცდილობენ, რაღაც გზებით აღბეჭდონ თავიანთი მისია და ყოფა ამ ქვეყანაზე. მოგვიმრავლდა ძეგლები და არა ქანდაკებები. ვის რად უნდა ეს გამოტოვებული დროის ნაფტალინიანი ძეგლები? რას მატებს ქვეყანას? ლამისაა, მეტროთი ამჯობინოს ადამიანმა სიარული, იქ მაინც არ შეგეფეთება ფიგურატიულობა (გაიხსნია ხარისხსაც).

პარიზში ძალიან კარგი ბაღია – გამოჩენილი ფრანგი მოქანდაკის – მაიოლისა. იქ იშვიათად ნახავთ ქანდაკებებს. მშვენიერია, მოკრძალებით რომ დგას როდენის "ბალზაკი" ქალაქში.

სკოლას რაც შეეხება, ეს მთელი ეპოქაა დროში, მაგრამ იმპრესიონისტებმა ფერთან ერთად დაშალეს და გზა ინდივიდუალობას მისცეს. ამით მხატვარმა თავის "მეს" მისცა მეტი დამოუკიდებლობა, თორემ იყო სკოლები კლასიკურ დროში, არანაკლებად მუშაობდნენ, ვიდრე მათი მასწავლებლები. მაგრამ მოსწავლენი არ შემორჩნენ. მომიტევეთ და სხვა სფეროს მე არ ვეხები. ეს ძალზე რთულია – დღევანდელ პირობებში თითქოსდა ზეგავლენა აღარაა კულტურის არც ერთ დარგში და მაინც იშვიათად იქმნება ფასეულობები, თითქოსდა ნიჭიერ ხელოვანთა ინფლიაცია ხდება. საქართველოში თითქმის არ იდგმება თანამედროვე პლასტიკა. ასეთი ნამუშევრები სახელოსნოებშია გამომწყვდეული. როცა ვლაპარაკობთ მონუმენტ-სივრცეზე, ეს განსაკუთრებული ფენომენია მხატვრისა, ყველას არ ძალუძს სივრცეში ფორმით აზროვნება. აღარ მოთავდა საყველპურო ურთიერთობებით მიღწეული ნამუშევრების დადგმა, კონკურსებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი – ისინი აღარ არსებობს.. ამ საქმეში ბევრი ცოდვა-მადლი ტრიალებს. სამწუხაროდ, საქართველოში არ არიან ქურუმები თუ მედიჩები. არადა, ვნახოთ მათი დამსახურება თავიანთი ქვეყნების წინაშე – წარმოუდგენელია. ძველი ეგვიპტე და რომი განიხილო პოლიტიკის და იდეოლოგიური კონტექსტის გარეშე.



*– როგორი ახალგაზრდობა მოდის ხელოვნებაში? იძლევა იგი საქართველოში ხელოვნების განვითარების რეალურ საფუძველს?*

– მე ვიტყოდი, ნორმალური. ალბათ, გარკვეულწილად კონტროლირებადი უნდა იყოს მათი თავისუფალი აზროვნება და ფორმები, რათა მეტი ხარისხი მივიღოთ. გვერდზე უნდა დავუდგეთ. თუ ამის უფლებას მოგვცემენ, გვაქვს კარგი ბალავერი და ააშენონ ხელოვნების სართულები და არა ხუხულები.

*– არსებობს ასეთი ლოზუნგი: "ხელოვნება ხელოვნებისათვის".*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*არსებობს აგრეთვე მეორე ლოზუნგი: "ხელოვნება ხალხისათვის". თქვენი აზრით, რას ან ვის უნდა ემსახურებოდეს ხელოვნება და რომელი მათგანის პირმშოდ მივიჩნიოთ მოდერნიზმი?*

– ისტორიას ახსოვს დიდი ლეონარდოს ფრესკა "საიდუმლო სერობა". გარკვეული დროის შემდეგ იქ, სადაც ეს ფრესკა იყო, საჯინიბო გამართეს. ხალხი სხვა ცნებაა, მასას უარყოფითი კონტექსტი აქვს. საბოლოოდ ყველაფერი ხალხს, ქვეყანას რჩება. როგორ გინდა, გალაკტიონი შეუთავსო ხალხს, თუმცა ის იმ ხალხში ცხოვრობდა, ყალიბდებოდა; გვაქვს ხალხური პოეზია, "ვეფხი და მოყმეს" ბალადა, დარწმუნებული ვარ, ვიღაც გენიოსმა თქვა. ჩემთვის ცოტა გაუგებარია, რა საჭიროა მისი პლასტიკაში ილუსტრირება და თანაც რაღა შერკინება უნდა გამოძერწო? პოემის გვირგვინი ხომ მისი ფინალია – სამძიმარი! თვითონ მოდერნის ყოფა და სამსახური განუყოფელია ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანისათვის, ქართულ პროზაში უხვად მოგვეპოვება ეს. რა ვქნა, დიდი გალაკტიონისა ცოტათი მაინც მესმის:

"ქარი არა ქრის, ქარი არა ქრის, მაინც მწვერვალებს ედება ქარი" – რა საოცარი ხილვაა, არა?

*– თქვენ სამუშაოდ სხვადასხვა მასალას იყენებთ. თითოეულ მათგანზე მუშაობისათვის განწყობაა საჭირო თუ, უბრალოდ, თემას გაამნია?*

– მხატვარს, მოქანდაკეს ნებისმიერ მასალაში უნდა შეეძლოს მუშაობა. სათქმელს გააჩნია. ყველაზე მთავარი სათქმელია. პლასტიკის ენით მეტყველება განუსაზღვრელია. ყველა მასალას თავისი სირთულე და საიდუმლო კოდის მატარებელი თვისება დაჰყვება. შენზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებ. ამაზე შეიძლება დიდხანს ვილაპარაკო, მაგრამ ეს ყველამ დამოუკიდებლად უნდა იგრძნოს, აფიშირების გარეშე.

*– ვინ არის თქვენი საყვარელი მოქანდაკე, მხატვარი და რომელიმე მათგანის ნამუშევრის თქვენებური ინტერპრეტაცია თუ გაქვთ?*

– ჩემი საყვარელი მოქანდაკეები ისტორიის კუთვნილებანი არიან (კარგი გაგებით). მომწონდა და ახლაც მომწონს იტალიელები: ემილიო გრეკო, ჯაკომო მანცუ, ალბერტო ჯაკომეტი, არტურო მარტინი.. დღეს ევროპას არ აკლია მათი მადლი. საბედნიეროდ, საქართველოში გვყავს ძალზე მაღალი დონის მოქანდაკეები, რომელთა პლასტიკური სააზროვნო სივრცე დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერ პრესტიჟულ მუზეუმს – დაფიქრების გარეშე შემიძლია დავასახელო მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი, რომლის პლასტიკა პორტრეტულ ხელოვნებაში, დღევანდელი დროის უკიდურესი მოდერნიზება, მძაფრი შინაგანი რიტმი. ჩემი აზრით, განსაკუთრებულ ადგილს იმკვიდრებს თანამედროვე ევროპლასტიკაში.

ევროპა პლასტიკის დეფიციტს განიცდის. მხედველობაში მაქვს უახლესი ქანდაკებები. ევროპაში უფრო დიზაინური აზროვნება დომინირებს.

ისე, რა გითხრათ, აზიური ხელოვნება მოდის ძალიან საინტერესოდ. ალბათ, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე აზია იტყვის სერიოზულ სიტყვას ხელოვნებაში.

მეკითხებით ინტერპრეტაციაზე და, ალბათ, გავლენასაც გულისხმობთ?

კი, ბატონო, იყო ცოტ-ცოტა გავლენა ჩემ ნამუშევრებში. გავლენის არ უნდა გეშინოდეს. უნიჭოს არა აქვს გავლენა. მგონი, ნიუტონმა თქვა, მე დიდი ადამიანების მხრებზე ვიზრდებოდიო! დღეს ინტერპრეტაცია იმდენია, ჩამოთვლაც შეუძლებელია. დავაკვირდეთ სალვადორ დალის ნამუშევრებს. განა გავლენა არ არის ჩვენი ჩაცმა, მანერა, ქცევა?

თხუთმეტი წლის წინათ ვთქვი და ახლაც ვფიქრობ, რომ "ფანქრით ხელში არ იბადებიან".

*– რა როლი აქვს მუსიკას და ლიტერატურას თქვენ ხელოვნებაში (თქვენი საყვარელი მწერალი და პოეტი).*

– სტუდენტობის დროს ხშირად ვუსმენდი კლასიკურ მუსიკას. პოეზიაში გალაკტიონი – ტერენტი – შანდორ პეტეფი, ბათუ დანელიას ვცემ პატივს. მომწონდა თავისი ადამიანური კრედოთი და მწერლობით ტრაგიკულად გარდაცვლილი თამაზ ბაძალუა. ვიცნობდი სერგო თურმანაულს, საოცრად დატვირთული პოეზია ჰქონდა... უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან, ღმერთმა ნათელში ამყოფოს. კარგი იყო არჩილ ფირცხალავა.

კარგი ურთიერთობა გვქონდა მე და ბატონ ნოდარ წულეისკირს. ახლა წერაქვში მოღვაწეობს. გული დამწყდა, მისი ნაწარმოები „აფთარი“ ფილმ „მონანიების“ ჩრდილში რომ დარჩა.

მშვენიერია ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელი“. ბატონი ოთარ ჭილაძე. თავს ვიკავებ, ვინმე არ გამომრჩეს – საწყენად არ დამირჩეს.

*– რას უთმობთ თავისუფალ დროს?*

– რა გითხრათ, თავისუფალი დრო ყველას თავისებურად ესმის – თავისუფლება ზოგისთვის ხატვის პროცესია. საერთოდ, მხატვრობა, მწერლობა, ოთარ ჭილაძისა არ იყოს, "ქვის კოდვას ჰგავს". ამიტომ ჩემთვის თავისუფალი დრო არ არსებობს: მიყვარს ფიქრი: მახსენდება თხუთმეტი-ოცი წლის წინანდელი სიზმრები – ალბათ, მაშინ ვისვენებ. მიყვარს ქეიფი და ქეიფისას (ისეც!) მელოდიური მეგრული სიმღერა. იმერული სიმღერები გიტარით: ყველა კუთხის სიმღერები, განსაკუთრებით – ცეკვა "ხორუმი".

*– რომელიმე ახალგაზრდა ხელოვანის, თუნდაც მოქანდაკის შემოქმედებას ხომ არ გამოყოფდით და რა იმედს მისცემდით დამწყებ შემოქმედებს, რომლებიც, აუტანელი პირობების მიუხედავად, მაინც ახერხებენ მუშაობას?*

– როგორ გითხრათ, მოდიან ნიჭიერი თაობები. ოღონდ სად მიდიან, არ ვიცი. ჩემი სტუდენტობის დროსაც იყვნენ ნიჭიერები – ეტყობა, სტუდენტობა ერთი ეტაპია. აგერ უკვე ოცი წელი გადის, რაც

სამხატვრო აკადემია დავამთავრე. ჰოდა, ეს იმედის მომცემი მხატვრები აღარ ჩანან. იმედს ვიტოვებ, რომ გამოფენების გარეშე მუშაობენ. ეს ხომ შენი სულის წრთობაა. იმედის მოცემის რა მოგახსენოთ, ჩემთან ხშირად მოდიან ახალგაზრდა კოლეგები – არასოდეს გამომიჩენია მათდამი გულგრილობა. კარგი გაგებით რომ ვთქვათ, ხელოვნებით მოწამლულები მიდიან ჩემგან. მე თუ ვერ გავაკეთე, იმათ მაინც გააკეთონ. საბოლოოდ ყველა თავის წუხილს აკეთებს. ჩამოთვლას ვერიდები, ეს ძალზე დელიკატურია. მათ პირობებზე რა მოგახსენოთ, სახელმწიფო მათზე ზრუნვით ძალიან არ წუხს; წამდაუწუმ რომ იმეორებენ – მე კაცო, ფიროსმანი კიბის ქვეშ ხატავდაო – ეს, ცოტა არ იყოს, მწარე ღიმილს მგვრის.

*– რაზე მუშაობთ ბოლო ხანებში და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?*

– კონკრეტულად მოცემულ თემაზე აღარ ვმუშაობ. ისე, დავამთავრე მუშაობა ქ. ბორჯომში წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაზე. მე და მოქანდაკე ჯონი გოგაბერიშვილმა რელიეფები გავთალეთ. დავამთავრეთ მუშაობა ბოდბეში წმინდა ნინოს საფლავის ქვაზე.

პარლამენტის შენობის ფოიეში ნოე ჟორდანიას ბარელიეფი ჩამოვკიდე. სხვათა შორის, თემა თვითონ ავირჩიე – შეკვეთა პარლამენტიდან იყო მხატვართა კავშირის შუამდგომლობით. იფიქრებთ, ალბათ, ჟორდანია რამ აგარჩევინაო. რა ვქნა, ასეთი პიროვნებაც საინტერესოა. მაგალითები კლასიკური დროიდანაც საკმაოდ გვაქვს. მომავალი? ვნახოთ.

*– რაზე გწყდებათ გული?*

– ჩემთვის მეტად მოულოდნელად ვაკის პარკში დაიდგა საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული მეომრების მემორიალური სტელა, რომელიც ჯერ კიდევ დასამთავრებელია. მე აქ ვეცადე, ახლებური ინტერპრეტაცია მიმეცა ხსოვნისათვის – ეს არის ქვაში გამოკვეთილი ასხეპილი ტოტები, რომლებიც გადანაჭრებიდან ანათებენ მეტალიზირებული დეტალებით.

ძალიან გული მწყდება, რომ ხელოვნებაში ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი, დედაჩემი ვერ მოესწრო ჟურნალ "ცისკრის" ამ პუბლიკაციას. დედა ლიტერატორი იყო, გამუდმებით კითხულობდა წიგნებს. ერთხელ თბილისში წიგნი გამომიგზავნა, რომელიც ვან გოგზე იყო დაწერილი. თანაც ფანქრით გაეხაზა ის ადგილები, სადაც ვან გოგის ეგოცენტრული ანდა უცნაური გამოხტომები იყო აღწერილი. როგორც ჩანს, მე მგულისხმობდა... ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონი ნუნუ ბახია. თვითონ ჩემი წერილის შინაარსშიც ჩანს გულის დაწყვეტის ნიშნები – ეს ნორმალური მოვლენაა. განა საკუთარი ასაკი ამ უსასრულო მარადიულ ყოფაში გულის დაწყვეტის, დამშვიდობების აუცილებლობის მიმანიშნებელი არ არის? დროის დეფიციტი ასაკს მოაქვს. ბევრი რამ ვნახე, გავიგე. მახსოვს მშვენიერი ეროვნული აღზევება, საშინელი სამოქალაქო დაპირისპირება, აფხაზეთი – ამ ომს ჩემი დისშვილი შეეწირა – ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტი ბექა ქობულია. სამხატვრო აკადემიამ კონტროლი ვერ გაუწია სტუდენტებს. რა მოვიგეთ, მირზა გელოვანი რომ გაიწვიეს ფრონტზე?

გული მწყდება, დღეს რომ აღარ გვევლინებიან ერის სულიერ წინამძღოლებად ქვეყნის ინტელექტუალები – ზოგიერთს ვიხდი, მაგრამ წუთისოფელს ღობეში გაკვეხებული თვალებით ეჭვიანად და გაუბედავად უმზერენ. რა ვქნა, მე ასე ვგრძნობ.

რად ღირდა ბატონ ლევან გოთუას ზნეობრივი საქციელი, მისი ვარამი, გრიგოლ რობაქიძის მიერ დანახული ქართული გენის ფენომენი, დიდი ილია...

პირადად თუ ვინმეს ვაწყენინე, არა უშავს რა, ოღონდ დიდი დავითის ქვეყანა იყოს ნორმალურად. გულზე დასადები ქვა ყოველთვის მოიძებნება და ამ ქვაზე ფეხის დაბიჯება ყველას ხვედრი არ არის.

რამდენი ათეული წელი გავიდა, რომ გავყვიროთ – აწმყო თუ არა გვწყალობსო! – თითქოსდა აწმყოს ცნება წაშლილია, ხოლო საქართველოს ღობე მორღვეული. ბურუსიან მომავალს ვუმზერთ. მე კი ასე მგონია, ზევიდან ვიღაც ვეება საცრით გვიყურებს-მეთქი, ფრთხილად ვიყოთ, რომ ამ საცერში არ ჩავვარდეთ.

და მაინც, ახალი ათასწლეული გვიახლოვდება და უკეთეს მომავალს გისურვებ, ჩემო ქვეყანავ.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.







# ჩვენ თავზე ბრუნვა გვიშლიდა, გვეგრძნო ტკივილი სხვებისა

## არარსსაც ჰქონია ბზარები

,,ცისკრის'' რედაქცია კიდევ ერთ თანამშრომელს ემშვიდობება — ზურაბ ნარმანიამ დაასრულა თავისი მიწიერი გზა...

ახლა ძნელია, უგზოუკვლოდ გადაკარგულსა თუ გაჯიუტებულ სიტყვებს მოვუყაროთ თავი და რაიმე გზიანი ვთქვათ...

ის პოეტი იყო, ზეცის პოეტი, უფლის ჭეშმარიტი სიტყვის დაუცხრომელი მძებნელი.

ეტყობა, ზეცამ დაუძახა და ისიც მოწყდა აუტანელ მიწას.

როცა პიროვნების შინაგანი დრო ვეღარ იტევს ჩვეულებრივს, მაშინ ელფერს იცვლის, სხვა განზომილებაში გადადის. მისი წამები გაცილებით დიდ დროს იტევდა, ვიდრე ჩვენ გვეჩვენებოდა.

სახელი ბედისწერას შეიცავს, ბედისწერა კი ხასიათს აცნაურებს.

მისი საკვირველი კეთილშობილება, მაღალზნეობრივი კოდექსი უცნაურად უთავსდებოდა იმ მძიმე სენს, რამაც ედგარ პო ჩაიყვანა სამარეში. ტყუილია, თუ ვინმეს უშავებდა რაიმეს, მარტოოდენ საკუთარ თავსო. მან ეს იცოდა და ცდილობდა, ამ სენს გამკლავებოდა, მორეოდა.

და მაინც ყველანი ვხედავდით, როგორ მიდიოდა უკანმოუბრუნებელ გზაზე, თავისი ნებით როგორ ეტანებოდა საშიში ციხის კედელში, ვერაფერს ვშველოდით და ლამის ესღა შეგვეძახა — ,,ძმაო, ზურაბ, სადამდინ?'' თუმცა ისიც ვიცოდით, თავად არაფერს იტყოდა.

მაგრამ ამ აუტანელი და მძიმე მიწისთვისაც ხომ უნდა გაეძლო როგორმე...

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის მხოლოდ ჩვენ მრისხანე საუკუნეში კი არა, დავით აღმაშენებლის დროშიც სახლობდა, როგორც ერთი რაინდთაგანი და პოეტი.

მეუდაბნოე ბერების მსგავსად შეეძლო ღამეები ეთეხა, წმინდა მამათა წიგნებს სჯდომოდა და მათი მსგავსი დაუოკებელი მოშურნეობით ეძებნა უფლის ჭეშმარიტი სიტყვა.

მისთვის ზუსტად მოძებნილ სიტყვაზე გადიოდა ზეცის ბილიკი და ამიტომ დღე-ღამის ნებისმიერ დროს დაგირეკავდა საჭირო სიტყვის საპოვნელად.

წლების განმავლობაში თარგმნიდა მაქსიმილიან ვოლოშინის ფილოსოფიურ-რელიგიურ პოემას ,,კაენის გზით'', წიგნადაც გამოსცა და ახლა გრიგორი ნარეკაცის თხზულებას უნდა ჩასჯდომოდა.

თავის ლექსებს, კაცის ცოდვათა მალამოს, იშვიათად ამჟღავნებდა.

ბოლოს დაწერილი ,,მფრინავი ჭიანჭველა'' ეიმედებოდა განსაკუთრებით და არცა ცდებოდა — მან ამ პოემაში ახლებური რიტმი იპოვა ზეცის გამოსახატავად, იმ ზეცისა, რომელიც მთელი სიცოცხლე აწვალებდა — ხან იმედით აღავსებდა, ხანაც მიუღწევლობის უილაჯობით...

მშვიდობით, ჩვენო ზურაბ — კეთილშობილო რაინდო, ძმაო და მეგობარო!

ისე მდაბლად თავდახრილები მიგაცილებთ, როგორც შენ იცოდი!

მსუბუქი ყოფილიყოს მიწა შენი სხეულისთვის.

შენ სულს კი იქ ელხინოს, სადაც დიდი ნაძვებით გარშემორტყმული უფლის ზეციური საძოვრებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახლა ძნელია, უგზოუკვლოდ გადაკარგულსა თუ გაჯიუტებულ სიტყვებს მოვუყაროთ თავი და რაიმე გზიანი გითხრათ.

ისევ შენი ლექსით გემშვიდობებით:

*და როცა ტანიდან სრულიად*
*ამოვალ, ვერავინ მომძებნის*
*სხეულში, რომელსაც ქუჩაში*
*დავაგდებ დახეულ ძონძივით.*
*არასდროს, არსაით, არაფერს,*
*არარსსაც ჰქონია ბზარები...*
*უგულო, უსულო სიკვდილმა*
*დახურა სიცოცხლის კარები.*

თამაზ წივწივაძე, გენო კალანდია, დავით მჭედლური, მურმან ჯგუბურია, ჯარჯი ფხოველი, ზაურ კალანდია, მიხეილ ქვლივიძე, მანანა ჩიტიშვილი, ელზა მეტრეველი, ეთერ თათარაიძე, თენგიზ კიკალიშვილი, ჯანსულ ღვინჯილია, მიხო მოსულიშვილი, ჯემალ ქირია, ლევან მალაზონია, ბადათერ არაბული, რენე კალანდია, გოდერძი ჩოხელი, ვახტანგ ღლონტი, გური ოტობაია, სოსო ბაჯელიძე.

## გზა „უსაფეხურო კიბიდან"
## უსაფეხურო კიბისკენ

ძმაო ზურაბ,

თუ ვინმეს აქვს მოსაგონარი, მე მაქვს...

თუ ვინმემ იცის შენი ულალატო გულის, ხალასი ნიჭისა და კაცურკაცობის ამბავი, მე ვიცი.

აგერ, ჩვიდმეტი წელიწადია, ერთად ვართ, „უცისკროდ" ვერც შენ ძლებდი და ვერც მე. მანამდეც ერთად ვიყავით, ერთ პატარა ქალაქში, ერთსა და იმავე საძმო-სამეგობროში გაზრდილები და ახლა, როცა დროებით უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, მადლობა მინდა გითხრა გაწეული ძმობისათვის.

პოეზია შენთვის სულიერი სიმშვიდის პოვნა, ლექსი — „უსაფეხურო კიბე" — ამაღლებულთან მიწიერის გაწონასწორების მცდელობა, მისთვის წვა და მისი თაყვანი იყო.

საერთოდ, სიტყვა იყო შენთვის ყველაფერი...

თამამი და ხელგაშლილი იყავი, მეფური იყავი სიყვარულში, თანადგომაში, ძმობაში... და ეს იმიტომ, შენი თავის ფასი იცოდი და, დაუძინებელი მტერიც რომ გყოლოდა, არ გამოგრჩებოდა მისი ღირსებაც.

ზესთა სოფლის მეტი გწამდა ყოველთვის და ხიფათთან, ანუ სიკვდილთან, როგორც ასეთთან, ზედმეტად გაშინაურებული ჩანდი ხოლმე.

ესეც შენი ბუნება იყო.

ასეთად გაჩნდი და ასეთი მიუხვალ ზეციურ საქართველოს!

ზაურ კალანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სახელი, როგორც ბედისწერა სიცოცხლე, როგორც ზვარაკი

გუშინ დარეკეს და თქვეს, რომ ზურა აღარ არის, ნარმანია.

ახლა ეს სუფთა, ცარიელი, ქათქათა ფურცელი, რომელზეც ჯერჯერობით სულ რამდენიმე სიტყვა წერია, გგონია დაფა, რომელზეც თავისი ნაწერი სიკვდილის წინ საკუთარი ხელით საგულდაგულო მოწადინებით წაშალა მან და რაღაცნაირი ბავშვური სიჯიუტით გვიხმო ხმადაბლა, მაგრამ დაბეჯითებით, როგორც იცოდა — მოდით, ბატონებო, ახლა თქვენ დაწერეთ, თქვით რამე გამოსათხოვარი. თუმცა, არც მაგას გაძალებთ ვინმე, როგორც გენებოთ! მე ჩემი ვთქვი და წავედი. მე დავიღალე მარტოობით ამდენ ხალხში. მე დავიღალე ჩემი მოგონილი გაუთავებელი სიმთვრალით...

ერთხელ ამადეო მოდილიანისთვის საყვედურით უთქვამს ვიღაცას — შეხედე, რა დღეში ჩაიგდე თავი სრულიად ახალგაზრდა კაცმა!

მხატვარს თავისი ამღვრეული თვალებით შეუხედავს მისთვის და მიუგია პასუხად — როგორ გაიგებ შენ ჩემ ასაკს, როცა ჩემი ცხოვრების ყოველი წუთი შენისთანების სიცოცხლის რამდენიმე წელიწადს იტევსო.

ჰოდა, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზურაბ ნარმანიამ დიდხანს, ძალიან დიდხანს იცოცხლა, მაგრამ ვაგლახ, რომ ნაადრევად მოუკვდა დედას, მამას, მეუღლეს, შვილებს, კარგ ბიჭებს — შესანიშნავ სამეგობროს, სამშობლოს...

მას არ უყვარდა ხმაურიანი და პათეტიკური ლაპარაკი მშობელ ქვეყანაზე, ის უბრალოდ ცოცხლობდა მისით, იღვწოდა მისთვის...

ახლა ვუკვირდები, ღირსეული ადამიანებისთვის სახელი ბედისწერასავით არის.

აზრად არ მომსვლია არასდროს, მეკითხა, რატომ დაარქვეს მშობლებმა, ამ დახვეწილმა, ჭეშმარიტი ინტელიგენტურობით გამორჩეულმა ადამიანებმა, სახელად ზურაბი. იქნებ უშუალო წინაპარს ერქვა ასე. როგორც უნდა იყოს, მე ახლა დაბეჯითებით ვიცი, რომ ეს სახელი ბედისწერა იყო ზურაბ ნარმანიასთვის. სრულიად ალალად ღვთის წინაშე შემიძლია დავიფიცო, რომ ღრმად მჯერა, ლეგენდის ზურაბივით იგი წარბშეუხრელად ჩაეშენებოდა ციხის კედელში, რომელსაც მისი ტანჯული სამშობლოს გადარჩენა შეეძლო. კრინტსაც არ დაძრავდა. არც ამას იტყოდა: ვაიმე, დედა, სადამდე?

ვინ დაამტკიცებს, რომ იგი სწორედ იმ ციხის კედელს არ შეემატა დუღაბად! ეს ციხე ხომ მხოლოდ ყველაზე ღირსეული ვაჟკაცების სიცოცხლეს იღებს ზვარაკად ერთი უმთავრესი პირობით — სული უნდა ჰქონდეთ სპეტაკი.

ზურაბ ნარმანია შესანიშნავი პოეტი იყო და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

მაგრამ ეს მაინც ძალიან ცოტაა, თუ გვინდა, ვთქვათ ყველაზე მთავარი მასზე.

ზურაბ ნარმანია ის კაცი იყო, რომელზეც თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი მწერალი ამბობს: ერთადერთი, რაც ამ ქვეყანას სჭირდება, ეს არის პირადი ადამიანური სიწმინდე.

ამიტომ მრავალჯერ მტკივნეულად, უსაშველოდ მოენატრება ამ ცოდვილ ქვეყანას ზურაბ ნარმანია, რომელსაც მის ლამაზ სიცოცხლეს წლებისა და წლების შემდეგაც გაახსენებენ წუთისოფლის ფიქრიან სტუმრებს მისი პირშეუკრავ ჭრილობასავით სევდისაღმძვრელი ლექსები.

მინდოდა, მაგრამ ხელი ვერ მოვკიდე მის წიგნს. ამ ლექსებში ხომ ზურას სულია, ახლა კი მის სულს ყველაზე უფრო მოსვენება უნდა — ის ემზადება იმ დიდ მარადიულ ქვეყანაში დამკვიდრებისთვის, რომლის არსებობაც ურყევად სწამდა მთელი სიცოცხლე!..

გუშინ დარეკეს და თქვეს, რომ ზურაბ ნარმანია აღარ არის...

თეიმურაზ მეტრეველი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ელგუჯა თავბერიძე

## ბრინჯაოს ქანდაკება სადღაც აქვე, ახლოს...

რეზო ჭეიშვილის "ცისფერი მთები" უპირველესად ლიტერატურული ფაქტია. ნაწარმოების მრავალმხრივი აზრობრივი განშტოებანი სწორედ ლიტერატურულ ტექსტშია სრულყოფილად ფოკუსირებული, რომლის საფუძველზეც იქმნება შემდეგ, რასაკვირველია, სხვა ჟანრის ესა თუ ის ქმნილება (ფილმი, სპექტაკლი...). ხანდახან ხდება, რომ განსხვავებული მხატვრული დარგის (ვთქვათ, კინოფილმის) ფართო აუდიტორია თვალს გვჭრის და გვავიწყდება მხატვრული ტექსტი, რომელიც ამ შემთხვევაში საფუძველია ყველა დანარჩენისა. "ცისფერ მთებს" იმდენი მრავალწახნაგოვანი, სტილური თუ აზრობრივი განშტოებაა გააჩნია, რომ იგი მომავალშიც შეიძლება მრავალნაირი წაკითხვისა და გააზრების საფუძველი გახდეს.

მწერალმა ჯერჯერობით ბოლო ვარიანტად გამოქვეყნებულ ნაწარმოებს „დაუმთავრებელი რომანი" უწოდა. თუ მკაცრი ჟანრობრივი თვალთახედვით განვსჯით, „ცისფერი მთები" მართლაც ასეთია: თითქმის რომანი, მაგრამ, ვფიქრობ, ეს დაუმთავრებლობა, რომანის ჟანრობრივი სპეციფიკისათვის ნიშანდობლივი არასრულქმნადობა სწორედ იმისთვის არის საჭირო და აუცილებელი, რომ უფრო შთამბეჭდავი, გამჭვირვალე გახდეს ნაწარმოების ძირითადი აზრობრივი მდინარებანი.

"ცისფერ მთებში" ყველაზე თვალშისაცემი, ზედაპირზე ამოტივტივებული, აზრობრივი დატვირთვის მქონე ფრაზა, გარკვეული კონცეპტუალური ფუნქცია რომ გააჩნია და გასაღებად, ათვლის წერტილად გამოდგება პერსონაჟთა რაგვარობის გარკვევის საქმეში, – სოსო ეუბნება დირექტორს: "სამი წელი სიცარიელეში ვარ, ბატონო ვაჟა" – ეს სენტენცია ქვემოთ უფრო გავრცობილ სახეს იძენს და ერთგვარი მეგზურის ფუნქციას ასრულებს იმ ყოფიერების აღსაქმელად და გასააზრებლად, რომელშიც "ცისფერი მთების" პერსონაჟები ცხოვრობენ: "სიცარიელეში, ბატონო ვაჟა, დროისა და სივრცის შეგრძნებას ვკარგავ თანდათან". "ცისფერი მთები" სიცარიელის, აბსურდის, დროისა და სივრცის შეუგრძნობლობის, მათი ლაბირინთოვანი გააზრებისა და მხატვრული გადაწყვეტის გენიალური ცდაა. აქ დრო და ქმედება არანაირად ემთხვევა ერთმანეთს: თუ დრო სახელდება, ქმედება არ მოჰყვება ან, პირიქით, ქმედების დაფიქსირების შემთხვევაში დრო არ არის მინიშნებული და იქმნება უდროობისა და ქაოსის საოცარი ნაზავი, რომელსაც პირობითად უდროო დრო და უმოქმედო ქმედება შეიძლება დავარქვათ.

"ვასო მლებავს მიჩერებია ღიმილით.

-როდის გაიტან?

-რას, ვასო ბიძია?

-სურათს. - განცხადებას აჩვენებს.

-სურათს?

-დიახ, სურათს.

-როცა გინდათ.

-მაინც?

-ჩემთვის სულ ერთია, როცა გინდათ.

-დღეს?

-დღეს... – თანდათან უფრო ებმის ენა, ნაწილ-ნაწილ აწვდის თითქოს ვიღაც პირიდან სიტყვებს. – დღეს ვერა, ვასო ბიძია.

-აბა როდის?

-ჩემთვის სულ ერთია, როცა გინდათ.

-ხვალ?

-ხვალ ვერა, ვასო ბიძია... – მორცხვად ხრის რატომღაც თავს.

-აბა, როდის?

-როცა გინდათ.

-ზეგ?

-ზეგ? ზეგ ვერა, არ მეცლება ზეგ.

-აბა?

-როცა გინდათ, ჩემთვის სულერთია, როცა გინდათ...

-მაზეგ?

-მაზეგ? მაზეგ ვერა...

-აბა როდის?

-როცა გინდათ, ვასო ბიძია!"

აქ დროისა და მოქმედების ისეთი აბსურდული გააზრებაა, როცა ისინი კი არ თანხვდებიან, არამედ, პირიქით, გამორიცხავენ კიდეც ერთიერთს. მღებავი მიხო სურათს, როცა ვასოს სურს, "მაშინ" გაიტანს, მაგრამ იქმნება იმის ნათელი ილუზია, რომ ეს "მაშინ" საერთოდ არ არსებობს – იგი არც ხვალ, არც ზეგ, არც მაზეგ და არც არასდროს იქნება. ამიტომ მისი პასუხიც, როცა გინდათ, ჩემთვის სულ ერთიაო, ირონიული განმარტებაა იმისა, რომ, ვასოს სურვილის მიუხედავად, სურათს არასდროს გაიტანენ, რადგან სწორედ ეს არის აზრდაკარგული, შინაარსისგან დაცლილი დრო. თუ დროში ქმედების განსაზღვრა არ ხერხდება, მაშინ ეს ორი ცნება ძირითად მოდალურ ფუნქციას კარგავს, რადგან მათ ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანმსაზღვრელ-განმაპირობებელი ცნებითი დირებულების გარეშე მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ასეთია ის სიცარიელე, ვაკუუმისმაგვარი, დროისა და ქმედების შინაარსისგან დაცლილი ყოფიერება, სადაც აბსურდია ერთადერთი და განმსაზღვრელი საზრისი არსებობისა.

"– პრემია იქნება, ქალბატონო თამარ? – ეკითხება ბელა. – შეიძლება იქნეს, შეიძლება არა, თუ იქნა, იქნება, ისე ხელფასიც არ არის!" ნაწარმოებში დროისა და ქმედების გალაკვეთის, თანაარსებობის ერთადერთი განმარტება ასეთია: "თუ იქნა, იქნება..."

"შვებულებაში ვარ, და არც ვარ ფაქტიურად, გავდივარ და ვერ გავედი"... – აცხადებს იროდიონი და ამით ირგებს სილაბს, რომლითაც შვებულებაში არის კიდეც და არც არის, გადის და ვერ გავიდა. ეს ორი გაურკვეველი მყოფობა მას იმისთვის სჭირდება, რომ რეალური, ნამდვილი როგორმე მიჩქმალოს და მიაჩუმათოს, ამიტომ ამ ორი მყოფობის ზღვარზე არსებობა მას იმდენად მოსწონს, რომ ყოველწამს აფიქსირებს და ახსენებს ირგვლივმყოფთ.

"ცისფერი მთების" პერსონაჟთა აზროვნება, აქედან გამომდინარე – მეტყველება იმდენად ახლებური და ორიგინალურია, რომ ისინი სიტყვებს, ჩვეულებრივ-კომუნიკაბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლობისთვის კი არ ხმარობენ, არამედ, პირიქით, რაც შეიძლება მეტი დისკომფორტი რომ შეიტანონ ურთიერთობაში. მეტყველება ყოველნაირ აზრს მოკლებულია – სიტყვები იმიტომ კი არ წარმოითქმება, რომ რაღაც სემანტიკური ფუნქცია უკისრებათ, არამედ, საპირისპიროდ, უარყონ და ეჭვი შეიტანონ წინა ნათქვამში. ასე იქმნება აზრის, პოზიციის უარყოფათა საოცარი ჯაჭვური სისტემა, რომლის მთავარი მიზანი საბოლოო უარყოფისა და არარაობის ილუზიის შექმნაა: „მოველაპარაკები მე თქვენს დირექტორს, მოველაპარაკები, მაგრამ ვერ ვუბრძანებ. ჩვენდამი რწმუნებული ორგანოს წარმომადგენელია, უწყებით გვემორჩილება, მართალია, თუმცა ბრძანებით არ გვექვემდებარება, ადრე ბრძანებით გვემორჩილებოდა, უწყებით არ გვექვემდებარებოდა..." ამგვარი აბსურდის ტიპიური ნიმუშებით ახერხებს რეზო ჭეიშვილი, ფიქტიურ-ფაქტიურით, უწყებრივ დამორჩილება-არდამორჩილების და ბრძანებით დაქვემდებარება-არდაქვემდებარების (ან პირიქით) გროტესკული ხერხებით შექმნას არარაობის, სიცარიელის შთამბეჭდავზე შთამბეჭდავი ატმოსფერო.

პერსონაჟთა მეტყველების ხასიათი, სტილისტური თვალსაზრისით, არასდროს არის ცალსახა და ერთგვაროვანი. თითოეულ მათგანს გარკვეული, მისთვის ნიშანდობლივი, დამახასიათებელი მანერა, ერთგვარი შტრიხი ახლავს. ისინი საოცარი ზედმიწევნულობით ხატავენ სიცარიელის იმ გამთოშველ სამყაროს, ყოვლად უჰაერო, უსახური გარემო რომ უდევს საფუძვლად. პერსონაჟები თითქმის ჩვეულებრივად საუბრობენ, ერთფეროვანი, გაცვეთილი ლექსიკით, მაგრამ ფრაზის აზრობრივი სიმწყობრე დადებით პასუხს არასდროს შეიცავს. ამ შემთხვევაში ერთი უარყოფს მეორეს, მეორე – მესამეს, მესამე – მეოთხეს, მეხუთე, ხშირ შემთხვევაში - პირველ ოთხს ერთად აღებულს და ა.შ. ამგვარად ხორციელდება ლაბირინთოვანი, სტილური თვალსაზრისით თავბრუდამხვევი აზროვნებისა და მეტყველების ახალი ნიმუშის გენიალური ჩანაფიქრი, როცა სიტყვები იმისთვის წარმოითქმებიან, უფრო სწორად, იმისთვის არსებობენ, რომ რაღაც წინანდელი უარყონ და ეჭვის ბურუსში გაახვიონ. აი, ამგვარი აზროვნებისა და მეტყველების კლასიკური ნიმუში: „ რაც შეეხება საქმეს (ამბობს ვასო ჩორგოლაშვილი, – ე.თ.),"ცისფერი მთები" მიღებულია. დღეს თუ ხვალ ერთი-ერთი ჩვენგანი დაწერს დასკვნას, მაგრამ საქმე ის არის, რომ დასკვნას მე ხელს ვერ მოვაწერ. ეს ევალებოდა იროდიონს. იროდიონმა გაგვასწრო, რომ არ წასულიყო, ხელს მაინც არ მოაწერდა, კარგად იცით. შეგვიძლია, დავუცადოთ შოთას, მაგრამ არც ის მოაწერს, მითუმეტეს ის არ მოაწერს, განხილვაში არ მიმიღია მონაწილეობაო, იტყვის. ამას არც ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. შეიძლება დასკვნას მე და საბჭოს ნებისმიერმა წევრმა მოვაწეროთ ხელი, მაგრამ არც ერთი თქვენგანი არ მოაწერთ. იმიტომ კი არა, რომ არ გინდათ, ესეც კია, ან გეშინიათ. უბრალოდ, არავითარი ძალა თქვენს ხელმოწერას არ ექნება არც ფორმალურად, არც იურიდიულად. სამაგიეროდ დირექტორს შეუძლია დაამტკიცოს ულაპარაკოდ, მაგრამ ჩვენი ხელის მოწერის გარეშე არ დაამტკიცებს და ჩვენს ხელმოწერილსაც არ მიიღებს. კიდევაც რომ მიიღოს, არ დაამტკიცებს და რომ დაამტკიცოს, ხელს არ მოაწერს. ამგვარია დაახლოებით ვითარება". ვასო ჩორგოლაშვილი ამგვარ, უარყოფათა ჯაჭვური სისტემით აკინძულ აზრებს ხშირად იმეორებს. მაგრამ მათ არანაირი მნიშვნელობა აქვთ. უბრალოდ, საოცარი ხატოვანებით წარმოაჩენენ აბსურდს, ფარსს, თამაშს, რომლებიც სიტყვათა საშუალებით ხორციელდება ნაწარმოებში. თუ კარგად ჩავუკვირდებით, მივხვდებით, რომ "ცისფერი მთების" პერსონაჟთა აზროვნებისა და მეტყველებისთვის რეზო ჭეიშვილმა ახალი სტილი შექმნა, ამ შემთხვევაში ეს არის ურთიერთგამორიცხვის, უარყოფის მეთოდით მიღწეული ეფექტი, თორემ ნაწარმოების სხვადასხვა პერსონაჟი სხვადასხვაგვარად "აზროვნებს", ლექსიკაც განსხვავებული აქვთ, ოღონდ ყველაფერს ერთი მიზანი აერთიანებს: აბსურდის წარმოჩენა. ვასო ჩორგოლაშვილის "აზროვნების" კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი: "ჩემი დაანგარიშებით, გეკუთვნით, თუმცა, თუ მივუყენებთ დაგეგმარების კანონს, გეკუთვნით კიდევაც და არც გეკუთვნით. ეს დირექტორზეა დამოკიდებული, თუმცა დირექტორი მურვანიძეს დაეკითხება უეჭველად. მურვანიძე, რასაკვირველია, წერილობით საბუთს არ წარმოადგენს, კიდევაც რომ წარმოადგინოს, მთავარი ბუღალტერი უკანონოდ ფულს არ გასცემს, მგონი..." ამგვარი "უნიკალური აზროვნების" ნიმუშებმა, არ შეიძლება, არ გაგიტაცოს, არ დაგატყვევოს და ციტატების მოხმობაც ბლომად არ დაგჭირდეს. თუმცა ვასო ჩორგოლაშვილი არამარტო მისი აზრებით, იმითაც დასამახსოვრებელია, რომ მწერალი ასე მაღალგროტესკული ფორმით ალაპარაკებს თავისი დამსახურების შესახებ: "მე არაფრის არ მეშინია... მე ჩემი დღე გავლიე და გინდაც დამეცეს, არ მეშინია. მე ტანკისტი ვიყავი ომამდე. იცით თუ არა ეს თქვენ?" და აქ ცოდნა-არცოდნა კი არ არის მთავარი – ომამდე ტანკისტობა გულიანი, ღრმა ქვეტექსტით დატვირთული ღიმილის მომგვრელი მდგომარეობაა.

აღვნიშნეთ, რომ თითოეული პერსონაჟის მეტყველება ინდივიდუალურია. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზემომოტანილ ციტატებში ლოგიკის (თუნდაც ის პაროდია იყოს ლოგიკისა) რაღაც მარცვალი შეიმჩნევა. უბრალოდ, რაღაც სისტემით ხდება აზროვნება და, აქედან გამომდინარე მეტყველებაც, მაგრამ რეზო ჭეიშვილს "ცისფერი მთების" ერთფეროვანი სამყაროს წარმოსაჩენად არც აბსოლუტურად ულოგიკო, უაზრო, მართლაც რომ ცარიელი სიტყვების რახარუხით მეტყველება ავიწყდება, როცა იქმნება ყალბი რიტორიკის განსაცვიფრებელი ნიმუშები. ამგვარ ანონიმურ მეტყველებაში სიტყვები თითქოს ერთმანეთზეა დახვავებული, წინადადებები ტრაფარეტებით სავსეა. ეს არის ყოვლად უშინაარსო, ექსპრესიისგან განგებ დაცლილი, გამომშრალი სტილი მეტყველებისა, რომელშიც აშკარად იკითხება უაზრობისა და უსიცოცხლობის მოტივი: "პრინციპში,– დამჯდარი ლაპარაკობს თენგიზი – ...დიახ , ეს ნაწარმოები ფაქტიურად აქ ტრიალებს, ამ კედლებში. თემა, იდეა, მე ასე ვიტყოდი, მიზანდასახულობა, ასე ვთქვათ, ავტორისა, გასაგებია... ასევე გასაგებია ხარჯთაღრიცხვის პირობითობის ზედაპირულობა. დიახ, ეს არც არის მთავარი: მთავარია, ასე ვთქვათ, თემის მონუმენტურობის შენარჩუნების ერთგვარი სურვილი და მასშტაბურობის ლანდშაფტთან შეფარდების შეგრძნება, ნუ, ეს გასაგებია, ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში..."

ეს პასაჟი კიდევ გრძელდება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ თუ რამდენად განსხვავებულია აქ მეტყველება და რამდენად ტრაფარეტული, ყალბი და ფსევდოაზრებით არის სავსე.

ამგვარ ფსევდოყოფიერებაში ჩავარდნილ ადამიანთა ხასიათში მარადიული ეჭვი, გაურკვევლობა იკითხება. წინაღობა კიდეც რომ არ იყოს, გამოიძებნება და სტილისტური ეფექტით ისეთ სახეს მიიღებს, ჰოც რომ ეთქმოდეს და არაც (ცალ-ცალკე – არც ერთი). მწერალი გარკვევით არასოდეს არაფერს განსაზღვრავს, პირიქით, განსაზღვრებათა ორსახოვნებითა თუ ორბუნებოვნებით იმის ილუზიას გვიქმნის, რომ ერთიც ფარსია და მეორეც, მესამე არ არსებობს. "იგავ-არაკებს თუ მიიღებს? – ეკითხება ვულკანოლოგი ბელას. – მიღებით არა, მაგრამ უარს არ გეტყვით..." აი, აზროვნების ნიმუში, აქედან გამომდინარე – მოქმედების ხასიათიც. "ცისფერი მთების"დიალოგებში ლოგიკური რეზულტატი არ იკითხება, ამიტომ ყოველთვის ჩნდება კითხვა – მიღებით თუ არ მიიღებს, მაგრამ უარსაც თუ არ იტყვის, მაშ, რა, რას მოიმოქმედებს? არაფერს.

მწერალი ხანდახან უარყოფის მოულოდნელ ეფექტსაც მიმართავს. ეს ის პოზიციაა, როცა დადებით პასუხს იმწამსვე უარყოფითი მოჰყვება და რაღაცნაირი ელდა, მოულოდნელი შედეგით განპირობებული, ცივწყალგადასხმულივით

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოქმედებს მკითხველზე. უარყოფის მოულოდნელი ეფექტიც "ცისფერი მთების" პერსონაჟთა აზროვნებისა და მეტყველების დამახასიათებელი ნიშანია. ოღონდ აქ ადამიანები თითქოს ძილ-ბურანიდან გამოდიან, მალევე ერკვევიან და შენქვიფდებიან კიდეც:

"– სამა, გადმოეცა ოთარიმ?

– კი, როგორ არა, რა უნდა გადმოეცა?"

ან კიდევ: "ამას ამ საღამოსვე მოვულებ ბოლოს და სამას ავუტან ზევით, შემხვდა ამასწინებზე და მკითხა კიდეც, რას შვრება, ხომ არ მოუტანიაო, მხოლოდ შენზე იყო თუ არა ლაპარაკი, ვერ გეტყვი". ნაწარმოებში სხვა მრავალთან ერთად, ასეთივე სტრუქტურული მოდელის ერთი უნიკალური ამბავიც გვხვდება. იგი იმდენად ღრმა, ლაღი გროტესკული შეფერილობისაა, უპრიანი იქნება, მასზე დაწვრილებით ვილაპარაკოთ. ეს ეხება ნაწარმოების ეგზემპლარის დაკარგვის საქმეს. ერთ-ერთი კოპალეიშვილს წაუღია, მაგრამ იგი, ამბობს კოტე, მანქანიანად მტკვარში გადავარდა, ახლა წევს, სამი ნეკნი აქვს მოტეხილი, მანქანა კი ხეზე გარჩაო. მტკვარში გადავარდნილი მანქანა ხეზე გარჩა, აი, პირველი ირონიის მომგვრელი კითხვა, თუმცა მარტო ამ ეფექტით არ კმაყოფილდება მწერალი:

"მანქანა ხეზე გარჩა, ამოიყვანეს, მე ვუყურებდი, როგორ ამოყავდათ ამწეკრანით.

– შენ საიდან უყურებდი?

– მანქანის ფანჯრიდან, შიგ ვიჯექი მეც...

– მერე ეგზემპლარი ხომ არავის წაუღია – აინტერესებს თენგიზს.

– არა მგონია, მხოლოდ რადიო და ცალი ბორბალი მოჰპარეს, მეტი არაფერი. საბარგულმა დეფორმაცია მიიღო და ვერ ავხსენით. ეგზემპლარი კი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, შიგ დევს, მხოლოდ "ცისფერი მთებია" თუ არა, ვერ გეტყვით..."

ხეზე გარჩენილი მანქანიდან, ერთი მგზავრიც რომ იყო შიგ, მოიპარეს რადიო და ცალი ბორბალი. აი, ჭეშმარიტი იუმორი და, რაც მთავარია, რისთვისაც ამ მართლაც-და ორიგინალურ ამბავს მოჰყვა პერსონაჟი, იმაზე ასეთი გაურკვეველი, ექვნარევი პასუხი.

"ცისფერი მთების" პერსონაჟთა აზროვნების დამახასიათებელი ატრიბუტია ისიც, რომ ისინი ყოველთვის ცდილობენ, ჭეშმარიტი მდგომარეობა არ აღნუსხონ, იყვნენ იქ და ეგონოთ აქ ან არც იქ, არც აქ, სულ სხვაგან და ეგონოთ კიდევ უფრო სხვაგან. ისინი მთელ სააზროვნო მონაცემებს თითქოს იმისთვის იყენებენ, რომ კვალი აუბნიონ მეორეს, დააბნიონ, არ მიუთითონ ჭეშმარიტი ადგილსამყოფელი. ამით იმისი ილუზია იქმნება, რომ ისინი არსად არიან, უფრო სწორად, სადაც უნდა იყვნენ, მათ არსებობას საზრისი არა აქვს:

"ქვევით ჩავდივარ, ეზოში, თუ ვინმემ მიკითხოს, ბანკში ვიქნები..."

"– ვიღაც კაცია. ყუფარაძემ დარეკაო. იგავ-არაკების საკითხზე ვარო...

– დამელოდოს.

– მიიღებთ.

– ვერა. – საათზე იხედება. – სესხბანკში უნდა ვიყვე უკვე. თუ მიკითხავენ, მშენბანკში ვარ, ამ ტელეფონმა თუ დარეკა, წამოვიდა-თქვა..."

ასეთი ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთუარმყოფელი აზრები ახასიათებს "ცისფერი მთების" პერსონაჟებს. ყველაფერთან ერთად, ის ადგილიც აბნეული და აღრეულია; სადაც შეიძლება, ესა თუ ის პერსონაჟი მართლა იმყოფებოდეს. უბრალოდ, აქ იმდენად თავბრუდამხვევი აბსურდი თამაშდება და ეს ყველაფერი ისეთი მორგებული სტილისტურ-ფრაზეოლოგიური ძიებებით მიიღწევა, რომ მწერალს ხშირად, ნამდვილი ფარსისგან რომ გავარჩიოთ, ამგვარი რემარკებიც სჭირდება: "მართლა ღელავს და ნერვიულობს", "მკერდი მართლა აუდ-ჩამოუდის აჩქარებულად" და სხვა.

თუმცა არამარტო ადგილსამყოფელის გაურკვევლობას, საერთოდ, „ცისფერი მთების" პერსონაჟები ხანდახან არსებობის აბსურდულობასაც აშკარად აფიქსირებენ:

„– არ გახლავთ, ბატონო, წავიდა.

– ბოდიშს ვიხდი, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ გარეთ რომ არ გამოსულა?

– ცოტას ნიშნავს, რომ არ გამოსულა..."

„ცისფერი მთების" პერსონაჟებს ერთი უცნაური თვისებაც სჭირთ: ისინი ნებისმიერ კითხვას რაღაცნაირი შემფოთებით აღიქვამენ და ასეთივე განწყობილებით პასუხობენ კიდეც. ეს პასუხები გაკვირვების, გაოცების შემცველია. მათში ზედაპირულად ის აზრი გამოკრთის, თითქოს ამ კითხვის დასმა არც იყო საჭირო და აუცილებელი, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, აქ ის აზრი უფრო უნდა იყოს მართებული, რომ ამგვარი აზროვნების (აქედან გამომდინარე – მეტყველების) პირობებში კითხვის დასმას აზრი არა აქვს, რადგან პასუხი პასუხის შინაარსის შემცველი არ არის და კითხვას უფრო ჰგავს. ერთი სიტყვით, „ცისფერ მთებში" კითხვას პასუხი კითხვითვე გაეცემა და ამით იქმნება აბსურდული გარემოს კიდევ ერთი შტრიხი. როცა გარკვეული არაფერია და კითხვის დასმაც კი უაზრობად აღიქმება, რადგან მას, სიცხადის ნაცვლად, კიდევ უფრო მეტი გაურკვევლობა და დაბნეულობა მოსდევს: „– არ დაგავიწყდეს, ძალიან გთხოვ! – რატომ უნდა დამავიწყდეს!", „– ბორია, წაიკითხავ ხომ? – როგორ გეკადრება, – წყენს კოტეს". ასეთივე მდგომარეობაა ურთიერთობის ნებისმიერი ფორმის ან სიტუაციის დეფინიციის დროსაც. აქ არამარტო კითხვა, თხოვნაც არაბუნებრივად აღიქმება, რადგან ამნაირ საზოგადოებაში მას არანაირი შინაარსი არ გააჩნია. ამიტომ კითხვისა თუ თხოვნის შეუსრულებლობის თავიდან აცილების საუკეთესო ფორმას ერთობ გროტესკული შტრიხით (რომლის სტრუქტურული შრეებია: კითხვა-პასუხის ნაცვლად კითხვა) გვაცნობს მწერალი:

„– ძალიან გთხოვთ, ბატონო ვაჟა! – რა უცნაური კაცი ხარ, რად მინდა ამდენი ბატონო და თხოვნა..."

„– ბატონო ვაჟა, „ცისფერი მთები" მოვიტანეთ, ძალიან გთხოვთ... – რად მინდა, კაცო, თხოვნა, აბა, მე აქ რისთვისა ვარ, აბა, მე აქ რას ვაკეთებ?"; „– დღესვე შეგვიძლია დავნიშნოთ განხილვის თარიღი. – ძალიან გთხოვთ. – როგორ გეკადრებათ, რად მინდა თხოვნა!"

საერთოდ, „ცისფერი მთები" სტილისტურ-ფრაზეოლოგიური თვალსაზრისით (ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნაწარმოების ძირითადი პრობლემატიკა სწორედ ამ საშუალებით წარმოჩინდება) ისე ფართო და მრავალმხრივ მასალას იძლევა განსჯისთვის, რომ იგი, ალბათ, ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს. ჩვენ კი გვინდა, ზოგიერთი მათგანი ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე გავიხსენოთ:

„წავიკითხავ და გადავცემ წვერავას... ორკვირიან ჯარში გამოძახებული, თუ დრო არ გადაუვადეს, გამოვა დღეს, ხვალ, ზეგ..."

„...ჩემი ეგზემპლარის გვერდები მეჭირა ხელში, აქ ხომ არ დამრჩა?

– აქ არ შემოსულხარ და საიდან უნდა დაგრჩენოდა..."

„...ოცი ცენტნერი ქაღალდი დაგვაკლეს, ახლა თათბირია და არარსებულ ქაღალდს გვიბრუნებენ ქაღალდზე..."

„...რა კარგი იქნება, როგორც მწამს, ისე რომ მჯეროდეს...", „მწამს, თან არ მჯერა..."

„– ვერა ვარ ისე, ქე რომ უნდა, კბილმა შემაწუხა.

– კბილის წამალი დალიეთ?

– არა, თირკმლის, სხვა არ მქონდა და აბა, რა მექნა".

„– ბენდექსია ჩაშლილი – უხსნის ვულკანოლოგი.

– ვერ გადმოარიცხინე მერე ერთი ბენდექსი, – ოთარისკენ იხედება.

– ამ კვარტლის საბენდექსო ფონდი გადახარჯული გვაქვს მომავალი წლის შესაბამისი კვარტლის ხარჯზე. საერთოდ, ბატონო ვაჟა, კაპრემონტშია ჩასაყენებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როდის გაუვიდა საექსპლუატაციო ვადა?

— გასული ჰქონდა, რომ მოიტანეს".

„კვირას მასობრივი კროსი ტარდება და შაბათი გადმოიტანეს ხუთშაბათს – უმარტავს ოთარი – ხუთშაბათს შაბათობაა, შაბათს კვირაობა..."

იროდიონის „შვებულების ფული კოპალეიშვილს წაუღია, კოპალეიშვილის ხელფასი გამოუწერიათ წვერავასთვის და წვერავას ცოლმა ხელი ხაბურზანიას უწყისში მოაწერა".

„სილოვანს უთხარი, აფსკი წამოიღოს, კარს გაგიღებთ ივლიტა, მაცივარში არის გაყინული იხვი".

„სოსო, ნგრევის დროს ფერები ხუნდება. ამ პროცესს – შენებას და ნგრევას, გათვალისწინება უნდა. მარტო აქ კი არა, საერთოდ ცხოვრებაში. ორი სათაური, ადრევეც გითხარი და ახლაც გეუბნები, არ არის საჭირო. მე თავისთავად ცისფერს კი არ ვეწინააღმდეგები, ანდა ტიანშანთან კი არ მაქვს სადაო. ზედმეტია-მეთქი ერთი. ისე ორივე დატოვე და ერთიც დაუსართე, თუ შენ გაგეხარდება. საერთოდ კი, – რისი უფლება და საშუალება გქონდა, თავიდანვე გცოდნოდა, აჯობებდა. თუმცა აწი თუ გეცოდინება, არც ეს იქნება ურიგო".

„დეფიციტში გარღვევა გაქვთო, გარღვევა გვექნება, აბა რა იქნება, ჩვენ არ ვიცით ვითომ, რა გვაქვს და რა არა, შენ არ იცი? ყველამ იცის, რა გამოდის მერე ამ ცოდნიდან? ცოდნა რას გვიშველის? მიზეზი? მიზეზს ვინ კითხულობს, ანდა რატომ უნდა იკითხონ? თუ იკითხავენ, გამოჩნდება კიდევაც. უმიზეზოდ არაფერი არ ხდება!.."

„ხაბურზანიას ველაპარაკე ახლა, ამ წუთას და განხილვაზე მოვალო, კოპალეიშვილმა მითხრა, შეიძლება გამოვიაროო. ბელას აქვს იმ ნახევრის ნახევარი, რომელიც კოპალეიშვილს წაუღია მოსკოვში. თუ ჩამოიტანა, შეაერთე და წაიკითხე. შემდეგ გაყავი, ნახევარი თენგიზს მიეცი, ნახევარი კაკოს, როცა გაცვლიან და მორჩებიან, შუქრის შეუტანე. არც ლახელავს. მაგრამ რომ არაფერი თქვას, მაინც გადაეცი. არ წაიკითხავს და იროდიონის მაგიდაზე გადადებს, ამიტომ სანამ იროდიონი ჩაკეტავდეს სეიფში, გამოიტანე, ხომ არ დაგავიწყდება?

— როგორ გეკადრება, – წამწამებს ახამხამებს და მოკლე ქოჩორს ისწორებს გაბრუებული კოტე".

„ცისფერი მთების" პერსონაჟები სიყვარულის თავისებურ, ახლებურ გააზრებასაც ამჟღავნებენ. მათ არც უყვართ, არც სძულთ, მათი გრძნობები გამოკვეთილი არ არის. ადამიანს რომ უყვარდეს ან პირიქით, მის არსებობას რაღაც საზრისი უნდა ჰქონდეს, მათ კი ამგვარი რამ არ გააჩნიათ და სიყვარულისა და სიძულვილის ზღვარზე რაღაცნაირ გაურკვეველ, ასე ვთქვათ, მესამე მდგომარეობაში იმყოფებიან. მარადიული გრძნობისადმი ამგვარი დამოკიდებულება აშკარად გამოსჭვივის ვასოსა და ბელას დიალოგში: „ეს კაცი ქმარია თუ არა შენი?" „არის და არც არის" (ოფიციალურად განქორწინებულები არ არიან).

„— როგორ შეიძლება, ბატონო ვასო, იცხოვრო იმ ადამიანთან, რომელიც არც გძულს და არც გიყვარს.

—ასე ვცხოვრობთ ჩვენ ყველანი, არც გვძულს, არც გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ვცხოვრობთ".

ეს ცხოვრება კი არა, წუთისოფლის დღეთა თრევაა, როცა ჭეშმარიტი, ნაღდი გრძნობისგან დაცლილი ადამიანები რაღაც მექანიკურად, მოვალეობის ან ჩვევის გულისთვის ცხოვრობენ ერთად, როცა სიყვარული აღარც ახსოვთ, აღარც აღელვებთ, აღარც ფიქრობენ მასზე. პერსონაჟთა სულებში დასადგურებულ სიცარიელეს სხვანაირი მდგომარეობა ნაკლებად შეეფერებოდა. მათი უჰაერო, დახშული სივრცე სწორედ ამნაირ სიყვარულს მოითხოვდა. ბურუსისმაგვარი ყოფიერება, თხზულების პროტაგონისტთა სამკვიდრო სიყვარულისა და სიძულვილის სხვანაირ გააზრებას ვერ აიტანდა.

რევაზ ინანიშვილის ჩანაწერი „სამაგიდო რვეულებიდან".

„რ. ჭეიშვილის „კვამლი". დავიდოთ გულზე ხელი და ვთქვათ, უკეთესად წერენ ევროპელები? რა საზარელი გამოფიტულობაა და როგორ ტრიალებს და ბორიალობს ადამიანის სული კვამლივით. ყოჩაღ ჭეია".

მართლია, ეს ჩანაწერი სხვა მოთხრობას ეხება, მაგრამ იგი ორი რამით ჩვენთვისაც უნდა იყოს საინტერესო. ჯერ ერთი, ალბათ, დროა, გავთავისუფლდეთ უცხოურის უკრიტიკო აღიარებისგან. ჩვენში ზოგიერთს დიდი მწერალი მხოლოდ უცხოელი ჰგონია და ხბოს აღტაცებით განმსჭვალულა მისდამი. ერთხელ და სამუდამოდ ცოცხალ ქართველ მწერლებზეც უნდა ითქვას სიმართლე (ამის საუკეთესო მაგალითი რ. ინანიშვილის აზრია) და მეორე – „კვამლის" მსგავსად, რ. ინანიშვილის მიერ შენიშნული უსაზღვრო გამოფიტულობაა „ცისფერ მთებშიც". ამგვარი გამოფიტული, უსიცოცხლო გარემო ათასგვარი ხერხით წარმოჩინდება და თანდათან რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არსებული, მაგრამ არარსებული რეალობაა, რადგან არანაირი შინაარსი ამ არსებობას არ ეძებნება: „წიდასფერ კალოზე მოტობურთს თამაშობენ. უზარმაზარ ბურთს დააფხოკიალებენ მოტომხედრები წინ და უკან. წიდასფერი მტვერი და დამწვარი აირი ადის ბოლქვა–ბოლქვად და ცხელ ჰაერში იფანტება...

მოედანს იქით ხევია, ხევს იქით რკინიგზის მიწაყრილი. მტვრითა და დამწვარი საწვავის ბოლით გაცრეცილ ნისლში იკვეთება ქალაქის ახალი გარეუბნის ერთფეროვანი, მაღალი სახლების კონტურები..."

გამომშრალი, გამოფიტული, გახუნებულ–გაფერმკრთალებული ფერებით – წიდასფერით, დამწვარი აირით, მანქანის საწვავის ბოლისგან გაცრეცილი ნისლით იხატება „ცისფერი მთების" უშინაარსო, ერთფეროვანი გარემო და იგი აბსოლუტურად თანხვდება პერსონაჟთა უმოქმედო და უბადრუკ შინაგან სამყაროს.

მარტო „გრენლანდიის პეიზაჟის" გახსენება რად ღირს. აი, როგორ ახასიათებს მას მწერალი: „ლაჟვარდისფერი გლეტჩერი გადამხობია ცივი ოკეანის ნაპირს. გლეტჩერს იქით ცისფერგადაკრული ყინულოვანი ველია. ყინულის ხორგთან თეთრი დათვი უნდა იყოს დაყუნცული..." ირონია, გრენლანდიის უსახურ, პირქუშ პეიზაჟს რომ ახლავს, მთლიანად გასდევს ნაწარმოებს და ფინალისკენ ერთგვარ სარკასტულ სახესაც იძენს. მისი გატანა–არგატანა ჭეიშვილისეული თბილი დაცინვის საგანი ხდება. საერთოდ, გრენლანდიის პეიზაჟიც ხომ გარკვეული უსიცოცხლობის აქცენტირებაა.

რეზო ჭეიშვილთან თითოეულ ფრაზას, ნიუანსს გარკვეული დატვირთვა აქვს. აქ შემთხვევითი, გაუაზრებელი არაფერია. მწერალი დიდ ყურადღებას უთმობს პერსონაჟთა გვარ–სახელების საკითხსაც. მათში იკითხება ხასიათი და გაცნობის შემდეგ წარმოუდგენელიც გეჩვენება, რომ სახელი შეუცვალო. „ცისფერი მთების" პროტაგონისტთათვის მწერალს ყრუ, მკვეთრი სახელები კი არა აქვს შერჩეული (თვითონ გარემოა ასეთი), არამედ რაღაცნაირად ხავერდოვანიც კი, რაც მას აშკარად გამოარჩევს სხვა ნაწარმოებებისგან.

დაბოლოს, „ცისფერ მთებს" ვინც გულდასმით წაიკითხავს, არ შეიძლება, რაღაც ელდამ არ შეიპყროს და მონუსხული არ დარჩეს. ამგვარი გრძნობა ხშირად (ამასაც ჩაკვირვება უნდა) იმ მწერალთა კითხვისას გვეუფლება, რომელთა ბრინჯაოს ქანდაკება სადღაც ახლოს გვეგულება და ხშირად გვიფიქრია – როგორ ან რატომ ვერ ამჩნევდნენ მის სიდიადესა და გენიალობას თანამედროვენი.

„ცისფერი მთები" (სხვა მრავალთან ერთად) დიდი მწერლის გენიალური ქმნილებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისანა ბაბლოვანი

# მე-20 საუკუნის საბავშვო მწერლობის წარმატებების სპექტრი

მე-20 საუკუნის საბავშვო მწერლობამ, საუკუნისათვის ნიშანდობლივი კატაკლიზმების მიუხედავად, თვისებრივი ნიშნების (პარამეტრებისა და კრიტერიუმების) დაცვით გაუძლო დროის მკაცრ გამოცდას და ეროვნული წიაღიდან მიაღწია საკაცობრიო ღირებულებების ტოლ წარმატებას, რაც მწერლობის იდეურ-პოლიტიკური სწორი ორიენტაციით იყო განპირობებული. ქართულმა საბავშვო მწერლობამ არა მარტო ფეხი აუწყო დროს, არამედ ძალუმად დაუპირისპირდა ყველა ხელის შემშლელ ფაქტორს, გაუძლო ყველა სახის ცდუნებას. იგი საუკუნის დასაწყისიდან დასასრულამდე, წინაღობების მიუხედავად, უყოყმანოდ მიჰყვებოდა ერთხელ არჩეულ სახიფათო, მაგრამ სასახელო გზას, რომელიც ეროვნული ბილიკებიდან ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შარაგზად იქცა. მისი წარმატების სპექტრი დედამიწას გასცდა (ოტია იოსელიანი, „დაჩის ზღაპრები") და მზის სისტემაში აიჭრა, რითაც მსოფლიოს დაანახვა ერის გენეტიკით კოდირებული შემოქმედებითი პოტენციალი და ინტერესების დაუსაზღვრავი მასშტაბურობა.

წინა საუკუნის ღირსეულმა მემკვიდრეებმა მიზანმიმართულად გამოიყენეს სახელოვანი წინაპრების (ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი) დაწყებული საქმე და მათ მიერ მარჯვედ დადებულ საძირკვლის ქვაზე მშვენიერი შენობა (სრა-სახლი) ააგეს, რომლის სარკმლიდან უჭოგრიგოდ მოჩანს მსოფლიო, მსოფლიო, რომლის ცივილიზაციის შექმნაში საქართველო არა მარტო მონაწილეა, არამედ მოთავეც (როლამ ჩაჩანიძე „ჩაძირული კუნძული").

ძველისა და ახლის გადაკვეთაზე ქართულმა საბავშვო მწერლობამ გაწონასწორებული პოზიცია შეარჩია, რადგან კარგად იცოდა, „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავლისა" (ლეიბნიცი), რომელიც მწარე ტკივილების განცდის გარეშე არ იშობა. აწმყოში გაცოცხლებული ისტორიზმი – წარსული – გზამკვლევია მომავლისა, ნათელი სარკეა დღევანდელობის ამოსაცნობად, ხვალინდელი გზის გასაკაფავად და ცხოვრების გასალამაზებლად.

ამიტომ გადმოაქვს წარსული აწმყოში საუკუნის ნიჭიერ მწერლობას, არა მარტო საშენ მასალად, არამედ სანიმუშოდ, სამაგალითოდ, ნორჩი თაობის სულის ასამაღლებლად, გასაძლიერებლად და გასამშვენიერებლად (როსტომ ელანიძე „ზეზვა გაფრინდაული", „პატარა კახი").

ადამიდან დღემდე, უფლის, იესოს, მეორედ მობრძანებამდე (აპოკალიფსამდე) კაცობრიობა ადამიანის ევოლუციის მძიმე გზას ეძებს თავისი ქვეყნის ისტორიულ ასპექტში, რომლის სათავეებს შორეულ წარსულში, გამოქვაბულთან პოულობს ქართული საბავშვო მწერლობა (ნინო ნაკაშიძე, „ელე და ოეთ").

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის ლეგენდა, მისი სიცოცხლის მარადიულობით გაჭეშმარიტებული, გამორჩეულია ქვეყნის გაწონასწორებული კლიმატით, ბუნებრივი სიმდიდრით, მსოფლიო მნიშვნელობის სამკურნალო წყლებით, განსაცვიფრებელი გეოლანდშაფტებით, რომლებიც აქცენტირებულია თანამედროვე საბავშვო მწერლობაში (გიორგი შატბერაშვილი „სათაფლია").

სამშობლოს მარადიული თემა თანამედროვე საბავშვო პროზამ ჟანრობრივად მრავალგვარად წარმოაჩინა: მოთხრობა, მეცნიერულ-ფანტასტიკური მოთხრობა, ფანტასტიკური სათავგადასავლო ზღაპარი, მეცნიერულ-ფანტასტიკური ზღაპარი, ლეგენდა და სხვა (ივ. ურჯუმელაშვილი „უცნობი ბიჭი", რ. ჩაჩანიძე „ჩაძირული კუნძული", ს. კლდიაშვილი „ლახუნდარელის თავგადასავალი", ო. იოსელიანი „დაჩის ზღაპრები", ნინო ნაკაშიძე „თბილისი").

ივანე ურჯუმელაშვილი ქალაქში გაზრდილ ნორჩ თაობას წინაპრის ფუძეს უბრუნებს, რომ კარგად გაიცნოს მშობლიური წყალ-ჭალა, გაიცნობიეროს თავისი წარმომავლობის ძირი, რომელსაც არ მოსწყდება, მწერლის გუმანით, თუ ყოფიერების ფესვს გაიღრმავებს მშობლიურ გარემოსთან ურთიერთობით.

მსოფლიოს ყოფითი მასშტაბების ფონზე უპირატესობას საქართველოს ანიჭებს ს. კლდიაშვილი „ლახუნდარელის თავგადასავალში" და არგუმენტირებულად არწმუნებს მოზარდს საქართველოს პრიორიტეტში.

გარდა თბილისის აღმოჩენის ისტორიული ასპექტის კონკრეტიზაციისა, მრავალმხრივი მნიშვნელობისაა ნ. ნაკაშიძის ლეგენდა „თბილისი", სადაც ყურადღებას იპყრობს ტყვე ბავშვი ხოსრო, შაჰის ვაჟი, რომელიც გამარჯვებულმა მეფე ვახტანგმა მძევლად აიყვანა და მეურვედ დედოფალი დაუნიშნა.

მეოცე საუკუნის საბავშვო პროზა მისნური გრძნეულებისა და თემატური საოცრებების კალეიდოსკოპური სინთეზია.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდანვე ცხოვრების უკეთესი წესის დამკვიდრებისთვის ბრძოლის სურათები საბავშვო მწერლობამ შექმნა მისთვის ჩვეული თვისებრივი ნიშნების გათვალისწინებით, რითაც ცხადყო საბავშვო ლიტერატურის აქტიური პოზიცია ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების მიმართ. ეროვნული და სოციალური პრობლემების მოგვარების რეალურ გზად ნინო ნაკაშიძეს რევოლუცია მიაჩნდა, ამიტომ მისი განხორციელებისთვის ბრძოლაში ბავშვებიც მონაწილეობდნენ (ნ. ნაკაშიძე „მიტინგი").

ს. იორამაშვილის გმირი ჯაბა ელიაური (ამავე სახელწოდების მოთხრობიდან) რევოლუციაში (1905-1907 წწ.) არ მონაწილეობს, მაგრამ მოვლენების თვითმხილველი და რევოლუციონერთა მძიმე ხვედრის შემფასებელია.

ჩვენი საუკუნის მწერლები (ეკ. გაბაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ირ. ევდოშვილი) ამ პერიოდის სოციალურ პრობლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მებსაც ეხებიან, რომელთა მიზეზად ყოველთვის საქართველოს კოლონიურ მდგომარეობას მიიჩნევენ და გამოსავალს მხოლოდ სიტუაციის რადიკალურად შეცვლაში ხედავენ. ეს იყო საუკუნის პოზიცია და სპეციფიკური საბავშვო მწერლობაც ვერთდება საერთო თვალსაზრისს.

1917 წლის რევოლუცია აისახა მწერლების – ეკ. გაბაშვილის, რ. ქორქიას მოთხრობებში. ეკ. გაბაშვილთან ფრაგმენტულად („ბაირახტარი"), როდიონ ქორქიასთან მასშტაბურად („ნახტომი", „საჩუქარი", „აფეთქება" და სხვა).

რევოლუციური შემართება ხიბლავს მკითხველს, მაგრამ შედეგები ატყუებულებს საიმედო შთაბეჭდილებას და უკმაყოფილების გრძნობაც ეუფლება, რადგან ახალი სახელმწიფო წყობის შესახებ ილუზიების მსხვრევამ ხალხს იმედი გაუცრუა.

მე-20 საუკუნის საბავშვო მწერლობამ თავიდანვე სწორი გზით განაგრძო შემოქმედებითი საქმიანობა, ზომიერი პოზიცია აირჩია და უმეტეს შემთხვევაში ეროვნული თვალსაზრისით წყვეტდა საქვეყნო, საჭირბოროტო პრობლემებს, მაგრამ ყველამ ვერ შესძლო ჯანსაღ პოზიციებზე დარჩენა, დიქტატის წნეხში მოექცა და შექმნა რეალობასთან შეუთავსებელი ნაწარმოებები (გრ. ჩიქოვანი, „მეორე ოჯახი"). ცხადია, ერთი და ორი ასეთი ნიუანსი საერთო გეზს ვერ ცვლის და ვერ ქმნის განსხვავებულ კლიმატს.

მე-20 საუკუნის მწერლობამ, საერთო ჯამში, სწორი პოლიტიკური ორიენტაცია აიღო და არ ულალატია მისთვის. საუკუნის გონიერმა, პროგრესულმა ძალებმა სამშობლოს მარადიული თემით შეცვალეს არსებული წყობილების დიქტატით დაკანონებული ნომენკლატურული მოთხოვნები. შესაშური სიმამაცით გაუსწორეს თვალი მომავალს და გამომსახველობითი მხატვრული ხერხებით სამშობლოს სალოცავი ხატი მოაწუქურთმეს.

სახელოვანი წარსულის აწმყოში გაცოცხლება, მისი მიზანმიმართულად გამოყენება მომავალი თაობის სწორი სულიერი ფორმირებისათვის უპრიანია ქვეყნის ნებისმიერი პოლიტიკური სიტუაციის დროს და გამორჩეულად მაშინ, თუ თვითმპყრობელი ხელისუფლება ჰყავს. მე-20 საუკუნის მწერლობას ისტორიზმის გამოყენების სანიმუშო მაგალითი ჰქონდა წინაპართა ეროვნული საქმიანობის სახით და არც თვითონ მოსწყვეტია ეროვნულ ნიადაგს.

სამშობლოს გათავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ზეზვას სახე გააცოცხლა როსტომ ელანიძემ უბადლო საბავშვო მოთხრობაში „ზეზვა გაფრინდაული", სადაც სახიერად წარმოაჩინა მომავალი გმირის ცხოვრება და თავდადება ბავშვობიდან აღსასრულამდე, რითიც უკვდავყო სახელოვანი გმირი.

მისი „პატარა კახი" ეძღვნება ერეკლე მეფის საბრძოლო დებიუტს, რომელიც ხელხვავიანი გამოდგა და ლაშქარმაც იზეიმა გმირის გამოჩენა, რაც სიმღერით გამოხატა: „ვისაც მოველოდ, მოვიდა!"

სამშობლოს სიყვარულის თემას სერგო კლდიაშვილმა უძღვნა სათავგადასავლო ფანტასტიკური მოთხრობა „ლახუნდარელის თავგადასავალი", სადაც მწერალი საქართველოს მასშტაბურ მსოფლიო სივრცეში განიხილავს და თავისი ეთნიკური თავისებურებებითა და ეროვნული ცხოვრების წესით უპირატესობას ანიჭებს ყველა დანარჩენთან შედარებით.

მე-20 საუკუნემ ჟანრობრივი ნაირგვარობითაც გამოიჩინა თავი. ჟანრობრივად განსხვავებული ხელწერაა ნიკო კეცხოველის მხატვრულ-მეცნიერული მოთხრობა „არხაინიდან მოვდივარ, მომიხარია", სადაც დიდი ნიკო თვითონ მიუძღვის სტუდენტებს „ნაფუზვრებში", რომ ჩვეულებრივზე მეტი დაანახვოს და მოსთხოვოს ჯანმომავრებულ ახალ თაობას.

თანამედროვე მწერლების პატრიოტიზმის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის უაღრესად საინტერესოა ივანე ურჯუმელაშვილის საბავშვო მოთხრობა „უცნობი ბიჭი", რომლის მთავარი მოქმედი გმირი მწერალს ქალაქიდან სოფელში გამოჰყავს მშობლიურ ეზოში მოსანათლად. ავტორმა იმდენი საინტერესო ეპიზოდით დატვირთა ცნობისმოყვარე ბავშვის გონება, რომ მკითხველი ღრმად არის დარწმუნებული, ვოგია ვერასოდეს დაივიწყებს სოფელს, რომელიც არის მისი ცხოვრების გენეტიკური სათავე, სადაც ღრმად გაუდგამს ფესვი მის ყოფიერებას.

ამრიგად, მე-20 საუკუნის საბავშვო მწერლობაში სამშობლოს სიყვარულის მოტივი გამორჩეულია თემატური სიმდიდრით, ჟანრობრივი მრავალფეროვნებით; ისტორიული, მხატვრულ-მეცნიერული ხასიათის მოთხრობები, მეცნიერულ-ფანტასტიკური ზღაპრები, ლეგენდები ქმნიან მდიდარ სულიერ საუნჯეს, რომელიც თავისი მაღალიდეურობით, გამომსახველობითი მხატვრული ხერხების ნაირგვარობით (ბუნების პერსონიფიცირება, მეტაფორა, შედარება, გრადაციები და მრავალი სხვა) სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ფუნქციით აპირობებს მოზარდის საზრიან, სამშობლოს მოყვარულ მამულიშვილად ჩამოყალიბებას.

საქართველოს ცხოვრების ისტორია, ამაღლოულად, ომის ისტორიაა. მე-20 საუკუნის მსოფლიო ომმა არავინ დატოვა უწილოდ. ცხადია, თავისი ნიშანდობლივი კვალი აღბეჭდა ქართველი ხალხის ისტორიაში და, რაღა თქმა უნდა, მწერლობაშიც. ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, შვიდასი ათასი მებრძოლი, რომელთაგან ნახევარი დაიღუპა, კოლოსალური რიცხვია. ომის ბევრი ეპიზოდი წარმოჩინდა ქართულ საბავშვო მწერლობაში და იგი თავისი სისასტიკით მრავალი ფორმით სწვდება საქართველოს ცხოვრების ნებისმიერ სფეროს. ომს გამოეხმაურნენ მე-20 საუკუნის მწერლები (ლ. ჭიჭინაძე, ნ. ნაკაშიძე, რ. ქორქია, ელ. უბილავა, ქ. ქუჩუკაშვილი და სხვები) და შექმნეს საინტერესო ნაწარმოებები როგორც ფორმის, ისევე შინაარსის მიხედვით. მათ შორის გამორჩეულია ქეთევან ქუჩუკაშვილის მოთხრობა „თბილი პური", სადაც მწერალმა ერთმანეთს დაუპირისპირა სამართლიანობა და უსამართლობა, სული და ხორცი, სიცოცხლე და სიკვდილი, რომელიც არა მხოლოდ ბრძოლის ველზე ისვეჭს თავისთვის სასურველს, არამედ ზურგშიც, იმის მიუხედავად, რომ აქ არც ყუმბარები სკდება და არც ზარბაზნების ხმა ისმის, ომი ტოვებს მძიმე, მუქ კვალს. ქეთევან ქუჩუკაშვილი ამ მოთხრობით სავსებით სამართლიანად გახდა შიო მღვიმელის (მამის) სახელობის პრემიის ლაურეატი. მისი მოთხრობის გმირი – გურამი ეპოქის მძიმე ცხოვრების ღვიძლი შვილია, რომელიც შეძლებისდაგვარად, ერთმანეთს უთავსებს სწავლასა და შრომას, წარმატებით ართმევს თავს ყოველ გასაჭირს, ამიტომაც ითვლება საუკუნის სანიმუშო ლიტერატურულ გმირად.

თუ ომს საერთოდ მოეძებნება ბედნიერი ეპიზოდები, ასეთად უნდა ჩაითვალოს ელიზბარ უბილავას მოთხრობა „არამსუტუ", რომელიც ბევრ საინტერესო ეპიზოდს შეიცავს. გამორჩეულად საამაყოა ომის გმირის, მელიტონ ქანთარიას მიერ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აფრიალება.

ომის პერიოდში ზურგში მყოფი ოჯახისა და ბავშვების გასაჭირს ასახავს გიორგი შატბერაშვილის მოთხრობა „კარგი ბიჭი", რომლის შერქმეული სახელი ზუსტად გამოხატავს ზაქროს თვისებას როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში. მათ, უფროს, წამოზრდილ ბიჭუნებს ოჯახში და საზოგადოებაშიც უხდებოდათ მამის მაგივრობის გაწევა, რითაც გაუმწარდათ ბავშვობა. გასაჭირმა ჩააფიქრა ისინი. ნაადრევად ნატვირთმა ცხოვრების მძიმე უღელმა პატარები თითქოს დაავაჟკაცა, გაამამაცა. დამძიმებულმა ცხოვრებამ დაამწუხრა, მაგრამ ვერ დასცა, ვერ გათელა. ამ და სხვა ნაწარმოებების მიხედვით ნებისმიერი ძალადობისა და ყოველგვარი ძალმომრეობის პროტესტად ცნობიერდება ქართველ შემოქმედთა ძალისხმევა, რითაც ისინი თავიანთ სამშვიდობო პოზიციას გამოხატავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარლო ბლაგიძე

## მშვენიერების პრობლემა პლატონის ესთეტიკაში

პლატონის (427-347), ანტიკური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლის ნამდვილი სახელი არისტოკლეა: მისი მამა არისტონი კოდრიდთა სამეფო გვარიდან, ხოლო დედა, პერიქტიონე სოლონის სახლიდან იყო წარმოშობით. კონსერვატორი პლატონი შეურიგებლად ებრძოდა მონათმფლობელურ დემოკრატიას.

პლატონი ახალგაზრდობაში პოეტურ მითებს თხზავდა, რომლებიც ფილოსოფიურმა დიალოგებმა შეცვალა. ეს დიალოგები უაღრესად მნიშვნელოვანია ფორმისა და შინაარსის ერთიანობით. "ამ ორი ელემენტის შეხამება ისე, როგორც ეს პლატონს ჰქონდა, ვერავის ვერ მოახერხა"(ს. წერეთელი).

დიდი ქართველი პოეტი ჩახრუხაძე (XII-XIII სს.) პოემაში "თამარიანი" წერდა: "არსი მზედ გხმობენ, შვიდნი გამკობენ, ვინცა შეგცოდა თავის საქნარი ვერ მიგწვდნენ ქებად-სხდენ თვითვე ვნებად! – პლატონის ენა, დავითის ქნარი" (2.45).

ფილოსოფიისა და ესთეტიკის ისტორიკოსთა უმრავლესობა სამართლიანად აღნიშნავს, რომ სოკრატესა და პლატონს ევუთვნით ფილოსოფიასა და ესთეტიკაში ცნებისა და ზოგადის აღმოჩენა. პლატონი ესთეტიკის ძირითად კატეგორიად თვლიდა მშვენიერებას თავისთავად – მშვენიერების იდეას, რომელიც მიღმურ იდეათა სამეფოშია ჰიპოსტაზირებული არსის სახით: ბუნებაში არსებული მშვენიერება მშვენიერების იდეაზე, მშვენიერებაზე თავისთავად არის დამოკიდებული. ამ ერთიერთობის გარკვევა და მშვენიერების იდეის, მშვენიერების თავისთავად განსაზღვრება რთულია. ეს დიდ ათენელს აღნიშნული აქვს დიალოგ „დიდი ჰიპიას" დასასრულს: „მშვენიერიძნელია".

მშვენიერების ცნების განსაზღვრებისა და გაგების საკითხში პლატონი დაუპირისპირდა სოფისტების ემპირისტულ, სკეპტიკურ-რელატივისტურ და სუბიექტივისტურ თვალსაზრისს, დიალოგში „დიდი ჰიპია" ეს თვალსაზრისი თანმიმდევრულად განხილულია და გაკრიტიკებული. მშვენიერების ნეგატიური, არასრულყოფილი განსაზღვრებისა და გაგების ნაცვლად მშვენიერების უფრო სრულყოფილი განსაზღვრება და გაგებაა ჩამოყალიბებული; თუმცა ეს დიალოგი, როგორც ეს პროფესორ ბაჩანა ბრეგვაძეს მიხეული ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში აქვს აღნიშნული: „თავისი მხატვრული ღირსებითა და სტილისტური სრულყოფილებით არ მიეკუთვნება პლატონის მხატვრული შედევრების –„ნადიმის", „ფედროსის", „ფედონის" და სხვა თანავარსკვლავედს, მაგრამ ეს პატარა დიალოგი დრამატული ხელოვნების უბადლო ნიმუშია", რომელიც მშვენიერების არსის, მისი რაობის გარკვევასა და განსაზღვრებას ისახავს მიზნად.

ელიდოელი სოფისტი ჰიპია ემპირიზმისა და რელატივიზმის პოზიციებიდან მშვენიერების არსს, მის ზოგად მნიშვნელობას ვერ არკვევდა. ეს შეუძლებელიც იყო მხოლოდ გრძნობადი შემეცნების მიერ მოწოდებულ მასალაზე დაყრდნობით, გონების – აბსტრაქტული აზროვნების გარეშე. ჰიპიასათვის მშვენიერია ცალკეული საგანი, მოვლენა ან ცალკეული ადამიანი, მშვენიერი ოქროს, ლირის, ქოთნის, ფაშატის ან მშვენიერი ქალიშვილის სახით და სხვ. მშვენიერების სოფისტური, კერძოდ, ჰიპიასეული გაგება კონკრეტული წარმოდგენების სფეროს ვერ სცილდება და მშვენიერების იდეის – მშვენიერება თავისთავად ზოგად ცნებამდე ვერ აღწევს. პლატონის სოკრატე განუმარტავს ჰიპიას, რომ კონკრეტული მშვენიერება ან მისი წარმოდგენა არ გამოდგება მშვენიერების ცნების განსასაზღვრავად. პლატონი „სოკრატეს აპოლოგიაში" აღნიშნავდა: პოეტები ემსგავსებიან მკითხავებსა და წინასწარმეტყველებს, რომლებიც ხშირად ბევრ კარგს ამბობენ და აკეთებენ, მაგრამ მათ შესახებ არაფერი იციან, მათ ბრძენებად თვლიან, მაგრამ ეს შეცდომაა, რადგან მათ მშვენიერების შესახებ აქვთ არა ცოდნა, არამედ წარმოდგენა (22cd) ათენელი ბრძენი „სახელმწიფოში" განმარტავდა: მართალია, მათ მოსწონთ მშვენიერი ფერები, ბგერები, სახეები, მაგრამ არ იციან მშვენიერება თავისთავად (476c.)

პლატონის აზრით, კონკრეტულ მშვენიერს განსაზღვრავს ზოგადი მშვენიერი – მშვენიერების იდეა, ანუ მშვენიერება თავისთავად, რომლის მიბაძვას წარმოადგენს მშვენიერების კონკრეტული სახეები. მშვენიერების იდეა–მშვენიერება თავისთავად უცვლელი, მარადიული და აბსოლუტურია, ყველგან და ყოველთვის მშვენიერი „არასოდეს არსად და არავის არ ეჩვენება მახინჯად". მისი კონკრეტული სახეები შეფარდებითია, ცვალებადია და დამოკიდებულია ზოგადი მშვენიერების იდეაზე, რომელიც ცალკეულ საგანს, მოვლენას ან ადამიანს მშვენიერებას ანიჭებს. მზერისმიერი და სმენისმიერი სიამოვნების მაგალითზე პლატონის სოკრატე განუმარტავს ჰიპიას: „ორივე მათგანს აერთიებს რაღაც ერთი და იგივე, რაც მშვენიერებას ანიჭებს მათ, რაღაც საერთო, რომელიც ნიშნეულია როგორც ორივესთვის ერთად, ისე თითოეულისათვის ცალ-ცალკე და ერთმანეთიდან არც ერთი არ იქნებოდა მშვენიერი, არც ორივე ერთად და არც თითოეული ცალ-ცალკე. მაშასადამე, ორივე ეს სიამოვნება მშვენიერია არა იმით, რაც ნიშნეული არ არის თითოეულისათვის ცალ-ცალკე: რადგან ის, რაც მხოლოდ ორისთვის არის ნიშნეული, თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე როდი ახასიათებს. ასე რომ: ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად მშვენიერი შეიძლება ეწოდოს ორსავე ამ სიამოვნებას ერთად, მაგრამ არა თითოეულს ცალ-ცალკე (84,89).

პლატონის მხატვრულ-ფილოსოფიური შემოქმედების შედევრში „ნადიმი" მშვენიერების პრობლემას ცენტრალური ადგილი უჭირავს: დიალოგში მშვენიერების იდეა – მშვენიერება თავისთავად მკვეთრად გამიჯნულია მისი კონკრეტული გამოვლენებისაგან. მშვენიერების იდეა – მშვენიერება თავისთავად მარადიულია, არც წარმოიშობა და არც ისპობა კვალიტატურად, ხოლო კვანტიტატურად არც იზრდება და არც კლებულობს, ის მშვენიერია ყველა მიმართებაში, ყველგან და ყოველთვის აბსოლუტურად ერთნაირია თავისი თავისადმი. მშვენიერი საგნები და მოვლენები, ადამიანები წარმოიშობიან და ისპობიან, მათი მშვენიერება წარმავალია.

„ვინც ეროტიულ მისტერიათა ამ საფეხურამდე ამაღლდება, – წერს პლატონი, – ვინც თანამიმდევრობით განსჭვრეტს მშვენიერების ყველა საფეხურს, ზიარების ზღვარს მიღწეული ანაზდეულად იხილავს გასაოცარ მშვენიერებას, სწორედ მას, სოკრატე რისთვისაც აღრე ილვწოდა, იგი მშვენიერებას მარადიულს, ხელთუქმნელსა და წარუვალს, თავისუფალს აყვავებისა და განლევისაგან, მშვენიერებას სახიერს თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში, ყოველი ადგილისა და ყოველი სულდგმულისათვის... მშვენიერება თავის თავთან მიწყივ ერთსახოვანი, თავის თავში არსებული და თავისთავადი, რომელთაგანაც წილნაყარი ყველა სხვა კონკრეტული მშვენიერება იბადება და კვდება, მაშინ, როდესაც ის არც იზრდება და არც ილევა, არც სხვა სახის ცვლილებას განიცდის რასმე... მშვენიერების იდეისკენ მიმავალი გზა, ესაა გზა მშვენიერ საგანთაგან უმაღლეს მშვენიერებაზე თანდათანობით გადასვლისა და, თითქმის საფეხურებს მიჰყვებათ კიბისას, ერთი მშვენიერი სხეულიდან ორზე, ორიდან კი ყველა მშვენიერ სხეულზე უნდა გადადიოდეს კაცი, მშვენიერ სხეულთაგან – მშვენიერ საქმეებზე, მშვენიერ საქმეთაგან კი მშვენიერ მოძღვრებებზე... აბსოლუტური მშვენიერების შესახებ და, ბოლოს და ბოლოს, შეიცნობს თვით მშვენიერებაც და, თუ სიცოცხლეს რამე აზრი აქვს, ამ აზრს აბსოლუტური მშვენიერების ჭვრეტა იძლევა მხოლოდ" („ნადიმი"62.63).

„ნადიმიდან" აქ მოტანილი ვრცელი ამონაწერიდან ჩანს, რომ პლატონის მიერ „ჭეშმარიტ მშვენიერებად მიჩნეულია იდეალური, მარადიული უცვლელი მშვენიერება, რომელიც დაცილებულია მიწიერ სამყაროს და იმყოფება ღმერთთან ერთად მიღმა სამყაროში, როგორც ვხედავთ, პლატონის მშვენიერების თეორიას მითიურობის საკმაო დოზა ერევა, მაგრამ მითიურს მიღმა ადვილია მისი ჭეშმარიტი თვალსაზრისის „ამოკითხვა" (თ.კუკავა).

პლატონს მხატვრული შემოქმედების შედევრში „ფილებოსში" და საყოველთაოდ აღიარებულ ნაშრომებში „სახელმწიფო", „სოფისტი", „ტიმაიოსი" და სხვ. მშვენიერების არსებით ნიშნად მიაჩნია სისრულე. ყოველი სრული მშვენიერია, ის არის სიწმინდე, ზომა და თვით ჰარმონიულობა.

დიალოგში „ნადიმი" იგი აღნიშნავს: ეროსი მშვენიერების სიყვარულია და არა სიმახინჯისა. სიყვარული არის სურვილი სიკეთის მარადიული ფლობისა. ამ სურვილს პლატონი უკვდავების სურვილსაც უმატებს „...რაკი სიყვარული მხოლოდ სიკეთის მარადიული ფლობის სურვილია და სხვა არაფერი. აქედან გარდუვლად გამომდინარეობს: სიყვარული აგრეთვე სურვილია უკვდავებისა".[1]

პროფესორი თამარ კუკავა ეხება პლატონის მშვენიერების ეთიკურ კონცეფციას: პლატონს დიალოგში „ნადიმი" სოკრატეს სახით მშვენიერი ადამიანის პორტრეტი აქვს მოხაზული, რომელიც გარეგნულად გამორჩეული არ არის, პირიქით, იგი შეუხედავი და მახინჯიცაა. მაგრამ სოკრატე მშვენიერია სიბრძნით, სიკეთით, თავმდაბლობით, სამართლიანობით, ორატორული ნიჭით, ბრძოლის ველზე შეუპოვრობით და სხვა დადებითი თვისებებით, რომლებიც ამ ლეგენდად ქცეულ პიროვნებას წარმოადგენს, როგორც სრულყოფილება–მშვენიერების განსახიერებას. სოკრატეს მშვენიერება ხილულ ქვეყანაში, მშვენიერების იდეის – მშვენიერების თავისთავად გამოხატულებაა. სოკრატეს მშვენიერება ნაზიარებია ღვთაებრივ მშვენიერებაში. სოკრატეს პიროვნებაში სიკეთე და მშვენიერება ერთმანეთთან განუყრელადაა დაკავშირებული. პლატონმა ნაშრომში „კანონები" მშვენიერების ეთიკური კონცეფცია შემდგომ განავითარა, რომლის მიხედვით „...სხეულით მახინჯი ადამიანები შეიძლება მშვენიერნი იყვნენ, თუ ისინი მაღალზნეობრივნი არიან"(85 90d).

პლატონის ფილოსოფიური დუალიზმი თავს იჩენს მის ესთეტიკურ კონცეფციაში: ათენელი ბრძენი, ერთი მხრივ, დიალოგებში: „ნადიმი", „იონი" „დიდი ჰიპია" და სხვ. მშვენიერებასა და სიკეთეს აახლოებდა, ხშირ შემთხვევაში მშვენიერებისაკენ სწრაფვას სიკეთისაკენ მისწრაფებასთან აიგივებდა. მეორე მხრივ, პლატონი „სახელმწიფოში" საპირისპიროს ამტკიცებდა: ხელოვნება საერთოდ და კერძოდ პოეზია სრულიადაც არ უწყობს ხელს მშვენიერებისა და სიკეთის დაახლოებას, პირიქით, იგი ხელს უშლის მორალურ აღზრდას, რადგან სიკეთისა და მშვენიერების სიყვარულის ნაცვლად ავარჯიშებს სულის მანკიერ მხარეს: პოეზია იწვევს ზედმეტ სიხარულს ან ზედმეტ მწუხარებას, ამით იგი სულს სიმშვიდეს უკარგავს, აკნინებს და ასუსტებს გონებას, ამიტომ, - ასკვნიდა პლატონი, - იდეალურ სახელმწიფოში გრძნობადობა -- სიამოვნება - უსიამოვნება კი არ უნდა ბატონობდეს, არამედ ზომიერება, კანონი და გონება(602c-608b).

პლატონის აზრით, ჭეშმარიტი პოეზია და პოეტები ხელს უწყობენ ადამიანებში სათნოების, სიკეთის, სიმამაცისა და სამართლიანობის აღზრდას, მშვენიერებისა და ჭეშმარიტების სიყვარულს: ჭეშმარიტი პოეზიისათვის, პლატონის აზრით, დამახასიათებელია სიმართლე, მისთვის მიუღებელია ტყუილი და ორპირობა.[2] ამიტომ ღვთაებრივი მოწოდების ჭეშმარიტი პოეტები უფლებამოსილი არიან, იცხოვრონ და იღვაწონ იდეალურ სახელმწიფოში – მაგრამ მოჩვენებითი პოეტები – მეხოტბენი და მაამებლები, ზემოთ აღნიშნული დადებითი თვისებების საწინააღმდეგო თვისებებს: ბოროტებას, შიშს, ტყუილს, უსამართლობას ნერგავენ ადამიანებში, თითქოს ამ გზით მიიღწევა ბედნიერება და სხვ.(386a-392bc). მოჩვენებით პოეტებს არა აქვთ უფლება, იცხოვრონ და იღვაწონ იდეალურ სახელმწიფოში.

პლატონი ნაშრომში „სახელმწიფო" განასხვავებს პოეტური თხრობის სამ ფორმას: ა) პოეტი თვითონ მოგვითხრობს რაიმეს; ბ) პოეტი სხვას ალაპარაკებს; გ) ანდა პირველ და მეორე ფორმას აერთიანებს. აქედან პირველი ფორმა მისაღებია. მაგრამ, პლატონის აზრით, პოეტური თხრობის ყველაზე ცუდი ფორმა დრამატული ნაწარმოების მიმბაძველობითი თხრობაა. ამიტომ ეს ფორმა მისთვის მიუღებელია (392c და შემდეგ).

პროფესორი სავლე წერეთელი ეხება ამ პრობლემას და კითხვას სვამს: „რატომ არის ცუდი მიბაძვა (მიმესის?) პლატონის თეორიის თანახმად". მიბაძვა გამართლებული არ არის იმიტომ, რომ ადამიანის სულის ყოველი მხარე მხოლოდ თავის ფუნქციას უნდა ასრულებდეს, ასევე ყოველი საზოგადოებრივი წოდება თავის საქმეს უნდა აკეთებდეს (397e), ის სხვას არ უნდა ბაძავდეს (394e-395a). პლატონის აზრით, „...მიბაძვა დაუშვებელია, ამიტომ არ უნდა დავუშვათ ტრაგედიები და კომედიები, რომლებიც მიბაძვას ემყარებიან".

ათენელი ბრძენის აზრით, ადამიანებში ცუდი მეტია, კარგი ნაკლები: კარგის, სიკეთის მიბაძვა დასაშვებია: კარგი მწერალი მეტს უნდა მოგვითხრობდეს, ვიდრე ჰბაძავდეს, ცუდი მწერალი კი მეტს უნდა ჰბაძავდეს და ნაკლებს მოგვითხრობდეს (396bc). მაშასადამე, პლატონი უარყოფს ცუდ მიმბაძველობით პოეზიას და არა ჭეშმარიტ მიმბაძველობას, რაც უშუალოდ განისაზღვრება მშვენიერებით. „მაგრამ, – წერს ს. წერეთელი – პოეზია იდეებისა კი არა, არამედ ცვალებადი მოვლენების მიბაძვაა. აქ ესათუთღ მჟღავნდება შეუსაბამობა, რომელიც პლატონის მოძღვრებას შინაგანად ახასიათებს... ხელოვნების საკითხში პლატონის დაბნეულობის თეორიული საფუძველი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ მან ვერ მონახა ხელოვნების სპეციფიკა".

პლატონის ესთეტიკური კონცეფციის წინააღმდეგობრიობაზე ზემოთ უკვე ითქვა, აქ იმას დავუმატებთ, რომ ათენელი ბრძენი, ერთი მხრივ, ხელოვნებას, პოეზიას და სხვ. ცოდნის სფეროდ თვლის, მათ ცოდნასთან აიგივებს და მას მშვენიერების იდეის, მშვენიერების თავისთავად განხორციელებად მიიჩნევს, მაგრამ, მეორე მხრივ, „სახელმწიფოში" უარყოფს აღნიშნულ თვალსაზრისს, ხელოვნებას, პოეზიას და ა.შ. უპირისპირებს ცოდნას, მეცნიერებას და ფილოსოფიას: ხელოვნებას, პოეზიას და ა.შ. არცოდნად, მოჩვენების მოჩვენებად, ანუ ცუდ ცოდნად თვლის. პლატონის ესთეტიკური კონცეფციის აღნიშნული წინააღმდეგობა მისი ფილოსოფიური დუალიზმის ლოგიკური შედეგია. „მშვენიერების იდეა და ხელოვნება, როგორც გარკვეული მოვლენა, ვერ თანხმდება პლატონის სისტემაში: ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან იდეისა და მოვლენის დუალიზმი მისი სისტემის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია"(ს. წერეთელი).

პლატონის აზრით, ყველაფერია უცვლელი და მარადიული იდეა, არის ჭეშმარიტი არსი, რომელზეც ამა და იმ სამყაროს არსებობაა დამოკიდებული. ექვემდებარება ყველაფერი იდეას მათ შორის ხელოვნება, თავისი ძირითადი ფორმებით, რომლებიც მშვენიერების იდეის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს.

პლატონის ფილოსოფიასა და მის ესთეტიკურ კონცეფციას დაუპირისპირდა ათენელი ბრძენის მოწაფე, ანტიკურობის გენია - არისტოტელე, რომელმაც გააკრიტიკა მასწავლებლის ფილოსოფიური და ესთეტიკური თვალსაზრისი, დევიზით- „Amicus Plato, sed magis amica verita"(„პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო მეტად მეგობარი").

პლატონის იდეალისტურმა თვალსაზრისმა გავლენა მოახდინა არა მარტო არისტოტელეზე და ანტიკურობის მოწურულის ფილოსოფიურ და ესთეტიკურ აზროვნებაზე, არამედ საშუალო საუკუნეების, ახალი, უახლესი და თანამედროვე იდეალისტური ფილოსოფიური და ესთეტიკური აზრის განვითარებაზე.

შენიშვნები

*1 ვფიქრობ, პლატონის ამ დებულებას ეხმაურება გალაკტიონის შესანიშნავი სტრიქონები: „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ. უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ"*

*2 დიდ ქართველ პოეტს შოთა რუსთაველს „ავთანდილის ანდერძში..." გადმოცემული აქვს პლატონის ეს თვალსაზრისი:*

*„ვიცი, ბოლოდ არ დამრჩების - ამა ნივთსა განზრახულსა,-*
*კაცი ბრძენი ვერ გასწორავს მოყვარესა მოყვარულსა;*
*მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლათქმულსა:*
*„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლალი კურტანიძე

## „მესხი სწავლითა ქებული“

გრიგოლ ორბელიანი პოემა „სადღეგრძელოში“ თამარ მეფის დროინდელ მესხს მოიხსენიებს „სწავლით ქებულ,“ განათლებულ ქართველად. XII-XIIIსს. მესხეთი უდავოდ განვითარებული მხარე იყო, ხოლო XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალთა შემოსევამდე, მონგოლების მიერ იავარქმნილ საქართველოში მესხეთმა შესძლო შეენარჩუნებინა ძველი ეკონომიკურ - პოლიტიკური სიძლიერე და კულტურულ - საგანმანათლებლო დონე. ამ თვალსაზრისით იგი ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა მხარეს აღემატებოდა. მაგრამ მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი უბედურება გადაიტანა საქართველომ და მასთან ერთად მესხეთმა. ჯერ თურქმა დამპყრობლებმა მაჰმადიანობის დამკვიდრებით დაამკნინეს და შელახეს სამცხე-ჯავახეთში ქართული ქრისტეანული სწავლა-აღზრდის ტრადიციები, ნადგურდებოდა ეროვნული განათლების კერები. უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. ცარიზმის რუსიფიკატორულმა რეჟიმმა საბოლოოდ ჩაკლა სწავლა-განათლება სამხრეთ საქართველოში. XIX საუკუნის სამოციან წლებამდე ამ ოდესღაც აყვავებულ მხარეში თითქმის არც ერთი სასწავლებელი აღარ იყო, მხოლოდ 60-იანი წლებიდან საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქველმოქმედო საზოგადოების ძალისხმევით ჩნდება აქ ქართული სასწავლებლები.

ამ დროისათვის სამცხე-ჯავახეთში პოპულარული და გამორჩეული იყო ქალთა ორკლასიანი ქართული სკოლა, რომელიც 1870 წელს დააარსა ანა ღოღობერიძემ. ანა ღოღობერიძე იყო ახალციხის მაზრის სამხედრო უწყების მოხელის გენერალ მ. მუსხელიშვილის მეუღლე. მისივე ინიციატივით ახალციხეში შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული სკოლებისა და სასწავლებლების დაარსებას ქალებისთვის.

ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვლის დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი. მას სათანადო ცოდნა და კომპეტენცია გააჩნდა ამგვარი სასწავლებლის დაარსებისა და ხელმძღვანელობისთვის. სკოლის დაარსების შესახებ ი.გოგებაშვილი წერდა: „საჭირო იყო ადგილობრივ მცხოვრებთა წრეში სანახევროდ მაინც შექმნილიყო მოთხოვნილება მოზარდ ქალთა წერა-კითხვის ცოდნისა და განათლებისა. საჭირო იყო საზოგადოების ინტელიგენტურ ნაწილში გაღვიძებულიყო თანაგრძნობა სასწავლებლის დაარსებისადმი, მის მხრივ აქტიური მონაწილეობის გამოწვევა; საჭირო იყო არც თუ ისე პატარა თანხების გამონახვა მის დასაარსებლად და მისი არსებობის უზრუნველყოფა საიმედო სახსრებით“. ეს იყო რთული და პრობლემატური საქმე იმ დროს და მითუმეტეს ისეთ მივიწყებულ ადგილს, როგორიც გახლდათ ახალციხე. სადაც ქართველი მოსახლეობა სიღარიბესა და შევიწროებას განიცდიდა. „ივერიის“ კორესპონდენტი აღნიშნავდა: „მხარეში სხვადასხვა მიზეზების გამო ხალხი იმ დროს გონებადახშული და განუვითარებელი იყო. სკოლას არამც თუ პირველ ხანებში, შემდეგაც მომხრე და შემწევნი იშვიათად ეპოვებოდა. ასეთ ვითარებაში ანა მესხელიშვილმა მაინც შესძლო სკოლის დაარსება.“ სასწავლებელი 1870 წლის 4 აპრილს გაიხსნა. სწავლა კი თამარ მეფის სახელობის დღეს - პირველ მაისს დაიწყო. „სასწავლებელი გათვალისწინებული იყო 12 მოსწავლე ქალისთვის, მაგრამ რომ არავინ ელოდა სასწავლებელს 12 მოსწავლის ნაცვლად ოთხმოცდაათი მოსწავლე ქალი მოუვიდა“ - წერდა გაზეთი „დროება“. სკოლაში პირველად დაარსდა ორი კლასი - უფროსი და უმცროსი მოსწავლეებისთვის, რომელნიც მოთავსებულნი იყვნენ ცალ-ცალკე ოთახში. შეძენილ იქნა სასწავლო ნივთები, სახელმძღვანელოები და ხელსაწყოები. შეიქმნა სასკოლო ბიბლიოთეკა. შემოიღეს საგნობრივ მასწავლებელთა სისტემა, რადგან ძნელი იყო ისეთ პირთა გამონახვა, რომელნიც შესძლებდნენ ყველა საგნის სწავლებას. სკოლის ხელმძღვანელობამ სკოლაში მიიწვია მასწავლებლად ადგილობრივი სამაზრო სასწავლებლის ორი მასწავლებელი და რამდენიმე განათლებული ქალი. ამ მასწავლებელთა უმრავლესობა უფასოდ ასწავლიდა.

ერთი წლის დაარსებულ ქართველ ქალთა სკოლას თბილისიდან სწვევია გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი მ. მამაცაშვილი. სკოლის საქმიანობით მოხიბლული კორესპონდენტი წერს: „ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთ თვეში, რაც მე ახალციხეში ვარ, ყოველდღე დავდივარ სასწავლებელში და თვალყურს ვადევნებ ყმაწვილების გონების გახსნას. ჩემდა სასიხარულოდ ყოველ იმათ ხალისიან პასუხში ცხადად ჩანს, როგორ სინდისიერად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას ამათი მასწავლებლები... მართლაც საკვირველია, რამდენი მოუსწრიათ ამ მოკლე დროში ყმაწვილებს. ამასთან კანიკულების დროც რომ გამოვრიცხოთ დარჩება მხოლოდ ცხრა თვე სწავლისა. ამჟამად სასწავლებელში 52 შეგირდია, თუმცა კიდევ ბევრნი არიან მსურველნი, მაგრამ სახლის ვიწროობა ნებას არ აძლევს მეტის მიღებისას... მოსწავლეებს ქართული წერა-კითხვა კარგად უსწავლიათ. არითმეტიკა და სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურებიც რიგიანად იციან. უფროს განყოფილებას „ბუნების კარიც“ დაუმთავრებია და საფუძვლიანადაც უსწავლია. ჩვენდა საუბედუროდ „ბუნების კარის“ გარდა სახელმძღვანელო სხვა არა გვაქვს რა, ასე რომ მასწავლებელი იძულებულია რუსულის წიგნიდან შეადგინოს საჭირო საგნები და ისე ზეპირად აუხსნას ყმაწვილებს, რომლებიც ამასთანავე იმეორებენ და ისე სწერენ“.

1871 წლის 30 მაისს ჩატარდა ქალთა სასწავლებლის მზრუნველ წევრთა კრება (იგივე საქველმოქმედო საზოგადოებისა). საზოგადოების ყველა წევრი ერთიანად იყო მონდომებული სკოლის არსებობისა და გაძლიერებისათვის. სხდომაზე სკოლის გამგემ კრებას გამოუცხადა, რომ საჭიროდ მიიჩნევდნენ აქვე, ქალთა სკოლაში ხელსაქმის განყოფილების გახსნას, რათა ზოგად განათლებასთან ერთად გოგონებს საშუალება მისცემოდათ ესწავლათ ჭრა-კერვა, ქსოვა, ქარგვა და სხვა. კრება შემოტანილ წინადადებას კმაყოფილებით შეხვდა.

ი. გოგებაშვილი „ქალთა უფასო სკოლის“ დაარსებას ახალციხეში „ცისკრის ამოსვლას“ ადარებდა.

სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი ახალციხის მოქალაქეთა ღარიბეს ფენას მიეკუთვნებოდა. ანა მესხელიშვილმა დაუღალავი მუშაობით იმდენი შესძლო, რომ სკოლის ხარჯით ორი წარჩინებული მოსწავლე გაგზავნა სწავლის გასაგრძელებლად: ერთი თბილისის ქალთა გიმნაზიაში, მეორე კი მცხეთის მონასტრის ქალთა სასწავლებელში. მართლაც, მაშინდელი ახალციხის დედათა სკოლა, როგორც მას ახასიათებდა ამ სკოლის თბილისიდან მოწვეული მასწავლებელი ნ. ქიქოძე, თავისი ოთხმოცი მოსწავლით წარმოადგენდა „სიცოცხლით სავსე რიგიანად დაყენებულს და მოწყობილს ერთ დიდ ოჯახსა, რომლის დედა და მზრუნველი იყო თვით ანა მესხელიშვილი“.

1875 წლის გაზაფხულზე ა.მესხელიშვილმა დატოვა ახალციხის სკოლა ოჯახური პირობების გამო და რუსეთში წავიდა. რუსეთის ჰავამ მასზე ცუდად იმოქმედა დაავადდა და ხუთი წლის შემდეგ ძლივს მოახერხა საქართველოში დაბრუნება. ამჯერად იგი დამკვიდრდა ქუთაისში და კვლავ საზოგადო საქმიანობას მიჰყო ხელი. როცა იგი ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის სამზრუნველოს თავმჯდომარეე იყო, ახალციხის ქალთა სკოლასთანაც ჰქონდა კავშირი. ქუთაისში ყოფნისას იგი ავად გახდა, მაგრამ თავისი ავადმყოფობა არად მიაჩნდა, კვლავ სკოლისკენ ჰქონდა გულისყური მიპყრობილი. იგი სთხოვდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრებს, როგორმე დახმარებოდნენ ახალციხის ქალთა სკოლას. „ახალციხის სკოლას ძალიან ეჭირება დახმარება, გთხოვთ უარი არ უთხრათ, ხელი მოუმართოთ, პარტები გაუგზავნოთ და შეიძლება ზოგიერთი სახელმძღვანელოც, საანგარიშოები და სხვა ამისთანები. შენობა სულ არ უვარგიათ, არც სკამები, მაცნობეთ როგორ მოიქცნენ“

1881 წელს სკოლა მასწავლებლის გარეშე დარჩა. სკოლის კომიტეტი სთხოვდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას,“ - გამოუგზავნოს შესაფერისი მასწავლებელი - ქართველი ქალი, რომელსაც წლიურ ხელფასად მიეცემოდა 500 მანეთი და უზრუნველყოფილი იქნებოდა ბინითა და საწვავით, ასევე სთხოვდნენ მისთვის სხვა მატერიალური დახმარების გაწევასაც. მართლაც, სკოლისთვის ამ კრიტიკულ ჟამს „საქველმოქმედო საზოგადოების“ ყველა წევრმა დიდი დახმარება გაუწია სკოლას და დახურვისგან გადაარჩინა.

1885 წლიდან თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ანა კვლავ დაბრუნდა ახალციხეში და საყვარელი სკოლა „სრულ წესრიგში“ მოიყვანა. „ახალციხეში მობრუნების შემდეგ კიდევ ხუთ წელს იცხოვრა და ილვაწა, მაგრამ ორგანიზმში გამჯდარმა სენმა თავისი გაიტანა - იგი თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა 1890 წლის 30 მაისს“ – წერდა „კვალი“

ანა მესხელიშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი სკოლა ენუგეშოდ დარჩა, მაგრამ განსაცდელს გადაურჩა და სკოლის გულშემატკივარი ადამიანების ზრუნვის შემდეგ მდგომარეობა მალე გაუმჯობესდა. თუ 1890-91 წლებში სასწავლებელში მოსწავლეთა რიცხვი ოცდაათამდე დავიდა, 1892 წელს მათი რიცხვი 70-მდე გაიზარდა, 1893 წელს კი 80-ს გადააჭარბა. თუ მანამდე ერთი დაქირავებული მასწავლებლის მეტი არ შეეძლო ჰყოლოდა, 1893 წელს სკოლას სამი მასწავლებელი ჰყავდა. ორი მასწავლებელი 25-25 მანეთიად და ერთი ხელსაქმის მასწავლებელი 10 მანეთიანი ხელფასით თვეში. ამასთანავე, „საქველმოქმედო საზოგადოებამ“ სკოლისთვის იქირავა შესაფერისი სახლი 80-ზე მეტი შეგირდისათვის. დაიწყო თანხის შეგროვება საკუთარი შენობის შეძენის ან აგებისათვის, რადგან სასწავლებელი იმყოფებოდა ნაქირავებ, ერთსართულიან ძველ მიწურში, რომელშიც „როგორც საცერში“ ისე ჩადიოდა წვიმა. 1899 წელს ქალთა სკოლა, როგორც იქნა, ნაქირავები ბინიდან ქვითკირის საკუთარ ბინაში გადავიდა.

1900 წლიდან „საქველმოქმედო საზოგადოების“

ბიბლიოთეკა

ქალთა სკოლის გამგედ ინიშნება ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), რომელიც გაგზავნილი იყო ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მომრიგებელ შუამავლად ანა მუსხელიშვილის შემდეგ, მხოლოდ მისი გამგებლობის დროს დადგა სკოლა ნამდვილ მყარ ნიადაგზე.

ქალთა სკოლაში 1901 წელს 111 ქალი სწავლობდა. მათგან ქართველი-83 (ამათგან 3/4 კათოლიკე იყო, 1/4 მართლმადიდებელი) რუსი–2, სომეხი–3, ებრაელი-10, ბერძენი–5, პოლონელი–7, მაჰმადიანი–1. სწავლა სკოლაში ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა. ყველა ეროვნების ბავშვები სწავლობდნენ ქართულს. ამ დროს სკოლას უკვე საკუთარი შენობაც ჰქონდა, რომელზედაც „საქველმოქმედო საზოგადოებას" 5253მან. 85კაპ. ჰქონდა დახარჯული, მაგრამ მშენებლობის ბოლომდე მიყვანისათვის კიდევ საჭირო იყო 1000 მანეთი. აღსანიშნავია, რომ 1901 წელს სკოლას უკვე შვიდი მასწავლებელი ჰყავდა.

1902 წელს სკოლაში 120 მოსწავლე იყო. ამათგან ას ორი ოთხ განყოფილებაში და თვრამეტი დამატებით განყოფილებაში, სადაც მხოლოდ ხელსაქმეს და ჭრა-კერვას ასწავლიდნენ.

სკოლაში სადვთო სჯულს ცხრა წლის განმავლობაში უხელფასოდ ასწავლიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივ. გვარამაძე, („ვინმე მესხი"). ასევე უანგაროდ მუშაობდნენ სკოლაში მღვდელი დიმიტრი ხახუტაშვილი და კ. გვარამაძე, რომლებმაც 1904 წელს შექმნეს ახალციხის ძველი ნაწილის ე.წ. „რაბათის სცენისმოყვარეთა დასი". მისი შემოსავლის ერთი ნაწილი ქალთა სკოლას ეძლეოდა. ამავე მიზანს ემსახურებოდა 1913 წელს დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ახალციხის განყოფილება".

„ე.კორიცკის ხელმძღვანელობის დროს სკოლის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. 1916 წლის 27 მარტს, სასწავლებელმა თავისი არსებობის 40 წლის დღესასწაული გადაიხადა. ამ დღეს გაიმართა „ლიტერატურული დილა" და პირველ განყოფილებაზე წაიკითხეს სასწავლებლის 40 წლის მოღვაწეობის და მისი დამაარსებლის შესახებ. იმავე წლის მაისში, სკოლის კომიტეტმა გადაწყვიტა სწავლების პროგრამაში შეეტანათ ხალიჩა-ჯეჯიმების, წინდებისა და კალათების ქსოვის სწავლება, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობდა და წინ წაწევდა არა მარტო მის ეკონომიურ მდგომარეობას, არამედ იმ დროისათვის ამ ჩამორჩენილი კუთხის ღარიბ-ღატაკ ქართველთა მდგომარეობას. სკოლის გამგეს თბილისიდან ჩამოუტანია საქსოვი და საწნავი იარაღები და მასალა. მოუწვევია სათანადო სპეციალისტებიც" – (წერდა „ცნობის ფურცელი".

ახალციხის ქალთა უფასო სკოლაში სწავლობდა და შემდეგ იქვე XIX საუკუნის ბოლოს მასწავლებლობდა ნატალია პეტრეს ასული გიორგაძე. იგი თავის საყვარელ საქმეს ასწავლიდა როგორც პატარა გოგონებს, ისე ოჯახის ქალებს და თვითონაც გულმოდგინედ ქსოვდა და ქარგავდა. „მან მოქსოვა შესანიშნავი ხელოვნებით საქართველოს მეფეთა გერბი, – გვამცნობს ზ.ჭიჭინაძე,– რუკა და სხვა ამგვარები, რომელიც გაგზავნეს პარიზის გამოფენაზე, რის გამოც მას ნიშნად კარგის ხელოვნებისა და ნიჭიერებისა ოქროს მედალიც მოუვიდა, რა საკვირველია თავის შესაფერის პატივისცემით". ნატალიასთან ერთად საქართველოს მეფეთა გერბზე უმუშავია აღათი გოზალოვს (გოზალიშვილი). გერბის საუკეთესო შესრულების გამო მანაც მიიღო ხელსაქმის კარგად მცოდნის მოწმობა პარიზის გამოფენიდან.

პირველდაწყებითი განათლება რაბათის ქალთა სკოლაში მიიღო მესხმა ხელოვანმა როზა მეფისაშვილმა. აქ ჩაეყარა საფუძველი მის ხელოვნებას, რომელმაც სახელი გაუთქვა მესხურ ტრადიციულ ოქრომკედით ქარგულობას. მან მოქსოვა „ვეფხისტყაოსნიდან" ილუსტრაცია, „შოთა მიართმევს თამარ მეფეს ვეფხისტყაოსანს" – ზიჩის ნახატის მიხედვით, რომელზეც მუშაობა დაუწყია 1892 წელს და დაუმთავრებია 1898 წელს „ილუსტრაცია ვეფხისტყაოსნიდან" ქუთაისის გამოფენაზე წარმოუდგენიათ. გამოფენას ესწრებოდნენ ქართველი მგოსნები, აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი. ყველას მოსწონებია ნაკერი ილუსტრაცია. აკაკის ოქროს ჩარჩო გაუკეთებია სურათისთვის და გადაუწყვეტია, მომავალში იგი წარედგინა მსოფლიო ხელოვნების ნამუშევართა რომელიმე გამოფენაზე. აკაკი საფრანგეთის დედაქალაქ პარიზს პირველად 1909 წელს სწვევია. სავარაუდოა, რომ აკაკიმ ამ ხანებში მოახერხა სურათის გატანა და იქ მსოფლიო ხელოვნების ნამუშევართა გამოფენაზე წარადგინა. ნახატს აღტაცებაში მოუყვანია მნახველები და უმაღლესი შეფასება – ოქროს მედალი დაუმსახურებია. ევროპის მუზეუმებს დიდი თანხა შეუძლევიათ სურათში, მაგრამ, რა თქმა უნდა, პოეტი ამ ეროვნულ საუნჯეს საქართველოს გარეთ არ დატოვებდა. „დაბრუნებული სურათი რ.მეფისაშვილის გარდაცვალების შემდეგ მის უმცროს ძმას, სამსონს როზას სხვა ნამუშევრებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსთაველის კაბინეტისათვის ჩაუბარებია (1937წ.)" (ნ.სულაძე).

ანა ბესარიონის ასულ მუსხელიშვილის მიერ დაარსებულმა სკოლამ 1921 წლამდე იარსება.

დავით პაიჭაძე

# გერმანია-საქართველოს არშემდგარი დოკუმენტი

პირველი მსოფლიო ომის მიწურულს, რუსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, თურქეთმა პრეტენზია განაცხადა ბრესტის ზავის პირობების თანახმად ნეიტრალურად გამოცხადებულ ტერიტორიებზე – ბათუმზე, ყარსსა და არტაანზე, თუმცაღა ამ ოლქებს თვითმმართველობა თურქეთთან შეთანხმებით უნდა მოეწყოთ.[1] ამიერკავკასიის იმჟამინდელმა მთავრობამ ქართველი „მენშევიკების" თავკაცობით, მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობა არ მიუღია ბრესტის საზავო მოლაპარაკებებში, თავი რუსეთის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა, უარი თქვა ბრესტის საზავო პირობების შესრულებაზე და თურქეთისათვის სამხედრო წინააღმდეგობის გაწევას რუსეთის იმედით ვარაუდობდა. საბოლოოდ ოსმალებმა აიღეს არა მხოლოდ აღნიშნული ოლქები, არამედ ოზურგეთი, ახალციხე და ახალქალაქი, რომელთა მისაკუთრებას (ოზურგეთის გამოკლებით) თბილისის აღების მუქარით ცდილობდნენ...

ასეთ ვითარებაში ბათუმში მიმდინარე კონფერენციაზე გერმანიის (როგორც თურქეთის მოკავშირე ქვეყნის) წარმომადგენელი გამოვიდა ინიციატივით და კონფერენციას თურქეთსა და ამიერკავკასიას შორის ურთიერთობის საკუთარი ვარიანტი შესთავაზა.[2] თურქებმა ეს დოკუმენტი უარყვეს და თბილისზე იერიშისათვის ემზადებოდნენ.. ერთადერთი გამოსავალიღა რჩებოდა – თურქების დიპლომატიური ვიზავის, ამიერკავკასიის კომისარიატის გაუქმება, დიპლომატიურ ასპარეზზე სხვა სუბიექტის ანდა სუბიექტების გამოსვლა და მათთან გერმანიის ხელშეკრულება. ამგვარად, გერმანიის საგარეო-პოლიტიკურმა ინტერესებმა მოითხოვა დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, რასაც იძულებით დაეთანხმა ნოე ჟორდანიაც, მით უფრო, რომ ოსმალთა ჯარი ქუთაისთან იდგა. 26 მაისის დეკლარაციის შემდეგ, უკვე 28 მაისს, ფოთში გერმანულ სავაჭრო ხომალდზე „მინა ჰორნ" დაიდო პრელიმინარული შეთანხმებანი გერმანიის იმპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის. ამ შეთანხმებების ძალით გერმანია de facto სცნობდა ახლად შექმნილ რესპუბლიკას და უნდა ეღვაწა მისი ფეხზე დადგომისათვის. მართალია, ბათუმის ოლქი ბრესტის პირობების თანახმად თურქეთის გამგებლობაში რჩებოდა, მაგრამ საქართველოს დაუბრუნდა ოზურგეთი, ახალქალაქი, ახალციხე. თურქებთან 1918 წ. 4 ივნისს საქართველოს მთავრობის მიერ დადებული „სამეგობრო ხელშეკრულება" არ ამოქმედებულა.

იმავე დღეს, 28 მაისს, იგივე ხომალდით ქართულმა დელეგაციამ გეზი აიღო ბერლინისაკენ, სადაც უნდა დასრულებულიყო მუშაობა დიდ ხელშეკრულებაზე. აღნიშნული დოკუმენტის შექმნაში საქართველოს მხრიდან მონაწილეობდნენ დელეგაციის მეთაური – საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე და ზ. ავალიშვილი.

1918 წ. სექტემბრის ბოლოსათვის დოკუმენტი უკვე მზად იყო, გართულებული შიდა და საგარეო ვითარების გამო გერმანიის მესვეურნი აღარ ჩქარობდნენ მასზე ხელის მოწერას, ხოლო გერმანიაში მომხდარმა რევოლუციამ კი მისი საბოლოო გაფორმება ისტორიას ჩააბარა.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ხელშეკრულება ძალაში არასოდეს შესულა, მისი პირობები უაღრესად მნიშვნელოვნად და საინტერესოდ მიგვაჩნია ქართული ისტორიოგრაფიისა და დიპლომატიური კორპუსისთვისაც, ვინაიდან ეს იყო ნაყოფი ხანგრძლივი მუშაობისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს ქართველი და უცხოელი დიპლომატების მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე შემუშავებული პირველი დოკუმენტია გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, რომელსაც უერთდებოდა საქართველო. გერმანელთა უაღრესად დაწვრილებითი და კანონმორჩილი მიდგომის გამო იგი უაღრესად საინტერესოა განზოგადების თვალსაზრისით და გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ვინც უნდა იყოს საქართველოს პარტნიორი მომავალში, Modus Vivendi ნაპოვნია. ეს პარტნიორული ურთიერთობები შემუშავებულია იმდროინდელი ევროპის წამყვანი სპეციალისტებისა და ქართული დიპლომატიის საუკეთესო წარმომადგენლების მიერ. უნდა ითქვას, რომ ეს დოკუმენტი დღემდე ხელმიუწვდომელი იყო ქართველი მეცნიერებისათვის.

წინამდებარე პუბლიკაციაც სწორედ მისი გაცნობის საქმეს ისახავს მიზნად და სამეცნიერო საზოგადოებას სთავაზობს აღნიშნულ დოკუმენტს მცირედი კომენტარებით.

## სამეგობრო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულება გერმანიასა და საქართველოს შორის.[3]

გერმანიის საიმპერატორო მთავრობა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან გამომდინარე, აღსავსენი სურვილით, დაამყარონ ორივე ქვეყანას შორის ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობები და ამით ხელი შეუწყონ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას.

---

1.Мирные переговоры в Брест-Литовское М, 1920. т. 1. Документы внешеней политики СССР. т. 1. с. 119-206

2. Politisches Archiv des Auswartigen Amtes, Akten შემდგომში Akten des Auswartigen Amtes [A.A.] Rusland 97 a – R 11109.

3.Politisches Archiv des Auswartigen Amtes, Akten, Georgien N1 Bd.8/f.Bd.9.(R7315).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმდნენ დადონ სამეგობრო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულება და მათ რწმუნებულებად დაასახელეს:

გერმანიის საიმპერატორო მთავრობამ ———————————————
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ———————————————.

რწმუნების სიგელების წარდგენისა და ამ უკანასკნელთა სარწმუნოდ ცნობის შემდეგ რწმუნებულები შეთანხმდნენ:

## პირველი თავი

## მეგობრული ურთიერთობები გერმანიასა და საქართველოს შორის

### მუხლი I

გერმანია სცნობს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმს. იგი ყოველ ღონეს იხმარს, რათა საქართველოს დამოუკიდებლობა სცნონ სხვა სახელმწიფოებმაც.

### მუხლი II

გერმანიამ და საქართველომ მშვიდობიანი და მეგობრული თანაცხოვრება გადაწყვიტეს.

### მუხლი III

გერმანია და საქართველო შეთანხმდნენ, რომ მათ ურთიერთობაზე გავრცელდება 3–7 მარტს – ერთის მხრივ გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ბულგარეთსა და თურქეთს, ხოლო მეორეს მხრივ რუსეთს შორის – ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების, ისევე, როგორც იმავე დღეს გერმანიასა და რუსეთს შორის დადებული დამატებითი ხელშეკრულების პირობები, თუ მათი შინაარსი არ ეწინააღმდეგება წინამდებარე სამეგობრო, ეკონომიკურ და სამართლებრივ ხელშეკრულებას.

## მეორე თავი

## დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარება.

### მუხლი IV

მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს შორის სამეგობრო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულების რატიფიცირებისთანავე დამყარდება დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები.

### მუხლი V

მოლაპარაკების მონაწილე თვითოეული მხარე დაუშვებს მეორე მხარის კონსულებს თავისი ტერიტორიის ყველა ადგილას, თუ ომის გამო ტერიტორიის ცალკეული ნაწილებისათვის გამონაკლისი არ დაიშვება და ეს გამონაკლისი ომის შემდეგ ყოველი მესამე სახელმწიფოს მიმართ თანაბრად იქნება დაცული.

თვითოეული მხარე ომის აუცილებლობიდან გამომდინარე იტოვებს უფლებას გარკვეულ ადგილებში მეორე მხარის კონსულები მხოლოდ საყოველთაო ზავის დადების შემდეგ დაუშვას.

### მუხლი VI

V მუხლის პირობების შესაბამისად გერმანიის იმპერიასა და საქართველოს შორის კონსულთა დაშვების, კონსულატების მუშაკთა უფლებებისა და თავისუფლებების ისევე, როგორც საკონსულოების სამსახურეობრივი უფლებამოსილებების შესახებ შეძლებისდაგვარად მოკლე ხანში დაიდება საკონსულო ხელშეკრულება იმ ნიმუშების შესაბამისად, რაც ბოლო დროს დადო გერმანიამ სხვა ქვეყნებთან.

Iაბზაცში ნაგულისხმევი საკონსულო ხელშეკრულების დადებამდე კონსულატების მუშაკთა უფლებები და თავისუფლებები ისევე, როგორც საკონსულოების სამსახურეობრივი უფლებამოსილებები განისაზღვრება 1874 წ. 8 დეკემბრის–26 ნოემბრის გერმანულ-რუსული საკონსულო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; ამ თვალსაზრისით მოლაპარაკების მონაწილე მხარეები ორმხრივ საფუძველზე უზრუნველყოფენ ურთიერთს ყველაზე პრივილიეგირებული ერის უფლებებით.

## მესამე თავი

## გერმანულ-რუსული სახელმწიფო ხელშეკრულებების გამოყენება

### მუხლი VII

ის ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომლებიც ძალაში იყვნენ გერმანიასა და რუსეთს შორის ომის

გამოცხადებამდე მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს შორის წინამდებარე სამეგობრო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულების რატიფიკაციისას განსხვავებული დებულებების შენარჩუნებითურთ ძალაში რჩებიან იმ პირობით, რომ თუ ისინი რაიმე გარკვეული დროის განმაველობაში არ იქნებიან გამოცხადებულნი, ეს ვადა გაგრძელდება ოთხი წლით.

ხელშეკრულების რატიფიცირებიდან ოთხი კვირის განმაველობაში გერმანიის მთავრობა დაწერილებით შეატყობინებს საქართველოს მთავრობას I აბზაცში ხსენებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

მოლაპარაკების მონაწილე მხარეები იტოვებენ უფლებას, ის ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც ომის მსვლელობისას შეტანილ შესწორებებს ეწინააღმდეგებიან, შეცვალონ ახლებით, რომელნიც პასუხობენ შეცვლილ ურთიერთობებსა და შეხედულებებს.

### მუხლი VIII

ის ხელშეკრულებები და შეთანხმებანი, რომელთაც გერმანიასა და რუსეთის გარდა სხვა მესამე სახელმწიფოებიც შეუერთდნენ და სადაც საქართველო რუსეთთან ერთად, ან მის ნაცვლად გამოვა, ძალაში შედიან მოლაპარაკების მხარეებს შორის წინამდებარე სამეგობრო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულების რატიფიცირებისთანავე, თუ საქართველოს მიერთება მოხდება მოგვიანებით, მიერთებისთანავე. ამგვარ კოლექტიურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ, მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს შორის დადებულ, ცალკეულ ხელშეკრულებებზე არ ვრცელდება მე-7 მუხლის პირობები ვადის გაგრძელების შესახებ.

ორივე მხარე იტოვებს უფლებას საყოველთაო ზავის დამყარებამდე გამოხატოს თავისი დამოკიდებულება იმ პოლიტიკური შინაარსის კოლექტიურ ხელშეკრულებებისადმი, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ომის მწარმოებელი სხვა ქვეყნებიც.

## მეოთხე თავი

## ეკონომიკური ურთიერთობები

### მუხლი IX

გერმანიასა და საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით მოლაპარაკების მონაწილე მხარეები შეძლებისდაგვარად უმოკლეს ხანში დაიწყებენ მოლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

### მუხლი X

IX მუხლით გათვალისწინებული სავაჭრო ხელშეკრულების დადებამდე ორივე ქვეყანას შორის ძალაში იქნება რუსეთთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების დანართი N2-ის პირობები, თუ ისინი მათი შინაარსით მიესადაგებიან გერმანია-საქართველოს ურთიერთობებს შემდეგი პირობებით:

#### § 1

დანართი N2-ის მე-2 ციფრში გათვალისწინებული ხელშეკრულების დარღვევის უფლება გამოყენებული იქნება გერმანიისა და საქართველოს მთავრობების მიერ ორივე ქვეყანას შორის ურთიერთობისას.

#### § 2

საწარმოო საკუთრების დაცვის თვალსაზრისით ორივე ქვეყანას შორის ძალაშია 1911 წ. 2 ივნისის პარიზის გადასინჯული შეთანხმების პირობები.

#### § 3

საფოსტო და სატელეგრაფო ხელშეკრულება ორივე ქვეყანას შორის დაფუძნებული იქნება მსოფლიო საფოსტო ხელშეკრულებისა და მისი დანართი შეთანხმებების პირობების საფუძველზე, აგრეთვე საერთაშორისო სატელეგრაფო ხელშეკრულებისა და საერთაშორისო რადიოსატელეგრაფო ხელშეკრულების საფუძველზე. კონკრეტული პირობები შემუშავდება ორივე მხარის ადმინისტრაციებს შორის დადებული შეთანხმებით.

#### § 4

ერთის მხრივ საქართველოს მთავრობასა და მეორეს მხრივ გერმანულ-ლუქსემბურგული სამთო და მეტალურგიული სააქციო საზოგადოება ბოხუმს და სხვა გერმანულ ფირმებს ისევე, როგორც გერმანიის საიმპერატორო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო მდივნის შორის 1918 წ. 12 ივლისს დადებული შეთანხმებანი ქართული მარგანეცის მადნის საზოგადოების, ჭიათურის რკინიგზის საზოგადოებისა და ფოთის პორტის საზოგადოების შესახებ დადასტურებულნი იქნებიან; ცნობილ იქნება, რომ შესრულებულია ის წინაპირობები, რომელთა შესრულებაზე საქართველოს მხარე დამოკიდებულს ხდიდა შეთანხმებების ძალაში შესვლას.

მარგანეცის მადნისა და მარგანეცის კონცენტრატების საქართველოდან გასატანად ნებადართული რაოდენობიდან ერთი მეოთხედი მოლაპარაკების მონაწილე მხარეებიდან ერთ-ერთის რუსეთის მთავრობასთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მიეწოდება რუსეთს, მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, შესაბამისი ანაზღაურების საფასურად.[4]

— — — — — — —

4. ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტის სამუშაო ვარიანტი , რომელშიც ხსენებული § 4 გადაშლილია. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პირობის შეტანა ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულების პირობების გამოძახილი იყო, რომელთა ძალითაც ბაქოს ნავთობსაბადოები რუსეთის განკარგულებაში რჩებოდა, ხოლო გერმანია კი მოპოვებული ნავთობის ერთ მეოთხედს ღებულობდა. იხ. A.A. Rusland 97a bd. 24 sf.Bd.24a. 1918 წ. სექტემბერ-ოქტომბერში კი გერმანია აღარ თვლიდა საჭიროდ რუსეთისათვის დათმობის გაკეთებას და ეს მუხლიც ანულირებულ იქნა.

დავით პაიჭაძე

მეხუთე თავი

## სამხედრო ტყვეთა და სამოქალაქო პატიმართა ურთიერთგაცვლა

### მუხლი XI

გერმანულ-რუსული დამატებითი ხელშეკრულების მე-17 მუხლის პირობების ნაცვლად სამხედრო ტყვეთა ურთიერთგაცვლის შესახებ ძალაში შედიან შემდეგი პირობები:

§ 1

სამხედრო ტყვეთა მიმდინარე გაცვლა იწარმოებს დაჩქარებული ტემპებით.

§ 2

განთავისუფლებისას სამხედრო ტყვეებს დაუბრუნდებათ მათთვის ჩამორთმეული პირადი ქონება, აგრეთვე მათი სამუშაო ანაზღაურების ჯერ არ გადახდილი ან დაკავებული თანხები; ეს ვალდებულება არ ვრცელდება სამხედრო შინაარსის ჩანაწერებზე.

§ 3

სამეგობრო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულების რატიფიცირებიდან შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში უნდა შეიკრიბოს ორივე მხარის თითო წარმომადგენლისაგან შემდგარი კომისია, .........რათა დაადგინოს ურთიერთგაცვლის, განსაკუთრებით კი – ტყვეთა სახლში გამგზავრების გზები და საშუალებები და კონტროლი გაუწიოს მიღწეული შეთანხმებების შესრულებას.

§ 4

ხარჯთაღრიცხვა ორმხრივი სამხედრო ტყვეებისათვის შესრულებული იქნება საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად და ორმხრივად იქნება გადაანგარიშებული ტყვეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

ტრანსპორტირების ხარჯები, მათი სამშობლო ქვეყნის საზღვრებამდე, აქედან იქნება გამოყოფილი.

### მუხლი XII

სამოქალაქო პირების ორმხრივ დაბრუნებაზე ვრცელდება გერმანულ-რუსული დამატებითი ხელშეკრულების 18 მუხლის პირობები, დაბრუნების დეტალებს მოაგვარებს წინამდებარე ხელშეკრულების XI მუხლის § 3-ში ნახსენები კომისია და კონტროლს გაუწევს მიღწეული შეთანხმებების შესრულებას.

მეექვსე თავი

## გერმანელი კოლონისტები საქართველოში

### მუხლი XIII

გერმანელი კოლონისტები, რომლებიც ღებულობენ გერმანიის მოქალაქეობას უნდა გათავისუფლდნენ საქართველოს მოქალაქეობისაგან მაშინაც კი თუ ისინი საქართველოში დარჩებიან.

### მუხლი XIV

XIII მუხლის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეობიდან განთავისუფლებული გერმანელი კოლონისტები ომის მსვლელობისას მათი წარმომავლობის გამო მიყენებული ზარალისათვის სამართლიან ანაზღაურებას მიიღებენ.

აგრეთვე გერმანელ კოლონისტებს წინამდებარე ხელშეკრულების რატიფიცირებიდან ერთი წლის განმავლობაში წარდგენილი განცხადების საფუძველზე დაუბრუნდებათ მიწის ნაკვეთები ან უფლებები მიწის ნაკვეთზე სამთო სამართლის შესაბამისად ისევე, როგორც უფლებები, დაამუშაონ და გამოიყენონ მიწის ნაკვეთები, წარმოებები, ან მონაწილეობა მიიღონ რომელიმე წარმოებაში, რომელნიც არსებული მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საომარი კანონების შედეგად საქართველოში ძალისმიერად ჩამოერთვათ გასხვისებისა თუ სხვა გზებით. საყოველთაო კანონების საფუძველზე საკუთრება აყრილთ, ზარალი აუნაზღაურდებათ და მესამე პირთა დადასტურებული უფლებებისდა მიუხედავად უფლებები დაუბრუნდებათ.

### მუხლი XV

გერმანელი კოლონისტები სასოფლო-სამეურნეო სავაჭრო და სარეწი საქმიანობის დროს, ისევე როგორც სხვა პროფესიების დაუფლებისას არ იქნებიან დაყენებულნი სხვა ადგილობრივ მაცხოვრებლებსა ან ყველაზე უფრო პრივილიეგირებული ქვეყნის მოქალაქეებზე ცუდ მდგომარეობაში; მათ არ დაეკისრებათ უფრო მაღალი გადასახადები, გამოსაღები, მოსაკრებელი, ბაჟი, ტარიფი, ვალდებულებები, ვიდრე სხვა ადგილობრივ მაცხოვრებლებსა და ყველაზე უფრო პრივილეგირებული ქვეყნის მოქალაქეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშვიდე თავი

## გერმანული საეკლესიო მრევლი, სკოლები და სამეცნიერო დაწესებულებები საქართველოში

მუხლიXVI

გერმანული მრევლი, სკოლები და სამეცნიერო დაწესებულებები საქართველოში სამართლებრივად უნდა იქნენ ცნობილნი და დაშვებულნი, დაიცვან თავიანთი უფლებები სასამართლოს წინაშე; აგრეთვე მიეცეთ უფლება, მათი მიზნებისათვის შეიძინონ მიწის ნაკვეთები.

ახალი გერმანული მრევლის, სკოლისა თუ სამეცნიერო დაწესებულების დაარსებას არანაირად არ უნდა შეეშალოს ხელი.

მუხლი XVII

XVI მუხლში აღნიშნული საეკლესიო მრევლის, სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებებისადმი დამოკიდებულება მათდამი მინიჭებული უფლებების საფუძველზე და განსაკუთრებით კი მათ დაბეგვრასთან დაკავშირებით არ უნდა განსხვავდებოდეს დამოკიდებულებისაგან შესაბამისი ქართული ორგანიზაციების მიმართ.

საეკლესიო მრევლს, სკოლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს მიეცემათ უფლება საქართველოს სახელმწიფოებრივი მეთვალყურეობისაგან დამოუკიდებლად თავად გადაწყვიტონ მართვა-გამგებლობა ისევე, როგორც სამღვდელოების, მასწავლებლებისა და დამხმარე პერსონალის დანიშვნა მოქალაქეობისდა მიუხედავად. სკოლებს მიეცემათ უფლება თავად აირჩიონ სასწავლო ენა, სწავლების გეგმები და თავად აწარმოონ სხვა სასკოლო საქმეები.

მუხლი XVIII

ყველა უფლებები და შეღავათები, რომლებიც მიეცემა მესამე სახელმწიფოს მათი მრევლის, სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მოწყობის, გაძღოლისა და დაბეგვრის თვალსაზრისით, გავრცელდება გერმანიასა და მის მოქალაქეებზეც. ამ თვალსაზრისით ის შეღავათები, რაც გავრცელდება ერთ რომელსამე კონფესიაზე, იმავე ზომით გავრცელდება ყველა სხვა კონფესიაზეც.

მუხლი XIX

საქართველო კისრულობს ვალდებულებას დაუბრუნოს გერმანულ მრევლს, სკოლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს მათთვის ჩამორთმეული ქონება, ან თუ ეს შეუძლებელია, აუნაზღაუროს.

ზარალი აუნაზღაურდებათ ომის გამო დაზარალებულ სხვა ერების წარმომადგენლებსაც იმავე ზომით, როგორც გერმანელებს.

მუხლი XX

საქართველოს მთავრობა უფლებას დართავს გერმანულ ინსტიტუტებსა და მეცნიერებს საქართველოში ჩაატარონ არქეოლოგიური გათხრები, მოპოვებული ექსპონატების ნახევარს გადასცემს მათ განკარგულებაში. გერმანული ინსტიტუტები და მეცნიერები ამგვარ სამუშაოებსა და სამეცნიერო პუბლიკაციებში ჩართავენ ქართულ ინსტიტუტებსა და მეცნიერებსაც.

მერვე თავი

მუხლი XXI

წინამდებარე სამეგობრო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას და სარატიფიკაციო სიგელები შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში უნდა გაიცვალონ ბერლინში.

სამეგობრო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულება, თუ მასში სხვა არაფერი იგულისხმება, ძალაში შედის რატიფიცირებისთანავე.

აღნიშნულის დადასტურების მიზნით რწმუნებულებმა წინამდებარე სამეგობრო, ეკონომიკურ და სამართლებრივ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და მათი ბეჭდები დაასვეს.

დედანი შესრულებულია ორ ცალად ბერლინში

1918 წ. ოქტომბერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ნარმანია

* * *

გვალვა არ არის მოსავლისთვის ისე საშიში,
როგორც სულისთვის ცრემლგამშრალი კაცის ჟინია,
საკუთარ თავზე წარმოდგენის ბოლავს ჰაშიში
და მთვრალს მოყვასის შეწუხების არ ეშინია.
არ ეშინია, რომ სინდისის დიდი თვალებით
ზურგს უკან ფიქრის ყველა ჩრდილი დანახულია,
ივსება მისი მახსოვრობა სხვისი ვალებით
და ეკარგება გულს სიკეთის ნიჭი სრულიად.
ჩვენ კი ამ ნიჭში, ვით სარკეში, ციდან გვხედავენ,
ციდან, რომლისაც მხედველობა უჩინარია...
ბავშვებს, უმამოდ დარჩენილებს, გაგვიზედავენ
წაგვართვან შენი შუქის სითბო, მზეო-მარიამ.

62/42

ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნომერში გამოყენებულია გენო ზაქარაიას ნამუშევართა რეპროდუქციები











